

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF HUMANITIES

გოეთეს სახელობის ფრანკფურტის უნივერსიტეტი,
ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტი

INSTITUTE FOR EMPIRICAL LINGUISTICS,
GOETHE UNIVERSITY FRANKFURT AM MAIN

ჰარვარდის უნივერსიტეტის დევისის ცენტრის
ქართული კვლევების პროგრამა

PROGRAM ON GEORGIAN STUDIES AT
THE DAVIS CENTER AT HARVARD UNIVERSITY

ახალგაზრდა მეცნიერთა VI საერთაშორისო
ინტერდისციპლინური სიმპოზიუმი
ჰუმანიტარულ მეცნიერებაებში

„ქართველოლოგიური კვლევები:
ისტორია, თანამედროვეობა, პერსპექტივები“

VI INTERNATIONAL INTERDISCIPLINARY SYMPOSIUM OF
YOUNG SCHOLARS IN THE HUMANITIES

“KARTVELIAN STUDIES:
HISTORY, MODERNITY, PERSPECTIVES”

თეზისები

ABSTRACTS

ოქტომბერი 11-13 OCTOBER

თბილისი 2024 TBILISI

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

გოეთეს სახელობის ფრანკფურტის უნივერსიტეტი,
ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტი

Institute for Empirical Linguistics, Goethe University Frankfurt am Main

ჰარვარდის უნივერსიტეტის დევისის ცენტრის ქართული კვლევების პროგრამა

Program on Georgian Studies at the Davis Center Harvard University

ახალბუხედ მასწავლებელთა VI საერთაშორისო ინტერდისციპლინური
სიმპოზიუმი ჰუმანიტარულ მეცნიერებაებში

„ქართველოლოგიური ხედიდან“

ისტორია, თანამედროვეობა, პერსპექტივები

VI INTERNATIONAL INTERDISCIPLINARY SYMPOSIUM OF YOUNG
SCHOLARS IN THE HUMANITIES

“KARTVELIAN STUDIES: HISTORY, MODERNITY, PERSPECTIVES”

თეზისები ABSTRACTS

ოქტომბერი 11-13 October
თბილისი 2024 Tbilisi

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2025

ISBN 978-9941-36-415-0

სამეცნიერო კომიტეტი/Scientific Committee:**რამაზ ქურდაძე /Ramaz Kurdadze**

პროფესორი, სიმპოზიუმის სამეცნიერო კომიტეტის თავმჯდომარე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელი, საქართველო
 Professor, the Head of the Scientific Committee of the Symposium, the Head of the Institute of the Georgian Language, Faculty of Humanities, TSU, Georgia

ჯაბა სამუშია/Jaba Samushia

აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველო
 Academician of the Georgian National Academy of Sciences, Rector of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

დარეჯან თვალთვაძე /Darejan Tvaltvadze

პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, საქართველო
 Professor, Dean of the Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

გიორგი ალიბეგაშვილი /Giorgi Alibegashvili

პროფესორი, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საქართველო
 Head of the State Language Department, Georgia

ნანა გაფრინდაშვილი/Nana Gaprindashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელი, საქართველო
 The Head of the Institute of Translation and Literary Relations at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

ეკატერინე ნავროზაშვილი/Ekaterine Navrozashvili

ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, საქართველო
 Associate Professor, Head of the Office of Academic Research and Development, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

ნანა მაჭავარიანი /Nana Machavariani

ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, საქართველო
 Assoc. Prof., Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Director of Arnold Chikobava Institute of Linguistics, Georgia

მაია ლომია /Maia Lomia

ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
 უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ს/ს ინსტიტუტი,
 საქართველო
 Assoc. Prof., The Institute of the Georgian Language, Faculty of Humanities, TSU, Georgia

ქეთევან მარგიანი /Ketevan Margiani

ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
 უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ს/ს ინსტიტუტი,
 საქართველო
 Assoc. Prof., The Institute of the Georgian Language, Faculty of Humanities, TSU, Georgia;

მანანა თანდაშვილი/Manana Tandashvili

პროფესორი, გოეთეს სახელობის უნივერსიტეტი, ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტი,
 კავკასიოლოგიის კათედრის ხელმძღვანელი, გერმანია
 Professor, Institute for Empirical Linguistics, Goethe University, Head of the Department of Caucasus
 Studies, Germany

ნათია ჭანკვეტაძე/Natia Chankvetadze

პრეზიდენტის უნივერსიტეტის დევისის ცენტრის ქართული კვლევების პროგრამის დირექტორი,
 აშშ
 Director, Program on Georgian Studies at the Davis Center, Harvard University, USA

იოანა ჩიტორანი / Ioana Chitoran

პარიზის სიტეს უნივერსიტეტის ენათმეცნიერების განყოფილება, საფრანგეთი
 Université Paris Cité, Linguistics Research Unit, France

იასუჰირო კოჯიმა / Yasuhiro Kojima

ტოკიოს უცხო ენათა ინსტიტუტი, იაპონია
 Tokyo University of Foreign Studies, Japan

მანანა ტოფაძე-გოიმანი / Manana Topadze-Gäumann

ბერნის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ისტორიის ფაკულტეტი, ენათმეცნიერების
 ინსტიტუტი, შვეიცარია
 Faculty of Philosophy and History, Institute of Linguistics, Bern University, Switzerland

იესე ვიხერს-სხრეული/ Jesse Wichers Schreur

ლაიდენის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ნიდერლანდების
 სამეფო
 Leiden University, Faculty of Humanities, the Netherlands

ქეითი ბელამი / Kate Bellamy

ლაიდენის უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ნიდერლანდების სამეფო
 Leiden University, Faculty of Humanities, the Netherlands

საორგანიზაციო კომიტეტი/Organizing Committee:**ნათია ფუტკარაძე/Natia Putkaradze**

ფილოლოგიის დოქტორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ინსტიტუტი ტექნიფორმი, საქართველო
 PhD in Philology, The Head of the Organizational Committee, Senior Research Fellow at the Institute Techninform, Georgia

გიორგი ჯღარკავა / Giorgi Jgharkava

ფილოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველო
 PhD, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

ლიზი ძაგნიძე / Lizi Dzagnidze

ფილოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველო
 PhD, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

ელენე ლურსმანაშვილი /Elene Lursmanashvili

დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველო
 PhD Student, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

გიორგი ქიტოშვილი / Giorgi Kitoshvili

დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, საქართველო
 PhD Student, The head of the Kartvelian Onomastics Scientific-Research Center, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

თეზისები

Abstracts

რამაზ ქურდაძე, მაია ლომია, ქეთევან მარგიანი
Ramaz Kurdadze, Maia Lomia, Ketevan Margiani

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 Ivane Javakhishvili Tbilisi State University

<https://orcid.org/0009-0001-2741-4292>

<https://orcid.org/0009-0009-4695-7426>

<https://orcid.org/0009-0005-8571-3943>

**ქართველური ენების სწავლებისა და კვლევის საუნივერსიტეტო
 ტრადიცია და განვითარების პერსპექტივები**

***The University Tradition and the Perspectives of the Teaching,
 Research and Development of the Kartvelian Languages***

საკვანძო სიტყვები: უნივერსიტეტი, კვლევა, სწავლება, ქართველური ენები

Keywords: University, research, teaching, Kartvelian languages

106 წლის წინ, 1918 წელს, თბილისში დაარსდა უნივერსიტეტი, რომელიც არათუ საქართველოსათვის, არამედ მთლიანად კავკასიისათვისაა პირველი ეროვნული სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი. საქართველოში უნივერსიტეტის დაარსება იყო ქართული ეროვნული დარგების სწავლების, კვლევისა და მათი განვითარების ახალი დიდი ეტაპის დასაწყისი. ბუნებრივია, ქართული, მეგრული, ლაზური, სვანური – ქართველური, ანუ სამხრეთკავკასიური, ენების კვლევა და სწავლება უნივერსიტეტის დაარსებიდანვე ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა.

ქართველურ ენებს გარკვეული კუთხით, თუმცა არარეგულარულად, 1918 წლამდეც სწავლობდნენ და ასწავლიდნენ კიდეც დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ზოგ უნივერსიტეტში; მაგრამ თბილისში უნივერსიტეტის დაარსებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმისათვის, რომ ამ ენათა შესწავლისა და სწავლების ცენტრი საქართველოში გადმოესულიყო, გაფართოებულიყო კვლევა და შესაბამისი ადგილობრივი კადრების მომზადება. თუ მანამდე საქართველოში ქართული ენის სწავლა-სწავლება ცალკეულ სწავლულთა და სასწავლებელთა საქმედ მიიჩნეოდა, რასაც უმთავრესად არასისტემური ხასიათი ჰქონდა, ახლა უკვე ქართულთან ერთად მისი მონათესავე ენების: მეგრულის, ლაზურის, სვანურის კვლევისა და სწავლების განსაკუთრებულ ეტაპს – რეგულარულ, სისტემურ, საუნივერსიტეტო ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი.

მოხსენებაში საუბარია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულის, მეგრულის, ლაზურისა და სვანურის სწავლა-სწავლების შესახებ, წარმოჩენილია ძველი და ახალი ქართული ენის კათედრების, შემდგომში ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის გაწეული საქმიანობა ამ მიმართულებით; კერძოდ, შეჯამებულია პედაგოგიური, კვლევითი და საველე პრაქტიკული სამუშაოები; გამოვლენილია მათი ღირებულება ერთიანი ენობრივი მსოფლხედვის განსაზღვრისა და ერის მონოლითურობის თვალსაზრისით; განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ პერიოდულ და არაპერიოდულ გამოცემებს, რომლებიც უშუალოდ ამ სამეცნიერო ერთეულების წარმომადგენელთა და მათთან ერთად სხვადასხვა საფეხურის სტუდენტთა აქტიური ჩართულობითაა მომზადებული; დასახელებულია ის ძირითადი მიმართულებები, რომელთა მიხედვითაც შესწავლილია ქართული, მეგრული, ლაზური, სვანური

ენები; დასახულია სამომავლო მიზნები თანამედროვე გამოწვევებისა და პერსპექტივების შესაბამისად.

106 years ago, in 1918, a university was established in Tbilisi. This institution became the first national scientific and educational center not only in Georgia but in the entire Caucasus. Its establishment marked the beginning of a new era in teaching, research, and the development of Georgian national scientific fields. Naturally, from the very beginning, the study and teaching of Kartvelian (South Caucasian) languages – Georgian, Megrelian, Laz, and Svan – were prioritized.

To some extent, albeit irregularly, Kartvelian languages had been studied and taught at universities in Western Europe and Russia even before 1918. However, the founding of Tbilisi State University was of paramount importance, as it shifted the center for studying and teaching these languages to Georgia. This development enhanced research efforts and facilitated the training of local professionals. Before the university's establishment, the study and instruction of the Georgian language in Georgia were largely the responsibility of individual scholars and schools, making the process unsystematic. With the foundation of the university, research and teaching of Georgian and its related languages – Megrelian, Laz, and Svan – became structured, systematic, and an integral part of the university's academic tradition.

This paper examines the study and teaching of Georgian, Megrelian, Laz, and Svan at Ivane Javakishvili Tbilisi State University. It outlines the activities of the Chairs of Old and New Georgian Languages, later known as the Scientific-Educational Institute of the Georgian Language. Specifically, it highlights pedagogical initiatives, research, and practical fieldwork, emphasizing their significance in shaping a unified national identity and fostering a common mentality. Special attention is given to periodical and non-periodical publications produced by representatives of these academic units, with active student participation at various stages of learning. The paper also enumerates key research areas focused on the study of Georgian, Megrelian, Laz, and Svan. Finally, it discusses future objectives in light of contemporary challenges and evolving research perspectives.

მანანა თანდაშვილი
Manana Tandashvili

მაინის ფილანკფუხტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტი
 Goethe University, Frankfurt am main
<https://orcid.org/0009-0005-7812-9124>

ქართველოლოგიის ევროპული ინტეგრაცია ღია მეცნიერების კონტექსტში
The European Integration of Kartvelian Studies in the Context of Open Sciences

საკვანძო სიტყვები: ღია მეცნიერება, ქართული ენის ტექნოლოგიები, საქართველოს ევროინტეგრაცია

Keywords: Open Science, Kartvelian Studies, Georgian Language Technologies, European Integration of Georgia

21-ე საუკუნის მიჯნაზე განვითარებულმა მსოფლიო გლობალიზაციის პროცესმა წარმოუდგენლად დააჩქარა საზოგადოების თვისებრივი ცვლილება ტექნოლოგიური სასწაულის – მსოფლიო ქსელის – მეშვეობით, რამაც შესაძლებელი გახადა ინფორმაციის მარტივად და სწრაფად გაცვლა და სათავე დაუდო ღია მეცნიერების პრინციპების შემუშავებას. 2001 წლის 1-2 დეკემბერს ბუდაპეშტში ჩატარებულ სამეცნიერო შეკრებაზე მიღებულმა დეკლარაციამ სათავე დაუდო **ბუდაპეშტის ღია წვდომის ინიციატივას (BOAI)** და საფუძველი ჩაუყარა ღია წვდომის მოძრაობას. რესურსების გაციფრულების პარალელურად გაჩნდა ელექტრონული ჟურნალები, შეიქმნა დიდ მონაცემთა ღია ბაზები და გაჩნდა პირველადი და მეორეული რესურსის ცნება, რამაც ხელი შეუწყო ინტერდისციპლინური და ტრანსდისციპლინური დარგების განვითარებას. ღია წვდომის ინიციატივამ, თავის მხრივ, დასაბამი მისცა ღია მეცნიერების (OS) პრინციპების შემუშავებას, რამაც არსებითად შეცვალა სამეცნიერო მუშაობისა და კომუნიკაციის ფორმები. OS-ის დაარსებამ ნიადაგი მოუზადა სამეცნიერო საზოგადოების ფუნქციონირების არა მხოლოდ ახალი სტანდარტის შემუშავებას, არამედ მეცნიერული კომუნიკაციის იმ ახალი ეთიკის დანერგვასაც, რომელიც დღეს საყოველთაოდაა აღიარებული.

აღნიშნულის ფონზე, ქართული მეცნიერება, განსაკუთრებით, ქართველოლოგია ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. ქართველოლოგიის ევროპული ინტეგრაციისათვის ღია მეცნიერების კონტექსტში აუცილებლად მიგვაჩნია ქართული ენის საერთაშორისო ინტეგრაცია ეთიკურ ასპექტში (ღია მეცნიერების მიერ შემუშავებული სამეცნიერო მორალისა და ეთიკის აღიარება და დაცვა), სამეცნიერო ასპექტში (ქართული ენის რესურსების საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში თავისუფალი და შეუფერხებელი მიმოქცევა), საგანმანათლებლო ასპექტში (ქართული ენის სწავლისა და სწავლების საერთაშორისო ცენტრების გაძლიერება ევროპაში), პოლიტიკურ ასპექტში (ქართული ენის ტექნოლოგიების განვითარება და გავრცელება საერთაშორისო მოხმარების მიზნით) და სოციალურ ასპექტში (ქართული ენის ტექნოლოგიზება და ფართოდ დანერგვა საზოგადოების სოციალური საჭიროების სხვადასხვა სფეროში).

At the turn of the 21st century, the process of globalization significantly accelerated qualitative changes in society through the technological phenomenon of the World Wide Web, which enabled the easy and fast exchange of information and gave rise to the development of **open science principles**. The declaration adopted at a scientific meeting held in Budapest on December 1-2, 2001, initiated the **Budapest Open Access Initiative** (BOAI) and laid the foundation for the **open access movement**. Alongside the digitization of resources, electronic journals were established, large open data repositories were created, and the concepts of **primary** and **secondary** resources emerged. This facilitated the development of interdisciplinary and transdisciplinary fields. The Open Access Initiative, in turn, spurred the development of **Open Science (OS) principles**, which fundamentally changed the forms of scientific work and communication. The establishment of OS paved the way for not only the creation of a new standard in the functioning of the scientific community but also the introduction of a new ethic of scientific communication, which is now universally recognized.

Against this backdrop, Georgian sciences, particularly Kartvelian studies, faced new challenges. For the European integration of Kartvelian studies **in the context of open science**, it is crucial to ensure the international integration of the Georgian language in ethical, scientific, educational, political, and social aspects. **Ethically**, this means recognizing and upholding the scientific morals and ethics developed by open science. **Scholarly**, it requires the free and unhindered circulation of Georgian language resources in the international scientific space. **Educationally**, it involves strengthening international centers for the study and teaching of the Georgian language in Europe. **Politically**, it calls for the development and dissemination of Georgian language technologies for international use. **Socially**, it emphasizes the technologization of the Georgian language and its broad implementation in various fields of social need.

This approach ensures that the Georgian language remains a vital and integrated part of both the scientific community and broader global processes.

კარინა ვამლინგი

Karina Vamling

მადმეს უნივერსიტეტი
Malmö University

<https://orcid.org/0000-0003-3415-203X>

**სვანურის გამოყენება გვიან 1990-იანებში. კითხვარზე
დამყარებული კვლევა***

***Language Use among Svanbs in the Late 1990s. A Questionnaire Study
in Kvemo Svaneti***

საკვანძო სიტყვები: სვანური, ომონიკონი, ენის გამოყენება, ენის გადაცემა, ენის
შენახუნება

Keywords: Svan, bilingualism, language use, language transmission, language maintenance

კითხვარზე დამყარებული კვლევის საფუძველზე, ნაშრომში წარმოდგენილი და გაანალიზებულია სვანური ენის გამოყენების თავისებურებები 1990-იანი წლების ბოლოს ქვემო სვანეთის რეგიონში. სვანები ორ ენაზე, სვანურად და ქართულად, მეტყველებენ და ეს ორივე ენა ქართველური ენების ჯგუფს მიეკუთვნება. სალიტერატურო ენად ქართული გამოიყენება, ხოლო არასტანდარტიზებული სვანურის გამოყენების სიხშირე უფრო და უფრო იკლებს.

კვლევის უპირველესი მიზანია გამოიკვეთოს, რა სამეტყველო ენათა არჩევანი არსებობს სვანებისთვის: აქვს თუ არა უპირატესობა სვანური ენის გამოყენებას გარკვეულ სფეროსა და კონტექსტში? რა გავლენა აქვს სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანებსა და მათი მეტყველების თავისებურებებს სასურველი ენის არჩევანზე? რით განსხვავდება სვანური ენის გამოყენების თავისებურება უფროს და ახალგაზრდა თაობებში?

კვლევის შედეგები ეფუძნება სვანურ ენაზე მოსაუბრე 48 ადამიანის კითხვარზე (წერილობით) პასუხებს, მათ შორის არის 44% მამაკაცი და 56% ქალი, დაბადებული 1924 წლიდან 1988 წლამდე პერიოდში. კითხვარი ეყრდნობა რესპონდენტთა თვითშეფასების შედეგად მიღებულ მონაცემებს და მასში ენობრივი კომპეტენციის ელემენტების შემოწმება გათვალისწინებული არაა.

მაშინ, როცა რესპონდენტთა უმეტესობამ კითხვარში სვანური ენის „ძალიან კარგი“ ცოდნა მიუთითა, 1980-იან წლებში დაბადებული რესპონდენტების შედარებით მცირე ნაწილი აფასებს თავის სვანური ენის ცოდნის დონეს, როგორც „კარგს“. რესპონდენტების სამმა მეოთხედმა განაცხადა, რომ მათთვის მშობლიური ენა ბავშვობიდან სვანური იყო და ქართული მხოლოდ მოგვიანებით, სკოლამდელ ასაკში, ან თუნდაც სკოლის პერიოდში, ისწავლეს. სვანური ენის არჩევანზე „ყველაზე ხშირად“ ან „ყოველთვის“ სიხშირე დაკავშირებულია „ყოველდღიურ თემებსა“ და „პირად

* კითხვარზე დამყარებული კვლევა ჩატარდა პროექტის – „ენობრივი მდგომარეობა საქართველოში“ – ფარგლებში, შვედეთის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა კვლევის საბჭოს მხარდაჭერითა და საქართველოს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტთან თანამშრომლობით. განსაკუთრებით აღსანიშნავია სვანეთში მონაცემთა შეგროვების პროცესში მიღებული ფასდაუდებელი დახმარება.

კომუნიკაციასთან“ მაშინ, როდესაც ქართული მითითებულია, როგორც ყველაზე გავრცელებული ენობრივი არჩევანი ისეთ საკითხებზე სასაუბროდ, როგორებიცაა პოლიტიკა და სპორტი.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კვლევაში მონაწილე ყველაზე უფროსი რესპონდენტების პასუხებს (დაბადებული 1925–1935 წლებში). ეს ნაწილი განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან ამ ასაკობრივი კატეგორიის ჯგუფის პასუხები ასახავს როგორც მათი ენის, ისე გასული საუკუნის მიწურულს დაბადებული მშობლების ენის გამოყენების თავისებურებებს (მათ უპასუხეს შემდეგ კითხვებს: „რა იყო თქვენი მშობლების მშობლიური ენა? რომელ ენას იყენებდნენ თქვენი მშობლები პირად საუბრებში? რომელ ენას იყენებდით, როდესაც მიმართავდით დედას და მამას სხვადასხვა არაფორმალურ და ფორმალურ ვითარებაში?“)

The presented work presents and discusses language use among Svans on the basis of a questionnaire study conducted in the late 1990s in the region of Kvemo Svaneti in north of Georgia. Svanians are bilingual in Svan and Georgian, both belonging to the Kartvelian language family. Georgian is used as the literary language, whereas the non-standardized Svan is gradually declining in use. *

The primary aim of the study is to explore language choices among the Svans: Is there a preference for the use of Svan in certain domains or contexts? What is the impact of different interlocutors and settings on preferred language choices? How does the use of Svan differ among older and younger generations?

The results of the study are based on replies to a (written) questionnaire among 48 speakers of Svan, including 44% males and 56% females, born in the years 1924 to 1988. The questionnaire relies on self-evaluation by the respondents and does not include elements of testing their proficiency.

Most respondents indicated “very good” knowledge of Svan, with a smaller proportion of the respondents, born in the 1980s, rating their proficiency in Svan as “good”. Among the respondents, three-quarters replied that they had been raised in Svan and acquired Georgian only later, in preschool or even in school. Svan is chosen “most often” or “always” regarding “everyday topics” and “private communication”, whereas Georgian is indicated as the most common choice in other domains, such as communication on politics and sports.

Special attention is paid to replies by the oldest respondents in the study (born in 1925–1935). This is of particular interest, as their responses illustrate both their own language use and reflect the language use of their parents, born around the turn of the last century (replying to such questions as “What was the home language of your father and mother? Which language(s) did your mother and father use among themselves? Which language did you use when addressing your mother and father in different informal and formal domains?”).

* The questionnaire study was conducted in the framework of the research project The Language Situation in Georgia, with support from the Swedish Council for Research in the Humanities and Social Sciences, in collaboration with the Arn. Chikobava Institute of Linguistics, Georgia. Special acknowledgment is given for the invaluable assistance provided in data collection in Svaneti.

იოანა ჩიტორანი, კეროლან კრაუჩი

Ioana Chitoran, Caroline Crouch

პაჩიზის სიგეს უნივერსიტეტი, ჩაისის უნივერსიტეტი
Université Paris Cité, Rice University

<https://orcid.org/0000-0002-0773-2680>

<https://orcid.org/0000-0001-5878-8505>

დაყოვნება მარცვლის ანლაუტში ქართულში

Timing in Syllable Onsets in Georgian

საკვანძო სიტყვები: მაჩცვლის სტრუქტურა, სონორუდი თანმიმდევრობა, არტიკულაციური ფონოლოგია, დაყოვნება, ქართული

Keywords: syllable structure, sonority sequencing, articulatory phonology, timing, Georgian

მოხსენებაში განხილულია ქართული ენის თანხმოვანთა არტიკულაციური დაყოვნების საკითხი რთული მარცვლის ანლაუტის პოზიციაში. კვლევის შედეგები გაამდიდრებს და გააფართოებს სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ განმარტებებს მარცვლის შესახებ. როგორც სონორობის (სონორობის თანმიმდევრობის პრინციპის / Sonority Sequencing Principle (SSP)), ისე დაყოვნების თვალსაზრისით, ოსცილატორული მოდელისა (ნამი, გოლდსტეინი და სალცმანი 2009) და არტიკულაციური ფონოლოგიის (AP) მიხედვით, მარცვლი განუყოფელ ერთეულად განისაზღვრება, თუმცა ქართული ენის მაგალითები საპირისპირო სურათს გვიჩვენებს ორივე შემთხვევაში. ქართულ ფონოტაქტიკაში საფუძვლიანად არის შესწავლილი სონორთა თანმიმდევრობის ირელევანტურობის საკითხი (იხ. ბუცხრიკიძე, 2002); წინარე კვლევებზე დაყრდნობით ბუნდოვანია, აქვს თუ არა ადგილი ქართული არტიკულაციური ფონოლოგიით ნაგულისხმევ დაყოვნებას მარცვლის ანლაუტში; ივარაუდება ე.წ. C-ცენტრის ეფექტი (c-center effect) (გოლდსტეინი და სხვ. 2007; ჰერმესი და სხვ. 2020). აღნიშნული მოდელის მიხედვით, ანლაუტი კოორდინირებულია ხმოვანთან ერთი მარცვლის ფარგლებში და არა ცალკეულ თანხმოვანთან. აღნიშნული კოორდინაცია სინქრონულია; ხმოვნის ანლაუტი ემთხვევა სრული ანლაუტის დროით ცენტრს და ხმოვნის მცირე დაყოვნება C(C...) თანმიმდევრობის აღქმის საშუალებას იძლევა.

ქართული მარცვლის ანლაუტში დაყოვნებისა და სონორობის ხარისხის შესწავლის მიზნით კვლევის პროცესში გამოვიყენეთ ელექტრომაგნიტური არტიკულოგრაფია (EMA) და სხვადასხვა კინემატიკური თუ აკუსტიკური გაზომვის საშუალებები, როგორებიცაა, მაგალითად, აკუსტიკურ ხმოვანთა ხანგრძლივობა, წინარეებირთვულ თანხმოვანთა მარჯვნივ გადანაცვლება და C-ცენტრის სტაბილურობა ორივე ხმოვნის საწყის წერტილთან მიმართებით. ჩვენი დაკვირვებით, სონორობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართულ მარცვალთა მიმდევრობაში და ზემოქმედებს უშუალო მეზობლობაში მყოფ თანხმოვანთა გადაფარვის ხარისხზე. ამასთან ერთად, ჩვენი მოსაზრებით, ქართული ანლაუტის დაყოვნება განსხვავდება ოსცილატორული მოდელით ნაგულისხმევი მოდელისაგან. ნაცვლად C-ცენტრის ეფექტისა, დავაკვირდით თანმიმდევრულ დაყოვნებას მარცვლის საწყისში, წინარეებირთვულ თანხმოვანსა და ხმოვნებში. შედეგად კი წარმოიშვა მარცვლის სტრუქტურის ახალი თეორია, რომელიც, ჩვენი აზრით, ქართული ენის ფონოტაქტიკითა

და მორფოლოგიურად არის შეპირობებული. მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება აღნიშნული მოვლენის ტიპოლოგიური შედეგებიც.

მარცვლის სტრუქტურის ამჟამინდელი მოდელები უნდა გადაიხედოს, რათა შესაძლებელი გახდეს წინამდებარე შედეგების სამეცნიერო კვლევებში ჩართვა, ქართული ბგერების სონორობისა და დაყოვნების ურთიერთმიმართების ნიუანსების გათვალისწინების მიზნით. გარდა აღნიშნულისა, ნაშრომში ასევე გამოკვეთილია ქართულისა და მისგან ტიპოლოგიურად განსხვავებულ ენათა კვლევის მნიშვნელობა.

In this talk, we examine the articulatory timing of consonant gestures in complex syllable onsets in Georgian and explore how our findings can inform and expand current definitions of the syllable. Traditionally, the syllable has been defined using sonority, based on the Sonority Sequencing Principle (SSP), and timing, as modeled by the coupled oscillator framework (Nam, Goldstein & Saltzman 2009) within Articulatory Phonology (AP). However, data from Georgian challenge both of these approaches. The irrelevance of sonority sequencing in Georgian phonotactics is well documented (e.g., Butskhrikidze 2002), and based on previous research, it is unclear whether Georgian displays the AP-predicted timing pattern of syllable onsets, i.e., the c-center effect (Goldstein et al. 2007; Hermes et al. 2020). In this model, the onset is coordinated with the vowel gesture as a unit, regardless of the number of consonant gestures. This coordination is synchronous; the onset of the vowel gestures occurs simultaneously with the temporal center of the entire onset, and the relative slowness of the vowel gesture results in the perception of a C (C...) sequence.

We use Electromagnetic Articulography (EMA) to examine the relationship between onset size, timing, and sonority shape in Georgian syllable onsets. Our analysis employs multiple kinematic and acoustic measurements, including acoustic vowel duration, rightward shift of prenuclear consonant gesture and c-center stability, both relative to an anchor point in the vowel. We demonstrate that sonority does play a subtle role in syllable organization in Georgian; it effects the degree of overlap between adjacent consonant gestures. Moreover, we argue that Georgian onsets are not timed in the manner predicted by the coupled oscillator model. Instead of the c-center effect, we observe strictly sequential timing between consonant gestures in the onset, and between the prenuclear consonant gesture and the vowel gesture. This is a novel proposal for syllable structure. We argue that it is motivated by the phonotactics and morphology of Georgian, and discuss the typological implications of this.

Current models of syllable structure need to be revised and expanded to incorporate these results and account for the nuanced relationship between sonority and timing that we see in the Georgian data. This work also highlights the importance of research on Georgian and other languages that are typologically distinct.

ფატი აბაშიძე

Pati Abashidze

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Shota Rustaveli Batumi State University

<https://orcid.org/0009-0005-9995-5716>

ნიკოლოზ ბარათაშვილის სატრფიალო ლირიკის ხალხური საწყისები

The Folkloric Origins of Nikoloz Baratashvili's Romantic Lyrics

საკვანძო სიტყვები: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ხალხური სატრფიალო ლირიკა

Keywords: Nikoloz Baratashvili, folk, love lyrics

ნაშრომი ეძღვნება ქართველი რომანტიკოსის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, შემოქმედებისა და ზეპირსიტყვიერების ურთიერთმიმართებას, რაც ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა.

თემის მიზანია, წარმოვაჩინოთ რომანტიკოსი პოეტის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, შემოქმედების სისხლხორცეული კავშირი ქართულ ხალხურ სიტყვიერებასთან.

ნაშრომზე მუშაობის დროს გამოვიყენეთ ისტორიულ-შედარებითი და ტიპოლოგიური კვლევის მეთოდები, რაც განპირობებული იყო კვლევის მიზნითა და დანიშნულებით.

ქართულ ხალხურ ლირიკულ ლექსებს თემატური მრავალფეროვნება ახასიათებს; მათში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი სატრფიალო თემატიკას ეკუთვნის. რასაკვირველია, ფოლკლორის მდუმარედ არ ჩაუვლია ამ დიდებული ადამიანური გრძნობისთვის; ქართულ ხალხურ სატრფიალო ლექს-სიმღერებში მკაფიოაა გამოხატული ადამიანთა გრძნობები; სახალხო მთქმელთა შეხედულება და განწყობა სიყვარულის, შეყვარებული ადამიანის მდგომარეობის შესახებ, ფაქტობრივად, იდენტურია რომანტიკოსი პოეტების შეხედულებებისა, რის ნათელ დასტურსაც მათივე შემოქმედება წარმოადგენს.

ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკისა და რომანტიკოსთა შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები სიყვარულის შთამბეჭდავი ჰიმნებია; ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის არ ყოფილა უცხო სიყვარულის თემა, მასაც ჰყვარებია ისე, რომ შემდგომში მისი რიგი ლექსების შთაგონების წყარო გამხდარა ეს უდიდესი გრძნობა. პოეტის სატრფიალო ლირიკა უხვად საზრდოობს ხალხური წყაროებით. ამიტომ, ბუნებრივია, ხშირად რომანტიკოსი ნიკოლოზ ბარათაშვილი ხალხური ზეპირსიტყვიერებისთვის დამახასიათებელი პირდაპირობით გადმოგვცემს თავის გრძნობებს და არცთუ იშვიათად იყენებს ხალხური სატრფიალო ლირიკისთვის დამახასიათებელ სახე-სიმბოლოებსა თუ ცალკეულ ფრაზებს.

The urgency of the study: This paper explores the relationship between the works of Georgian Romanticist Nikoloz Baratashvili and folklore, a topic of significant importance in literary studies.

The goal of the study is to demonstrate the close connection between the works of the romantic poet Nikoloz Baratashvili and Georgian folklore.

Research Methods: in this paper, we employed historical-comparative and typological research methods. Their application was determined by the aim and objectives of the study. Georgian folk lyric verses are characterized by thematic diversity, with love being one of the most important themes. Georgian folk love lyrics clearly express human emotions; public narrators' attitudes and sentiments about love, or the person in love, are, in fact, identical to the ideals of romantic poets, and their creativity is clear evidence of this.

The best examples of Georgian folk love lyrics and the creations of romanticists represent impressive hymns of love. Nikoloz Baratashvili was deeply connected to the theme of love; he cherished it so much that this profound feeling became the source of inspiration for many of his poems. His poetic lyrics are richly nourished by folk traditions. Therefore, it is natural that the romanticist Nikoloz Baratashvili often conveys his emotions with the directness typical of folk orality and frequently employs symbolic expressions and individual phrases characteristic of folk love lyrics.

ლელა აბდუშელიშვილი

Lela Abdushelishvili

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
International Black Sea University

<https://orcid.org/0009-0000-6666-0210>

სადღეგრძელოს თქმის ტექნიკა, როგორც საქმიანი კომუნიკაციის ეფექტური მეთოდი ქართულ და საერთაშორისო გარემოში

Toast Making as an Effective Method of Business Communication in Georgian and International Contexts

საკვანძო სიტყვები: სადღეგრძელო, საქმიანი კომუნიკაცია, საერთაშორისო გარემო

Keywords: Toast, business communication, international environment

საქმიანი კომუნიკაცია კომპანიაში ან მის გარეთ ადამიანებს შორის ინფორმაციის გაზიარების პროცესია. ეფექტური საქმიანი კომუნიკაცია თანამშრომლებისა და ხელმძღვანელობის ურთიერთობის გზაა ორგანიზაციული მიზნების მისაღწევად. მისი მიზანია ორგანიზაციული პრაქტიკის გაუმჯობესება და შეცდომების მინიმუმამდე შემცირება. კომუნიკაცია უმნიშვნელოვანესია გადაწყვეტილების მიღების, დამოკიდებულების შექმნის, მომხმარებელთა მომსახურებისა და ინოვაციის თვალსაზრისით. იგი აუცილებელია ორგანიზაციის წარმატებისთვის და ბიზნესგარემოში ადაპტაციისთვის. შეხვედრები, სატელეფონო ზარები, ელექტრონული შეტყობინებები და სხეულის ენაც კი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ორგანიზაციის წარმატებულად ფუნქციონირებაში. მრავალი პრობლემა გადაიჭრება უბრალოდ მართებული კომუნიკაციით.

არსებობს საქმიანი კომუნიკაციის მრავალი მეთოდი, როგორებიცაა: ვერბალური, წერიტი, ელექტრონული, არაელექტრონული. ვერბალური კომუნიკაცია უაღრესად სასარგებლოა პირისპირ შეხვედრებზე, სატელეფონო საუბრებისას, ვიდეოკონფერენციებზე, პრეზენტაციებსა და გუნდურ განხილვებზე. აქ შესაძლებელია დაუყოვნებელი უკუკავშირი, საკითხის დაზუსტება და ემოციებისა და ტონის გამოხატვა, რაც ხელს უწყობს უკეთეს გაგებას და მონაწილეებს შორის ურთიერთობის აწყობას. არავერბალური კომუნიკაცია, რომელიც ემსახურება სიტყვების გარეშე მნიშვნელობის გამოხატვას, მოიცავს ჟესტიკულაციას, სხეულის ენას, სახისმიერ გამოხატულებას და სხვა არავერბალურ საშუალებებს. ის ხშირად თან სდევს ვერბალურ კომუნიკაციას და იძლევა დამატებით კონტექსტს და ყურადღებასამახვილებს ადამიანის მიერ გადმოსაცემ შეტყობინებაზე. არავერბალურ ელემენტებზე ყურადღების მიქცევა მნიშვნელოვანია ემოციების, დამოკიდებულებებისა და განზრახვების სამართავად საქმიანი ინტერაქციის დროს.

ეფექტურად კომუნიკაციისთვის აუცილებელია აქტიური მსმენელის როლის მორგება, შეტყობინების ეფექტურად გადმოცემა და უკუკავშირი. საქმიანი ღონისძიების დროს სადღეგრძელოს თქმა მაღალი რგოლის მუშაკისთვის არსებითია. თუ შედარებით დაბალი რგოლის მუშაკს სურს სადღეგრძელო წარმოთქვას, უფლებას მასპინძლისგან იღებს, რათა წინასწარ განისაზღვროს მისი ჩართვა. ამდენად, ეს მეთოდი საქმიან კომუნიკაციაში უაღრესად ეფექტურია. იგი ეხმარება ადამიანებს, გამოხატონ საკუთარი განწყობა-დამოკიდებულება, დაფასება და ყურადღება. გარდა ამისა, იგი აერთიანებს ჯგუფებს, აღიარებს ადამიანსა თუ მოვლენას, განსაკუთრებულ შემთხვევას აღნიშნავს ან უბრალოდ გამამხნევებელია. ვერბალური აღიარება, რომელსაც მოსდევს რიტუალური

სმა – საზოგადოებრივი აღიარების საუკეთესო გზა. მიკუთვნება, ადამიანის საბაზისო საჭიროება, გულისხმობს გამხმნეებას. შესაბამისად, სადღეგრძელო შესაძლოა მივიჩნიოთ გამამხმნეებელ რიტუალად, რომლის მეშვეობით ადამიანის ან გუნდის მიმართ გამოვხატავთ პატივისცემას და ვაძლიერებთ გუნდისადმი მიკუთვნებას, საერთო სიმბოლოებს, რწმენებსა და ღირებულებებს, მიზნებსა და მისწრაფებებს (მაკლინი, 2005). სადღეგრძელო მრავალ საზოგადოებაში მიღებული მეთოდია. როგორც წესი, ჯგუფის, გუნდის ან თემის არაოფიციალურ დაოფიციალურ თავყრილობებთან ასოცირდება. ქართულ და საერთაშორისო კულტურებში სადღეგრძელოს გამოყენება ადამიანებს ეხმარება, დაახლოვდნენ, დაამყარონ პირდაპირი კავშირი და ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობა გამოსატონ. ამდენად, ის სასარგებლო მეთოდია ჯგუფებისა და ადამიანების დასაახლოებლად და ეფექტური ურთიერთობების დასამყარებლად. გამოვიყენეთ კვლევის ორი მეთოდი: ინტერვიუ და დაკვირვება. გამოვლინდა, რომ საქმიანი კომუნიკაციის დროს სადღეგრძელოს თქმის მეთოდის გამოყენებამ ხელი შეუწყო ორგანიზაციის უკეთეს ფუნქციონირებასა და ეფექტურ სამუშაო ინტერაქციას.

Toast making is an effective method of business communication in Georgian and international contexts Business communication is the process of sharing information between people within the workplace and outside the company. Effective business communication is how employees and management interact to reach organizational goals. Its purpose is to improve organizational practices and reduce errors. Communication is crucial for decision-making, rapport, customer service and innovation. It's essential for organizational success and adaptability in the business space. Communication methods like meetings, calls, emails, and even body language can all play an important role in the way your business operates. After all, great communication is what separates a mediocre business interaction from a notable one. A lot of problems can be solved simply by communicating better. There are many methods of business communication, such as, verbal, written, electronic, non-electronic. Verbal communication is extremely helpful in various settings, including, face-to-face meetings, phone conversations, video conferences, presentations and team discussions. It allows for immediate feedback, clarification, and the expression of emotions and tone, which can enhance understanding and build rapport among participants. Nonverbal communication refers to gestures, body language, facial expressions, eye contact, posture, and other nonverbal cues that convey meaning without the use of words. It often complements verbal communication and can provide additional context or emphasis to the message you're trying to convey. Paying attention to nonverbal cues is important to gauge the emotions, attitudes, and intentions of others in business interactions.

To communicate effectively, you need to be good at active listening, message delivery and asking for feedback. At a business event, it is polite for the senior level person to make the toast. If a junior-level executive wishes to propose a toast, he or she would ask permission of the host ahead of time to see if the Sr. level person is planning to give a toast. Therefore, toast-making is used as an effective business communication method. This method helps individuals to express goodwill, appreciation or call for attention. Besides, it unifies groups, acknowledges a person or event, marks a special occasion or simply encourages. The verbal recognition, followed by ritualistic drinking, serves as a public acknowledgement. Belonging is a basic human need that requires reinforcement, and a toast can be characterized as a reinforcement ritual, acknowledging respect for the individual or team, and also reinforcing group affiliation, common symbols and terms, beliefs and values, goals and aspirations (McLean, S., 2005). Toasts, while common in many societies, are relatively rare in daily life. They are normally associated with informal and formal gatherings of the group, team, or community. In Georgian and international cultures use of toasts helps people to get closer, establish direct contacts and feel good about one another. Therefore, it is a useful method to let people and groups get closer and establish effective relations. The following research methods were used: interviews and observation. They revealed the effectiveness of using toast-making as a method of business communication leading to better organizational performance and efficient work practice.

ლედი ანთიძე Ledi Antidze

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
Sokhumi State University, East European University

<https://orcid.org/0009-0003-0531-6768>

ჰიბრიდული ლიტერატურის ნიშანდობლივი კონცეპტები: ზურაბ ქარუმიძის „დაგნი, ანუ სიყვარულის აღაპი“ მულტიკულტურალიზმის ჭრილში

Notable Concepts of Hybrid Literature: Zurab Karumidze's *Dagny or a Love Feast* in Terms of Multiculturalism

საკვანძო სიტყვები: ჰიბრიდული ლიტერატურა, ზურაბ ქარუმიძე, მულტიკულტურალიზმი

Keywords: hybrid literature, Zurab Karumidze, multiculturalism

ჰიბრიდობის, როგორც სოციალურ-კულტურული ფენომენის, შესწავლას საფუძველი XX საუკუნის II ნახევრიდან ჩაეყარა და დღემდე აქტიურად გრძელდება. ჰიბრიდული ლიტერატურის ერთ-ერთ ნიშანდობლივ მახასიათებელს მკაფიო ეთნიკური და კულტურული საზღვრების ნაშლა და ახალი, მრავალფეროვანი კულტურულ-ლიტერატურული ფასეულობათა შემცველი, მულტიკულტურული ფენომენის შექმნა წარმოადგენს. ნიშანდობლივია, რომ ჰიბრიდული ლიტერატურისა და მწერლების კატეგორიებად დაყოფა ეროვნული კუთვნილების თვალსაზრისით შეუძლებელია. თანამედროვეობაში ლიტერატურა ხდება უფრო მეტად მრავალმხრივი, არაერთგვაროვანი, იგი მდიდრდება ახალი, ურთიერთშერწყმული, იმავე ჰიბრიდული კონცეპტით. ეს მულტიკულტურული მოვლენა განპირობებულია პოლიტიკურ-ეკონომიკური ძვრებით. XX საუკუნეში მრავალი იმპერია დაინგრა, რამაც მსოფლიოს როგორც პოლიტიკური, ისე კულტურული რუკაც შეცვალა. შეიქმნა ჰიბრიდული ხასიათის პოსტკოლონიური კულტურა, რომელიც მიიღება მეტროპოლიებისა და კოლონიების კულტურათა ნიშან-თვისებების ურთიერთშემოქმედებითა და ტრანსფორმაციით. ამ უმნიშვნელოვანესმა გეოპოლიტიკურმა ცვლილებებმა საფუძველი ჩაუყარა „კოლონიური“ და „პოსტკოლონიური“ დისკურსების ჩამოყალიბებას მრავალ სფეროში – პოლიტოლოგიაში, სოციოლოგიაში, ხელოვნებათმცოდნეობაში, კულტუროლოგიაში, ლიტერატურათმცოდნეობასა და ა.შ. ჰიბრიდული ტიპის ლიტერატურაზე საუბრისას კოლონიურ და პოსტკოლონიურ დისკურსებთან ერთად აუცილებელია მიგრაციის საკითხის წამოყენება და მიმოხილვა, რადგან სწორედ თანამედროვე მსოფლიო ტენდენციამ ფართომასშტაბიანი მიგრაციისა წარმოშვა ამ ტიპის ლიტერატურა. არსებობს დიდი ჯგუფი თანამედროვე მწერლებისა, რომლებიც არამშობლიურ, უცხო ენებზე წერენ. ლოგიკურია, რომ ესაა ის ენები, რომლებზეც პლანეტის მოსახლეობის განსაკუთრებით დიდი ნაწილი საუბრობს: ინგლისური, გერმანული, ფრანგული და ა.შ. ჩვენ, ქართველებს, გვყავს ამ სამივე ენაზე „მოასპარეზე“ მწერლები. ერთ-ერთი მათგანია ზურაბ ქარუმიძე, რომელმაც თავისი პოსტმოდერნისტული რომანი „Dagny or a Love Feast“ („დაგნი, ანუ სიყვარულის აღაპი“) 2006 წელს ინგლისურენაზე დაწერა. ზურაბ ქარუმიძის „დაგნი, ანუ სიყვარულის აღაპი“ ჰიბრიდული ლიტერატურის პოსტმოდერნისტული ნიმუშია, რომელშიც შესანიშნავადაა ასახული მულტიკულტურალიზმი – ქართული ეთნიკური თემატიკა მსოფლიო გლობალიზაციის კონტექსტში, მიმართება როგორც

ლოკალურ, ისე მსოფლიო სოციალურ-პოლიტიკურ თუ კულტურულ მოვლენებთან. ქართული თემები და არქეტიპები ამ ნაწარმოებში ჰარმონიულად ასიმილირდება ზოგადსაკაცობრიო მსოფლიო თემებთან თუ სახეებთან. ეს ერთ-ერთი თვალსაჩინო მხატვრული ნაწარმოებია სწორედ კულტურათა და ცივილიზაციათა ურთიერთშერწყმის თვალსაზრისით. ავტორის გადანწყვეტილება, ნაწარმოები ინგლისურ ენაზე დაეწერა, სრულიად გააზრებული ნაბიჯია და მიზნად ისახავს დასავლეთევროპელი მკითხველისათვის საკუთარი ეთნოსის ყველაზე კოლორიტული და სახასიათო კუთხით წარმოჩენას. დაგნის უცხოეროვნული (სკანდინავიური) წარმომავლობა, ერთი მხრივ, „უცხო“ ტიპური სახეა ქართველი მკითხველისა და ქართული ლიტერატურისათვის, მეორე მხრივ, სწორედ ეს ევროპული წარმომავლობა არის ხიდი საქართველოსა და ცივილიზებულ დასავლეთს შორის. ქარუმიძე ამ ნაწარმოებით ქმნის მულტიკულტურულ ლიტერატურულ მოვლენას, რომელსაც ორმაგი რაკურსი აქვს: რაკურსი მზერისა კავკასიიდან, საქართველოდან, დასავლეთისკენ და რაკურსი მზერისა დასავლური სამყაროდან – კავკასიისა და საქართველოსკენ. სწორედ ეს ორმაგობა და რაკურსი „შინაურიდან“, „ჩემიანიდან“ – „უცხო“ და „სხვისაკენ“ წარმოადგენს ჰიბრიდობის არსს. კულტურებს შორის სწორედ ამ ცოცხალი და ინტენსიური ურთიერთქმედების, ურთიერთწვდომის შედეგად იქმნება ჰიბრიდული ლიტერატურული პროცესი. ეს პროცესი და მოვლენა ძალზე საინტერესოა, ჩვენი კვლევის საგანსაც ამიტომ წარმოადგენს. აღნიშნული საკითხები წინამდებარე კვლევაში კონკრეტული ნაწარმოების მაგალითზე – ზურაბ ქარუმიძის „დაგნი, ანუ სიყვარულის ალაპი“ – გახლავთ გაშლილი და განხილული.

The basis for the study of hybridity as a socio-cultural phenomenon was laid in the second half of the 20th century and is actively being continued to this day. One of the distinctive features of hybrid literature is blurring clear ethnic and cultural boundaries and the creation of a new multicultural phenomenon containing diverse cultural and literary values. It should be noted that it is impossible to divide hybrid literature and writers into categories, in terms of national affiliation. In modern times, literature is becoming more multifaceted, heterogeneous, it is enriched with a new, interconnected, hybrid concept. Multiculturalism is caused by political and economic changes. In the 20th century, many empires collapsed, which changed both the political and cultural map of the world. A hybrid post-colonial culture emerged through the mutual influence and transformation of the characteristics of both metropolitan and colonial cultures. These most important geopolitical changes laid the foundation for the formation of “colonial” and “postcolonial” discourses in many fields – political science, sociology, art studies, cultural studies, literary studies, etc. While talking about the hybrid literature, together with the colonial and post-colonial discourses, it is necessary to raise and review the issue of migration, since it is the modern world trend of large-scale migration that gave rise to this type of literature. There is a large group of modern writers who write in non-native, foreign languages. It is logical that these are the languages that are spoken by a particularly large part of the population of the planet – English, German, French, etc. We, Georgians, have authors who write in foreign languages including in these three languages. One of them is Zurab Karumidze, who wrote his postmodernist novel *Dagny or a Love Feast* in English in 2006. Zurab Karumidze's *Dagny or a Love Feast* is a postmodernist example of hybrid literature, where multiculturalism is perfectly depicted – Georgian ethnic themes in the context of world globalization, in relation to both local and world socio-political and cultural events. Georgian themes and archetypes in this work are harmoniously assimilated with universal world themes. This is one of the remarkable novels precisely from the point of view of intermingling of cultures and civilizations. The author's decision to write the work in English is a fully thought-out move and aims to present his own ethnicity to Western European readers in the most colorful and characteristic way. Dagny's foreign (Scandinavian) origin is, on the one hand, a typical face of “foreigner” for Georgian readers and Georgian literature, on the other hand, this European

origin is the bridge between Georgia and the civilized West. Karumidze creates a multicultural literary work, which has a double perspective: the perspective of looking from the Caucasus, Georgia – towards the West, and the perspective of looking from the Western world – towards the Caucasus and Georgia. This duality and perspective from “domestic”, “home” to “foreign” and “other” that is the essence of hybridity. It is as a result of this lively and intense interaction, mutual access between cultures that the hybrid literary process is created. This process is so interesting that it is the subject of our research, which is unfolded and discussed in this work, on the example of the novel – Zurab Karumidze's *Dagny, or a Love Feast*.

ელის ბაქრაძე

Alice Bakradze

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ilia State University<https://orcid.org/0009-0002-7132-2333>**რელიგიური იდენტობის თავისებურებები სამცხე-ჯავახეთის
სომხურ თემში: პოსტსაბჭოთა საქართველოს რელიგიური
ტრანსფორმაციის კონტექსტი*****Features of Religious Identity in the Armenian Community of Samtskhe-Javakheti:
The Context of Religious Transformation of Post-Soviet Georgia*****საკვანძო სიტყვები:** იდენტობა, ხელიგია, სომხური თემი, ჯავახეთი, საქართველო**Keywords:** Identity, Religion, Armenian Community, Javakheti, Georgia

მრავალწლიანი თანაცხოვრების გამოცდილების მიუხედავად, ქართული დომინანტური კულტურისთვის ჯავახეთის სომხური თემის პრობლემები, კულტურა და ყოველდღიურობა „უცხოოდ“ რჩება. „ცენტრისთვის“ კი ჯავახეთი პერიფერიაა, რომლისადმი ინტერესი მოახლოებული არ-ჩევნებისა თუ მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესების პერიოდში ჩნდება. ხოლო თუ რას ნიშნავს მრავალფეროვან გარემოში ცხოვრება, თანაცხოვრებისა და კონფლიქტის პრაქტიკებით, ნაკლებად არის შესწავლილი. კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომხების კულტურასა და რელიგიაში მიმდინარე პროცესების შესახებ სამეცნიერო ნაშრომები იშვიათად იქმნება. ამასთან, არამართლმადიდებლური რელიგიები, დომინანტურ რელიგიურ დისკურსში, „სხვად“ და მიუღებლად არის მიჩნეული. ეს უკანასკნელი საკითხიც, სომხური თემის კონტექსტში, მეცნიერულად ნაკლებად შესწავლილია. სამეცნიერო ნაშრომების სიმცირის, არმენოფობიისა და გაუცხოების ტენდენციის ფონზე, მნიშვნელოვანია ახალი პერსპექტივის შესწავლა, რისთვისაც მოხსენებაში ვეცდებით წარმოვაჩინოთ, თუ რა თავისებურებებით ხასიათდება რელიგია ჯავახეთში და რა მნიშვნელობა აქვს რელიგიას ინდივიდებისთვის. ნაშრომის მიზანია, საზღვრისპირა, ჯავახეთის რეგიონში კომპაქტურად მცხოვრები სომხური თემის რელიგიური თავისებურებების შესწავლა. ნაშრომი 2 სოფლის მაგალითზე ორი ქვეყნის რელიგიური ტრანსფორმაციების პერიოდში საზღვარზე მყოფი რელიგიური და ეთნიკური უმცირესობის რელიგიურ და კულტურულ მახასიათებლებს მიმოიხილავს. ამასთან ერთად, ანალიზებს რელიგიის როლს იდენტობისა და ნაციონალური ნარატივების კონსტრუირებაში.

ჯავახეთის სომხური თემის რელიგიის შესასწავლად შეირჩა ტრიანგულაცია. კერძოდ, თვისებრივი კვლევის 3 მეთოდი: ეთნოგრაფიული კვლევა, ვიზუალური კვლევა და ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუ. კვლევის შედეგად გამოვლინდა ჯავახეთის სომხური თემის იდენტობის მრავალმხრივი განზომილება. დადგინდა, რომ „სომხური სამოციქულო ეკლესია“ მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სასაზღვრო გამოცდილების ფორმირებისთვის. კერძოდ, სომხური სამოციქულო ეკლესია სომხეთთან კავშირის/სიახლოვის განცდის გაძლიერების პოლიტიკას ატარებს. რელიგია იდენტობის იმ მარკერად გვევლინება, რომელიც მოქალაქის „სომხურ“ წარმოშობას უსვამს ხაზს. თუმცა სომხური თემის წარმომადგენლების ყოველდღიური რელიგიურობის შესწავლისას

გამოვლინდა, რომ ისინი სამშობლოდ საქართველოს აღიქვამენ. გარდა ამისა, კვლევა მიმოიხილავს რელიგიათაშორისი ურთიერთობების დინამიკას საზღვრის კონტექსტში; შეისწავლის, თუ როგორ ურთიერთობენ ჯავახეთის სომხები სხვა რელიგიურ ჯგუფებთან, მაგალითად, ქართველ მართლმადიდებელ ქრისტიანებთან. მოცემული ნაშრომი პოსტსაბჭოთა სასაზღვრო რეგიონებში რელიგიური იდენტობის ფორმირების, კულტურული ურთიერთგაცვლისა და თანაარსებობის საკითხების სიღრმისეულ შესწავლას უწყობს ხელს.

In the intricate tapestry of post-Soviet Georgia's religious landscape, the Armenian community in Javakheti, a region straddling the boundaries of Georgia and Armenia, presents a compelling case for investigating the interplay between religious identity and the lived experience of a borderland. This study delves into the multifaceted dimensions of religious identity formation, cultural exchange, and coexistence within the distinct geographical context of Javakheti, a region imbued with a rich historical heritage and an intricate ethnic tapestry. The dissolution of the Soviet Union has ushered in a resurgence of interest in understanding how religion intersects with ethnic identities, making this study both timely and academically imperative. In the wake of this seismic shift, religion has emerged as a potent force in ethno-national consolidation, particularly in the North Caucasus region. "In the context of Georgia, Georgian Orthodoxy has frequently served as a symbol of national identity, often overshadowing other religious traditions and rendering religious minorities – such as the Armenian community – relatively underrepresented in academic discourse. Scholarly examinations of the Javakheti region have predominantly gravitated towards subjects such as separatism, challenges associated with ethnic integration, processes of acculturation, and the complexities of inter-ethnic conflicts. However, the religious landscape in the region has often remained a peripheral concern. This research seeks to rectify this scholarly oversight by conducting an in-depth analysis of the religious and socio-cultural dimensions of the Armenian community in Javakheti, a region that has long served as a crossroads of cultures and a crucible of religious diversity. The research adopts a multidisciplinary approach, incorporating elements of sociology, anthropology, and ethnography to provide a comprehensive understanding of the intricate religious dynamics at play in Javakheti. In its methodology, the study eschews purely atheistic, secular, or state-centric perspectives, instead embracing a viewpoint deeply rooted in local culture and religion as observed in the daily lives of the Armenian community. The study focuses on the Armenian community in Javakheti and aims to provide an in-depth understanding of how the geographical location of this borderland shapes their religious identity and experiences. Drawing on extensive ethnographic research, biographical-narrative interviews, and visual documentation, this research investigates the multifaceted dimensions of identity within the Armenian community. It examines how the proximity to both Georgia and Armenia influences religious practices, beliefs, and the overall sense of identity among Javakheti's Armenians. The research uncovers the role of the "Armenian Apostolic Church" as a pivotal institution in mediating the borderland experience and fostering a sense of connection to Armenia while coexisting within the framework of Georgia. Also, it delves into the narratives of community members, shedding light on their personal stories and the profound impact of religion on their daily lives, rituals, and traditions.

Furthermore, this study explores the dynamics of religious diversity and interfaith relations within the borderland context, examining how Armenians in Javakheti interact with other religious groups and communities in the region, such as Georgian Orthodox Christians. By situating the religious identity of Javakheti's Armenians within the context of a borderland, this research contributes to a deeper understanding of the complexities surrounding religious identity formation, cultural exchange, and coexistence in post-Soviet border regions.

ცისნამი ბერიძე

Tsisnami Beridze

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Shota Rustaveli Batumi State University

<https://orcid.org/0009-0005-8200-1668>

მერისის ხეობის ხატოვანი სიტყვა-თქმები *Figurative Words and Expressions of Merisi Valley*

საკვანძო სიტყვები: მერისის ხეობა, ხატოვანი სიტყვა-თქმა, კულტურული მემკვიდრეობა

Keywords: Merisi valley, figurative expression, cultural heritage

ხატოვანი სიტყვა-თქმები გადმოგვცემს გარკვეულ აზრს და ალევორიული თუ გადატანითი მნიშვნელობა აქვს. მათ ხშირად ვხვდებით მწერლობაში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხატოვანი სიტყვა-თქმები ფართოდ გამოიყენება ყოველდღიურ მეტყველებაშიც.

ყველა ენას აქვს მისთვის დამახასიათებელი ხატოვანი სიტყვა-თქმა, რათა უკეთ გამოხატოს საკუთარი სათქმელი. ხატოვანი სიტყვა-თქმების შესწავლა რთული საკითხია, რადგან ის უკავშირდება შემქმნელი ხალხის ისტორიას, კულტურას, თვითმყოფადობას.

ხატოვანი სიტყვა-თქმებით მდიდარია ქართული დიალექტებიც, მათ შორის აჭარულიც, მათ შესახებ არაერთი სამეცნიერო ნაშრომი შეიქმნა, მაგრამ საკითხი სრულყოფილად მაინც არ არის შესწავლილი.

მერისის ხეობა აჭარის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ადგილია. ხატოვანი სიტყვა-თქმები ასახავს ხეობის უნიკალურობას და მოსახლეობის ენასა და კულტურაში ღრმად ფესვებგადგმულ ყოფით და რელიგიურ წარმოდგენებს. ამ თემის შესწავლა აქტუალურია, რადგან ქართული ენის დიალექტებში დავიწყებას ეძლევა, და მათი დაცვა და შენახვა თითოეული ქართველის ვალია.

ნაშრომის მიზანია ზემო აჭარულისთვის დამახასიათებელი ხატოვანი სიტყვა-თქმების შეგროვება, ჩანერა, დამუშავება, რათა გამოვიკვლიოთ და გავაანალიზოთ, როგორ გამოხატავს ხატოვანი ენა ადგილობრივ კულტურულ და ბუნებრივ გარემოს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ზემო აჭარის ერთ-ერთ ხეობაში, მერისში, ჩავინერეთ ტექსტები, რომლებშიც გამოვლინდა ძალიან ბევრი საინტერესო და სახასიათო ხატოვანი სიტყვა-თქმა.

ერთგვარი სამეცნიერო მიზანია ის, რომ შევძლოთ სიტყვა-თქმების სისტემური ანალიზი, რაც დაგვხმარება რეგიონის კულტურული ენის თავისებურებების უკეთ გაგებაში. აგრეთვე, კვლევა ხელს შეუწყობს ხეობის მეტაფორული ენის განხილვას როგორც კულტურულ, ისე ლინგვისტურ კონტექსტში.

ნაშრომის შექმნისას გამოვიყენეთ ემპირიული მასალის დამუშავების, ისტორიულ-შედარებითი, აღწერის, ანალიზის, სინთეზისა და შეპირისპირების მეთოდები.

საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს:

შენი აკვანი ხომ არ მირწია – აღზრდაში შრომა ხომ არ დამიხარჯავს. „რაც უნდათ, ის გააკეთონ, მაგათი აკვანი ხომ არ მირწია“ (საკანდელოძეების უბანი);

გულზე ცეცხლი მაქ შენთილი – ძალიან ვნერვიულობ: „იმფერს ვნერვიულობ, გულზე ცეცხლი მაქ შენთილი“ (ინაშარიძეები);

გულზე არ ეხატება – არ მოსწონს. „გულზე არ ეხატებოდა, მარა რა ექნა, შვილის ხათრისთვის ითმენდა“ (გარეტყე);

თავი მოსაფხანად არ ცაღია – დრო არ აქვს. „იმდენი საქმე მაქ, თავი მოსაფხანათ არ მცაღია“ (საკანდელიძეების უბანი);

თვალეები დაგრჩებოდა – მოგეწონებოდა. „იმფერი ლამაზი იყო, თვალეები დაგრჩებოდა“ (გარეტყე);

ნამსხმანი დამადნა – სხვისი ტკივილის განცდა. „იმფერი იტირა, ნამსხმანი დამადნა“ (საკანდელიძეების უბანი).

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ლოკალურად, ხეობებისა თუ სოფლების მიხედვით, ხატოვანი სიტყვა-თქმების შეგროვება საშუალებას მოგვცემს, შევისწავლოთ ზემო აჭარულისთვის დამახასიათებელი ხატოვანი სიტყვა-თქმები და ამით ჩვენი წვლილი შევიტანოთ ხატოვანი სიტყვა-თქმების ლექსიკონების შედგენაში.

ეს კვლევა ხსნის გზას შემდგომი, უფრო ღრმა და დეტალური, ანალიზისთვის არა მხოლოდ აჭარული, არამედ, ზოგადად, ქართული დიალექტების ხატოვანი სიტყვა-თქმებისა, რათა დავიცვათ და შევინარჩუნოთ როგორც ქართული ენა, ისე კულტურული მემკვიდრეობა.

Figurative words convey abstract ideas and have allegorical or metaphorical meanings. They are often used in writing, although it should be noted that figurative language also plays a significant role in everyday speech.

Every language has its own figurative expressions to better convey its messages. The study of symbolic words is a challenging issue because it is closely linked to the history, culture, and identity of the people who created them.

Georgian dialects, including the Adjarian dialect, are rich in symbolic expressions. Numerous studies, works, articles, and monographs have been dedicated to their study, but they are still not fully explored.

Relevance of the Issue: The Merisi Valley is one of the most important natural and cultural heritage sites of Adjara. Figurative sayings from this valley reflect its uniqueness and the deeply rooted religious beliefs of the population in their language and culture. The study of this topic is relevant because the Georgian dialect is being forgotten, and it is the duty of every Georgian to protect and preserve it.

The purpose of the paper, “Figurative Words and Expressions of Merisi Valley,” is to collect, record, and analyze the figurative sayings characteristic of Upper Adjara. The goal is to investigate how figurative language reflects the local cultural and natural environment. As part of this study, we recorded texts in Merisi, one of the valleys of Upper Adjara, where many interesting and distinctive figurative sayings were discovered.

The scientific novelty of this article lies in its systematic analysis of words and phrases, which helps to better understand the peculiarities of the region’s cultural language. Furthermore, this study contributes to the discussion of the metaphorical language of the valley in both cultural and linguistic contexts.

The research methods used in this article include empirical material processing, historical-comparative analysis, description, synthesis, and comparison.

Here are some examples to illustrate:

“Have I swung your cradle?” – Meaning: Didn’t I work hard in raising you. “They can do whatever they want, didn’t I give them a cradle” (Sakandelidze district);

“There is a fire in my heart” – Meaning: I am very nervous. “I am so nervous, my heart is on fire” (Inasharidzeebi);

“It is not drawn on his heart” – Meaning: He doesn’t like it. “He didn’t care about his heart, but what could he do, he was patient for the sake of his son” (Garete);

“He doesn’t have enough time to scratch his head” – Meaning: He is extremely busy. “I have so many things to do, I can’t even clean my head” (Sakandelidze district);

“Your eyes would remain” – Meaning: You would like it. “It was so beautiful, your eyes would die” (Garete); “My body has melted” – Meaning: I feel someone else’s pain deeply. “She cried so hard that my body melted” (Sakandelidze district).

In conclusion, collecting symbolic words and sayings locally, by valley or village, allows for a comprehensive study of the figurative language characteristic of Upper Adjara. This contributes to the compilation of dictionaries of symbolic expressions.

This study paves the way for further, more in-depth analysis not only of Adjarian figurative sayings but also of those in Georgian dialects in general, in order to protect and preserve both the Georgian language and its cultural heritage.

სალომე ბოჭორიშვილი
Salome Bochorishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 Ivane Javakhishvili Tbilisi State University
<https://orcid.org/0009-0006-3377-0652>

ქალთა პრესა ეგვიპტეში ჟურნალ „ალ-ფათას“ მიხედვით
Women's Press in Egypt According to the Journal Al-Fatah

საკვანძო სიტყვები: ქალთა პრესა, ქალთა ემანსიპაცია, ნაციონალიზმი
Keywords: women's press, women's emancipation, nationalism

XIX საუკუნის ეგვიპტეში დაიწყო ან-ნაჰდა ან-ნისა'ია – ქალთა გამოღვიძების მოძრაობა, რომელიც აერთიანებდა ქმედებებსა და მოვლენებს, მიმართულს აღმოსავლელი, ეგვიპტელი ქალის არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ. ამ პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა პერიოდულმა გამოცემებმა ქალებისათვის. კრებისითი სახელი „ქალთა პრესა“ კი აღნიშნავდა როგორც ქალების მიერ შექმნილ პერიოდულ გამოცემებს, ისე პრესას, რომლის აუდიტორია და განხილვის თემა იყო ქალი. პერიოდული გამოცემები („ას-საჰაფა ან-ნისა'ია“ და „ად-მაჰადათ ან-ნისა'ია“ და სხვ.) ქალებისათვის XIX-XX საუკუნეების ეგვიპტეში წარმოადგენდა არა მხოლოდ ცვლილებებისთვის ბრძოლის „იარაღს“, არამედ სფეროს, რომლის ევოლუცია ასახავს საზოგადოებაში ქალის მდგომარეობის, განათლების, პროფესიული დონისა და უფლებრივი სტატუსის ცვლილებას. XIX საუკუნის ბოლოს ეგვიპტე ოფიციალურად ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა და, იმავდროულად, დიდი ბრიტანეთის მიერ იყო ოკუპირებული. ქვეყანაში პრესის, ქალთა პერიოდული გამოცემებისა და ქალთა ემანსიპაციის პროცესის ფორმირება-განვითარებისთვის მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს შორის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება და ანტიბრიტანული განწყობები. 1892 წელს ეგვიპტეში, ალექსანდრიაში, ქრისტიანი ლიბანელი ქალის, ჰინდ ნავფალის, მიერ დაარსდა ქალებისთვის განკუთვნილი და ქალის მიერ მართული პირველი ყოველთვიური არაბულენოვანი ჟურნალი „ად-ფათა“ (გოგონა). წინამდებარე კვლევის მიზანია, ჟურნალ „ად-ფათა-ს“ ანალიზის საფუძველზე განიხილოს ეგვიპტეში ქალთა ემანსიპაციისა და ქალთა პერიოდული გამოცემების საწყისი ეტაპის ძირითადი მახასიათებლები და თანადროული პოლიტიკური მოვლენების საერთო დისკურსში წარმოადგინოს ქალის სოციალური როლის ჰინდ ნავფალისეული ხედვა: ქალის უფლებები, როლი და ადგილი საზოგადოებასა და ოჯახში; გენდერული თანასწორობის არსებული კონცეფცია; ჰინდ ნავფალის გენდერულ-ეთნიკურ-რელიგიური კუთვნილების გავლენა მის მიერ მართული პერიოდული გამოცემის იდეოლოგიასა და სამიზნე აუდიტორიაზე. კვლევის მიზნის მისაღწევად ჩატარდება ჟურნალ „ალ-ფათას“ შესაბამისი სტატიების კომპლექსური ანალიზი. საკვლევი თემა აქტუალურია, რამდენადაც გენდერული თანასწორობის პრობლემის შესწავლა მნიშვნელოვანია. ქალთა პრესა აქტიურ გავლენას ახდენდა სოციალურ პროცესებზე, ხელს უწყობდა ქალების სოციალური პოზიციების განმტკიცებასა და მათი სამოქალაქო და სოციალური უფლებების დაცვას. ეგვიპტეში ქალთა პრესის შედარებითი ანალიზით შესაძლებელია ზოგადად ქალთა არაბული პრესის თავისებურებათა და ნაკლოვანებათა გამოვლენა.

კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება ობიექტურობისა და ისტორიზმის პრინციპებს, ქალთა პრესის ისტორიულ-მედიარებით და სტრუქტურულ-ფუნქციურ ანალიზს.

In the 19th century, the *Al-Nahda al-Nisa'ia* – a women's awakening movement – began in Egypt, which brought together actions and events aimed at improving the condition of Eastern, specifically Egyptian, women. Women's periodicals played a significant role in this process. The collective term "Women's Press" referred both to periodicals created by women and to those whose audience and subject matter were focused on women.

The women's journals (*Al-Sahafat al-Nisa'ia*, *al-Majalat an-Nisa'ia*, etc.) were not only a "weapon" in the struggle for change but also a field in which the evolution of women's status in society was reflected, including changes in education, professional opportunities, and legal status in 19th-20th century Egypt.

At the end of the 19th century, Egypt was officially part of the Ottoman Empire while simultaneously under British occupation. The most crucial factor for the formation and development of the press, women's periodicals, and the process of women's emancipation in the country amid ongoing socio-political and economic changes was the activation of the national liberation movement and anti-British sentiments.

In Alexandria, Egypt, in November 1892, a Christian Lebanese woman, Hind Nawfal, founded the first female-run and edited monthly Arabic-language journal *Al-Fatah* ("The Girl") for women. The purpose of this study is to discuss the main characteristics of the early period of women's emancipation and women's periodicals in Egypt, based on the analysis of *Al-Fatah* journal and within the general discourse of contemporary political events. The study aims to present Hind Nawfal's perspective on women's social roles, women's rights, their position in society and family, and the existing concept of gender equality. It also explores the influence of Hind Nawfal's gender, ethnic, and religious affiliation on the ideology and target audience of the periodical she managed.

To achieve the research objectives, a complex analysis of relevant articles from the *Al-Fatah* journal will be conducted. The relevance of the research topic lies in the importance of studying gender equality. The women's press played an active role in influencing social processes and contributed to the advancement of women's social positions and the protection of their civil and social rights.

Through a comparative analysis of the women's press in Egypt, it is possible to reveal the peculiarities and shortcomings of the Arab women's press in general.

The research methodology is based on the principles of objectivity and historicism, as well as the historical-comparative and structural-functional analysis of the women's press.

ხათუნა ბუსკივაძე
Khatuna Buskivadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 Ivane Javakhishvili Tbilisi State University
<https://orcid.org/0000-0003-2187-1297>

**ენობრივი იერარქიისა და ენისადმი დამოკიდებულების საკითხი
 ქართულ პოლიტიკურ დისკურსში**
***The Matter of Language Hierarchy and Language Attitude in the Georgian
 Political Discourse***

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური დისკურსი, კოდების გადახტვა, კოდების შეხევა,
 სტილის მონაცვლეობა, ხევისგის გადახტვა

Keywords: political discourse, code-switching, code-mixing, style-shifting, register-switching

კვლევის მიზანია, შეისწავლოს ენობრივი იერარქიისა და ენისადმი დამოკიდებულების საკითხები, ქართველების მიერ გამოყენებულ კოდების გადართვის მაგალითებზე დაყრდნობით, ქართულ თანამედროვე პოლიტიკურ მედიადისკურსში. აღნიშნულ კვლევაში კოდი გამოყენებულია ცალკეული ენის, რეგისტრის ან სტილის ნაცვლად. კვლევა ორიენტირებულია გამოარკვევად: 1. როგორ ყალიბდება და გარდაიქმნება ენის იერარქია პოლიტიკურ დისკურსში კოდების გადართვის შესწავლით; 2. როგორ აისახება აუდიტორიის/ადრესატის ცვლილება კოდების გადართვის ქცევაზე; 3. როგორ გამოიყენება კოდების გადართვა, როგორც ინტერაქციული ფენომენი სალაპარაკო დისკურსში, მოსაუბრის იდენტობისა და საზოგადოების კონკრეტულ ჯგუფთან მიკუთვნებულობის საილუსტრაციოდ.

ჩვენი კვლევისთვის თანაბრად მნიშვნელოვანი წინამდებარე სამი მიზნისთვის დავაკვირდით მოსაუბრის მიერ კოდების გადართვისას იდენტობის გამოვლენის საკითხს. კერძოდ, გვანტერესებს, საუბრისას და/ან მოლაპარაკებების წარმოებისას როგორ ავლენენ მოსაუბრეები თავიანთ იდენტობას ინდივიდუალურ ან კოლექტიურ დონეზე.

ამ კვლევაში წარმოდგენილი მონაცემები შეგროვდა 12 თვის განმავლობაში (ივლისი, 2023 – ივლისი, 2024). 3210 ვიდეო მოვიძიეთ სხვადასხვა ინტერნეტმედიანაროდან: ტელეკომპანია ფოქმუდა, მთავახი, ბიემჭი, ხუსთავი 2, იმედი, და რადიო თავისუფლება. აქედან შემთხვევითობის პრინციპით ავარჩიეთ 400 ვიდეო, რომელთაგანაც დავაჯგუფეთ სტილის შეცვლის 55, რეგისტრის გადართვის 46 და კოდის შერევის 14 მაგალითი; აგრეთვე, კოდის გადართვის 5 მაგალითი. ეს არის პირველადი შედეგები; შეგროვებული მაგალითების გამოყენებით matched-guise test-ის დახმარებით, რაოდენობრივი კვლევის ჩატარების პროცესში ვართ. საბოლოო შედეგები კი კონფერენციაზე გახდება ცნობილი.

ინტერაქციული სოციოლინგვისტური მიდგომის დახმარებით განვიხილავთ მაგალითს, კერძოდ, პოლიტიკოსის (ი.ზ. – პოლიტიკოსის ინიციალები) ერთ-ერთი გამოსვლა.

კოდების შერევის, სტილისა და რეგისტრის მონაცვლეობის მაგალითი:

პოლიტიკოსი ი.ზ.: ამ ქვეყანას აქვს უფლება, დაიცვას თავისი ინტერესები.

მთავარი არხის ჟურნალისტი: ხო, მაგრამ მოლაპარაკებები ვერ [გაგეხსნებათო ბატონო ი.]

პოლიტიკოსი ი.ზ.: [ჩვენ ასე გვეუბნებოდნენ] ესენიც, ისინიც, ყველანი, რომ თუ სააკაშვილს არ გამოუშვებთ, გამორიცხული არისო, არ გამოვუშვით, ღირსებით, მოვიპოვეთ კანდიდატის სტატუსი./ghirsebiT, movipoveT kandidatis statusi. (With honor, we were granted the candidate status) = ჩვენ გვაქვს სამართლიანი მიდგომის//იმედი. იქ არიან ადამიანები, ევროპაშიც, ვინც სამართლიანად მსჯელობენ, ობიექტურად და ამ ქვეყანას არ სჯიან იმისთვის, რომ თავი დაიცვას.

მთავარი არხის ჟურნალისტი: აჰამ

პოლიტიკოსი ი.ზ.: და ერთი კითხვა მაქვს, თუ ამერიკას აქვს უფლება თავი დაიცვას, თუ საფრანგეთმა მიიღო ეხლა უფრო მკაცრი, /Tu amerikას aqvs ufleba Tavi daitsvas, Tu safrangeTma miiRo ekhla ufro mkatsri (If America has the right to defend itself, if France has adopted a stricter) = მე მივმართავ გერმანულად არ ვიცი, ეს ვიცი ერთი Verstehen? (Do you understand?) = აეს ვიცი ერთი, გაიგე? – ეგ არის თემა რომ იმას თუ აქვს უფლება რომ დაიცვას, ფრანგებს, ამერიკელებს, კანადელებს, საქართველოს რატომ არ გვაქვს უფლება?/imas Tu aqvs ufleba rom daitsvas, frangebs, amerikelebs, kanadelebs, saqarT-velos ratom ar gvaqvs ufleba? (If they have the right to protect, I mean, French, Americans, Canadians, why don't we (Georgia and Georgians) have the right?) აი, ეს მინდა რომ ვკითხო ბატონ ელჩს (იგულისხმება გერმანიის ელჩი – ფიშერი.)

მოცემული მაგალითი ასახავს: 1. მოსაუბრის იდენტობას (გამუქებული ტექსტი); ეს არის ქართული ოცნების თითოეული პოლიტიკოსის მხრიდან გამოთქმული იდენტური გზავნილი. სტილის მონაცვლეობის ქცევას, ამ შემთხვევაში, აქვს კომუნიკაციური ფუნქცია. ის მიზნად ისახავს არა ნამდვილი ადრესატის (ამ შემთხვევაში, გერმანელი დელეგატის – ფიშერის), არამედ მოსაუბრის პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერებისთვის არგუმენტების მიწოდებას. ამრიგად, ადრესატის ცვლილება განსაზღვრავს სტილის მონაცვლეობას. 2. რეგისტრის გადართვის მაგალითი; ზმნა „Verstehen?/გაიგე?“, მეორე პირში გამოყენებული მხოლოდობითი რიცხვი აჩვენებს არაოფიციალურ და არაზრდილობიან დამოკიდებულებას რეალური ადრესატის მიმართ. თუმცა, ეს მესიჯი კვლავ ქართული ოცნების მხარდამჭერებისთვის იყო გამიზნული. ამასთანავე, წინადადებებს შორის არის გარკვეული პაუზები, რაც ასახავს რეგისტრსა და სტილს შორის გაცნობიერებულ, გამიზნულ გადართვას.

რაც შეეხება ენობრივ იერარქიას, მოსაუბრეების დამოკიდებულება ზემოაღნიშნული ენების მიმართ ნათელია, კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური ძირითადად დადებითად გამოიყენება (9 მაგალითი), მას ზოგჯერ აქვს დაცივნის გამოხატვის ფუნქცია (4 მაგალითი). რუსული გამოიყენება სარკასტულად (5). გასაკვირია, რომ სარკასტული გამოყენების გერმანული (1 მაგალითი) მაგალითიც გვხვდება. ქართული ენა დომინანტია, პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ის მშობლიური ენაა, მაგრამ ყველაზე ლოგიკურია, რომ მოსაუბრეთა სიტყვიერი გზავნილები ნათელი, გასაგები უნდა იყოს საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენისთვის. ქართული ენა ხშირად გამოიყენებული ამომრჩეველის დაყოლიებისა და მანიპულირებისთვის, სარკაზმის გამოხატვისა და ოპონენტების შეურაცხყოფისთვის.

This research aims to study the matter of language hierarchy and language attitude through examining code-switching used by Georgians in Georgia, in the context of current political situation depicted in media discourse. Code in this research may refer to a language, a register and style. The study investigates 1. how language hierarchy is constructed and reconstructed by examining CS in political discourse; 2. how a change in audience/addressee influences CS; 3. how CS as a naturalistic and interactive phenomenon in spoken

discourse is used to project speakers' identity and their affiliation to their community. The three aims, being mutually inclusive, are explored in connection to intraspeaker CS in the interactional construction of identity. In particular, emphasis is placed on how speakers perform, project and negotiate their different personae at the individual or collective level.

Data presented in this research was collected over a period of 12 months (July, 2023–July, 2024). 3210 videos were found from various internet media sources: TV Formula; Mtavari TV; BM.GE; Rustavi2TV; Imedi TV; and Radio Tavisupleba. Out of which we randomly picked 400 videos. Out of which we grouped 55 example of style-shifting, 46 examples of register-switching and 14 examples of code-mixing; 5 examples of code-switching. These are the primary results; We are in the process of conducting matched-guise test (questionnaire) by using the collected examples. The final results will be introduced at the conference.

Let's examine a couple of the examples with the help of interactional sociolinguistic approach, namely, one of the politician's (I.Z. – politician's initials) speeches, transcribed and analyzed.

An example of code-mixing, style-shifting and register-switching.

Politician I.Z.: ამ ქვეყანას აქვს უფლება, დაიცვას თავისი ინტერესები.

MtavariTV Journalist: ხო, მაგრამ მოლაპარაკებები ვერ [გაგეხსნებათო ბატონო ი.]

Politician I.Z.: [ჩვენ ასე გვეუბნებოდნენ] ესენიც, ისინიც, ყველანი, რომ თუ სააკაშვილს არ გამოუშვებთ გამორიცხული არისო, არ გამოვუშვით, ღირსებით, მოვიპოვეთ კანდიდატის სტატუსი./ ghirsebiT, movipoveT kandidatis statusi. (With honor, we were granted the candidate status) = ჩვენ გვაქვს სამართლიანი მიდგომის//იმედი. იქ არიან ადამიანები, ევროპაშიც, ვინც სამართლიანად მსჯელობენ, ობიექტურად და ამ ქვეყანას არ სჯიან იმისთვის, რომ თავი დაიცვას.

Mtavari TV Journalist: აჰამ

Politician I.Z.: და ერთი კითხვა მაქვს, თუ ამერიკას აქვს უფლება თავი დაიცვას, თუ საფრანგეთმა მიიღო ეხლა უფრო მკაცრი, /Tu amerikas aqvs ufleba Tavi daitsvas, Tu safrangeTma miiRo ekhla ufro mkatsri (If America has the right to defend itself, if France has adopted a stricter) = მე მივმართავ გერმანულად არ ვიცი, ეს ვიცი ერთი Verstehen? /გაიგე? (Do you understand?) = აქვს ვიცი ერთი, გაიგე? – ეგ არის თემა რომ იმას თუ აქვს უფლება რომ დაიცვას, ფრანგებს, ამერიკელებს, კანადელებს, საქართველოს რატომ არ გვაქვს უფლება? /imas Tu aqvs ufleba rom daitsvas, frangebs, amerikelebs, kanadelebs, saqarTvelos ratom ar gvaqvs ufleba? (If they have the right to protect, I mean, French, Americans, Canadians, why don't we (Georgia and Georgians) have the right?) აი, ეს მინდა რომ ვკითხო ბატონ ელჩს (იგულისხმება გერმანიის ელჩი – ფიშერი.)

The given example illustrates 1. Speakers' identity (bold text); it is the identical message of each and every politician belonging to Georgian Dream. Style-shifting, in this case, has a communicative function. It is aimed to spoon-feed not the real addressee (in this case, German Delegate – Fischer), but the supporters of the speaker's political party. Thus, change in the addressee determines the style-shifting behavior. 2. A register-switching example; the verb, "Verstehen? /გაიგე? (Do you understand?)", used in second person singular show an informal and impolite attitude towards the real addressee. However, this message was also intended to the supporters of Georgian Dream. There are some pauses between sentences, which depicts the conscious switches between register and style.

As for the language hierarchy, the speakers' attitudes towards the above-mentioned languages are vivid, namely, although English is mostly used positively (9 examples), it sometimes has a function of expressing ridicule (4 examples). Russian is used sarcastically (5). Surprisingly, German is also used (1 example) sarcastically. The Georgian language has a dominancy, primarily because it is a mother tongue, but most logically, the speakers' messages should be immensely comprehensible for different social classes in Georgia. It is often used to persuade and manipulate the voters, express sarcasm and insult the opponents.

ხათუნა გელაშვილი
Khatuna Gelashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 Ivane Javakhishvili Tbilisi State University
<https://orcid.org/0009-0004-4003-9003>

**სუბიექტისა და ობიექტების იდენტიფიცირების სწავლება ქართულ ენაში
 ინგლისურენოვანი სტუდენტებისათვის”**

***Teaching the identification of subjects and objects in the Georgian language
 to English-speaking students”***

საკვანძო სიტყვები: პრაქტიკული ქართული, ქართული, ჰოგოხი უცხო ენა, ქუე, სუბიექტისა
 და ობიექტის ბუნებები

Keywords: practical Georgian, Georgian as a foreign language, GFL, subject and object cases

წინამდებარე კვლევის მიზანია ქართული ენის ინგლისურენოვან შემსწავლელთათვის წინადადების კონსტრუირების მექანიზმის მაქსიმალურად მარტივი და თანმიმდევრული ახსნა, რაც გამორიცხულია სუბიექტისა და ობიექტების მარკირების აღწერის გარეშე. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ქართულ ენაში, განსხვავებით ინდოევროპული ენებისაგან, მარკირებულია ე.წ. პირმომართი აქტანტები (პირები) როგორც სუბიექტის ფუნქციით, ისე ობიექტის სემანტიკურ-ლოგიკური ფუნქციით...” (მელიქიშვილი, 2014, 97).

საკითხი აქტუალურია, რამდენადაც სულ უფრო და უფრო იზრდება ქართულის, როგორც უცხო ენის, შესწავლის მოთხოვნა, შესაბამისად, სტუდენტებს წინადადების აზრის სწორად გაგებისა თუ აგებისთვის უნდა შეეძლოთ სუბიექტისა და ობიექტ(ებ)ის ცნობა და მათი ბრუნვების იდენტიფიცირება.

ქართული აგლუტინაციური ენაა, ინგლისური კი – ანალიტიკური; ინგლისურში სუბიექტსა და ობიექტ(ებ)ს სინტაქსურად, თხრობითი წინადადების წყობაში (SVO) ადგილის მიხედვით ვცნობთ; თანამედროვე ქართულ ენაში კი სიტყვათა ფიქსირებული რიგის საპირწონედ მოქმედი და სამოქმედო პირების დიფერენცირება მორფოლოგიურად, ანუ კონკრეტული ბრუნვის ფორმებით, ხორციელდება. ისინი დამოკიდებულია როგორც ზმნის მწკრივზე, ისე მის ტიპზე (ე.წ. „ვინისა“ თუ „მანის“). ამიტომაც, აქტანტების მარკირება უნდა ისწავლებოდეს ეტაპობრივად.

სიმპოზიუმზე წარმოვადგენ ქართული ენის გრამატიკის კვლევისა და ქართულის, როგორც უცხო ენის, მრავალწლიანი პრაქტიკული სწავლება-დაკვირვების საფუძველზე შექმნილ ქართული ენის სახელმძღვანელოს – „პრაქტიკული ქართული“, რომელშიც მეოთხე და მეხუთე გაკვეთილებშივე თანამიმდევრულადაა შემოტანილი აწმყო დროში სუბიექტისა და ობიექტის მარკირების საკითხი. ჯერ ისწავლება „ვინისა“ თუ „მანის“ რიგის ზმნები, მერე სახელების ფუძე, მერე სახელობითი და მიცემითი ბრუნვების წარმოება, შემდეგ იდენტური აქტანტებისა და სხვადასხვა ტიპის ზმნების მქონე ორი წინადადების შედარებაა, მაგ., „ირაკლი ხატავს ნინოს“ და „ირაკლის მოსწონს ნინო.“ იქვე ვადარებთ ინგლისურს: რა მოხდება ინგლისურსა და ქართულში, თუ წინადადებაში სიტყვათა წყობას შევცვლით? მაგ., „Nino draws Irakli“ იგივეა თუ არა, რაც „Irakli draws Nino.“? ან „ირაკლი ხატავს ნინოს.“ იგივეა თუ არა, რაც „ნინოს ხატავს ირაკლი.“

„პრაქტიკულ ქართულში“ მოგვიანებით შემოდის ყველა ბრუნვა, რომლებიც აქტანტებთან გამოიყენება. როგორც ვიცით, მოქმედ პირებს თავიანთი დამახასიათებელი ბრუნვები აქვთ, მაგ., „სახელობითი ბრუნვა მოქმედების შემსრულებლის, მოქმედი პირის ბრუნვაა... ამავე ფუნქციით შეიძლება შეგვხვდეს მიცემითი ბრუნვა...“ (იხ. რ. ქურდაძე. „ქართული ენის პრაქტიკული კურსი უცხოელთათვის“, 2019:188); სამოქმედო პირებთან კი სახელობითი და მიცემითი გამოიყენება, მაგრამ ეს ყველაფერი გეგმაზომიერად, ეტაპობრივად მოცემული ამ სახელმძღვანელოში.

ამგვარად, ე.წ. ხარაჩოს, გრამატიკაზე დაკვირვებისა და მერე ე.წ. კონტრასტული ანალიზის მეთოდების გამოყენება, ვფიქრობ, ქართულში აქტანტების მარკირების გააზრებულად სწავლების უმოკლესი, ლოგიკური, თანმიმდევრული გზაა.

The purpose of this research is to teach English-speaking learners of Georgian how to correctly construct a sentence, which involves marking subjects and objects. This should be done in the simplest and most well-ordered way. Scientific literature states: “In the Georgian language, unlike Indo-European ones, the so-called actants of transitive verbs (persons), whether they have the semantic-logical function of subjects or objects, are marked...” (D. Melikishvili, 2014:97).

This issue is essential as the demand for learning Georgian as a foreign language is increasing. Consequently, students should be able to identify subjects and objects and their respective cases to correctly understand or form a sentence.

Georgian is a synthetic language, while English is an analytical one. Consequently, English uses syntactic means to indicate subjects and objects, i.e., through the position in the word order (SVO) of a declarative sentence. In contrast, in Georgian, subjects and objects are marked morphologically, i.e., by specific affixes (case endings), which differ according to screeves and the type (V or M) of verbs. Therefore, teaching English-speaking learners how to mark subjects or objects in Georgian requires pre-teaching several grammatical aspects.

My Georgian language textbook for English speakers, *Practical Georgian*, which will be presented at the symposium, reflects the results of my research into Georgian grammar and multiple years of practical teaching and observation. The 4th and 5th lessons of the book teach marking subjects and objects in the present tense in the following sequence: first, V and M-verbs are taught, then stems of nominal parts of speech, then the formation of nominative and dative cases. Afterward, two sentences with identical subjects and objects but different verb types are compared, e.g., „ირაკლი ხატავს ნინოს.“ with a V-verb and „ირაკლის მოსწონს ნინო.“ with an M-verb. At this point, we compare these with the English way of marking by changing the word order of the sentences in both languages, e.g., Does “Nino draws Irakli.” have the same meaning as “Irakli draws Nino.”? Does the meaning change in Georgian? „ირაკლი ხატავს ნინოს.“ „ნინოს ხატავს ირაკლი.“

Other cases used to mark actants are introduced in *Practical Georgian*. As is known, active actants are marked with certain cases only: “The nominative case is used to mark the performer of an action, the agent... the dative case can also be used for the same purpose, while the ergative case is used solely with this function” (See R. Kurdadze, *Practical Course of Georgian for Foreigners*, 2019:188). Passive actants are marked with nominative and dative cases. All these aspects are taught in a well-planned, step-by-step manner in the textbook.

Thus, using scaffolding, grammar-noticing, and contrastive analysis methods is the fastest and most logical way to comprehensively teach the marking of actants in Georgian.

ნინო გვარამაძე

Nino Gvaramadze

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ilia State University

<https://orcid.org/0009-0009-0879-3002>

**შლაიერმახერისა და დილთაის ჰერმენევტიკული პრინციპების
გადამერისეული რეცეფცია**

***The Reception of the Hermeneutical Principles of Schleiermacher and Dilthey
in Hans-Georg Gadamer's Philosophy***

საკვანძო სიტყვები: გადამეჩი, ჰერმენევტიკა, გაგება

Keywords: Gadamer, hermeneutics, interpretation

წინამდებარე მოხსენებაში ისტორიული და კომპარატივისტული მეთოდის დახმარებით შევეცდები განვიხილო მე-19 საუკუნის ჰერმენევტიკული ტრადიციის ორი ძირითადი წარმომადგენლის – ფრიდრიხ შლაიერმახერისა და ვილჰელმ დილთაის ნააზრევის ჰანს-გეორგ გადამერისეული რეცეფცია, ამ უკანასკნელის Magnum opus-ის „ჭეშმარიტება და მეთოდი“ (Wahrheit und Methode, 1960, Tübingen) მიხედვით.

ნაშრომის პირველ ნაწილს დავუთმობ ჰერმენევტიკის, როგორც მეცნიერების დაფუძნების მიმოხილვას შლაიერმახერის ფილოსოფიაში. ვაჩვენებ, რომ ავტორისთვის ჰერმენევტიკა ინტერპრეტაციის, როგორც ასეთის, უნივერსალური თეორიაა; არ აქვს მნიშვნელობა, რა ტექსტზეა საუბარი – „სასულიერო“, „კლასიკურ“ თუ უბრალოდ „ავტორიტეტულ“ წყაროზე; ინტერპრეტაციის წესები ყველა ტექსტისთვის ერთიანია. ჰერმენევტიკა, შლაიერმახერის განმარტებით, არის დოქტრინა გაგების წესთა ურთიერთკავშირის შესახებ.

ნაშრომის მეორე ნაწილში დილთაის გრანდიოზულ მეთოდოლოგიურ პროექტს მიმოვიხილავ. შევეცდები დავამტკიცო, რომ დილთაისეული პროექტის მიზანი ისტორიული და ჰუმანიტარული შემეცნების მნიშვნელობის დასაბუთებაა („Geisteswissenschaften“) და ამ უკანასკნელის პროცედურების არარედუცირებადობის ჩვენება ბუნებისმეტყველური შემეცნების პროცედურებამდე („Naturwissenschaften“). „გაგება“, დილთაის აზრით, ერთადერთი ადეკვატური საშუალებაა იმ მთლიანობის გადაცემისათვის, რომელსაც სიცოცხლე ჰქვია. „გაგება“ განიმარტება, როგორც პროცედურა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია, ზოგადად, „სიცოცხლის“ გაგება და გაცნობიერება.

მოხსენების მესამე ნაწილში შევეცდები გავაანალიზო, თუ როგორ გადაიზრებს შლაიერმახერისეულ და დილთაისეულ ტრადიციას მეოცე საუკუნის ფილოსოფიური ჰერმენევტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი – ჰანს-გეორგ გადამერი. ჩემი მტკიცებაა, რომ გადამერისთვის შლაიერმახერისეული ჰერმენევტიკა, ფაქტობრივად, ითვალისწინებდა ტექსტებს, რომელთა ავტორიტეტიც უდავო იყო. ეჭვარეშაა, რომ ეს ყოველივე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ისტორიული ცნობიერების განვითარების გზაზე, რომ გაგება და ინტერპრეტაცია – როგორც ბიბლიის, ისე კლასიკური ანტიკური ლიტერატურის – სწორედ შლაიერმახერის მეშვეობით, სრულიად მოსწყდა ყოველგვარ დოგმატურ ინტერესს. თუმცაღა, გადამერის მოსაზრებით, ინტერესი, რომელმაც

შლაიერმახერის მეთოდოლოგიური აბსტრაქციის პროცესი დაბადა, იყო არა ისტორიკოსისგან, არამედ თეოლოგისგან წამოსული ინტერესი. გადამერის წაკითხვით, შლაიერმახერი ცდილობდა ესწავლებინა, თუ როგორ უნდა გაგებულყო მეტყველება და წერილობითი ტრადიცია, რადგან თეოლოგია ეხებოდა ერთ კონკრეტულ ტრადიციას, ბიბლიას. ამ მიზეზით, მისი ჰერმენევტიკული თეორია ჯერ კიდევ შორს იყო ისტორიოგრაფიისგან, რომელიც, გადამერის აზრით, შესაძლოა მეთოდოლოგიური ორგანონის როლს ირგებდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. შლაიერმახერის მიზანი, გადამერის გაგებით, იყო კონკრეტული ტექსტების ზუსტი გაგება, რაშიც ავტორს უნდა დახმარებოდა ისტორიული კონტექსტების უნივერსალურობა. ეს არის შლაიერმახერის შეზღუდვა და, გადამერის აზრით, ისტორიული მსოფლმხედველობა მას უნდა გასცდენოდა.

გადამერის წაკითხვით, დილთაი ვერ აღწევს იმ საბოლოო მიზნებს, რაც მას დასახული აქვს ფილოსოფიასა და ჰერმენევტიკულ მეთოდოლოგიაში. მისი მიმართება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი, როგორც ერთგვარი გზამკვლევისადმი, ისაა, თუ რა შეიძლება იყოს გამართლებული, როგორც ჭეშმარიტი, კიდევ ერთხელ აშორებს მას ფილოსოფიის, როგორც დისციპლინის, უფრო ფუნდამენტური სახის დაფუძნებისგან. გადამერის მოსაზრებით, დილთაის ჰერმენევტიკის თეორიიდან გაგების ობიექტურობის მიღწევის აუცილებლობა გამომდინარეობს. მას სურს აჩვენოს, რომ ჰერმენევტიკაში შეიძლება არსებობდეს საყოველთაოდ მართებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობა, რომელიც დაფუძნებულია ზოგადად გაგების ანალიზზე. შეჯამების სახით, მოხსენება ამტკიცებს, რომ გადამერის პრიზმაში შლაიერმახერის მოდელი კონკრეტულ ტექსტობრივ ანალიზსა და ტექსტის ზუსტ გაგებას ვერ სცდება, ხოლო დილთაის ძირითადი სურვილი, აჩვენოს ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ნებისმიერი სახის ვალიდურობის საზღვრები და შესაძლებლობები, საბოლოოდ, იმით სრულდება, რომ ჰუმანიტარული მეცნიერებები გაცილებით მეტად უახლოვდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს გაგების მიტაცება-მითვისების სქემაში.

In this paper, using a Comparative-Historical methodology, I will analyze the reception of the two main representatives of the hermeneutical tradition of the 19th century: Friedrich Schleiermacher and Wilhelm Dilthey, in Hans-Georg Gadamer's magnum opus *Truth and Method (Wahrheit und Methode, 1960, Tübingen)*. The first part of this article is devoted to reviewing the foundations of hermeneutics as a science in Schleiermacher's philosophy. I will show that, for Schleiermacher, hermeneutics is a universal theory of interpretation, regardless of whether the text in question is "sacred," "classical," or merely an "authoritative" source; the rules of interpretation apply equally to all texts. According to Schleiermacher, hermeneutics is the doctrine of the interrelationship of the rules of understanding.

In the second part of the paper, I will provide an overview of Dilthey's grand methodological project. I will argue that the aim of this project is to justify the importance of historical and humanistic knowledge (*Geisteswissenschaften*) and to demonstrate the irreducibility of these procedures to those of natural scientific cognition (*Naturwissenschaften*). For Dilthey, understanding is the only adequate means of communicating the wholeness of what he calls Life. "Understanding" is defined as the procedure by which "life" can be comprehended.

In the third part of the paper, I attempt to analyze how the most important representative of 20th-century philosophical hermeneutics, Hans-Georg Gadamer, rethinks the traditions of Schleiermacher and Dilthey. I argue that, for Gadamer, Schleiermacherian hermeneutics involved texts whose authority was unquestioned. It is undeniable that this was a significant step toward the development of historical consciousness, as understanding and interpreting both the Bible and classical ancient literature – precisely through Schleiermacher – was completely severed from any dogmatic interest. However, according to Gadamer, the interest behind Schleiermacher's process of methodological abstraction belonged more to the theologian than the historian. In Gadamer's reading, Schleiermacher sought to teach the understanding of oral and

written tradition, since theology was concerned with a specific tradition, the Bible. For this reason, Gadamer believed Schleiermacher's hermeneutical theory remained far removed from historiography, which, for Gadamer, could serve as a methodological authority in the humanities. Schleiermacher's goal, according to Gadamer, was the accurate understanding of specific texts, aided by the universality of historical contexts. This, for Gadamer, was Schleiermacher's limitation, as the historical worldview had to go beyond it.

As for W. Dilthey, Gadamer argues that he fails to achieve the ultimate goals he sets for philosophy and hermeneutical methodology. Dilthey's reliance on the natural sciences as a guide to what can be justified as true distances him from a more fundamental kind of philosophy as a discipline. According to Gadamer, the need to achieve objectivity in understanding stems from Dilthey's theory of hermeneutics. Dilthey sought to demonstrate that hermeneutics allows for the possibility of universal interpretation based on an analysis of understanding in general.

To summarize, this paper argues that, through Gadamer's lens, Schleiermacher's model inevitably includes concrete textual analysis and accurate understanding of the text, while Dilthey's primary aim to define the limits and possibilities of validity in the humanities is ultimately realized in the fact that the humanities, in his view, come much closer to the natural sciences in terms of grasping and appropriating understanding.

მარიამ გობიანიძე

Mariam Gobianidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

<https://orcid.org/0009-0009-1608-0969>

ლექსემა ბედის კონცეპტუალური ანალიზი და მისი ეკვივალენტები „ვეფხისტყაოსნის“ ქართულ ტექსტსა და ინგლისურ თარგმანებში

Conceptual Analysis of the Lexeme „ბედი“ / “Bedi” (Fate) and Its Equivalents in the Georgian Text of “The Knight in the Panther’s Skin” and Its English Translations

საკვანძო სიტყვები: ვეფხისტყაოსანი, ინგლისური თარგმანები, კონცეპტი ბედი

Keywords: “The Knight in the Panther’s Skin,” English translations, concept of Fate

„ვეფხისტყაოსანი“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლია ქართულ კულტურულ მემკვიდრეობაში. მეთორმეტე საუკუნეში შექმნილი ეს ეპიკური პოემა არა მხოლოდ საქართველოს ფარგლებს გასცდა, არამედ საუკუნეების განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მკვლევრების ყურადღება მიიპყრო. პოემის მდიდარი ტექსტობრივი მემკვიდრეობა დღემდე 160-ზე მეტი ხელნაწერთაა შემონახული, რაც მის მნიშვნელობას და აქტუალობას უსვამს ხაზს. „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნილია 58 ენაზე და ზოგიერთ მათგანზე – რამდენჯერმეც კი.

ჩვენი კვლევის საგანია პოემის ინგლისურენოვანი თარგმანი. კვლევის მიზანი იქნება პოემაში „ბედის“ კონცეპტის ანალიზი და მისი ეკვივალენტების შესწავლა ინგლისურ თარგმანებში, თუ როგორ არის გადმოცემული ბედის მრავალმხრივი მნიშვნელობა ინგლისურ თარგმანებში.

ბედის კონცეპტი არა მხოლოდ ქართულ, არამედ ანტიკურ და თანამედროვე ლიტერატურაში, ფილოსოფიასა და რელიგიაში ერთ-ერთი ცენტრალური თემაა. „ვეფხისტყაოსანში“ ბედის გაგება და მისი გამოყენება პოეტური მეტყველების კონტექსტში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და განსაზღვრავს პოემის შინაარსობრივ და ესთეტიკურ ღირებულებას. ამ საკითხის კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ის საშუალებას გვაძლევს, გავიგოთ, თუ როგორაა წარმოდგენილი ბედი ქართულ კულტურულ მემკვიდრეობაში და როგორ აისახება ეს კონცეპტი ინგლისურ თარგმანებში.

კვლევა დაეყრდნობა „ვეფხისტყაოსნის“ მულტილინგვურ პარალელურ კორპუსს. კვლევის კლასიკურ მეთოდებთან ერთად, როგორებიცაა: შედარება-შეპირისპირებითი, სტატისტიკური, ფენომენოლოგიური, რაოდენობრივი, თვისობრივი და სხვა, ასევე გამოვიყენებთ ისეთ თანამედროვე ციფრულ მეთოდებს, როგორებიცაა კორპუსზე დაფუძნებული და კორპუსით განპირობებული კვლევის მეთოდები. ჩვენი კვლევის საფუძველს წარმოადგენს მარჯორი უორდროპის, ვენერა ურუშაძისა და ლინ კოფინის ინგლისურენოვანი თარგმანები (დოდონა კიზირიას პწკარედულ თარგმანთან ერთად).

ქართულ ენაში ბედი სინონიმთა სიუხვითაა გამორჩეული. ალექსანდრე ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონში“ ბედის სინონიმური ერთეულებია: სვე, სვე-ბედი, იღბალი, ბედ-იღბალი, ყისმათი, ხვედრი, წილი, წერა (წერას ხომ არ აუტანიახარ?), ბედისწერა, განგება, ნასიბი, ეტლი, ვარსკვლავი (უბედურ ვარსკვლავზეა დაბადებული), ქუდბედიანი / ქუდბედაყოლილი (ნეიმანი, 1978).

ბედის კონცეპტი შესწავლილი აქვს სალომე ოშიაძეს, რომელიც დასახელებულ სინონიმურ წყვილებთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „ისინი ავლენენ ბედის, ასე ვთქვათ, ელფერებს, რომელთაგან ზოგი სტილისტიკური ხასიათისაა, ზოგში სემანტიკურ-ნიუანსობრივი, ზოგში კი აქსიოლოგიური განსხვავება ჩანს, მაგრამ არსებითი კონცეპტური ნიშნები თითოეული მათგანის ცნების შინაარსში იგულისხმება“ (ომიაძე, 2006).

ვიკტორ ნოზაძეს საგანგებოდ აქვს შესწავლილი „ვეფხისტყაოსანის ბედისმეტყველება“ და მიუთითებს, რომ „ვეფხისტყაოსანის შემოქმედში, მისი ყველა გმირი ბედის იდეას იზიარებს, მაგრამ არც ერთი მათგანი ამ ბედს გარდაუვალად არა სთვლის, იგი მათ შეუცვალელებლად და მარადად არ მიაჩნიათ“ (ნოზაძე, 1957).

პოემის გმირები მიიჩნევენ, რომ ადამიანს შეუძლია ბედს შეებრძოლოს, არ დაემორჩილოს, მასზე გაიმარჯვოს (შდრ., „ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების“ (თავი 36-ე, სტრ.903).

„ვეფხისტყაოსანში“ „ბედის“ კონცეპტი 30-ჯერაა გამოყენებული და შინაარსობრივი მრავალფეროვნებითაა წარმოდგენილი. ბედი შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი კონოტაციის მატარებელი. მაგალითად, ლექსემა ბედი – „ბედი მეფისა ჩვენისა არსთაგან სანატრელია“ (თავი 47 სტრ.1232) დადებით კონტექსტშია გამოყენებული, ხოლო „ბედი უბედო – ჩემზედა მიწყვი ავისა მქმნელია“ (თავი 46-ე, სტრ.1175) და „არ დასჯერდა ბედი ჩემი მათ პატიჟთა მრავალ-გვართა“ (თავი 50-ე, სტრ.1299) უარყოფითი კონოტაციის მატარებელია. პოემაში ბედის კონცეპტის მნიშვნელობის მრავალფეროვნება განსხვავებულად აისახება თარგმანებში, შდრ.,

თავი 47-ე, სტრ. 1232: ბედი მეფისა
მარჯორი უორდროპი: „The good fortune“
ლინ კოფინი: „The good fortune“
დოდონა კიზირია: „The good fortune“

თავი 46-ე, სტრ. 1175: ბედი უბედო
მარჯორი უორდროპი: „Luckless Fate“
ვენერა ურუშაძე: „Fate“
ლინ კოფინი: „Luckless Fate“
დოდონა კიზირია: „Luckless Fate“

თავი 50-ე, სტრ. 1299: ბედი ჩემი
მარჯორი უორდროპი: „my ill luck“
ვენერა ურუშაძე: „Misfortune“
ლინ კოფინი: „my ill luck“
დოდონა კიზირია: „my ill luck“

ბედის კონცეპტი „ვეფხისტყაოსანში“ არის ქართული ლიტერატურისა და კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და კომპლექსური თემა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში აისახა ანდაზებში, ხატოვან გამოთქმებსა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. ამ კვლევის მიზანია, უფრო ღრმად გავაანალიზოთ ეს კონცეპტი და დავადგინოთ, როგორია მისი გაგება და აღქმა სხვადასხვა ენასა და კულტურაში. თარგმანების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, როგორ იცვლება და ტრანსფორმირდება ეს კონცეპტი სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში და როგორ ხდება მისი ადაპტაცია ინგლისურ ენაში.

კვლევა განხორციელდა შოთა ჰუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) მხაზდაჭებით (გხანგის ნომერი PHDF-22-851)

The Knight in the Panther's Skin is one of the most significant literary monuments in Georgian cultural heritage. This epic poem, created in the 12th century, not only transcended the borders of Georgia but also captured the attention of scholars from various countries for centuries. The epic's rich textual legacy is preserved in over 160 manuscripts, highlighting its significance and relevance. *The Knight in the Panther's Skin* has been translated into 58 languages, with some languages having multiple translations.

Our research focuses on the study of the English translations of the epic. The research will concentrate on analyzing the concept of ბედი / bedi "fate" in the epic and examining its equivalents in English translations. Our aim is to uncover how the multifaceted and diverse meaning of fate is conveyed in the English translations.

The concept of fate is a central theme not only in Georgian literature but also in ancient and modern literature, philosophy, and religion. In *The Knight in the Panther's Skin*, the understanding of fate and its use in the context of poetic expression plays a crucial role in defining the epic's substantive and aesthetic value. This research is particularly important as it allows us to understand how fate is represented in Georgian cultural heritage and how this concept is reflected in English translations.

The research will be based on the multilingual parallel corpus of *The Knight in the Panther's Skin*. In addition to classical methods of comparison-contrast, statistical, phenomenological, quantitative, qualitative, and others, we will also employ modern digital methods, such as corpus-based and corpus-driven research methods. The foundation of our research will be the English translations by Marjory Wardrop, Venera Uru-shadze, and Lyn Coffin, along with Dodona Kiziria's word-by-word translation.

The concept of ბედი / bedi "fate" in the Georgian language is distinguished by a richness of synonyms. In Alexander Neiman's *Georgian Synonym Dictionary*, the synonymous units for ბედი / bedi "fate" include – sve, sve-bedi, iybali, bed-iybali, qismati, xvedri, çili, çera (çeras xom ar auṭanixar?), bediçera, gangeba, nasibi, eṭli, varskvlavi (ubedur varskvlavzea dabadebuli), kudbediani (kudbeddaqolili) (Neiman 1978).

Salome Omiadze has studied the concept of fate and notes that "these synonyms reveal the nuances of fate, with some being stylistic, others semantic-nuance-based, and others showing axiological differences, but the essential conceptual signs are implied in the content of each of these concepts" (Omiadze 2006).

Victor Nozadse has specifically studied the concept of ბედი / bedi "fate" and indicates that "the creator of *The Knight in the Panther's Skin*, and all its characters, share the idea of fate, but none of them consider this fate to be inevitable, nor do they regard it as immutable and eternal" (Nozadze 1957).

The epic's characters believe that a person can fight against fate, not submit to it, and even triumph over it (cf., "Fate is a trial, victory comes from God, and it will come to you" (Chapter 36, Stanza 903)).

In "The Knight in the Panther's Skin", the concept of ბედი / bedi "fate" is used 30 times and is presented with a variety of meanings. ბედი / bedi "fate" can carry positive or negative connotations. For example, the lexeme ბედი / bedi "fate" – „ბედი მეფისა ჩვენისა არსთაგან სანატრელია“ / „bedi mepisa čvenisa arsthagan sanatrelia“ (Chapter 47, Stanza 1232) is used in a positive context, while „ბედი უბედო – ჩემზედა მიწყვი ავისა მემნელია“ / „bedi ubedo – čemzeda mičqiv avisa mkmnelia“ (Chapter 46, Stanza 1175) and „არ დასჯერდა ბედი ჩემი მათ პატიჟთა მრავალ-გვართა“ / „ar dasžerda bedi čemi mat paṭižta mraval-gvarta“ (Chapter 50, Stanza 1299) carry negative connotations.

The diverse meanings of the concept of fate in the poem are reflected differently in the translations:

Chapter 47, Stanza 1232: ბედი მეფისა / bedi mepisa

- Marjory Wardrop: "The good fortune"

- Lyn Coffin: "The good fortune"

- Dodona Kiziria: "The good fortune"

Chapter 46, Stanza 1175: ბედი უბედი / bedi ubedo

- Marjory Wardrop: "Luckless Fate"
- Venera Urushadze: "Fate"
- Lyn Coffin: "Luckless Fate"
- Dodona Kiziria: "Luckless Fate"

Chapter 50, Stanza 1299: ბედი ჩემი / bedi čemi

- Marjory Wardrop: "my ill luck"
- Venera Urushadze: "Misfortune"
- Lyn Coffin: "my ill luck"
- Dodona Kiziria: "my ill luck"

The concept of fate in *The Knight in the Panther's Skin* is one of the significant and complex themes in Georgian literature and culture, reflected in proverbs, figurative expressions, and oral folklore over centuries. This research aims to delve deeper into this concept and determine its understanding and perception in various languages and cultures. A comparative analysis of the translations will show how this concept changes and transforms in different cultural contexts and how it is adapted to English.

"This research [PHDF-22-851] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)"

ანა გოგილაშვილი
Ana Gogilashvili

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
 Sulkhan-Saba Orbeliani University
<https://orcid.org/0000-0003-4327-3917>

**საბჭოთა ეპოქა თანამედროვე ქართული მწერლობის თვალით.
 ბესო სოლომანაშვილის „ლუმპენ მილენიუმი“**

***The Soviet Era in the Eyes of the Modern Georgian Writing.
 Beso Solomanashvili's Lumpen Millennium***

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა ეპოქა, თანამედროვე ქართული მწერლობა,
 ბესო სოლომანაშვილი

Keywords: Soviet era, modern Georgian literature, Beso Solomanashvili

ბესო სოლომანაშვილის შემოქმედებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. იგი საგულისხმოა ლიტერატურაზე ეპოქის ასახვის თვალსაზრისით, განსაკუთრებით კი – უკვე განვლილი საბჭოთა ეპოქისა, რომლის გავლენაც თანამედროვე ყოფაზე იმდენად დიდია, რომ არაერთი თანამედროვე ავტორის შემოქმედების მთავარ მოტივად იქცა.

ბესოსოლომანაშვილისრიგითმეორე რომანი „ლუმპენ მილენიუმი“ ტრილოგიად ჩაფიქრებული ამბის მეორე წიგნია. იგი ერთგვარი გაგრძელებაა რომანისა „ამბავი ძველი დახვრეტილებისა და ახალი დასახვრეტილებისა.“ ეს არის ნაწარმოები გმირებსა და მოღალატეებზე, ერთგულებსა და გამყიდველებზე, თავისუფლებასა და მონობაზე, ფასეულობათა დევალვაციაზე, რაც მანკიერმა ეპოქამ განაპირობა და მარადიულ ღირებულებებზე, რომლებიც, მართალია, ერთეულებს, მაგრამ მაინც შემორჩათ. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა ზოგჯერ ლიტერატურა მემკვიდრეობა ნაწერებზე უკეთ ასახავს ისტორიას, ნათლად გვიხატავს აწმყოს და მომავლის კონცეფციაზე ფიქრს გვაძლევს.

„ლუმპენ მილენიუმი“ მაგიური რეალიზმის ტექნიკით შექმნილი რომანია, მისი პერსონაჟთა გალერეა კი – საკმაოდ მრავალფეროვანი. ერთ მხარეს არის ხარჯახიშვილთა ეროვნული ნიშნით აღბეჭდილი შტო, მეორე მხარეს კი – რუსეთის მოყვარული და სამშობლოს მოღალატე თავადთა თუ გლეხთა მრავალფეროვანი პალიტრა. ნაწარმოების პერსონაჟები ისტორიული პირები არიან. ასეთია, მაგალითად: ალექსანდრე ჭავჭავაძე, ალექსანდრე ორბელიანი, ალექსანდრე გრიბოედოვი, მაიკო ორბელიანი, ლავრენტი ბერია, ბუდუ მდივანი, მიხეილ ჯავახიშვილი და სხვანი.

მწერალი ააშკარავებს „ერთმორწმუნე“ ძმების, წესით, ყველაზე მორწმუნე ნაწილის, სასულიერო პირების ქმედებებსაც, როდესაც აღგვიწერს, როგორ ჩამოდის რუსი ეპისკოპოსი საქართველოში და ბოდბის მონასტერში ბანაკდება, წმინდა ნინოს საფლავის გახსნისა და გაძარცვის მიზნით. ეპისკოპოსმა რომ „არ მოიწყინოს“, მას მოსკოვიდან ორ რუს გოგონას უგზავნიან, თუმცა, ამის მიუხედავად, „წმინდა მამა“ მონაზვნების გაუპატიურებაზე მაინც არ ამბობს უარს.

საინტერესოა მწერლის მიერ პერსონაჟთა სახელებისა და გვარების ქმნადობის მეთოდიც. ავტორი ეროვნული შტოს წარმომადგენელთა სახელებს საქართველოს ისტორიიდან გმირი წინაპრების პატივსაცემად იღებს. მაგალითად: ელიზბარი, ქაიხოსრო, შალვა, ლევანი; ხოლო

სისტემის მონა და სინდისნამუსგარეცხილი მამა-შვილი პერსონაჟების გვარად ნახირიშვილს იყენებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბესო სოლომანაშვილის ხსენებული რომანი თანამედროვე ქართულ სალიტერატურო სივრცეში შექმნილ იმ ნაწარმოებთაგან, რომლებიც საბჭოთა ოკუპაციას ეძღვნება, არც პირველია და არც უკანასკნელი. საკითხის აქტუალობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ საბჭოთა რეჟიმის გავლენები დღესაც აშკარაა ქართულ რეალობაზე, პოლიტიკაზე, ადამიანთა ცნობიერებასა და ქმედებებზე, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთი კვლავ აგრესორად გვევლინება და დღევანდელი მოცემულობით, ქართული ტერიტორიების 20%-ზე მეტი ოკუპირებული აქვს.

საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოს თემატიკას თავიანთი შემოქმედებით ეხმიანებიან შემდეგი თანამედროვე ავტორები: „ჩაძირული ქალაქი“ – დ. ტურაშვილი; „იყო და არა იყო რა“ – დ. ტურაშვილი; „ნაფთალინი“ – ლ. ბულაძე; „სამოთხიდან გაქცეულები“ – ბ. ქურხული; „დიქტატურის გემო“ – რ. გორგილაძე; „ამბავი ძველი დახვრეტილებისა და ახალი დასახვრეტებისა“ – ბ. სოლომანაშვილი; „ბუნკერი“ – ი. ფეხუაშვილი; „დოდოს მოლოდინში“ – დ. ტურაშვილი; „შენი თავგადასავალი“ – ა. მორჩილაძე; „ნუგზარი და მეფისტოფელი“ – ლ. ბულაძე; „პატარა ქვეყანა“ – ლ. ბულაძე; „კუპიდონი კრემლის კედელთან“ – ა. მორჩილაძე; „ვა სოფელო“ – ზ. არსენიშვილი; „ბუცები და ტყავის ჩექმა“ – დ. ჯიშკარიანი; „მერვე სიცოცხლე“ – ნ. ხარატიშვილი; „უკმარი სინათლე“ – ნ. ხატარიშვილი და სხვა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ლუმპენ მილენიუმი“ ქართულ და ასევე არაქართულ ლიტერატურათმცოდნეობით სივრცეში ჯერ არ განხილულა, შესაბამისად, მისი ანალიზი სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენს.

რომანის განხილვისას გამოყენებული იქნება ნარატოლოგიისა და ჰერმენევტიკის სინთეზი, ტექსტზე დაკვირვების, ანალიზისა და კონცეპტუალური ინტერპრეტაციის მეთოდები.

Beso Solomanashvili's creative work occupies a very interesting niche in modern Georgian literature. It is worth mentioning in the context of reflecting on the literature of this era, especially the already passed Soviet era, which has had such a significant impact on modern life that it became the main motif in the works of many contemporary authors.

Beso Solomanashvili's second novel, *Lumpen Millennium*, is the second book in a narrative designed as a trilogy. It serves as a continuation of the novel *The Story of the Old Shooting and the Story of the New Shooting*. This is a story of heroes and traitors, true and self-serving individuals, freedom and slavery, the devaluation of values caused by a corrupt era, and the eternal values that are nonetheless preserved, though by very few. This is precisely the case where literature reflects history better than chronicles, vividly paints a picture of the present, and makes us contemplate the concept of the future.

Lumpen Millennium is a novel created using magical realism techniques, with a diverse cast of characters. On one side is the nationally marked branch of the Kharjakhishvili family, and on the other, a diverse palette of Russia-loving and treasonous princes and peasants. Some characters in the work are historical figures, including Alexander Chavchavadze, Alexander Orbeliani, Alexander Griboyedov, Maiko Orbeliani, Lavrentiy Beria, Budu Mdivani, Mikheil Javakhishvili, and others.

The writer also exposes the actions of the most loyal part of the “co-religionists,” the clergy, describing how a Russian bishop arrives in Georgia and sets up camp at Bodbe Monastery with the aim of opening and looting St. Nino's grave. To prevent the bishop from getting bored, two Russian girls are sent to him from Moscow, but despite this, the “holy father” still does not refrain from raping the nuns.

The writer's method of creating character names and surnames is also interesting. The author takes the names of the national branch's representatives from Georgian history, in honor of heroic ancestors. For example: Elizbar, Kaikhosro, Shalva, Levan; while for the system's slaves and conscienceless father-son characters, he uses the surname Nakhirishvili.

It should be noted that *Lumpen Millennium* is neither the first nor the last among works in modern Georgian literature dedicated to the Soviet occupation. The relevance of this issue is underscored by the fact that the influences of the Soviet regime are still evident in Georgian reality, politics, people's consciousness, and actions, especially considering that Russia continues to act as an aggressor and, in today's reality, occupies more than 20% of Georgian territory.

Several contemporary authors resonate with the themes of Soviet and post-Soviet Georgia in their works, including:

The Sunken City by D. Turashvili, *Once Upon a Time* by D. Turashvili, *Naphthalene* by L. Bughadze, *Escaped from Paradise* by B. Kurkhuli, *The Taste of Dictatorship* by R. Gorgiladze, *The Story of the Old Shootings and the Story of the New Shootings* and *Lumpen Millennium* by B. Solomanashvili, *Bunker* by I. Pezuashvili, *Waiting for Dodo* by D. Turashvili, *Your Adventure* by A. Morchiladze, *Nugzar and Mephistopheles* by L. Bughadze, *The Little Country* by L. Bughadze, *Cupid at the Kremlin Wall* by A. Morchiladze, *Oh, World* by Z. Arsenishvili, *The Boots and Leather Boots* by D. Jishkariani, *The Eighth Life* by N. Kharatishvili, and *The Lack of Light* by N. Kharatishvili.

It should also be noted that *Lumpen Millennium* has not yet been discussed by either Georgian or non-Georgian literary critics, making its analysis a scientific novelty.

The novel will be analyzed using a synthesis of narratology and hermeneutics, along with methods of textual observation, analysis, and conceptual interpretation.

ანა გოგოლაძე

Ana Gogoladze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

<https://orcid.org/0009-0007-4276-7858>

კოსტას კარიოტაკისისა და ტერენტი გრანელის სიმბოლისტური ალქმის თავისებურებები

Kostas Karyotakis and Terenti Graneli: Common Characteristics of Two Symbolist Poets

საკვანძო სიტყვები: კარიოტაკისი, გრანელი, სიმბოლო

Keywords: Karyotakis, Graneli, symbol

ნაშრომის მიზანია თანამედროვე ბერძენი და ქართველი სიმბოლისტი პოეტების: კოსტას კარიოტაკისისა და ტერენტი გრანელის შემოქმედების შედარებითი ანალიზი.

ნაშრომში წარმოდგენილი იქნება სიმბოლიზმის ფორმირების ზოგადი კონტექსტისა ბერძენულ და საქართველოში; თუ რა გავლენა იქონია ამ ისტორიულმა ფონმა კოსტას კარიოტაკისისა და ტერენტი გრანელის შემოქმედებაზე. აღსანიშნავია, რომ ამ ორი პოეტის ტრაგიკული ბიოგრაფია დიდწილად ემთხვევა ერთმანეთს და მათი სიმბოლური ალქმაც პესიმისტურია, რაც ხშირ შემთხვევაში ერთი და იმავე სახეებითა და სიმბოლოებითაა გამოხატული.

ნაშრომში განხილული იქნება საერთო სიმბოლოები ამ ორი პოეტის შემოქმედებიდან. კოსტას კარიოტაკისი და ტერენტი გრანელი ერთდროულად ჩნდებიან ლიტერატურულ ასპარეზზე, მათი სიმბოლისტური პოეზია სავსეა მელანქოლიური გრძნობებით. ასევე, როგორც აღვნიშნეთ, მათ შემოქმედებაში ვხვდებით საერთო სიმბოლოებს. ერთ-ერთი მათგანი სასაფლაოს სიმბოლოა. მე-18 საუკუნის ევროპაში, განსაკუთრებით ინგლისურ პოეზიაში, სასაფლაოს სიმბოლო იყო ლიტერატურული მოვლენების კულმინაცია. რელიგიურ აღორძინებას მოჰყვა სულიერი არეულობა და შემდეგ – აღმავლობის ხანა. ამიტომ მედიტაცია და სევდა, სიკვდილი და სიცოცხლე, აჩრდილები და სასაფლაოები, ეს ურთიერთსაპირისპირო განცდები და სიმბოლოები მიმზიდველი და ამალელვებელი იყო იმდროინდელი პოეტებისთვის. სევდა ახალი არ იყო მათ პოეზიაში. ესთეტიკური, დიდაქტიკური და რელიგიური მოტივები აერთიანებდა მათ შემოქმედებას. თითოეული ტექსტი უქმნის შესაბამის განწყობას მკითხველს, რათა დაფიქრდნენ თავიანთ ცხოვრებასა და სიკვდილზე. სასაფლაო სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის გაგრძელების სიმბოლოდ ითვლებოდა. სასაფლაოს სიმბოლო გვიანდელი პერიოდის პოეზიაში, კერძოდ, ჩვენი მწერლების შემოქმედებაშიც გაჩნდა. გრანელისა და კარიოტაკისის პოეზია უმეტესად სასაფლაოს სიმბოლოებითაა გაჯერებული.

სიმბოლიზმმა, როგორც მოდერნიზმის ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა მიმართულებამ, დასავლეთ ევროპის კულტურაში XIX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დასაწყისში იჩინა თავი. მას არაერთი მკვლევარი განიხილავს, როგორც მოდერნისტული ანტიმიმეტური ხელოვნებისა და ლიტერატურის ქვრეტის პოზიციის მაგალითს, რომელიც ინტროვერტულია და მიმართულია ობიექტების იდეის წვდომისკენ.

მნიშვნელოვანია, რომ მაშინ, როდესაც საფრანგეთის შემოქმედებით სივრცეში წარმოქმნილი სიმბოლოები მრავალი ქვეყნისათვის მისაღები იყო, ამას ვერ ვიტყვით თანამედროვე ბერძნული ლიტერატურისა თუ ხელოვნების შესახებ.

პირველი, რაც ფრანგული ხელოვნებიდან ჩვენთვის ნაცნობია, ესაა პარნასიანიზმი, თუმცა მკვლევრები დღემდე კამათობენ იმის შესახებ, თუ რა იყო პარნასიანიზმი ბერძნებისთვის, ლიტერატურული სკოლა, ტენდენცია თუ პოეტთა ჯგუფი.

პერიოდული გამოცემა „Τέχνη“ კვლავ ასოცირდება საბერძნეთში სიმბოლიზმის დასაწყისთან. უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნული რეალობიდან აღქმულ სიმბოლისტურ ტენდენციებს ისევე, როგორც სხვა ქვეყნებს, სადაც ეს მხატვრული ტენდენცია დამკვიდრდა, მკაფიო გამოვლინება არ ჰქონია.

ბერძენ სიმბოლისტ პოეტებს შორის გამოიყოფა სამი ჯგუფი: პირველი, წმინდა სიმბოლისტად მიჩნეული პოეტების ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობენ კონსტანტინოს ჩაცოპულოსი და ჯანეს კამპისესი. მეორე ჯგუფში შედიან ის პოეტები, რომელთა შემოქმედება სიმბოლური აღქმით გამოირჩეოდა. ესენი იყვნენ ტრანსფორმირებული პარნასელები და მათი პოეზია სიმბოლურ ტენდენციებსაც შეიცავდა. ამ პოეტებს შორის იყვნენ იოანნეს ნ. გრიპარესი, ლაბროს პორფირასი და ლორენცოს მავილისი (Ioannēs N. Gryparēs, Labros Porphyras და Lorentzos Mavilis); მესამე სიმბოლისტური ჯგუფი კი პესიმისტი პოეტების თაობამ ჩამოაყალიბა, რომელთაც ბერძნულ ლიტერატურაში ტერმინით – „მომავალი თაობის სიმბოლისტები“ მოიხსენიებენ.

მათი მოღვაწეობა იყო პესიმისტური იდეების გამოვლინება სხვადასხვა ფორმით. ამ პოეტებს „დანეველილ თაობასაც“ უწოდებდნენ. კოსტას კარიოტაკისი გახდა ამ თაობის სიმბოლო, რადგან მან შემოქმედებითად გარდაქმნა პესიმისტური პოეზია, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული პოეტის ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან; ეს პესიმისტური განწყობა იმდენად ძლიერი იყო, რომ მიმდევრებიც კი ჰყავდა და ერთგვარი მიმართულების სახეც კი მიიღო, რომელსაც მოგვიანებით „კარიოტაკიზმი“ უწოდეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს პოეტები სიმბოლისტური ჯგუფის წევრებად ითვლებიან, მათი ნამუშევრები მოკლებული იყო სიმბოლიზმს იმდენად, რამდენადაც მათ ახასიათებდათ უჩვეულო ენა, სევდა და პესიმიზმი. კარიოტაკისისა და მისი თანამოაზრეების შემოქმედებას, თითოეულს, აერთიანებს სიმბოლური იდეა.

კარიოტაკისის პესიმიზმი სიმბოლური დატვირთვებით იყო სავსე. სევდიანი გრძნობების გადმოცემა ბუნდოვანი და მუდამ მელანქოლიური განწყობით იყო ის, რამაც მისი შემოქმედება სიმბოლიზმთან დაახლოვა.

კოსტას კარიოტაკისი გამოირჩეოდა 20-იანი წლების პოეტებს შორის და, მიუხედავად იმისა, რომ მისი შემოქმედება იყო მწუხარებისა და ამაოების პოეტურ ფორმაში გადაქცევის მცდელობა, მან მაინც გვიან დაიმსახურა მკითხველის აღიარება.

საქართველო სიმბოლიზმს მომზადებული შეხვდა, რადგან ადრინდელი პერიოდის თხზულებებში უკვე ფიქსირდება მოდერნისტული ტენდენციები და ნელ-ნელა ნიადაგი მზადდებოდა სიმბოლიზმის აღმოსაჩენად. სიმბოლიზმის, როგორც სკოლის, ისტორია 1916 წლიდან იწყება.

ქართველმა სიმბოლისტებმა, რომლებიც ორიენტირებულნი იყვნენ რემბოზე, მალარმესა და ბოდლერზე, სიმახინჯის კულტი ახალ ესთეტიკურ იდეალად ან სულაც ანტიიდეალად აქციეს თავიანთი შემოქმედების დევიზით. სიმახინჯე სიმბოლოდ და ირონიად ესმოდათ, მოვლენის ზედაპირს მახინჯად აღიქვამდნენ და ამ ნიღბის მოხსნისას ხედავდნენ მთელ ესთეტიკურობას.

სიმბოლიზმმა საქართველოში პოეტიკის ინოვაციური ტენდენციები დაამკვიდრა. პოემის დახვეწასა და განახლებაში დიდი როლი შეასრულა სონეტის ლექსად დამკვიდრებამ. წინა პლანზე წამოვიდა პოემის მუსიკალურობა, ასონანსური, თანხმოვანი და დისონანსური რითმები.

ტერენტი გრანელი და კოსტას კარიოტაკისი ცხოვრობდნენ იმ პერიოდში, რომელმაც განსაზღვრა როგორც მათი პესიმიზმი, ისე მათი შემოქმედების სულიერი საზრდო.

ტერენტი გრანელისა და კოსტას კარიოტაკისის შემოქმედებაში სიმბოლიზმი სხვა ფორმით გამოიხატა. მათთვის ხელოვნება და პოეზია, უპირველეს ყოვლისა, „მისტიკური ქვრეტის“ საუკეთესო საშუალება, სიმბოლისტური ესთეტიკისთვის დამახასიათებელი სევდა იყო.

აღსანიშნავია, რომ „სასაფლაოს პოეტები“ ძირითადად სასულიერო პირები იყვნენ და ამ სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენელი თომას პარნელი იყო. ესთეტიკური, დიდაქტიკური და რელიგიური მოტივები აერთიანებდა მათ შემოქმედებას. თითოეული ტექსტი მკითხველს სათანადო განწყობას უქმნიდა, რათა დაფიქრებულიყო სიცოცხლესა და სიკვდილზე. საფლავი სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის გაგრძელების სიმბოლოდ მიიჩნეოდა. „სასაფლაო სკოლის პოეტების“ შემოქმედება საფუძვლად დაედო გოტიკური რომანის განვითარებას.

კარიოტაკისისა და გრანელის პოეზიაში, გლოვისა და გოდების გარდა, დუმილის ესთეტიკა ეგზისტენციალური კომუნიკაციის ფორმაა. არსებობს სიკვდილთან შეხვედრის სურვილი, არის ამქვეყნიური ყოფიერების გოდება და არის სიჩუმე და სიბნელე, რომლებიც გამოხატავენ მარტოობის სიცივეს.

კოსტას კარიოტაკისსა და ტერენტი გრანელს ერთმანეთს უკავშირებენ როგორც მათი შემოქმედებით, ისე ბიოგრაფიის მსგავსებით. ისინი დაახლოებით ერთი თაობისა და ერთი და იმავე მხატვრული მოძრაობის წარმომადგენლები არიან და მათ შემოქმედებაში განწყობები, მოტივები, თემატიკა და სიმბოლიკა მსგავსია.

The aim of this paper is to conduct a comparative analysis of the works of modern Greek and Georgian symbolist poets: Kostas Karyotakis and Terenti Graneli. The paper will present the general context of the formation of symbolism in Greece and Georgia, and the influence this historical background had on the works of Kostas Karyotakis and Terenti Graneli. The tragic biographies of these two poets largely overlap, and their symbolic perceptions tend to be pessimistic, often conveyed through similar themes and symbols.

The paper will also discuss common symbols in the works of these two poets. Kostas Karyotakis and Terenti Graneli emerged in the literary arena at the same time, and their symbolist poetry is full of melancholic tones. As mentioned, their works share common symbols, one of which is the symbol of the graveyard. In 18th-century Europe, particularly in English poetry, the symbolism of the graveyard was a culmination of literary traditions. Due to the religious revival, there was spiritual turmoil and a time of regeneration. Meditation and sadness, death and life, ghosts, and cemeteries became attractive and exciting themes for poets of that time. Sadness was not new in their poetry. Aesthetic, didactic, and religious motifs combined to shape their creativity. Each text created the appropriate mood for readers to reflect on life and death. The graveyard was considered a symbol of life continuing after death. This symbol reappeared in the poetry of later periods, particularly in the works of our poets, Graneli and Karyotakis, whose poetry is saturated with graveyard symbols.

Symbolism, as one of the key movements in modernism, emerged in the culture of Western Europe in the late 1860s and early 1870s. Some scholars regard symbolism as an example of the contemplative position of modernist, anti-mimetic art and literature, which is introverted and aimed at accessing the ideas behind objects.

While symbolism from France was accepted in many countries, we cannot say the same about its reception in modern Greek literature or art. The first influence from French art was Parnassianism, though researchers still debate whether Parnassianism in Greece was a literary school, a trend, or simply a group of poets. The periodical *Tέχνη* is associated with the beginning of symbolism in Greece. It should be noted that the symbolist tendencies perceived in Greek literature, as in other countries, did not have a clear manifestation.

Among Greek symbolist poets, three groups can be identified. The first group, led by Kōnstantinos Chatzopoulos and Giannēs Kampysēs, consists of poets considered to be pure symbolists. The second group includes poets whose work was marked by symbolic perception; these poets were transformed Parnassians, and their poetry contained symbolic tendencies. This group includes Iōannēs N. Gryparēs, Labros Porfyas, and Lorentzos Mavilis. The third group, known as the “symbolists of the next generation,” is composed of pessimistic poets. Their work was a manifestation of pessimistic ideas in various forms. These poets were also called the “damned generation.” Kostas Karyotakis became a symbol of this generation, creating pessimistic poetry closely related to his life experiences. This pessimism was so influential that it spawned followers and a new direction, later called “karyotakism.” Although these poets are considered part of the symbolist group, their works were often devoid of symbolism, characterized instead by an unusual language, sadness, and pessimism. Despite this, it is difficult to draw a line between the pessimistic symbolist poets and Karyotakis and his associates, as they are united by a symbolist idea.

Karyotakis’s pessimism was filled with symbolic depth. His conveyance of sorrow through obscure words, contemplation, and a perpetually melancholic mood brought his work closer to symbolism. Kostas Karyotakis stood out as one of the most important figures among poets of the 1920s. Despite his attempts to transform sadness and vanity into poetic form, recognition from readers came late.

Georgia, meanwhile, was prepared for the advent of symbolism, as modernist tendencies had already appeared in earlier writings, slowly paving the way for the emergence of symbolism. The official history of symbolism as a school in Georgia begins in 1916. Georgian Symbolists, influenced by Rimbaud, Mallarmé, and Baudelaire, adopted the “cult of ugliness” as a new aesthetic ideal or anti-ideal in their works. They understood ugliness as a symbol and irony, perceiving the surface of events as ugly and seeing beauty in removing that mask.

Symbolism introduced innovative trends in Georgian poetics. The establishment of the sonnet as a verse form played a key role in refining and renewing poetry. The musicality of the poem, along with the use of assonant, consonant, and dissonant rhymes, came to the fore. Terenti Graneli and Kostas Karyotakis lived in a period that shaped both their pessimism and the spiritual nourishment of their creativity.

In the works of Terenti Graneli and Kostas Karyotakis, symbolism manifested in different forms. For both poets, art and poetry were primarily the best means of “mystical contemplation.” The sadness characteristic of symbolist aesthetics was a hallmark of their poetry.

In 18th-century Europe, particularly in English poetry, the symbolism of the grave was central to literary traditions. This was a period of spiritual revival and regeneration, making themes of meditation, sadness, death, life, ghosts, and cemeteries attractive to poets. Sadness was not new to their poetry, and for the “grave school poets” of English literature, it was a continuation of earlier centuries’ traditions. The “grave school poets” were mostly clergymen, and one notable representative was Thomas Parnell. Their creativity combined aesthetic, didactic, and religious motifs. Each text set the appropriate mood for readers to reflect on life and death, with the grave symbolizing the continuation of life after death. The works of the “grave school poets” became the foundation for the development of the Gothic novel.

The symbolism of the grave appeared with similar significance in the poetry of later periods, particularly in the works of Graneli and Karyotakis, whose poetry is largely infused with grave symbolism.

In addition to mourning and lamentation, the aesthetics of silence served as a form of existential communication for both poets. Their works express the desire to confront death, lament the nature of worldly existence, and embody the coldness of loneliness through silence and darkness.

Kostas Karyotakis and Terenti Graneli are connected not only by similarities in their creative work but also by their biographies. They are representatives of the same generation and artistic movement, sharing similar moods, motifs, themes, and symbols in their work.

ნინო გურჩიანი

Nino Gurchiani

წმ.ანდრია პიხვედწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
St. Andrews Georgian University

<https://orcid.org/0009-0006-7546-9219>

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია და საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა (XX საუკუნის 50-იანი წლები)

The Orthodox Apostolic Church of Georgia and Soviet Religious Policy (50s of XX century)

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა ათეიზმი, ჰელიგიური პოლიტიკა, მართლმადიდებელი ეკლესია

Keywords: Soviet atheism, religious policy, orthodox church

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის ნაწილი, არცერთ ეპოქაში არ კარგავდა თავის მნიშვნელობას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევას არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა, შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირისა და მისი იდეოლოგიის მეცნიერული კვლევა საქართველოს სამოციქულო ეკლესიასთან მიმართებით დღესაც კვლავ ინარჩუნებს თავის აქტუალობას.

საბჭოთა წყობილება და მისი სოციალისტური სტრუქტურა ყველა დებულებით დაუპირისპირდა ეროვნულ ეკლესიას, რადგან ლიდერებმა კარგად იცოდნენ, რომ ერებს შორის ასიმილირება რელიგიური რწმენა-წარმოდგენების აღმოფხვრით გააიოლებდა ახალი, ერთიანი საბჭოთა ხალხის ფორმირებას. კომუნისტური რეჟიმის დამყარებამ განსაზღვრა წინა საუკუნეების ევროპის ანტირელიგიური იდეოლოგიის პოპულარიზაცია და გავრცელება ახალი სახელმწიფო წყობის პირობებში. განსხვავებული რელიგიური კონფესიებისა და აღმსარებლობის ერების მართვა გაცილებით ადვილი იქნებოდა, თუ მათ მიერ აღიარებული სარწმუნოება საერთოდ უტოპიად გამოცხადდებოდა.

კომუნისტური წყობილების იდეოლოგიებს პრეტენზია ჰქონდათ, რომ თვით კომუნიზმია ახალი რწმენის სახეობა და მას არავითარი კავშირი არ აქვს ისეთ მოვლენასთან, როგორიცაა რელიგია. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის შესწავლის საკითხს არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. მკვლევართა ინტერესს მოკლებული არ იყო ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა, პოლიტიკური იდეოლოგიების გამოძახილი ამ ურთიერთობებში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეკლესიის ისტორიის შესწავლა, ამ ურთიერთობების გაშუქება, სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვანაირად ხდებოდა. კერძოდ, უცხოური და საბჭოთა ისტორიოგრაფია სხვადასხვა მიდგომით განიხილავდა ეკლესიის ისტორიის საკითხებს, მის როლს პირველსა თუ მეორე მსოფლიო ომში და ასე შემდეგ. აღნიშნული მდგომარეობა განპირობებული იყო საერთო პოლიტიკური წყობით ეპოქისა, რომელშიც უხდებოდა მკვლევარს მოღვაწეობა. ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია მოკლებული იყო ობიექტურობას, ღიად და დაუფარავად ვერ წარმოაჩენდა საბჭოთა საქართველოში სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობას, მის მისწრაფებას და ბრძოლას თვითმყოფადობის გადარჩენისათვის. ასეთი ვითარება განპირობებული

იყო იმ პოლიტიკური რეჟიმით, რომელიც ამ დროს ხელისუფლებაში გვევლინებოდა. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის კვლევა, შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნეში ახალ ფაზაში შედის.

პირველი მონოგრაფია – „საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია“ – ცნობილმა ისტორიკოსმა პლატონ იოსელიანმა გამოსცა 1845 წელს. ამ მიმართულებით მუშაობა უფრო გააქტიურდა XX საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც დღის წესრიგში დადგა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი. საქართველოს ეკლესიის ისტორიის არაერთი საკითხი ახლებურად იქნა გააზრებული და წარმოჩენილი ქართველი მკვლევრების ნაშრომებში, კერძოდ: მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის: „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“ (ტ. IV, თბილისი, 2003), „საქართველოს საეკლესიო კრებები“ (ტ. III, თბილისი, 2003), „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“ (თბილისი, 2009), „საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული“ (თბილისი, 2010); სერგოვარდოსანიძის „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატთან (1917-2017 წ.წ.)“ (თბილისი, 2017); „ქართველი მღვდელმთავრები XX-XXI საუკუნეებში“ (თბილისი, 2010), აკაკი ვარაზაშვილის „საქართველოს ეკლესიის ისტორიისა და ავტოკეფალიის ზოგიერთი საკითხი“ (თბილისი, 1999); ქეთევან პავლიაშვილის „საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია 1800-1945“ (თბილისი 2008); მედეა ბენდელიანის „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 30-40-იან წლებში“ (თბილისი, 2002); ვახტანგ თორაძის „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია“ (თბილისი, 2006); გივი როგავას წიგნები – „როგორ ებრძოდნენ რელიგიას და ეკლესიას საქართველოში (XX საუკუნის 20-30-იანი წლები)“ და „რელიგია და ეკლესია საქართველოში (XIX-XX ს.ს.)“; ეკა სილაგაძის სადისერტაციო ნაშრომი „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ისტორია საქართველოში 1928-1947 წწ.“ აღნიშნულმა გამოკვლევებმა კიდევ უფრო ღრმად ჩაგვახედა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებულ პრობლემებში და ბიძგი მოგვცა შემდგომი კვლევისათვის. ჩვენი საკვლევი თემის ქრონოლოგიურ ჩარჩოს წარმოადგენს XX საუკუნის 50-იანი წლები, რომლის კომპლექსურად შესწავლა და გაშუქება არ მომხდარა. ჩემი მიზანიც სწორედ საბჭოთა ათეიზმის მახასიათებლები გამოკვეთა და მისი ასახვა ქართულ რეალობაში, საეკლესიო ცხოვრებაში, მით უმეტეს, რომ XX საუკუნე დახუნძლული და გამორჩეული იყო არაერთი პოლიტიკური მოვლენით, რომლებმაც როგორც საერო, ისე სასულიერო ცხოვრებაზე პირდაპირი გავლენა იქონიეს.

The Apostolic Orthodox Church of Georgia has been an integral part of Georgian statehood and has maintained its significance throughout various historical periods. Despite numerous scientific works on the Church of Georgia, the study of the Soviet Union's ideology and its relationship with the Apostolic Church of Georgia remains relevant today. The Soviet system, with its socialist structure, opposed the national church in every aspect because its leaders understood that eliminating religious beliefs and ideas would facilitate the formation of a unified Soviet people.

The establishment of the communist regime in Europe popularized and spread anti-religious ideology. Governing nations with different religious denominations became easier if their faiths were declared utopian. Communist ideologues claimed that communism itself was a new kind of faith, distinct from religion. Various studies have explored the history of the Apostolic Orthodox Church of Georgia, focusing on the relationship between the church and the state and the influence of political ideologies on these relations.

The objectivity of Georgian Soviet historiography was compromised, preventing an open presentation of the Apostolic Orthodox Church's situation in Soviet Georgia and its struggle for independence. The political regime of the time dictated this bias.

The study of the Church's history entered a new phase in the 19th century with the publication of Plato Ioseliani's *A Brief History of the Church of Georgia* in 1845. Research became more active in the early 20th

century, particularly concerning the restoration of the Church's autocephaly. Notable works by Georgian researchers include:

Metropolitan Anania Japaridze: *History of the Apostolic Church of Georgia* (Vol. IV, Tbilisi 2003), *Church Councils of Georgia* (Vol. III, Tbilisi 2003), *History of the Apostolic Church of Georgia* (Tbilisi 2009), *Georgia: Collection of Church Laws* (Tbilisi 2010). Sergo Vardosanidze: *Centennial Chronicle of the Georgian Orthodox Apostolic Church (1917-2017)* (Tbilisi 2017), *Georgian High Priests in the 20th-21st Centuries* (Tbilisi 2010). Akaki Varazashvili: *Some Issues of the History and Autocephaly of the Church of Georgia* (Tbilisi 1999). Ketevan Pavliashvili: *History of the Apostolic Church of Georgia: 1800-1945* (Tbilisi 2008), *Georgian Orthodox Church in the 1930s-1940s* (Tbilisi 2002). Vakhtang Toradze: *History of the Orthodox Church of Georgia* (Tbilisi 2006). Givi Rogava: *How They Fought Against Religion and the Church in Georgia (1920s-1930s)* and *Religion and Church in Georgia (19th-20th Centuries)*. Eka Silagadze: Dissertation, *History of the Union of Militant Godless in Georgia 1928-1947*.

These studies have provided deeper insights into the challenges faced by the Apostolic Orthodox Church of Georgia and have encouraged further research.

This research focuses on the 1950s, a period that has not yet been studied comprehensively. The goal is to highlight the indicators of Soviet atheism and its impact on Georgian society and church life. The 20th century was marked by numerous political events that significantly influenced both secular and religious life.

The history of the Apostolic Orthodox Church of Georgia is deeply intertwined with the nation's statehood. The continued study of its past, especially during the Soviet era, is essential for understanding the broader socio-political and religious dynamics in Georgia.

დავით თავაძე

Davit Tavadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

<https://orcid.org/0009-0002-1889-0040>

„თურქეთის საუკუნეში“ თურქეთის კავკასიური პოლიტიკის პერსპექტივის ანალიზი

Analysis of the Perspective of Turkey's Caucasian Policy in the "Turkish Century"

საკვანძო სიტყვები: თურქეთის კავკასიური პოლიტიკა, „თურქეთის საუკუნე“, საგარეო პოლიტიკა

Keywords: Türkiye's Caucasian Policy, "Century of Türkiye", Foreign Policy

თურქეთის რესპუბლიკის დაფუძნებიდან 100 წლის თავზე პრეზიდენტმა ერდოღანმა წარმოადგინა ახალი კონცეფცია – „თურქეთის საუკუნე“, რომელიც უნდა გახდეს მომავალ ათწლეულებში თურქეთის განვითარების გზამკვლევი. იგი სხვა მიმართულებების პარალელურად შეიცავს ინფორმაციას ქვეყნის საგარეო პოლიტიკური მიზნებისა და მისწრაფებების შესახებ. დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია თურქეთის საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევისათვის როგორც „რბილი“, ისე „ხისტი“ ძალის გამოყენების შესაძლებლობაზე და ამ „ძალების“ ეფექტურობის გაზრდის მიზნით გადასადგმელ ნაბიჯებზე. პარალელურად, კონცეფცია შეიცავს გზავნილებს კონკრეტული ქვეყნების, რეგიონებისა და საგარეო პოლიტიკური პროცესების მიმართ ოფიციალური ანკარის შესაძლო პოლიტიკის შესახებ.

წინამდებარე კვლევის მიზანია, პროგრამა „თურქეთის საუკუნის“ კონტექსტიდან თურქეთის რესპუბლიკის „კავკასიური პოლიტიკის“ პერსპექტივების ანალიზი. კვლევა ეფუძნება, ერთი მხრივ, 1990-იანი წლებიდან 2023 წლამდე თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი დოქტრინული პრინციპების, ხოლო, მეორე მხრივ, ამ პერიოდში კავკასიაში თურქეთის პრაქტიკული რეგიონული პოლიტიკის შესწავლას. შეფასებისა და ანალიზის მიზნით, კვლევაში მოვლენები განხილულია ქრონოლოგიური დაყოფის პრინციპის შესაბამისად:

- 1990-იან წლებში კავკასიაში თურქეთის პოლიტიკის ძირითადი ხაზები;
- „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თურქეთის საგარეო პოლიტიკაში შესული ცვლილებები;
- 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ თურქეთის კავკასიური პოლიტიკა და მისი შედეგები;
- თურქეთში საპრეზიდენტო მმართველობის ფორმის დამყარების შემდეგ თურქეთის საგარეო პოლიტიკის თეზისები.
- პროგრამა „თურქეთის საუკუნის“ საგარეო პოლიტიკური თეზისები.

On the 100th anniversary of the founding of the Republic of Türkiye, President Erdoğan presented a new concept – the “Century of Türkiye” – intended to serve as a guide for the country’s development in the coming decades. Alongside other directions, it outlines the country’s foreign policy goals and aspirations. The document highlights the potential use of both “soft” and “hard” power to achieve Türkiye’s foreign policy objectives, as well as the steps to enhance the effectiveness of these strategies. Additionally, the concept details possible policies that official Ankara may adopt towards specific countries, regions, and foreign policy processes.

The aim of this study is to analyze the perspectives of the Republic of Türkiye’s “Caucasian Policy” within the context of the “Century of Türkiye” program. The research is based on two key elements: first, the main doctrinal principles of Türkiye’s foreign policy from the 1990s to 2023; and second, an examination of Türkiye’s practical regional policy in the Caucasus during this period. For evaluation and analysis, events in the study are discussed following a chronological division:

- The main lines of Türkiye’s policy in the Caucasus during the 1990s;
- Changes in Türkiye’s foreign policy following the rise to power of the “Justice and Development Party” (AKP);
- Türkiye’s Caucasian policy and its outcomes following the 2008 Russo-Georgian War;
- Theses on Türkiye’s foreign policy after the establishment of the presidential governance system in Türkiye;
- Foreign policy theses of the “Century of Türkiye” program.

ნათია თავდგირიძე

Natia Tavdgiridze

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Shota Rustaveli Batumi State University

<https://orcid.org/0009-0001-5866-1907>

ეთნოგრაფიული ტურიზმი და სოციალური მედია საქართველოში: ქალაქი – სოფელი

Ethnographic Tourism and social media in Georgia: City – village

საკვანძო სიტყვები: ეთნოგრაფია, გუჩიზმი, სოფელი

Keywords: ethnography, tourism, village

კვლევის მიზანია ეთნოგრაფიული ტურიზმისა და სოციალური მედიის როლის წარმოჩენა ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაში. სოციალური მედია დღეს ერთ-ერთი ყველაზე კარგი საშუალებაა საქართველოს კულტურულ-ისტორიული ფასეულობების წარმოსაჩენად, რისთვისაც აუცილებელია, კულტურული ღირებულებების მექანე ადგილების განლაგების დადგენა და, შესაბამისად, ქვეყნის ტურისტული მარშრუტების განსაზღვრა.

პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველო მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული მხარეებით გამოირჩეული ქვეყანაა. ტურისტული რესურსების თვალსაზრისით კი ამ მხარეებს შორის აჭარა განსაკუთრებულია. ტრანსფორმაციის საუკეთესო მაგალითია მოდერნიზებული ქალაქი ბათუმი, რომელსაც „ბათუმის სასწაულს“ უწოდებენ. აღნიშნული ზღვისპირა ქალაქი და, ზოგადად, აჭარის რეგიონი ტურიზმზე დაფუძნებული რეგიონული განვითარების წარმატებული მაგალითია.

ნაშრომში განხილული საკითხი აქტუალურია დღეს, რადგანაც საქართველოს ტურიზმის წარმოსაჩენად საუკეთესო პლატფორმა სოციალური მედიაა და კონკრეტულ პირობებში მისი სწორად გამოყენება უმნიშვნელოვანესია. თუ ძველად ქვეყნის მიმზიდველი ადგილების აღმოსაჩენად ხანგრძლივი მოგზაურობა იყო საჭირო, ახლა სოციალური მედიის საშუალებით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოიძიონ ყველა მარშრუტი, სადაც მოგზაურობა და ინფორმაციის მიღება სურთ. XXI საუკუნეში წამყვანი მედიასაშუალებების მიერ მომზადებული რამდენიმეწამიანი ვიდეორგოლების ნახვაც კი საკმარისია იმ ეფექტის მოსახდენად, რომელიც მოგზაურს ბარგს ჩაალაგებინებს და მიმზიდველ ზღვისპირა ქალაქ ბათუმში ჩაიყვანს.

ტურისტული ბიზნესის განვითარებისთვის ვიზუალური ეფექტი უმნიშვნელოვანესია. ამის ნათელი მაგალითია ჩვენ მიერ მომზადებული შემეცნებით-გასართობ გადაცემათა სატელევიზიო ციკლი – „ერთი დღე სოფელში“. ამ პროექტის საფუძველზე უკვე თერთმეტი წელია აჭარის მაღალმთიანეთში ვმოგზაურობთ და მაყურებელს აჭარის ტურისტულ ადგილებს, მის ისტორიას, ეთნოგრაფიას, ფოლკლორს ვაცნობთ. მაგალითად, ადგილობრივი ტრადიციული სამზარეულო, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, უკვე იუნესკოს მიერაც არის აღიარებული. სწორედ ამ გადაცემების მეშვეობით აქამდე უცნობი არაერთი ტურისტული მარშრუტი აღმოჩნდა და ტურისტულ პროდუქტად ჩამოყალიბდა.

დაგროვებული ემპირიული მასალა უმნიშვნელოვანესია შემდგომი კვლევისათვის. დღეს ტურიზმის მზარდი განვითარების პირობებში იზრდება კონკურენცია და სტანდარტები. ბუნებრივია,

თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენლისთვის მოგზაურობაც საინტერესო რიტუალად იქცა. ცხადია, რომ ტურისტებს უკვე აღარ მოსწონთ ერთი და იმავე ადგილის მონახულება. აჭარის შემთხვევაშიც ტურიზმის სამიზნედ იქცა არა მარტო ქალაქი ბათუმი და თვალწარმტაცი ზღვა, არამედ მის მიმდებარედ არსებული მთიანი სოფლებიც. თუ აქამდე სოციალურ ქსელში იყო კამპანია „Spend Your Summer in Georgia“, ახლა ტურიზმის სექტორში დასაქმებულთათვის საინტერესო გახდა გამოწვევა – „Spend 4 Seasons to Georgia“, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს რეგიონი მოგზაურთათვის არა მარტო ზღვით, ბულვარით, ბოტანიკური ბაღითა და რომაული ხანის გონიოს ციხით არის საინტერესო, არამედ – მთებითა და უღელტეხილებით. აჭარა უკვე ოთხივე სეზონზე მოთხოვნიდა რეგიონია.

მნიშვნელოვანი სიახლე გამოიკვეთა ახალი ტურისტული მარშრუტების თვალსაზრისით. ამ მხრივ ყურადღება გამახვილდა ქალაქ ბათუმის, პონტოელი ბერძნებისა და მერიის ხეობის ეთნოკულტურულ თავისებურებებზე, რომელთა საფუძველზე გიდეებს შეიძლება მოდელირებული მარშრუტები შევთავაზოთ და ავტორთა მიერ შექმნილი ვიდეოეტიუდების მაგალითზე სოციალური მედიისა და ეთნოგრაფიული ტურიზმისათვის მნიშვნელოვანი მოვლენები წარმოვაჩინოთ.

ჩვენი კვლევის ძირითადი თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლებია სავსე-ეთნოგრაფიული მასალები და ეთნოგრაფიული ფაქტების ვიზუალიზაცია, თანამედროვე ლიტერატურული წყაროები და სამეცნიერო გამოკვლევები. კვლევის მეთოდებიდან ჩვენთვის პრიორიტეტულია ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდები.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოში ტურიზმის განვითარების სტრატეგია ტურიზმის მდგრადი განვითარების მსოფლიოში აღიარებულ პრინციპებს ეყრდნობა, მაგრამ რადგან იგი საქართველოში ახალი მიმართულებაა, ბუნებრივია, დაზღვეული ვერ იქნება გარკვეული ხარვეზებისაგან და, შეიძლება ითქვას, მისი ცალკეული ელემენტი ბაზრის მოთხოვნებს სრულად ვერ შეესაბამება. ამისათვის, ტურისტული ინფრასტრუქტურის წარმოსაჩენად, საჭიროა მედიასაშუალებების კიდევ უფრო ეფექტურად გამოყენება, გენერალური გეგმის შექმნა, სადაც ყველა ტურისტული მიმართულება თუ კულტურული ფასეულობა ურთიერთკავშირში იქნება წარმოდგენილი, ხოლო მისი ყველა პარამეტრის ცალკეული ელემენტი კონტექსტური მიმართულებით დამუშავებული.

The purpose of this research is to present the role that ethnographic tourism and social media play in fostering the tourism industry's growth. Nowadays, social media stands out as an excellent platform for showcasing Georgia's cultural-historical treasures. To leverage this, it is crucial to identify locations of cultural value and design the country's tourist routes accordingly.

Among the post-Soviet countries, Georgia is a country with a rich diversity of ethnographic regions. From the point of view of tourism resources, Adjara is particularly special among these regions. The best example of transformation is the newly transformed and modernized city of Batumi, often referred to as the “Batumi Miracle”. The city of Batumi and the region of Adjara, in general, are successful examples of regional development based on tourism.

The issue discussed in the paper is highly relevant today because social media represents the most effective platform for showcasing Georgian tourism, the proper use of which in specific contexts is crucially important. In the past, discovering the country's attractive locations required extensive travel, whereas now, through social media, interested individuals can explore and gather information about various travel routes from the comfort of their screens. In the 21st century, even a few seconds of video clips from leading media outlets can compel travelers to pack their bags and journey to the captivating seaside town of Batumi. The visual effect plays a crucial role in boosting tourism business development, as exemplified by our TV series of informative and entertaining programs, titled “One Day in the Village”. For eleven years through this project, we have been exploring the highlands of Adjara, showcasing its tourist destinations, history, ethnography,

and folklore to our viewers. For instance, the local traditional cuisine has already been honored by UNESCO as a cultural heritage monument. These programs have played a pivotal role in uncovering and developing several previously unknown tourist routes into popular tourist attractions.

The materials studied offer intriguing insights. In today's highly developed tourism landscape, competition and expectations have risen accordingly. Naturally, travel has evolved into a compelling ritual for people from nearly every country. Through observation over time, it's clear that tourists no longer seek out just the same locations. Hence, Adjara tourism now targets not only the city of Batumi and its picturesque sea but also the surrounding mountain villages. Previously, the social media campaign "Spend Your Summer in Georgia" has now evolved to include the challenge "Spend 4 Seasons in Georgia," which has piqued the interest of those in the tourism sector. This shift indicates that the region offers travelers more than just the sea, boulevard, botanical garden, and Roman Gonio Castle; now, Adjara with its mountains and passes is attracting visitors throughout all four seasons.

An important innovation has emerged in the form of new tourist routes, focusing specifically on the ethno-cultural aspects of Batumi, the Pontic Greeks, and the Merisi Valley. These elements provide the basis for creating structured routes for guides and presenting key events in social media and ethnographic tourism through video studies produced by the authors.

The main theoretical and methodological foundations of our research include field-ethnographic materials, visualization of ethnographic facts, modern literary sources, and scientific research. Our preferred research methods prioritize the historical-comparative method, as well as quantitative and qualitative research approaches.

According to the research, it has been found that the strategy for tourism development in Georgia aligns with globally recognized principles of sustainable tourism. However, being a relatively young sector in Georgia, it is not immune to certain shortcomings, and some elements may not fully meet market requirements. Therefore, to effectively showcase the tourist infrastructure, it is essential to use media more effectively and develop a comprehensive plan that integrates all tourist locations and cultural values. This plan should systematically process each element within its contextual direction.

სოფიკო თურმანიძე
Sophiko Turmanidze

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 Shota Rustaveli Batumi State University
<https://orcid.org/0009-0004-5971-4339>

ლომის სიმბოლო ქართულ ლიტერატურაში
The Symbol of Lion in Georgian Literature

საკვანძო სიტყვები: ღომი, სიმბოლო, მტაცებელი, ჰაგიოგრაფია, “ვეფხისტყაოსანი”
Keywords: lion, symbol, predatory, hagiography, “the Knight in the Panther’s Skin”

ჩვენი კვლევის საგანია ღომის, როგორც მტაცებელი ცხოველის, სიმბოლიკა. კვლევის მიზანს წარმოადგენს დასახელებული ცხოველის სიმბოლური პარადიგმის წარმოდგენა დიაქრონიულად. საინტერესოა, რა გზა გაიარა ღომის სახისმეტყველურმა გაგებამ ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშებიდან მოგვიანო ხანის ლიტერატურამდე. ჰაგიოგრაფია, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ეყრდნობა ბიბლიას, შესაბამისად, ღომი ძირითადად გვევლინება ბოროტების სიმბოლოდ, გამომდინარე მისი მტაცებლური ხასიათიდან. საერო მწერლობაში მისი გაგება უკვე ერთსახოვანი აღარ არის – ღომი გვხვდება, როგორც უარყოფით, ისე დადებით კონტექსტში. შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი, რაც განასხვავებს საერო და სასულიერო მწერლობას, ეს კონკრეტული სახე-სიმბოლოების სხვადასხვაგვარი გაგებაა.

თემა აქტუალურია დღესაც, რადგან სიმბოლოებს, მეტაფორებსა თუ ალეგორიებს ვხვდებით ყველგან და ყოველთვის. მას ვიყენებთ საუბრისას, წერისას, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც კი. სიმბოლო მხატვრულ აზროვნებაში უდიდესი ფენომენია. ის მოვლენას იდეად იმგვარად აქცევს, რომ ეს უკანასკნელი მიუწვდომელი და უსასრულოდ ქმედითი ხდება. ამიტომაც ის მუდამ ძიების ღირსია. ყველა დროისა თუ ეპოქის მეცნიერები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სიმბოლოების ამოკითხვას და დღეს უამრავი საგნის სახისმეტყველური პარადიგმა გვაქვს. ღომს, როგორც ასეთს, ხშირად ვხვდებით მითოლოგიაშიც, სხვადასხვა ქვეყნის კულტურაში, სამეფო ინიციატივებში, ხელოვნებასა და რელიგიებში. არც ქართული რეალობისთვისაა ის უცხო. ამის საუკეთესო ილუსტრაციაა ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევრით დათარიღებული „ოქროს ღომი“. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ იმ დროში განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს ქართველურმა ტომებმა ამ ცხოველს და დაიწყო მისი გამოსახვა. ღომი, როგორც ძლიერი მცველის განსახიერება, გვხვდება ქართულ გერბზე. მსგავსი გამოხატვა არ არის უცხო სხვა ქვეყნების ჰერალდიკებზე. ღომი წარმოდგენილია ძველი ქვეყნების მეფეების ფარებზეც. საქართველოს ისტორიაში ღომი წარმოდგენილია ვახტანგ გორგასლის საომარ აღჭურვილობაზე.

რა თქმა უნდა, ძველი და ახალი დროის მეცნიერებისგან დიდძალი ცოდნა და გამოცდილება დაგროვდა სიმბოლოების შესახებ, თუმცა მაინც ვფიქრობთ, რომ ამ საკითხზე მიბრუნება ყოველთვის მოგვცემს ახალი დასკვნების გამოტანის საშუალებას, რადგან სახისმეტყველური აზროვნება ამოუწურავია. ყოველ ეპოქაში ესა თუ ის სიმბოლო ახალ გაგებას იძენს. სწორედ ამიტომ დავინტერესდით ღომის სიმბოლიკის დიაქრონიული კვლევით.

კვლევის მეთოდს წარმოადგენს ღომის სიმბოლური მნიშვნელობების შედარება-ანალიზი. ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე, ვიკვლევთ, თუ რა კონტექსტშია მოცემული დასახელებული

ცხოველი და ვავლებთ შესაბამის პარალელებს სხვა ტექსტებიდან. ამ მხრივ ლომის სიმბოლიკა ძალიან მრავალფეროვანია: მიუხედავად იმისა, რომ ჰაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია ცალსახად ეყრდნობა ბიბლიას, როგორც წმინდა წიგნს, ლომის სახისმეტყველური გაგება მაინც სხვადასხვაა.

საბოლოოდ, ჩვენ თვალწინ გადაიშლება ლომის სიმბოლიკის დიაქრონიული სურათი. დავინახავთ, რა განსხვავებაა სასულიერო და საერო ნაწარმოებებში სიმბოლური აზროვნების და ბიბლიოგრაფიული შენაკადების მხრივ. აქვე დავძენთ, რომ სასულიერო მწერლობისგან განსხვავებით, საერო მწერლობაში, განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსანში“, ლომს მრავალფეროვანი დატვირთვა აქვს. სახისმეტყველური აზროვნების სიჭრელეს განაპირობებს ის ლიტერატურული შენაკადები, რომლებიც ასაზრდოებს ტექსტს. მაგალითად, ჰაგიოგრაფია თუ ჰიმნოგრაფია ეყრდნობა ბიბლიას, ხოლო „ვეფხისტყაოსანი“ – როგორც ბიბლიას, ისე ფილოსოფიას, ფსიქოლოგიას, მითოლოგიას და სხვათა. შესაბამისად არის ნასაზრდოები ტროპული აზროვნება.

მეტად საინტერესოა ამ საკითხის მთელი ქართული ლიტერატურის მასშტაბით კვლევა, რადგან უფრო მრავალმნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი სიმბოლიკა წარმოგვიდგება. რაც უფრო დიდია სიმბოლოს გამოყენების დროითი დიაპაზონი, მით უფრო საინტერესო ხდება ის.

The subject of our research is the symbolism of the lion as a predator. The aim of the research is to present the symbolic paradigm of the named animal diachronically. It is interesting how the facial expression of the lion traveled from the ancient samples of Georgian writing to the literature of the later period. Hagiography relies on the Bible, therefore, the lion appears mainly as a symbol of evil due to its predatory nature. In heroic literature, its understandings are different – the lion is found in both negative and positive contexts. It can be said that one of the things that differentiates secular and religious writings is the different understanding of specific symbols.

The topic is relevant even today, because we find symbols, metaphors and allegories everywhere and all the time. We use it in speaking, writing, even in our daily life. The symbol is the greatest phenomenon in artistic thought. It turns the event into an idea in such a way that the latter becomes inaccessible and infinitely effective. That's why it's always worth searching for. Scientists of all times and eras have attached great importance to the research of symbols, and today we have facial linguistic paradigms for many subjects. As such, we often find the lion in mythology, in the culture of different countries, in royal initiations, in arts and religions. Georgian culture also knows this symbol very well. The best illustration of this is “Golden Lion” dated to the second half of the III millennium. It should not be a coincidence that at that time Kartvelian tribes paid special attention to this animal and began to depict it. The lion, as the embodiment of a strong guard, can be found on the Georgian coat of arms. The lion is also represented on the shields of the kings of ancient countries. In the history of Georgia, the lion is represented on the equipment of Vakhtang Gorgasali.

Of course, a great deal of knowledge and experience about symbols has been accumulated by scientists of old and new times, but we still think that turning to this subject will always allow us to make new conclusions, because facial thinking is inexhaustible. In each era, this or that symbol acquires a new meaning. That is why we were interested in the diachronic study of the symbolism of the lion.

The research method is the comparison-analysis of the symbolic meanings of the lion. Depending on the content of the text, we search the context in which the named animal is given and make parallels from other texts. In this respect, the symbolism of the lion is very diverse: although hagiography and hymnography are uniquely based on the Bible the linguistic understanding of the lion is still different.

Finally, after the diachronic picture of the lion's symbolism we will find that, in contrast to religious writings, in secular writings, especially in *The Knight in the Panther's Skin*

თინათინ თურქია

Tinatin Turkia

კავკასიის უნივერსიტეტი
Caucasus University

<https://orcid.org/0009-0004-0864-9506>

ონლაინპლატფორმების გამოყენების უპირატესობები ქართული ენის სწავლებისას

Advantages of Using Online Platforms for Teaching the Georgian Language

საკვანძო სიტყვები: ონლაინპლატფორმა, აქტიური სწავლება, ტექნოლოგიები

Keywords: Online platform, Active learning, Technologies

ტექნოლოგიური განვითარება კოვიდ პანდემიის შემდგომ განსაკუთრებულად აქტიურად შეიქრა საგანმანათლებლო სივრცეში. თუ პანდემიის პირობებში ეს აუცილებლობაც იყო და გარდაუვალიც, ახლა, ძირითადად, საჭირო და სასურველია, რადგან მოსწავლეები, სტუდენტები თუ სხვა საქმიანი ადამიანები კომფორტულად გრძნობენ თავს ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებისას.

ტექნოლოგიური აღმავლობა მიმდინარეობს აქტიური გლობალიზაციის პირობებში, რაც საგანმანათლებლო თვალსაზრისით, განსაკუთრებით გაცვლით პროგრამებში, იჩენს თავს. საქართველოს პირობებში ეს არაქართულენოვანი, კონკრეტულად, ინგლისურენოვანი ფაკულტეტების გახსნაში გამოიხატა. უცხოელი სტუდენტებისთვის ქართული ენა სავალდებულო საგნების სიაში აღმოჩნდა და, შესაბამისად, საჭირო გახდა ქართული ენის სწავლების სხვადასხვა ფორმით შეთავაზება სამიზნე აუდიტორიისთვის.

ქართული ენის სტრუქტურული თავისებურებების სწავლებისას წარმოქმნილი მრავალი სირთულის დასაბეჭდება და განხილვა შეიძლება, თუმცა ამჟამად ჩვენს მიზანსა და საკვლევ საკითხს წარმოადგენს იმ ონლაინპლატფორმების მიმოხილვა, რომლებიც სააუდიტორიო მეცადინეობისას შეგვიძლია გამოვიყენოთ და წინ წამოვწიოთ მათი უპირატესობები და ნაკლოვანებები.

საკითხის აქტუალობას განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები:

1. საქსტატის ცნობით, მხოლოდ ამ ბოლო წელს უცხოელი სტუდენტების რაოდენობა საქართველოში 22,5%-ით გაიზარდა. კონკრეტულად, 2023-2024 სასწავლო წლისთვის საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სულ 30 701 უცხოელი სწავლობს, წინა სასწავლო წელს კი მათი რაოდენობა იყო – 25 069.
2. ხაზგასასმელია ისიც, რომ ამჟამად განსაკუთრებით აქტიურია სტუდენტების შემოძინება ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიცაა: ინდოეთი, იორდანია, ისრაელი, ეგვიპტე, ნიგერია და ა.შ. ანუ ეს ის ქვეყნებია, რომლებსაც საქართველოსთან ახლო კულტურული, ტერიტორიული და სოციალური სიახლოვე არ აქვთ, შესაბამისად, ენის შესწავლისთვის საჭირო ლინგვოკულტურული მზაობა და მოტივაცია მათში დაბალია. ამდენად, მასწავლებლები ოდენ ენობრივი მასალით ვერ შემოიფარგლებიან და მუშაობისას სოციოკულტურულ წიაღსვლებსაც მიმართავენ.

3. ნაშრომის აქტუალობას ისიც განსაზღვრავს, რომ სასწავლო კალენდრის მიხედვით, სტუდენტებს კვირაში საათობრივი მეცადინეობა ხან სამი საათით განესაზღვრებათ, ხან ოთხით და ესეც განაპირობებს, რომ სალექციო მეცადინეობის დროს გადახალისდეს მუშაობის პროცესი, რათა ათვისება უფრო ეფექტური იყოს.

იქიდან გამომდინარე, რომ ენის სწავლება პრაქტიკული პროცესია, აუცილებელია სხვადასხვა აქტიური მეთოდის გამოყენება, რათა სტუდენტები იყვნენ მობილიზებულნი, ჩართულნი და, შეძლებისდაგვარად, მარტივად ახერხებდნენ ახალი მასალის ათვისებას, იქნება ეს ლექსიკის დამახსოვრება, გრამატიკის ნიუანსების დაუფლება თუ ნასწავლის პრაქტიკაში გამოყენება. ამ თვალსაზრისით, სახალისო თამაშები ხელს უწყობს მოტივაციის ამაღლებას და ხალისიც შემოაქვს სამუშაო პროცესში.

ნაშრომის ფარგლებში განვიხილავთ ორ მთავარ პლატფორმას – Kahoot-სა და Quizlet-ს. კაპუტი მასწავლებელს საშუალებას აძლევს, ლექციის დროს ჩაატაროს ტესტირება, რომელსაც ახლავს თავისი ვიზუალიზაცია და, გარკვეულწილად, ვიქტორინის სახე აქვს, ხოლო ქვიზლეტში (quizlet.com) შესაძლებელია, სტუდენტებმა თავადაც შექმნან მეხსიერების ბარათები (flashcards), ტესტები და სხვა სასწავლო რესურსები, რაც მასალის დამახსოვრებისა და გამეორებისთვის ძალიან ეფექტურია.

კვლევის ფარგლებში განხილული იქნება ორი სხვადასხვა ჯგუფის მაგალითი. ერთი ჯგუფი, რომელშიც აქტიურად იქნება ჩართული ტექნოლოგიები, ხოლო მეორეში უფრო ტრადიციული მეთოდები იქნება გამოყენებული. ასევე აისახება თავად სტუდენტების მიერ შევსებული კითხვარები, რომლებშიც აქცენტი დაისმება ტექნოლოგიების ინტეგრირებაზე.

Technological development after the COVID-19 pandemic has particularly impacted the educational space. During the pandemic, the use of technology was both necessary and inevitable, but now it is primarily necessary and desirable, as students and professionals alike feel comfortable using technological tools. Technological progress is advancing amid active globalization, especially evident in educational exchange programs. In Georgia, this has manifested in the introduction of non-Georgian-speaking, specifically English-speaking, faculties. For foreign students, the Georgian language has been included in the list of mandatory subjects, making it necessary to offer Georgian language instruction in various formats to cater to this target audience.

While many challenges arise when teaching the structural features of the Georgian language, the current focus of our research is to review online platforms that can be used in classroom lessons and to highlight their advantages and disadvantages. The relevance of this issue is shaped by several factors:

1. According to Geostat, the number of foreign students in Georgia increased by 22.5% in the past year alone. For the 2023-2024 academic year, a total of 30,701 foreign students are enrolled in Georgian higher education institutions, up from 25,069 in the previous year.
2. It is important to note that the influx of students from countries such as India, Jordan, Israel, Egypt, and Nigeria is particularly high at the moment. These are countries that do not share close cultural, territorial, or social ties with Georgia, meaning that the linguistic and cultural readiness and motivation to learn the language are relatively low among these students. Therefore, teachers cannot rely solely on linguistic material and must also incorporate socio-cultural resources into their instruction.
3. The relevance of this work is further underscored by the fact that, according to academic schedules, students' study hours per week sometimes range from three to four hours. This necessitates refreshing the learning process during lectures to make education more effective. Since language learning is a practical process, it is essential to employ various active methods that engage and motivate students, making it easier for them to absorb new material – whether it involves memorizing vocabulary, master-

ing grammar nuances, or applying what they have learned in practice. In this regard, interactive games can increase motivation and make the learning process more enjoyable.

This paper will focus on two main platforms – Kahoot and Quizlet. Kahoot allows teachers to conduct interactive tests during lectures, which are visually engaging and presented in a quiz format. Quizlet enables students to create flashcards, tests, and other study resources, which are highly effective for memorizing and reviewing material. The study will explore examples from two different groups: one that incorporates technology extensively and another that uses more traditional teaching methods. Questionnaires completed by the students will also be analyzed, with a particular focus on their perceptions of technology integration in the learning process.

როსტომ კაჭახიძე
Rostom Kachakhidze

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
 Shota Rustaveli Theater and Film University

<https://orcid.org/0009-0005-2499-5457>

**სიონის დეკანოზ ნიკოლოზ მიქაძის (1720-1780 წწ.) მიერ გადაწერილი
 და მოხატული წიგნების მხატვრული დაჯგუფება და მიზნობრივი აქცენტები**
**Nikoloz Mikadze, Archpriest of Sioni Cathedral in Tbilisi (1720-1780) Artistic
 Grouping and Purposeful Accents of Transcribed and Painted Books**

საკვანძო სიტყვები: სიონი, ხელნაწეხი, მინიატიურა

Keywords: Sioni, manuscript, miniature

კვლევის მიზანია თბილისის სიონის ტაძრის დეკანოზ ნიკოლოზ მიქაძის მხატვრული შემოქმედების სრულყოფილი რეტროსპექციით წარმოჩენა; განსახილველად წარმოვადგენთ მის მიერ მოხატულ ხელნაწერებს თემატური ჯგუფების მიხედვითა და სახვითი შემოქმედების მიზნობრივ აქცენტებს მხატვრული თვალსაზრისით.

საკითხის აქტუალობა სწორედ დეკანოზ ნიკოლოზ მიქაძის შემოქმედების სამეცნიერო სივრცეებში ხშირი განხილვაა; მისი ნაშრომები შესწავლილია როგორც ფილოლოგიურ, ისე ლიტურგიკულ ქრილში, თუმცა ნიკოლოზის, როგორც კალიგრაფის, ხელნაწერ წიგნთა გამფორმებისა და მხატვრის, შემოქმედება სიღრმისეულად ჯერ არავის უკვლევი.

მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს მის მიერ გადაწერილ ხელნაწერთა ქრონოლოგიური დაკვირვება, სადაც წარმოჩინდა, რომ ნელ-ნელა სუსტდება ნიკოლოზის მხატვრული აქტივობა – ისეთი მონდომება ხელნაწერების მოხატვისა, რაც მას ახალგაზრდობაში ჰქონდა, დროდადრო უკანა პლანზე ინაცვლებს; ვფიქრობ, ამის მიზეზი, გარდა რთული ისტორიული პირობებისა, მოუცლელობისა, დამკვეთთა ინტერესებისა და სიდუხჭირისა, იყო მისი აქტიური ჩართულობა სასტამბო საქმიანობაში, რაც XVII-XVIII სს.-ის კალიგრაფთა ახლად დაარსებულ სტამბასთან თანამშრომლობით ურთიერთობაზე მიგვითითებს კონკრეტული მაგალითების საფუძველზე.

კვლევის მეთოდები – სიონის დეკანოზ ნიკოლოზ მიქაძის შემოქმედების შედარებითი მეთოდით კვლევისას გამოიკვეთა XVIII ს.-ის მინიატიურისტიკის შემოქმედის მხატვრული მიზნებიც; ჩანს სიახლოვე ევროპულ და ქართულ ქრისტიანულ მხატვრობასთან. ყოველივე ეს ვლინდება მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე. ტრადიციულ ფორმებთან, ზოგან ქართულ-ალმოსავლური ელემენტების სინთეზი და ზოგან ფერადოვანი პალიტრის ძალიან ხალისიანი, მჟღერი ხასიათი, რიგ შემთხვევაში ტექსტის შინაარსის ღრმა გააზრების საფუძველზე ილუსტრაციებში იდეის ასახვის საქმე. ასომთავრული, ხუცური, თუ მხედრული ტექსტების წერისას იგი ერიდება ასოთა ბმას, ან ორნამენტებით გადატვირთულ გაფორმებას, ამ მხრივ, იგი მეტად ზომიერი და წინდახედულია, რადგან ნიკოლოზის მიერ გადაწერილი წიგნები ძირითადად სასულიერო შინაარსისაა და დღე-ღამის სხვადასხვა მონაკვეთში იკითხებოდა სანთლის ნათების ქვეშ ღვთისმსახურების დროს, ამიტომაც თითოეული ასო კარგად გასარჩევი უნდა ყოფილიყო და არ უნდა გამხდარიყო შემაფერხებელი მსახურების დროს წიგნის მკითხველისთვის.

კვლევის საბოლოო შედეგები – ნიკოლოზის მიერ გადაწერილი ხელნაწერების შესწავლის შედეგად, მხატვრული გაფორმების მიხედვით, შეგვიძლია გამოვყოთ სამი ჯგუფი ხელნაწერებისა, თითოეული მათგანი დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში:

1. ხელნაწერები, რომლებიც მოუხატავია და დეკორატიულ სისტემას მხოლოდ ტექსტის აბზაცებისა და საზედაო ასოების სინგური გაფორმება ქმნის;
2. ხელნაწერები, რომლებშიც შავ-თეთრი, გრაფიკული, თავ-ბოლოსამკაულები გვხვდება, რაც ვახტანგ VI-ის სტამბაში ნაბეჭდი წიგნების გაფორმების ანალოგს წარმოადგენს.

The aim of the study is to present the artistic work of Nikoloz Mikadze, Archpriest of the Tbilisi Sioni Cathedral, as a miniaturist and designer of handwritten books, providing a complete retrospective by examining his creative output. The study includes a thematic grouping of manuscripts painted by him, which reveals the deliberate artistic choices in his fine creations from an artistic perspective.

The relevance of the issue lies in the frequent discussion of Archpriest Nikoloz Mikadze's work in academic spaces, where his contributions are typically studied from philological and liturgical perspectives. However, no one has yet explored Nikoloz as a calligrapher, an artist of handwritten books, and an illustrator.

The scientific novelty of this study lies in the chronological observation of the manuscripts he copied. It shows that Nikoloz's artistic activity gradually diminished over time – the enthusiasm for manuscript painting that characterized his youth began to fade. I believe this shift was influenced not only by the difficult historical conditions and the demands and challenges of his patrons but also by his active involvement in printing, which illustrates the collaborative relationships between calligraphers and the newly established printing houses of the 17th and 18th centuries, based on specific examples.

The research methods involved a comparative analysis of the works of Archpriest Nikoloz Mikadze, highlighting his artistic goals as an 18th-century miniaturist. His work shows a closeness to both European and Georgian Christian painting, revealed through artistic-stylistic analysis. His creations feature traditional forms, with a synthesis of Georgian-Eastern elements in some instances and a vibrant, bold color palette in others. In certain cases, his illustrations reflect a deep understanding of the text's content. While composing in Asomtavruli, Khutsuri, or Mkhedruli texts, Nikoloz avoids overly binding letters or overloading them with ornamental decoration. In this respect, he is very moderate and prudent, as the books he transcribed were mainly of religious content and used during worship, often read by candlelight at different times of the day and night. Therefore, each letter needed to be clearly distinguishable so as not to hinder the reader during the service.

As a result of studying the manuscripts transcribed by Nikoloz, three groups of manuscripts can be distinguished based on their artistic decoration. All of these manuscripts are preserved at the National Center of Georgian Manuscripts named after Korneli Kekelidze:

1. Manuscripts that are unpainted, where the decorative system consists only of singular decorations of the paragraphs and upper letters.
2. Manuscripts that feature black-and-white, graphic, headpiece decorations, analogous to the decoration style of books printed at the Vakhtang VI printing house.

ნათია კენტჩიაშვილი
Natia Kentchiashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 Ivane Javakhishvili Tbilisi State University
<https://orcid.org/0000-0002-8230-7633>

**იუმორისტული ხასიათის ორატორული ნიმუშების საკითხისათვის
 ქართულ მჭევრმეტყველებაში**

For the Issue of Humorous Oratorical Samples in Georgian Rhetoric

საკვანძო სიტყვები: იუმორისტული ორატორული ნიმუშები, ქართული ლიტერატურა
Keywords: Humorous Oratorical Samples, Georgian Rhetoric

წინამდებარე კვლევა ეხება იუმორისტული ხასიათის ორატორული ნიმუშების საკითხს ქართულ მჭევრმეტყველებაში. აღნიშნული თემა ამ დრომდე არასდროს ყოფილა სპეციალური შესწავლის საგანი, რაც განაპირობებს მის აქტუალობასა და სიახლეს. მსგავსი ხასიათის ორატორული ნიმუშები მცირე რაოდენობით მოგვეპოვება და დასტურდება ისეთ იუმორისტულ პერიოდულ გამოცემებში, როგორებიც იყო გაზეთი „შუამავალი“ და ჟურნალები „მათრახი და სალამური“, „ეშმაკის მათრახი“ და „ახალი მათრახი“. „ეშმაკის მათრახი“ ასე ეწოდებოდა ქართულენოვან ყოველკვირეულ იუმორისტულ ჟურნალს, რომელიც გამოდიოდა თბილისში 1907-1908 წლებში, ხოლო მოგვიანებით, გარკვეული ინტერვალის შემდეგ, – 1915-1917, 1919-1921 წლებში. „ეშმაკის მათრახი“ გამოდიოდა სხვადასხვა სახელწოდებით: „მათრახი“, „ახალი მათრახი“, „მათრახი და სალამური“, „სალამური“, „ჩვენი სალამური“ და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა დროს ჟურნალის რედაქტორები იყვნენ თ. ბოლქვაძე და ნ. კალანდაძე, ხოლო გამომცემლები – თ. ბოლქვაძე, ა. ბუკია, ე. ლომთათიძე და ს. თავართქილაძე. ჟურნალში პუბლიკაციებს აქვეყნებდნენ ფსევდონიმებით, მაგალითად, ჟურნალის რედაქტორისა და გამომცემლის, თეოფილე ბოლქვაძის ფსევდონიმი იყო „ეშმაკის ფეხი“ (გრიშაშვილი, 1987: 30), ხოლო ნესტორ კალანდაძის – „ეშმაკი“ (გრიშაშვილი, 1987: 30) და ა.შ.

„ეშმაკის მათრახის“ მხატვრული გაფორმება, კარიკატურები და ნახატები ეკუთვნით ოსკარ შმერლინგსა და შალვა ქიქოძეს. ჟურნალში ორიგინალურ ნაწარმოებებთან ერთად იბეჭდებოდა თარგმანები, როგორც პროზაული ტექსტები, ისე ლექსები. ჩვენთვის საყურადღებოა აღნიშნული პერიოდული გამოცემები იმდენად, რამდენადაც მასში იუმორისტულ ორატორულ ნიმუშებთან ერთად რიტორიკასთან და ორატორებთან დაკავშირებული კარიკატურებიც ქვეყნდებოდა.

ქართული მჭევრმეტყველების ისტორიისთვის საყურადღებოა ამგვარი ნიმუშების არა მხოლოდ გამოვლენა, არამედ რიგი საკითხების გამოკვლევაც, მათ შორის, მათი ავტორების, თემატიკის, დარგობრივი და ჟანრობრივი მიკუთვნების საკითხი და სხვ. როგორც წესი, ეს ნიმუშები იბეჭდებოდა ფსევდონიმებით, მაგალითად, „სიტყვა, თქმული 6 დეკემბერს თფილ. წვრილ-ვაჭართა კრებაზე მსხვილ ჩასუქებულ ორატორისაგან“ ეკუთვნის ვინმე „დურბინდს“, „სიტყვა თქმული ილია ჭავჭავაძისა მიერ ს. გურამიანთკარში ეკზეკუციის მინიჭების დროს“ – ვინმე „ეშმაკს“, „სიტყვა: თქმული ლევერკელიანი მისიონერის მელქისაძექ ათონელის მიერ ქ. ოზურგეთში აღაპზე“ – ვინმე „პაპასკუას“, „პოპულარული ლექცია, წაკითხული ავტორის მიერ 3 მაისის საღიძ. დილაზე“

ავტორს გამოქვეყნებული აქვს „თაგუნას“ ფსევდონიმით, „მამულიშვილ ქალთა კრებაზე X მიერ წარმოთქმული სიტყვა. [ლექსი]“ – „სატანას“ ფსევდონიმით; არის კიდევ ერთი იუმორისტული ხასიათის ორატორული ნიმუში, რომელიც ეკუთვნის აკაკი წერეთელს: „შესხმა რედაქციისადმი: აი, რას ნიშნავს კორექტორული შეცდომა“, რომელიც, განსხვავებით წინა ნიმუშებისაგან, არაიუმორისტული ხასიათის პერიოდულ გამოცემაში დაიბეჭდა.

აღნიშნული ნიმუშები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ქართულ მჭევრმეტყველებაში დასტურდება მსგავსი ტიპის იუმორისტული ხასიათის ორატორული ნიმუშები, რაც იშვიათია, ზოგადად, რიტორიკის ისტორიაში. აღნიშნული ნიმუშები იბეჭდებოდა XX საუკუნის 10-20-იანი წლების ზემოდასახელებულ პერიოდულ გამოცემებში.

The present study deals with the issue of humorous oratorical samples in Georgian rhetoric. The mentioned topic has never been the subject of a special study until now, which determines its relevance and novelty. This type of oratorical samples can be found in small numbers and are confirmed in such humorous periodicals as the newspaper “Intermediary” and the magazines “The Whip and fife”, “The Devil’s Whip” and “The New Whip”. “Devil’s Whip” was the name of a Georgian-language weekly humorous magazine that was published in Tbilisi in 1907-1908, and later, after a certain interval – in 1915-1917, 1919-1921. “Devil’s Whip” was issued under different names: “Whip”, “New Whip”, “Whip and fife”, “The fife”, “Our fife”, etc.

It should be noted that the editors of the magazine at different times were T. Bolkvadze and N. Kalandadze, and the publishers – T. Bolkvadze, A. Bukia, E. Lomtadze and S. Tavartkiladze. Publications in the journal were published under pseudonyms, for example, the pseudonym of the editor and publisher of the journal, Teofile Bolkvadze, was “Devil’s Foot” (Grishashvili, 1987: 30), and Nestor Kalandadze – “Devil” (Grishashvili, 1987: 30), etc.

“Devil’s Whip” artwork, caricatures and drawings belong to Oskar Schmerling and Shalva Kikodze. Along with the original works, translations were printed in the magazine, as well as both prose texts and poems. For us, the mentioned periodicals are noteworthy to the extent that, along with humorous oratorical samples, caricatures related to rhetoric and orators were also published in it.

For the history of Georgian rhetoric, it is noteworthy not only to reveal such samples, but also to investigate a number of issues, including the issue of their authors, subject matter, field and genre attribution, etc. As a rule, these samples were printed under pseudonyms, for example, “Speech, spoken on December 6 by a fat orator at a meeting of petty merchants in Tbilisi” belongs to someone “Binoculars”, “A speech delivered by Ilia Chavchavadze at the time of the execution in village Guramiantkari” – to someone “the devil”, “The word: said by the Leverkusen missionary Melkhisadec Atonite on Agapi in Ozurgeti” – by a “Papaskua”, “A popular lecture, read by the author on the literary morning on May 3” the author has published under the pseudonym “Mouse”, “A speech delivered by X at the meeting of women devoted to the motherland. [Poem]” – under the pseudonym of “Satan”; There is another humorous oratorical sample belonging to Akaki Tsereteli: “Praise to the editor: Here’s what a proofreading error means”, which, unlike the previous samples, was printed in a non-humorous periodical edition.

The mentioned samples are interesting to the extent that Georgian eloquence confirms similar oratorical samples of a humorous nature, which is rare, in general, in the history of rhetoric. The mentioned samples were printed in the above-mentioned periodicals of the 10-20s of the 20th century.

დენის კოტენკო

Denis Kotenko

ადგიას სახელმწიფო პედაგოგიკური უნივერსიტეტი
Altai State Pedagogical University

ქართული ელიტის ინტეგრაცია რუსეთის იმპერიის სოციალურ-პოლიტიკურ ინსტიტუტებში (დასავლეთ საქართველოს მაგალითზე)

Integration of the Georgian Elite into the Socio-political Institutions of the Russian Empire (on the Example of Western Georgia)

საკვანძო სიტყვები: აზნაუხები, თავადები, საქართველო

Keywords: Aznaurs (nobles), Tavads (princes), Georgia

The relevance of the study is manifested in the fact that the policy of integration of Georgian noble families into the national elite of Russia was slow and delayed, unlike the nobility of Estonia, Livonia and Courland, which became part of the Russian nobility after Russia's victory in the Great Northern War. Such an approach does not allow us to reveal the specifics of relations between the tsarist administration and the Georgian nobility and to understand the reasons for the heterogeneity of aznaurs (nobles) and tavads (princes).

The aim of the research is to study the integration of Aznaurs (nobles) and Tavads (princes) into the socio-political system of Russia and the attitude of the noble class itself. The article does not pretend to review the position of the Georgian elite in all principalities of Georgia. The research is related to Western Georgia.

The research methods are based on the principles of historicism and systematic scientific cognition.

The novelty of the study lies in the attempt to link political events in the Georgian principalities and along their borders to the relations of the tsarist administration to the Georgian elite.

The sources of the study can be divided into published and unpublished materials. The Russian State Historical Archive holds documents related to the administration of Georgia.

The imperial administration in the Georgian principalities deliberately delayed the process of entry of Georgian aristocracy into the noble assembly of Russia, not trusting the local elites. Transcaucasian region had no Russian nobility although there is nobility in Georgia and Imeretia, its loyalty to the Russian government is always in relative proportion and benefits arising from the government, officials of the Caucasus Committee noted in their journals [RGIA, F.1268, Op.1, d.2].

The Tavads and Aznaurs felt insulted by the fact that they had to be dependent on the lords, while the nobility of all other Transcaucasian provinces, including Muslim ones, had long been equalized in rights and recognized in the noble dignity of the Russian Empire [AKAK, XI, 223]. Rank and positions could not change traditional institutions of Georgian society. Inhabitants of the Mingrelian principality both legally and in fact were first of all subjects of their ruler and then indirectly – of the Russian emperor: “Mingrelians enter the Russian service as if in the service of a foreign state; at home Russian rank is an empty title for Mingrelian [AKAK, XI, 223].

Having chosen the path of gradual transformation of traditional socio-political institutions, the Russian administration assumed both their preservation and gradual development within the interests of the Empire.

The experience of the Russian administration showed that the processes of modernization of social relations in traditional societies can be accompanied by the elimination of the existing system of values and the formation of new ones. The elimination of the socio-political system in the Georgian principalities was supposed to eliminate both internal contradictions that prevented the unity of the principalities and to unite them into a political space within the Empire.

სალომე ლომოური Salome Lomouri

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
<https://orcid.org/0009-0009-3306-0898>

ქალის პარადიგმა ელა გოჩიაშვილის პოეზიაში *The Paradigm of Women in Ela Gochiashvili's Poetry*

საკვანძო სიტყვები: ქალის პარადიგმა; ქართული პოეზია; ელა გოჩიაშვილი; ვეხილები;
ელა გოჩიაშვილის ღიხიკა

Keywords: Female Paradigms; Georgian Poetry; Ela Gochiashvili; Free Verse; Ela Gochiashvili's
Lyrics

ელა გოჩიაშვილის პოეზიაში გამოკვეთილი ქალის სახე მრავალნახნაგია. პოეტი ქალის ბუნებას სხვადასხვა პარადიგმით წარმოგვიჩენს. იგი ხშირად თავის პიროვნულ განცდებსა და მოგონებებს გარდაქმნის ლექსებად. ე. გოჩიაშვილის ლირიკა ღრმა და ფაქიზი და ადამიანის ბუნების ინტუიციური წვდომა ახასიათებს. იმავდროულად, მას მყარად აქვს ფესვები გადგმული ქართულ სინამდვილეში. ვერლიბრში „მარია“ ელა გოჩიაშვილი აღგვიწერს ჩვეულებრივ კახურ სოფელში მცხოვრები გამორჩეული ქალის ხედვას. თავისუფალი ლექსის ფორმა კარგად ერგება პოეტის სათქმელს და სევდანარევი იუმორი ლექსს ემოციურ სიმძაფრეს მატებს. „მარიაში“ რეალისტურად არის ასახული კახური სოფლის ყოფა, მისი მცხოვრებლების ყოველდღიურობა, და ერთფეროვნება. მოსაბეზრებელი რუტინა ზოგჯერ ადამიანებს უბიძგებს, მათგან განსხვავებულთ ეჭვის თვალთ უცქირონ და უნდობლობა გამოიჩინონ. პოეტი საუბრობს იმაზეც, თუ როგორ ტვირთად შეიძლება იქცეს მარიასავით გამორჩეული პიროვნებებისთვის საკუთარი მეობის შენარჩუნება. ელა გოჩიაშვილის ლექსებში უმეტესად ნარატორი თავად პოეტია და სწორედ მისი თვალთ დანახულ რეალობას ვეცნობით. იგი ხშირად ვერლიბრს მიმართავს, რადგან მეტრული თავისუფლება საშუალებას აძლევს, თხრობითი კილო შეინარჩუნოს. რიტმული პოლიფონია, რომელსაც საზომთა სხვადასხვაობა იწვევს, ლექსში ემოციის დინამიკურად აგებას უწყობს ხელს და კულმინაციურ ტაქტებს უკეთ გამოკვეთს; თუმცა პოეტი არც კონვენციურ ლექსს ერიდება. ფორმა და სათქმელი მის ლირიკაში ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. ელა გოჩიაშვილის პოეზიისთვის ასევე დამახასიათებელია: გამეორება, ალიტერაცია, ეპითეტთა სიუხვე. პოეტი ზოგჯერ ლექსებში კახურ დიალექტსაც ურთავს, როცა საკუთარ სოფელსა და ბავშვობისდროინდელ მოგონებებზე გვესაუბრება. კუთხური მეტყველება მის კახურ პეიზაჟებს ავთენტიკურობას სძენს და მკითხველს თვალნათლივ უხატავს იმ გარემოს, რომლის აღწერაც ავტორს სურს; თუმცა, რაც ელა გოჩიაშვილის ნარატიული ვერლიბრის პერსონაჟ ქალებს განსაკუთრებით დასამახსოვრებელს ხდის, ლირიკოსის სევდანარევი ღიმილია, ზოგჯერ – სარკაზმში გადასული იუმორი. ეს ცხოვრებისეული სევდა, ზოგჯერ – წარსულის ნოსტალგია, პოეტის ლექსების განუყოფელი ნაწილია, მაშინაც კი, როცა იცინის, ეს სიცილი ტკივილიანია. ელა გოჩიაშვილის პერსონაჟი ქალები საინტერესო და ინდივიდუალური არიან. ლექსში „ადამიანი – ცოცხალმშობიარე“ პოეტი თავის ბავშვობას იხსენებს, გვიყვება ბებოზე, რომელსაც „უბრწყინავდა უბერებლად ლურჯი თვალები“, ბიძაზე, რომელსაც „მხოლოდ

დიდმა სისუსტემ და უმწეობამ მისცა ძალა ცხოვრებაზე ხელის ჩაქნევის“. ე. გოჩიაშვილის ლირიკა ყურადღებას იქცევს ორიგინალური მხატვრული სახეებითა და მსოფლხედვით. პოეტს აქვს უნარი, ღრმად ჩასწვდეს ადამიანის ბუნებას და განსაკუთრებული სიფაქიზით დაგვიხატოს იგი. ე. გოჩიაშვილი ასევე გვიჩვენებს პოეტი ქალის ხვედრს თანამედროვე საქართველოში, განსაკუთრებით კი ისეთი პოეტისა, რომელსაც სამშობლოზე გული შესტკივა; საუბრობს იმ საჭირობოროტო საკითხებზე, რომლებთან გამკლავებაც უწევთ ნამდვილ შემოქმედებს და არა მედროვეებს. ელა გოჩიაშვილის პოეტური სამყარო უაღრესად მდიდარია, მისი ქალი პერსონაჟები გვხიბლავენ თავიანთი ინდივიდუალიზმით, სიძლიერითა და სისუსტეებითაც, რაც ადამიანური ბუნების ნაწილია. რაც მთავარია, მის ლექსებში აღწერილი ქალები თანამედროვე საქართველოს შვილები არიან, თავიანთი დადებითი თუ უარყოფითი მხარეებით, და პოეტი ახერხებს, ისე ცხადად შექმნას მათი სახეები, რომ თავისი ლირიკის გმირები მკითხველისთვისაც ახლობელი გახადოს. მისი ლექსები ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ერთად ქალის ფსიქიკის სიღრმეშიც გვამოგზაურებს, მის ტკივილსა და სიხარულს გვაგრძნობინებს. ელა გოჩიაშვილის ქალი პერსონაჟები მკითხველის გონებაში ღრმად იბეჭდებიან პოეტის მიერ ოსტატურად გამოყენებული ტროპების მეშვეობით. ქალის პარადიგმა ელა გოჩიაშვილის ლირიკაში ნაკლებად შესწავლილია ისევე, როგორც მისი ლექსის პოეტიკა; თუმცა ელა გოჩიაშვილი თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული პოეტია და მისი ორიგინალური პოეტური სამყარო უდავოდ ყურადღების ღირსია. ჩვენი კვლევის მიზანი პოეტის შემოქმედების ერთი ასპექტის შესწავლაა.

The portrayal of women in Ela Gochiashvili's poetry is multifaceted. The poet explores the nature of women through various paradigms, often transforming her personal experiences and memories into poems. Gochiashvili's lyricism is profound and tender, characterized by an intuitive grasp of human nature, while firmly rooted in Georgian reality. In the free verse poem "Maria," Ela Gochiashvili describes the fate of an extraordinary woman living in an ordinary Kakhetian village. The form of free verse suits the poet's message well, and the touch of melancholic humor adds emotional intensity to the poem. "Maria" realistically portrays the life in a Kakhetian village, its residents' daily lives, and their monotony. The tiresome routine sometimes leads people to view those who are different with suspicion and distrust. The poet also addresses how maintaining one's unique identity, like Maria did, can become a burden. In most of Ela Gochiashvili's poems, the narrator is the poet herself, and we become acquainted with reality through her eyes. She often resorts to free verse because its metrical freedom allows her to maintain a narrative tone. The rhythmic polyphony, caused by changing meters in almost every line, helps build the dynamic flow of emotion in the poem and better highlight the climactic parts of the poems. However, the poet does not shy away from conventional verse either. Form and content harmoniously blend in her lyricism. Gochiashvili's poetry is also characterized by repetition, alliteration, and a richness of epithets. Sometimes, the poet incorporates the Kakhetian dialect into her poems when speaking about her village and childhood memories. This regional speech adds authenticity to her Kakhetian landscapes and vividly paints the environment she aims to describe. However, what makes the female characters in Ela Gochiashvili's narrative free verse especially memorable is the poet's melancholic smile, which sometimes borders on sarcasm. This life-weariness, often nostalgic for the past, is an inseparable part of her poems; even when she laughs, it is a laughter wrought with pain. The female characters in Ela Gochiashvili's poems are interesting and individual. In the poem "Human – Live-Birthing," the poet recalls her childhood, telling us about her grandmother, whose "blue eyes shone without aging," and her uncle, who "only great weakness and helplessness gave the strength to give up on life." Gochiashvili's lyricism attracts attention with its original artistic images and worldview. The poet has the ability to deeply understand human nature and depict it with exceptional delicacy. Gochiashvili also shows the fate of a female poet in contemporary Georgia, especially one who deeply cares for her homeland. She discusses

the challenges that true creators, not opportunists, have to face. Ela Gochiashvili's poetic world is extremely rich; her female characters captivate us with their individuality, strength, and weaknesses, which are part of human nature. Most importantly, the women described in her poems are daughters of contemporary Georgia, with all their positive and negative traits. The poet manages to create their images so vividly that her lyrical heroes become familiar to the reader. Her poems, along with life experiences, take us deep into the nature of women, making us feel their pain and joy. Ela Gochiashvili's female characters leave a lasting impression on the reader's mind through the poet's skillful use of tropes. The paradigm of women in Ela Gochiashvili's lyricism is underexplored, as is the poetics of her verse. However, Ela Gochiashvili is one of the distinguished poets of contemporary Georgia, and her original poetic world undoubtedly deserves attention. The aim of our research is to study one aspect of the poet's work.

ანა მამუკაშვილი
Ana Mamukashvili

წმ.ანდრია პიხვედწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
 St. Andrews Georgian University

<https://orcid.org/0009-0000-4643-2173>

**ზრდილობა-თავაზის ქართული ლექსიკის სწავლების რამდენიმე ასპექტი
 (მობოდიშების ლექსიკური ფორმულები)**

Politeness – Several Aspects of Teaching Georgian Lexicon (Lexical Formulas for Apologies)

საკვანძო სიტყვები: ქართული, ჰოგოხც უცხო ენა, ქუე, თავაზიანი ღექსიკა, მობოდიშების ღექსიკა

Keywords: Georgian as a foreign language, GFL, polite vocabulary, excuse formulas

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, ქართული ენის ზრდილობიან და თავაზიანობის გამომხატველ ფორმათა სემანტიკურ ნიუანსებზე დაკვირვება ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროცესში. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ „ახალ ქართულში გავრცელებულია როგორც ბოდიშთან დაკავშირებული გამოთქმები, ისე მაპატიე/მაპატიეთ ზმნა და ზმნიზედა „უკაცრავად...“ (ზექალაშვილი, 2022, გვ.5); საკითხი აქტუალურია, რამდენადაც უცხოენოვანთათვის ხშირად გაუგებარია ზრდილობიანი/თავაზიანი ფორმების გამოყენების არეალი ფორმების „ბოდიში“ და „უკაცრავად“ სემანტიკური აღრევის გამო.

უცხოენოვან სტუდენტს ქართულ სინამდვილეში ინტეგრაციის თვალსაზრისით ესაჭიროება იმ ეტიკეტის გათვალისწინება, რომელიც ჩვენში სხვადასხვა სოციალური პლასტისთვისაა დამახასიათებელი. მაგალითად, ქართველთათვის მიუღებელია უცნობი /უფროსი ადამიანისადმი მიმართვები „კაცო“, „ქალო“. ისინი უარყოფითი კონოტაციისაა, შესაძლოა სხვაგვარად იქნეს აღქმული უცხოენობრივ კულტურაში. ქართულში გვაქვს სიტყვები „ქალბატონო“, „ბატონო“, რომელთა გარეშეც მიუღებელია უფროსის/უცნობის დაძახება. სიტყვა „ბოდიშის“ მოსმენის შემთხვევაში უცხოენოვანი ცდილობს, გაერკვეს, თუ რა კონტექსტი მიესადაგება აღნიშნულ მიმართვას შესაძლო ოთხი გამოკვეთილი ვარიანტიდან: „უკაცრავად“, თუ შეიძლება“, „მაპატიეთ“, „გთხოვთ“. აქტუალურია, რადგან სწავლებისას აღნიშნული ფორმები ზოგჯერ ერთ მნიშვნელობას იღებს, ცალკე აღებულს კი თავისთავადი სემანტიკა აქვს, სირთულის ასაცილებლად განსახილველია თითოეული. ზემოთ აღნიშნული ლექსემები შეიძლება სხვადასხვა სიტუაციაში გაიგონონ: ტრანსპორტში ან სავაჭრო ობიექტში: „უკაცრავად“/„ბოდიში, გამატარეთ“; „უკაცრავად, /ბოდიში „ქეშით“ თუ ბარათით?“ ასეთ შემთხვევაში ისინი ერთი მნიშვნელობითაა გამოყენებული, როგორც თავაზიანი ფორმა (Excuse me) და არა, როგორც – პატიების გამომხატველი (Sorry).

სხვა შემთხვევებში ამ სიტყვებს თავ-თავიანთი მნიშვნელობა აქვს: „ბოდიში“ გამოხატავს პატიებას, მაგ., „ბოდიში, დამაგვიანდა... „უკაცრავად“ კი არ გამოხატავს იმ მნიშვნელობას, როგორიცაა პატიება: უკაცრავად, ინებეთ... საბასთან „ბოდიში“ და „უკაცრავად“ ასე განიმარტება: „ბოდიში(თავაზა) – ესე არს სიტყვით და საქციელით კაცი მოიმადლოს...“; „უკაცრავი, უკაცრაული (უკაცრაული, უკაცრავი) კაცთ უკადრისი... საკაცრავი – საქციელი-მართებული“; ქართული ენის

განმარტებით ლექსიკონში „ბოდიში“ ასეა წარმოდგენილი: „ბოდიში – წუხილის გამოთქმა, პატიების თხოვნა თავისი შეუფერებელი საქციელისა თუ სიტყვის გამო“. „უკაცრავად“ ასე – „უკაცრავად ზმნა. ჩართული სიტყვა, გამოხატავს ბოდიშის მოხდას...„უკაცრავად, ჩემო ბატონო, გთხოვთ მოგვიტეოთ უმეცარი საქმე!“ (ქეგლ). არის შემთხვევები, როდესაც „ბოდიში“ და „უკაცრავად“ პატიებას გამოხატავს, მაგრამ ცალკე აღებული სხვა კონტექსტში დამოუკიდებელი მნიშვნელობითაა. საგულისხმოა აქვე სასვენი ნიშნით (!) გამოხატული ინტონაციური ფაქტორი, რომელიც ბრძანებას გამოხატავს;

აუცილებლად უნდა აღინიშნოს სიტყვების: „თუ შეიძლება“, „გთხოვთ“, „მაპატიეთ“ შესახებაც, რადგანაც გარკვეულ კონტექსტში ისინი ავლენენ იმ მნიშვნელობას, რომელსაც სიტყვები „ბოდიში“ და „უკაცრავად“, მაგ., „თუ შეიძლება/ბოდიში/უკაცრავად, გამაგაჩეთ“ ან კიდევ: „გთხოვთ/მაპატიეთ გამაგაჩეთ“ – აშკარაა, საანალიზო ფორმები მოცემულ კონტექსტში თავაზიანობის გამომხატველია. აღსანიშნავია, რომ ცალკე აღებული „თუ შეიძლება“ შესაძლოა იძენდეს შესაძლებლობის სემანტიკასაც [თუ არის შესაძლებელი], ე.ი შეიძლება გავიაზროთ, როგორც ინგლ. „If possible“, ზოგიერთ ტექსტში კი გვხვდება, როგორც „Please“. თავისთავად დგება საკითხი მართებული ფორმის შერჩევისა – რომელია მისაღები? სიტუაციის მიხედვით. თუ გარკვეულ სიტუაციაში ვინმეს ვთხოვთ რაიმეს, ვამბობთ: „გთხოვთ (Please)...“, თავაზიანობის გამოხატვის მიზნით კი დავეურთავთ სიტყვათშეხამებას: „თუ შეიძლება“, მაგ., ბაჩათით გადავიხდი, თუ შეიძლება“. მოხსენებაში განვიხილავთ „უკაცრავად“, „ბოდიში“, „მაპატიე“, „პატიება“, „შემინდე“, ფორმათა შეპირისპირებით ანალიზს საკითხის ისტორიის, ორთოგრაფიული ნორმებისა და ინტონაციური კონტურების გათვალისწინებით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: ქართული ენა მრავალსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში ქმნიდა ისეთ უნიკალურ სიტყვებს, რომელთაც კონკრეტულ კონტექსტში საერთო მნიშვნელობა აქვს, ცალკე აღებულს – თავისთავადი. ესაა ქართული ენის სირთულე, რომლის სწავლების დროსაც უნდა გავითვალისწინოთ ყველა ასპექტი, თითოეული სიტყვა-ფორმა კონტექსტების მიხედვით განვმარტოთ, რაც აღმოფხვრის სირთულეს უცხოენოვან შემსწავლელთათვის.

The aim of this paper is to explore the semantic nuances of polite forms in the Georgian language within the context of teaching Georgian as a foreign language. Scientific literature indicates that “in modern Georgian, expressions related to apologies, as well as the verb “forgive me” and the adverb “excuse me” are common” (R. Zekalashvili, 2022:5). This issue is relevant because foreign speakers often struggle to understand the appropriate contexts for using polite forms due to the semantic confusion surrounding “sorry” and “excuse me”. From the perspective of integrating into Georgian society, foreign language students must consider the etiquette characteristic of various social strata in our country. For instance, it is considered unacceptable for Georgians to refer to an unknown or older person as “man” or “woman”, as these terms carry negative connotations that may be perceived differently in other linguistic cultures. In Georgian, terms like “ma’am” and “sir” are necessary when addressing a boss or stranger. When a foreign speaker hears “sorry,” they may attempt to determine which context is appropriate from four possible options: “sorry,” “if possible,” “excuse me,” and “please.” This distinction is crucial, as in teaching, these forms can sometimes share a meaning, while individually they have distinct semantics. These lexemes can be encountered in various situations, such as in transport or at a shopping center: “Excuse me,” or “Sorry, could you give me a ride?”; “Excuse me, is it ‘cash’ or card?” In such cases, they serve as polite expressions (excuse me) rather than apologies (sorry). In other contexts, these words have specific meanings: “sorry” conveys forgiveness, as in “I’m sorry, I’m late,” while “excuse me” does not imply forgiveness, as in “Excuse me, take this.” Saba’s dictionary defines “sorry” as a way to thank a person through words and actions, while “excuse me” is defined as inappropriate for human interaction. In the Georgian language, “sorry” is described as expressing regret and seeking forgiveness

for one's inappropriate behavior or speech, while "excuse me" conveys an apology. There are instances when "sorry" and "excuse me" both imply forgiveness, but they also have independent meanings depending on the context. The intonation factor, indicated by a punctuation mark (!), is significant as it can convey a command. The phrases "if possible," "please," and "excuse me" should also be noted, as in certain contexts they can share meanings with "sorry" and "excuse me." For example, "if you can/sorry/excuse me," or "please/excuse me." Clearly, these analytical forms serve as expressions of politeness. It should be emphasized that "if possible," when taken alone, can imply the semantics of possibility (i.e., it can be understood as "if it is possible"). The phrase "if possible" may also appear in some texts as "please." The question of which form to choose arises naturally: which is acceptable? Depending on the situation, when asking someone for something, one might say, "Please..." and to convey politeness, one could add a phrase like "if possible," e.g., "I will pay by card if possible." In this report, we will analyze "excuse me," "sorry," and "forgive me," contrasting these forms while considering their historical context, orthographic norms, and intonation patterns. In conclusion, it can be stated that throughout its history, the Georgian language has developed unique words that share common meanings in specific contexts, while also possessing distinct meanings when considered separately. This complexity poses challenges for learners, and it is essential that we account for all aspects and clarify each word-form according to its context, thereby alleviating difficulties for foreign learners.

თეონა მაჭავარიანი
Teona Matchavariani

აწსუ გაჩიედ ფუტკარადის სახელობის ქაჩთველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
 Tariel Putkaradze Scientific-Research Center of Kartvelology
 at Akaki Tsereteli State University in Kutaisi
<https://orcid.org/0009-0000-7253-2709>

-ობა სუფიქსი ქვემოიმერულში (ოკრიბული მეტყველების მიხედვით)
-Oba Suffix in Kvemoimerian (According to the Okribian speech)

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, იმერული დიალექტი, სუფიქსი
Keywords: Georgian Language, Imerianian dialects, suffix

ქართული ენა მდიდარია სიტყვამაწარმოებელი აფიქსებით. დიალექტები, სალიტერატურო ენასთან შედარებით, სადერივაციო აფიქსთა ფონეტიკური თუ ფუნქციურ-სემანტიკური ვარიაციულობით ხასიათდება.

წარმოდგენილი კვლევის მიზანია, გავანალიზოთ -ობა ფორმანტის ფუნქცია, სემანტიკური ნიუანსები, რეალიზების შემთხვევები ქვემოიმერულში, ოკრიბული მეტყველების მიხედვით; წარმოვაჩინოთ ამ მხრივ არსებული მსგავსება-განსხვავება სალიტერატურო ქართულსა და ქართული ენის სხვა კილოებთან მიმართებით.

საანალიზოდ ავიღეთ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ამჟამად პროფ. ტარიელ ფუტკარადის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის) თანამშრომელთა მიერ 1993-1998 წლებში ორპირის თემის სოფლებში ჩაწერილი დიალექტური მასალა. დავამუშავეთ აგრეთვე გამოქვეყნებული იმერული დიალექტური ტექსტები.

მოხსენებაზე მუშაობისას გამოვიყენეთ კვლევის სხვადასხვა მეთოდი. აღწერითი მეთოდის საშუალებით აღვწერთ ოკრიბულ მეტყველებაში -ობა სუფიქსის გამოვლენის შემთხვევებს; შედარება-შეპირისპირებითი მეთოდებით გამოვყოფთ საერთო და განსხვავებულ ფაქტებს ქართული ენის სხვა ქვესისტემებთან მიმართებით; ანალიზისა და სინთეზის მეთოდებით ვაანალიზებთ -ობა ფორმანტს ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით.

-ობა სუფიქსი ოკრიბულში დასტურდება სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსით. ზოგი მათგანი სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი არ არის. ამდენად, აღნიშნული ენობრივი ფაქტების ანალიზი ჩვენი კვლევის სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენს.

-ობ-ა ქართულში გავრცელებული ერთ-ერთი სადერივაციო სუფიქსია. ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონის მიხედვით, -ობ-ა რთული სუფიქსია: -ობ თემის ნიშანი + -ა მასდარის მანარმოებელი: მტრ-ობ-ა... (შდრ.: -ება); შემდეგ ხდება -ობ-ას განზოგადება და ერთიან სუფიქსად გააზრება (აქედან – მისი გამოყენება სტუდენტობა, დამაჯერებლობა ტიპის ფორმებში) (ჯორბენაძე, 1988: 340).

-ობა საკმაოდ პროდუქტიული ფორმანტია ქვემოიმერულში. ოკრიბულ მეტყველებაში ის გამოვლინდება სხვადასხვა ფუნქცია-დანიშნულებით, კერძოდ: ა) აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს (მსხმოიარ-ობა, ცვალებად-ობა, წამლ-ობა, ხნევან-ობა, კერძო-ობა, სიყვარულ-ობა...); ბ)

გამოხატავს სულიერ და უსულო სახელთა სიმრავლეს/კრებითობას (ნათესა-ობა, წვრილფეხ-ობა, მაყრიონ-ობა, კაკლეულ-ობა, თესლოულ-ობა, ნერგეულ-ობა...); გ) ოჯახ- ფუძეზე -ობა სუფიქსის დართვით მიიღება: ოჯახ-ობა („ცოლი, მეუღლე“); დ) დაერთვის ნაცვალსახელებს, ზმნისართებს და მიუთითებს მოქმედების დროსა და ადგილზე. -ობა სუფიქსიანი ნაცვალსახელები მიცემითის ფორმითაა წარმოდგენილი, ზმნისართები კი თანდებულებს დაირთავენ: ჩემსობას, მისობას... იქაობაში, იქობაში, მანობამდი, სანობამდი, აქობამდე; ე) აწარმოებს ახალ ლექსიკურ ერთეულებს: მჭობინარ-ობა, ერზარალ-ობა; ე) ხშირად -ობა ცვლის -ება სუფიქსს: საშვალ-ობა<საშუალება, სნეულ-ობა<სნეულება, მხიარულ-ობა<მხიარულება, ბედნიერ-ობა<ბედნიერება; ვ) დასტურდება სი-ე კონფიქსის ფუნქციით: კეთილ-ობა/სიკეთე, ძვირ-ობა/სიძვირე, ბებრ-ობა/სიბერე.

საინტერესოა რთული -ობია, -ობანა სუფიქსები, რომლებითაც თამაშის აღმნიშვნელი ტერმინები იწარმოება: რიკტაფელ-ობია/რიკტაფელ-ობანა, ქორ-ობია/ქორ-ობანა, დამალ-ობია/დამალ-ობანა, დროშ-ობია/დროშ-ობანა. -ობია მიღებულია -ობა და ი-ა სუფიქსების შეერთების შედეგად: ობ-ი-ა<ობ-ინ-ა (ფონეტიკური ცვლის საფუძველზე), ხოლო -ობანა წარმოადგენს -ობა და -ან-ა სუფიქსების კომბინაციას (ჯორბენაძე, 1988: 341-342).

დამუშავებული მასალის ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ოკრიბელთა მეტყველებაში სადერივაციო -ობა სუფიქსის ფუნქციები მრავალფეროვანია, შესაბამისად, გაფართოებულია მისი გამოყენების არეც.

The Georgian language is rich in word-forming affixes. Compared to the literary language, dialects are characterized by phonetic or functional-semantic variations of derivational affixes.

The presented research aims to analyze the function of the -oba formant, semantic nuances, and cases of realization in Kvemoimeruli according to the Okribian speech; Let's present the similarities and differences between literary Georgian and other dialects of the Georgian language.

For analysis, we took the dialect material from the villages of the Orpiri community recorded by the employees of the Scientific-Research Institute of Georgian Dialectology of Akaki Tsereteli State University (currently Scientific-Research Center of Georgian Dialectology named after Prof. Tariel Futkaradze) in 1993-1998. We also processed the published Imerian dialect texts.

Different research methods were utilized while working on the report. Employing the descriptive method, we will describe the occurrences of the suffix -oba in the Okribian speech; with comparison-contrast methods, we will identify common and different facts in relation to other subsystems of the Georgian language; using the analysis and synthesis methods, we analyze the -oba formant from a functional-semantic point of view.

-oba suffix in Okribian is confirmed by different semantic nuances. Some of them are not known in scientific literature. Thus, the analysis of the mentioned linguistic facts is a scientific novelty of our research.

Ob-a is one of the common derivational suffixes in Georgian. According to the dictionary of morphemes and modal elements of the Georgian language, -ob-a is a complex suffix: -ob is the sign of topic + -a – is the producer of verbal noun mtr-ob-a... (cf.: -eba); Then -ob-a is generalized and understood as a single suffix (hence its use in forms like studentoba [studentship], damajerebloba [persuasiveness] (Jorbenadze., 1988: 340).

-oba is quite a productive formant in Kvemoimeruli. In the Okribian speech, it is revealed with various functions, namely: a) produces abstract nouns (mskhmoiar-oba, tsvalebad-oba, tsaml-oba, khnevan-oba, kerdzo-oba, sikvarul-oba...); b) expresses the plurality/collectiveness of spiritual and inanimate nouns (natesa-oba, tsvrilpekh-oba, makrion-oba, kakleul-oba, tesloul-oba, nergeul-oba...); c) by adding the suffix -oba to the root – ojakh, we receive: ojakh-oba ('a wife', 'spouse'); d) is attached to pronouns, adverbs and indicates the time and place of the action. Pronouns with the suffix -oba are presented in the form of Dativ,

and adverbs are presented with the conjunctions: chemsobas, misobas... ikaobashi, okobashi, manobamdi, sanobamdi, akobamde; e) produces new lexical units: mdjobinar-oba, erzalar-oba; e) often -oba replaces the suffix -eba: sashval-oba < sashueleba ('means'), sneul-oba < sneuleba ('sickness') mkhiarul-oba < mkhiaruleba ('cheerfulness'), bedniero-oba < bedniereba ('happiness'); f) is confirmed by the function of si-e confix: ketil-oba/sikete ('kindness'), dzvir-oba/sidzvire ('expensiveness'), bebr-oba /sibere ('old age').

The complex suffixes -obia, -obana are of interest; they form the terms denoting plays: Riktafel-obia / Riktafel-obana, Kor-obia / Kor-obana, Damal-obia / Damal-obana; Drosh-obia / Drosh-obana. -obia is obtained as a result of joining suffixes -oba and i-a: ob-i-a < ob-in-a (based on phonetic change), and -obana is a combination of suffixes -oba and -an-a (Jorbenadze., 1988: 341-342).

As a result of the analysis of the processed material, it can be said that the functions of the derivational suffix -oba in the speech of Okribians are diverse, therefore, the range of its use is also expanded.

მიხეილ მეფარიშვილი

Mikheil Meparishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

<https://orcid.org/0009-0000-0700-1119>

სიონისტური ჯგუფის საქმიანობა 1920-1930-იანი წლების თბილისში

The Mission of the Zionist Group in Tbilisi in the 1920s-1930s

საკვანძო სიტყვები: დავით ბააზოვი, სიონისტური ჯგუფები, ებრაული თემი

Keywords: David Baazov, Zionist group, Jewish community

1920-იანი წლებიდან საქართველოს ებრაული თემი ძირეულ ცვლილებებს განიცდის. თუკი მანამდე საქართველოს ებრაელებისთვის ქუთაისი, ონი, სურამი, ცხინვალი, ახალციხე მნიშვნელოვანი დასახლებები იყო, 20-იან წლებში ებრაელები თბილისს მოაშურებენ და ის ხდება საქართველოს ებრაული თემის განსახლების ცენტრი. 20-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ, ებრძოდა რავაჭრობაში ჩართულადამიანებს, საქართველოს ებრაელებისთვის შექმნა მეურნეობები, სპეციალური შრომის სკოლები, კულტურული გაერთიანებები, რომელთა დახმარებითაც არასანდო „ელემენტებს“ კეთილსაიმედო მშრომელებად გარდაქმნიდა. საგულისხმოა, რომ სკოლისა და კულტურული გაერთიანებების დაარსებისა და ებრაელებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწების გადაცემის ინიციატივა რაბინ დავით ბააზოვსა და მის ჯგუფს ეკუთვნის. სწორედ ისინი სთხოვდნენ საბჭოთა მთავრობას, რომ მიეღო ზომები საქართველოს ებრაელების კულტურული და ეკონომიკური აღორძინებისთვის. ერთი შეხედვით ეს საზიარო ინიციატივები სინამდვილეში განსხვავებული მოტივით იყო ნაკარნახევი. თუკი საბჭოთა მთავრობას სურდა, რომ ყველა ეთნიკური/ეროვნული ჯგუფი ერთიან მშრომელთა მასად ჩამოეყალიბებინა, დავით ბააზოვის მიზანი საქართველოს ებრაელებში ებრაული ენისა და ისტორიის ცოდნის გავრცელება, პოლიტიკური გააქტიურება და ისრაელში ალიისთვის მომზადება გახლდათ.

ამით აიხსნება ის, რომ 1920-1930-იან წლებში საქართველოს ებრაელები დიდი ენთუზიაზმით ერთვებიან ან ხელმძღვანელობენ ახალ წამოწყებებს. 1923 წელს დაარსდა კულტურული გაერთიანება „თარბუთი“, 1924 წელს ჩამოყალიბდა 102-ე შრომის სკოლის ბაზაზე ებრაელთა დრამატული დასი „კადიმა“, 1924 წელს გამოიცა გაზეთი „მაკაველის“ 3 ნომერი, რომლის მეოთხე ნომერი საბჭოთა ცენზურამ აკრძალა. 1927 წლიდან საბჭოთა ხელისუფლებამ ბრძოლა გამოუცხადა დავით ბააზოვს და „ბააზოვიზმს“. ნიშანდობლივია, რომ სწორედ 1920-იან წლებში დაწყებული კულტურული საქმიანობა გახდება 1930-იანი წლებიდან დავით ბააზოვისა და მისი თანამოაზრეების სამართლებრივი დევნის საფუძველი. 1938 წელს დახვრიტეს დავით ბააზოვის შვილი, მწერალი და დრამატურგი გერცელ ბააზოვი, დავით ბააზოვს კი დახვრეტა გადასახლებით შეუცვალეს. რეპრესიები შეეხო სიონისტურ ჯგუფთან დაახლოებულ სხვა პირებსაც. დევნის შიშმა კი განსაზღვრა საქართველოს ებრაელების ცხოვრება საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, დაადგინოს: 1) როგორ მიმდინარეობდა სიონისტური ჯგუფის ფორმირება 1920-იან წლებში; 2) რა მიზანს ემსახურებოდა ამ ჯგუფის ფორმირება და 3) რამდენად ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა ხელისუფლებას.

კვლევის მეთოდად გამოყენებულია თვისებრივი და შინაარსობრივი ანალიზი. იგი ტექსტის დეტალური და სისტემური ანალიზისა და ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა კონკრეტული შინაარსის, თემებისა თუ ტენდენციების გამოსავლენად. ტექსტები მნიშვნელობას იძენს გარკვეულ კონტექსტთან, დისკურსთან თუ მიზანთან დაკავშირებით. ტექსტებს ყოველთვის გარკვეული მიზნით ვკითხულობთ და ვცდილობთ, მათში გარკვეული საკითხების ხედვისა თუ პრობლემებთან გამკლავების გზები აღმოვაჩინოთ. იმდენად, რამდენადაც ჩვენი მიზანია, დავადგინოთ, როგორ იქმნებოდა ჩვენთვის საინტერესო ტექსტები გარკვეულ სოციალურ კონტექსტში; როგორ გამოიყენებოდა ისინი ყოველდღიურ ინტერაქციაში და რა გავლენას ახდენდა მკითხველის იდენტობის ფორმირებაზე, თვისებრივი შინაარსობრივი ანალიზი საუკეთესო მეთოდია კვლევის ფარგლებში დასახული ამოცანების განსახორციელებლად.

კვლევის ფარგლებში გამოვლენილი და შესწავლილია ქართველ ებრაელთა იდენტობის სხვადასხვა სახის ნარატივი (საგაზეთო პუბლიკაციები, ლიტერატურული ტექსტები, მემუარები და სხვ.), ასევე, საბჭოთა ეროვნული, ეკონომიკური, რელიგიური და კულტურული პოლიტიკა და მისი გავლენა ებრაული იდენტობის ახალ კონცეფციაზე. ქართველ ებრაელთა იდენტობის საბჭოთა ტრანსფორმაცია ნაკლებადაა შესწავლილი სამეცნიერო ლიტერატურაში. წინამდებარე კვლევა არის ერთ-ერთი პირველი, რომელიც კრებს და აანალიზებს 1920-1930-იანი წლების ქართველ ებრაელთა იდენტობის ნარატივებს და ინტერდისციპლინური მიდგომის გამოყენებით შეისწავლის ქართველ ებრაელთა იდენტობის საბჭოთა ტრანსფორმაციას.

ნაშრომი შესხუდებულია შოთა ხუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გხანგით დაფინანსებული პროექტის “ებრაული იდენტობა საქართველოში: საბჭოთა გხანს-ფოხმაცია (1921-1941)” (FR 23-8490) ფაჩგდებში.

In the 1920s and 1930s, the Jewish community of Georgia underwent a fundamental transformation. Previously, important settlements for Georgian Jews included Kutaisi, Oni, Surami, Tskhinvali, and Akhatsikhe. However, during the 1920s, many Georgian Jews began migrating to Tbilisi, which became the center of the Jewish community's renaissance. The Soviet government, in its efforts to combat those involved in trade and commerce and to transform unreliable “elements” into reliable workers, established collective farms, special labor schools, and cultural associations for Georgian Jews. It is noteworthy that Rabbi David Baazov and his group played a key role in initiating the establishment of schools, cultural associations, and the allocation of agricultural lands to Jewish citizens of Soviet Georgia. They requested the Soviet government to take measures for the cultural and economic revival of Jewish families. These mutual efforts were driven by different motives: while the Soviet government sought to mold all ethnic and national groups into a unified mass of workers, David Baazov aimed to make Jews politically active, educate them (especially by promoting Hebrew language and Jewish history), and encourage Aliyah to Eretz Israel.

This context explains why, in the 1920s and 1930s, Georgian Jews enthusiastically engaged in or led new initiatives. The Jewish cultural union *Tarbut* was founded in 1923, and the Jewish drama troupe *Kadima* was formed based on the 102nd Jewish Labor School. In 1924, the *Makaveeli* newspaper (named after the Maccabees) began publication, but only three issues were released before the fourth volume was banned by state censorship. In 1927, Soviet officials declared war on David Baazov and “Baazovism.” The Soviet government persecuted Baazov and his associates for their efforts toward the cultural and economic renewal of the Jewish community. Gertzel Baazov, a novelist and playwright and the son of David Baazov, was executed in 1938. David Baazov himself was sentenced to death, though his sentence was commuted to exile in Siberia until 1945. Other members of the Zionist group also faced repression. The fear of Soviet persecution shaped the lives of Georgian Jews.

This paper seeks to address three key questions:

1. How did the formation of the Zionist group occur within the Soviet context?
2. What was the program of the Zionist group?
3. To what extent did the group's activities contradict Soviet ideology?

The goal of this research is to understand how the texts of interest were created within a specific social context, how they were used in everyday interactions, and how they influenced the formation of the reader's identity. Qualitative content analysis is the most appropriate method for carrying out the research objectives. This method allows for a detailed and systematic analysis and interpretation of texts to reveal specific content, themes, or trends. Texts gain meaning in relation to a particular context, discourse, or purpose. We always read texts with a certain aim in mind, seeking ways to uncover and explore specific issues.

In this research, different types of narratives concerning the identity of Georgian Jews (including newspaper publications, literary texts, and memoirs), as well as Soviet national, economic, scientific, and cultural policies and their influence on the newly formed Jewish identity, have been identified and studied.

The study was carried out within the framework of the project Jewish Identity in Georgia: Soviet Transformation (1921-1941) (FR 23-8490) financed by the grant of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia.

თინათინ მილორავა

Tinatin Milorava

აწესი გაჩიედ ფუგკაჩადის სახელობის ქაიხვედოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
Tariel Putkaradze Scientific-Research Center of Kartvelology at Akaki Tsereteli State University in Kutaisi

<https://orcid.org/0009-0008-3034-525X>

მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის გამოხატვა ქართული ენის ტაოურ დიალექტში

Expression of the Plural Form of the Third Subjective Person in the Taoian Dialect of the Georgian Language

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, ტაოური დიალექტი, ზმნის ფორმალაშქმობა

Keywords: Georgian language, Taoian dialect, verb formation

ქართულ სალიტერატურო ენასა და კილოებში I-II სუბიექტური პირების მრავლობითობა, ძირითადად, ერთნაირად აღინიშნება (-თ მორფემით). მესამე პირის მრავლობითობის გამოხატვის თვალსაზრისით მეტ-ნაკლები განსხვავება დასტურდება, ერთი მხრივ, ძველსა და თანამედროვე სამწიგნობრო ენაში, მეორე მხრივ, ქართული ენის კილოებში. საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს ტაოური დიალექტი, რომელიც ახალ ენობრივ ფაქტებთან ერთად არქაიზმებსაც ინახავს.

ჩვენი კვლევის მიზანია, გავანალიზოთ ქართული ენის ტაოურ დიალექტში მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის აღმნიშვნელი სუფიქსების გამოვლენის შემთხვევები, გამოვკვეთოთ არქაული და დიალექტური ფაქტები. კვლევა ეყრდნობა ჩვენ მიერ ტაოს სოფლებში ჩაწერილ ახალ მასალას, ასევე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფ. ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრში დაცულ ტაოურ ტექსტებს, რომლებიც ჩაწერილია 2006-2022 წლებში. დავამუშავეთ აგრეთვე გამოქვეყნებული ტაოური მეტყველების ნიმუშები (შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993; ავტორთა ჯგუფი, ტაო / მონოგრაფია/, ბათუმი, 2020).

საკითხი აქტუალურია, რადგან ის შეეხება საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს მიღმა დარჩენილ დიალექტს, რომელიც ოთხი საუკუნეა, უცხო, თურქულ, ენობრივ გარემოში ვითარდება. ამდენად, საინტერესოა, რამდენად შეინარჩუნა ტაოურმა ქართული ზმნის სტრუქტურული თავისებურებები.

მეცნიერული სიახლე: ტაოური დიალექტური ტექსტების ანალიზის საფუძველზე წარმოჩენილია მესამე სუბიექტური პირის მრავლობითის ნიშანთა დისტრიბუციის სრული სურათი ცალკეული მწკრივის მიხედვით; ტაოურის ვითარება შედარებულია ქართული ენის ქვესისტემებთან.

კვლევისას ვიყენებთ ველზე მუშაობის (მასალის ჩაწერის), აღწერის, შედარებისა და ანალიზის მეთოდებს.

საანალიზო დიალექტში III სუბიექტური პირის მრავლობითობის გამოსახატავად გამოიყენება -ენ, -ან, -ეს, -ნ სუფიქსები.

-ენ სუფიქსი დაერთვის ანმყო-მყოფადის ფორმებს: აშენებ-ენ, ჭამ-ენ, ურევ-ენ, მეიტანებ-ენ, ისაქმებ-ენ, აწევ-ენ, გომოვლ-ენ... -ავ, -ამ თემისნიშნისეული ახმოვანი, ჩვეულებრივ, რედუცირდება: -ავ+ენ>ვ+ენ; -ამ+ენ>მ+ენ: თიბვ-ენ, იბურვ-ენ, თესვ-ენ, იყიდვ-ენ, შეინახვ-ენ... იცმ-ენ, იქმ-ენ, უბმ-

ენ. იშვიათად თემისნიშნისეული ვ თანხმოვანიც იკარგება: კლ-ენ, თიბ-ენ...

-ან სუფიქსი წარმოდგენილია როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებთან აწმყო-მყოფადისა და I თურმეობითის ფორმებთან: უმზირი-ან, იჯები-ან (<ირჯებიან), ეთხოები-ან („თხოვდებიან“), გასხნი-ან, შეყრი-ან, იარები-ან, მიდი-ან, ძი-ან („ზიან“), ეხვარათები-ან („ელაპარაკებიან“), დაჯდები-ან, უნდან-ან/უნდავ-ან, მიაქვ-ან, მიჰყავ-ან, უყვარან... უჭამი-ან („უჭამიათ“), გუმყური-ან („გამოყურიათ“, გუმუცლი-ან („გამოუცლიათ“), წომოსულ-ან...

-ეს ფორმანტი, არქაული ქართულის მსგავსად, გამოვლინდება უწყვეტელსა და წყვეტილში ყველა ტიპის ზმნასთან: უწყვეტელი: წერდ-ეს („წერდნენ“), აშენებდ-ეს („აშენებდნენ“), თესვიდ-ეს („თესავდნენ“), რწყვიდ-ეს („რწყავდნენ“), იცმიდ-ეს („იცვამდნენ“), სმიდ-ეს („სვამდნენ“)... ქონდ-ეს („ჰქონდათ“), ყავდ-ეს („ჰყავდათ“)... -ავ, -ამ სუფიქსიანი ზმნები აქაც -ვ, -მ სახით გვხვდება. წყვეტილი: წერ-ეს, თიბ-ეს, დეიბურ-ეს... ჩევენ-ეს („ჩავიდნენ“), იყვენ-ეს („იყვნენ“)... -ეს გვაქვს II თურმეობითშიც: ეენი-ეს („აენიათ“), მეეთიბ-ეს („მოეთიბათ“)...

In the Georgian literary language and dialects, the plurality of I-II subjective persons is generally marked similarly (with the -t morpheme). From the point of view of the expression of the third person plural, more or less difference is confirmed, on the one hand, in the ancient and modern literary language, and on the other hand, in the dialects of the Georgian language. An interesting situation is shown by the Taoian dialect, which preserves archaisms along with new linguistic facts.

Our research aims to analyze the occurrence of third-person plural suffixes in the Taoian dialect of the Georgian language, to highlight archaic and dialectal facts. The research is based on new material recorded by us in Tao villages and Taoian texts preserved in Professor Tariel Futkaradze Scientific-Research Center of Kartvelology of Akaki Tsereteli State University recorded in 2006-2022. We have also processed the published samples of Taoian speech (Sh. Putkaradze, The Georgian language of Chveneburebi, Batumi, 1993; Group of authors, Tao /monograph/, Batumi, 2020).

The issue is relevant since it concerns the dialect that remains outside the borders of the state of Georgia, which has been developing in a foreign, Turkish language environment for four centuries. Thus, it is interesting to what extent the Taoian dialect has preserved the structural features of the Georgian verb.

Scientific novelty: based on the analysis of Taoian dialectal texts, a complete picture of the distribution of the signs of the third subjective person plural according to individual verb paradigms is presented; The situation in Taoian is comparable to the subsystems of the Georgian language.

In research, we use methods of fieldwork (recording of material), description, comparison, and analysis.

In the study dialect, the suffixes -en, -an, -es, -n are used to express the plural of the third person.

The suffix -en will be attached to the forms of the present and future tense: asheneb-en, cham-en, urev-en, meitaneb-en, isakmeben, atseven, gomovl-en... -av, -am -stem marker vowel a is usually reduced: -av +en > v+en; -am+en > m+en: tibv-en, iburv-en, tesv-en, ikidv-en, sheinaxhven...itsm-en, ikm-en, uzmen. Rarely the stem marking f consonant is also lost: kl-en, tib-en...

The suffix -an is present with both transitive and intransitive verbs in the forms of present and future tense and the Perfect: umziri-an, ijebi-an (<irjebian), etkhoeb-an ('tkhovdebian'), gaskhni-an, shekhri-an, iarebi-an, midi-an, dzian ('zian'), ekhvaratebi-an ('elaparakebian'), dajdebi-an, undan-an / undav-an, mi-akv-an, mihkav-an, ukvaran...uchami-an ('uchamiat'), gumukri-an ('gamoukriat'), gumutsli-an ('gamoutsliat'), tzomosul-an...

-es formant, like archaic Georgian, appears in Imperfect and Aorist indicative forms with all types of verbs: Imperfect: tserd-es ('tserdnen'), ashenebd-es ('ashenebdnen'), tesvid-es ('tesavdnen'), rtskvid-es ('rtskavdnen'), itsmid-es ('itsvamdnen'), smid-es ('svamdnen')... kond-es ('hkondat'), kavd-es ('hkavdat')...Verbs

with –av, –am suffixes are also found here in form of –v, –m. Aorist indicative: tser-es, tib-es, deibur-es... chevn-es ('chavidnen'), ikvn-es ('ikvnen')... -es is also noticed in Pluperfect: eetsi-es ('aetsiat'), meetib-es ('moetibat'...)

With the suffix –n, the forms of subjunctive are usually formed: [unda] ikitkho-n, imushao-n, meigo-n, kna-n, gabevrne-n...

It can be said that in the Taoian dialect, despite the strong influence of Turkish, the structure of the Georgian verb still maintains its stability, which is confirmed by the morphemes of the third person plural.

გიორგი მულიანი
Giorgi Muliani

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 Akaki Tsereteli State University

<https://orcid.org/0009-0004-8652-1006>

აფუსის მიკროტოპონიმები (სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი)
Afusi Microtoponyms (Structural and Semantic Analysis)

საკვანძო სიტყვები: ფერეიდანი, აფუსი, რუისპირი, ქართული ტოპონიმები

Keywords: Fereydan, Afusi, Ruispiri, Georgian place names

ფერეიდანში, ირანის ისლამური რესპუბლიკის ერთ-ერთ პროვინციაში, დღესაც ცხოვრობენ მე-17 საუკუნეში შაჰ-აბასის მიერ საქართველოდან გადასახლებული ქართველების შთამომავლები. ახალ მიწაზე ქართველებს, ძირითადად, დაუსახლებელ ადგილებში ასახლებდნენ. მათ არაერთ სოფელს ჩაუყარეს საფუძველი, სადაც გეოგრაფიულ ობიექტებს ქართული სახელები დაარქვეს. ზოგ სოფელში ქართული ენა კარგადაა შემონახული, ზოგში კი დავიწყებულია, თუმცა ქართული მიკროტოპონიმია ჯერ კიდევ ცოცხალია.

კვლევის მიზანია, შევისწავლოთ ფერეიდანის ერთ-ერთი ქართული დასახლების – აფუსის/აფუსის მიკროტოპონიმია და წარმოვაჩინოთ ქართული ენობრივი მასალა.

საკითხიაქტუალურია, რამდენადაცის შეეხება ქართული ენობრივ-კულტურული მემკვიდრეობის კვლევას საზღვარგარეთ, კერძოდ, ფერეიდანში ქართული ტოპონიმების აღნუსხვასა და მეცნიერულ შესწავლას. აფუსის მიკროტოპონიმია სპეციალურად შესწავლილი აქამდე არ ყოფილა, რაც ჩვენი კვლევის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს.

კვლევა, ძირითადად, ეყრდნობა ჩვენ მიერ საანალიზო დასახლებაში ჩანერილ მასალას. დავამუშავეთ შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა, წყაროები და გამოქვეყნებული დიალექტური ტექსტები. კვლევისას გამოვიყენეთ აღწერის, შედარების, შეპირისპირებისა და ანალიზის მეთოდები.

აფუსს 1996 წელს მოსახლეობის რაოდენობის ზრდის შედეგად ქალაქის სტატუსი მიენიჭა. 2011 წლის აღრიცხვით, მისი მოსახლეობა 4313 ადამიანს (1243 კომლს) შეადგენდა. აფუსში დღეს, სამწუხაროდ, ქართულად არავინ საუბრობს, თუმცა ყველა მიუთითებს აქაური მოსახლეობის ქართულ წარმომავლობაზე. საინტერესოა, რომ „ირანის გეოგრაფიული ლექსიკონი“ (1954) აფუსის მოსახლეობის სასაუბრო ენად სპარსულსა და ქართულს ასახელებს.

დასახლება წყაროებსა და ხალხურ მეტყველებაში სხვადასხვა სახელწოდებით/ვარიანტით გვხვდება: **აფუსი/აფუს, აფუსი/აფუს, რუისპირი, რუსთავი**.

აფუსში დასტურდება როგორც ქართული, ისე უცხოური (სპარსული, თურქული, არაბული) წარმომავლობის მიკროტოპონიმები. ქართული სახელწოდებები უცხოურთან შედარებით მცირეა. ტოპონიმები მეტწილად კომპოზიტური აგებულებისაა (მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპისა).

1. საზღვრულად წარმოდგენილია ქართული სიტყვები: **გორა, თავი, რუვი, ღელე, (წ)ყარო; ყელი, ყრა, ჭვარი...**

ახალრუი; დიდრუი; ზეით რუი; თავქე რუი; ქოვით რუი... სამზე ყარო... ხერსის ღელე (//ხირსი დარა „დათვის ღელე“)... **დიდგორა; ქამარყელი; მეროყრა** (<მეორე ყრა); **მესამე ყრა; გალოსთავი** (<კალოს თავი); **ნაონჯვარი** (<ნაომარი ჯვარი)...

2. საზღვრულად გამოიყენება უცხოური სიტყვები: **ბააყ** (სპარს. „ბაღი“), **დარეჰ** („ხეობა“), **ჩეშმე** („წყარო“)... **გოლი** (თურქ. „ტბა, წყალსაცავი“), **თაფე** („გორა, ბორცვი“)... **მაზრა** (არაბ. „ყანა-ქალა“), **მაჰალე** („უბანი“), **ყალყე** („ციხესიმაგრე“), **ყარ** („გამოქვაბული“)...

ბაყე ნესარ („ჩრდილიანი ბაღი“); **დარე სიბჰა** („ვაშლის ხეობა“); **ჩეშმე ბალა** („ზემო წყარო“); **ჩეშმე ფაინ** („ქვემო წყარო“); **თაფე მუში** („თაგვის ბორცვი“); **მაზრა მიანეჰ** („შუა მაზრა“); **მაჰალე მიანე** („შუა უბანი“); **ყალყე ბალა** („ზემო ციხე“); **ყალყე ფაინ** („ქვემო ციხე“)...

აფუსში დასტურდება **ქართული აფიქსებით გაფორმებული ტოპონიმები**:

სა – ე: სა-ბუქრ-ე, სა-თაფლ-ე; სა-კრ-ე (<საკარე); **სა-ჩოგნ-ე; ნა – ალ: ნა-სერ-ალ-ი; ნა – არ: ნა-მახოღვ-არ-ი.**

აფუსის ქართული მიკროტოპონიმები ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ იქ ქართველები ცხოვრობდნენ და ქართულად მეტყველებდნენ. დროთა განმავლობაში ენობრივი ვითარება შეიცვალა; აფუსში ქართული ენა სპარსულმა შეცვალა, რაც მეტ-ნაკლებად გეოგრაფიულ სახელწოდებებშიც აისახა.

Apusi / Afusi is one of the old settlements in Fereydan. In 1996, due to the increase in the number of its population, Afusi was given the status of a town. Based on the 2011 census data, its residents made 4 313 people (1 243 households).

The name **Afusi** is mentioned in Persian and Armenian sources, as well as in old documents and all the headstone inscriptions in the area. However, the Georgian sources and the memory of Fereydani people have kept the other name – **Ruispiri**.

Regrettably, the Georgian language is no longer spoken in Afusi as it has been completely forgotten, but it should be noted that the Afusi population is generally regarded as Georgian (e.g., on the Town Mayor's official website Afusi residents are called Georgians). The majority of the Afusi population is still proud of their Georgian origin.

The process of language attrition supposedly started in the 19th century. *Mohammad Safian* considered the frequent visits of the *Qajar* dynasty Princes, who used to hunt in Afusi, as a significant factor contributing to the language loss. According to the locals, the violence committed by Khans and rulers, and the failure of the Georgian speaking Afusians to defend their rights led the population to language attrition.

It is noteworthy that in “The Geographical Dictionary of Iran” (1954) Persian and Georgian are mentioned as the two languages spoken by the Afusi population.

As for the name of the settlement, the sources and folk speech suggest different versions: **Afusi/Afus, Apusi/Apus, Afruzi, Ruispiri, Rustavi**.

There are not many Georgian micro toponyms in Afusi. The geographical names are mostly composites (consisting of a determiner and a word it determines).

1. The words described by determiners are Georgian: **გორა** (gora – “a hill”), **თავი** (tavi – “a top”), **რუვი** (ruvi – “a rivulet”), **ღელე** (ghele – a river), **(ნ)ყარო** (ts)karo – “a spring”; **ყელი** (keli – “a neck, a gorge”), **ყრა** (kra – “division”), **ჯვარი** (jvari – a cross)...

ახალრუი (akhalrui – “a new rivulet”); **დიდრუი** (didrui – “a big rivulet”); **ზეით რუი** (zeit rui – “an upper rivulet”); **თავქე რუი** (tavke rui – “a downward rivulet”); **ქოვით რუი** (kovit ru – “a rivulet in a lower place“)...

სამზე ყარო (samze karo – “a full spring”)... **ხერსის ღელე** (/ ხირსი დარა (khersis Ghele/ khirsi dara – “a bear’s river”)... **დიდგორა** (didgora – “a big hill”); **ქამარყელი** (kamarkeli); **მეროყრა** (merokra<meore kra – “division for the second time”; **მესამე ყრა** (mesame kra – “division for the third time”); **გალოსთავი** (galostavi < kalos tavi – “the top of a rock”); **ნაონჯვარი** (naonjvari < naomari jvari – “a cross that has been in a battle”)...

2. Foreign (Persian, Turkish, Arabic) words are used as determiners: **ბაყ** (baak, Persian “garden”), **დარეჰ** (dareh “gorge”)... **გოლი** (goli, Turkish “lake”), **თაფე** (tape “hill”)... **მაზრა** (mazra, Arabic “field, grove”), **მაჰალე** (mahale “district”), **ყალყე** (kalkhe, Arabic “castle”), **ყარ** (kar “cave”)...

ბაყე ნესარ (bake nesar – “a shadowy garden”); **დარე სიბჰა** (dare sibha – “apple valley”); **ჩეშმე ბალა** (chemshe bala – “an upper stream”); **ჩეშმე ფაინ** (chemshe pain – “a lower stream”); **თაფე მუში** (tape mushi – “mouse hill”); **მაზრა მიანეჰ** (mazra myaneh – “mid district”); **მაჰალე მიანე** (mahale miane – “mid region”); **ყალყე ბალა** (kalkhe bala – “an upper castle”); **ყალყე ფაინ** (kalkhe pain – “a lower castle”)...

The Afusi dialect contains toponyms with Georgian affixes:

Toponyms with **სა – ე** (sa – e) confix: **სა-ბუქრ-ე** (sa-bukr-e), **სა-თაფლ-ე** (sa-tapl-e – “a place where honey can be found”); **სა-კრ-ე** (sa-kr-e < sakare – “a door bolt”); **სა-ჩოგნ-ე** (sa-chogn-e – “a place for racks”).

Words formed with **ნა – ალ** (na-al) confixes: **ნა-სერ-ალ-ი** (na-ser-al-i – “a former hillock”).

Words formed with **ნა – არ** (na-ar) confixes: **ნა-მახოდვ-არ-ი** (na-makhodv-ar-i).

The Georgian micro toponyms of Afusi are a clear proof that at some time Georgians lived in that place and spoke the Georgian language. Over time, the linguistic situation has changed; In Afus, the Georgian language was replaced by Persian, which was more or less reflected in the geographical names.

ნონა ნიკაბაძე

Nona Nikabadze

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Shota Rustaveli Batumi State University

<https://orcid.org/0000-0002-5520-2860>

სიტყვათა კლების შემთხვევები „ვეფხისტყაოსნის“ თურქულ თარგმანში

Cases of Word Reduction in the Turkish Translation of “The Knight in the Panther’s Skin”

საკვანძო სიტყვები: „ვეფხისტყაოსანი“, თურქული თარგმანი, სიტყვათა კლება, დიგიტალური ხუსთველოლოგია, ნაგუბარი

Keywords: “The Knight in the Panther’s Skin”, Turkish translation, word reduction, digital Rustvelology, nagubari

XII საუკუნის მსოფლმხედველობითი და ესთეტიკური იდეალების მხატვრული რეალიზებით „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედევრია. მხატვრული შემოქმედების დიდი ნიმუში, „ვეფხისტყაოსანი“, დამოუკიდებელ რეალობას, დიდ სააზროვნო სივრცეს ქმნის. აღსანიშნავია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ 58 ენაზე შესრულებული თარგმანი მნიშვნელოვან საკვლევ საკითხს წარმოადგენს სხვადასხვა დისციპლინის ქრილში.

ჩვენი საკვლევი თემა გახლავთ „ვეფხისტყაოსნის“ თურქული თარგმანი, რომელიც 1992 წელს პროფ. ბილალ დინდარის და ასისტ. პროფესორ ზეინელაბიდინ მაქასის მიერაა შესრულებული. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ თურქული თარგმანი აკმედ ჯავადის აზერბაიჯანული თარგმანიდან შესრულდა. ჩვენ დაწვრილებით განვიხილავთ სიტყვათა კლების შემთხვევებს, რომლებიც მთარგმნელს თურქულ თარგმანში არ გადაუტანია. თურქულ ტექსტში თარგმნილი არაა შემდეგი ლექსიკური ერთეულები: ნაგუბარი, წყლული, მუფარახი, მოლიზღარისად, მოსაწევა, გამზრდელი, ნაერთგულევი და სხვ. კვლევის თანამედროვე და კლასიკური მეთოდების გამოყენებით წარმოვადგენთ თითოეული ლექსიკური ერთეულის კრიტიკულ ანალიზს.

ჩვენი მიზანია, ნათელი მოვფინოთ ზემოხსენებული ლექსიკური ერთეულების ურთიერთ-მიმართებებსა და მსგავსება-განსხვავებებს თარგმანსა და ორიგინალ ტექსტებს შორის. შევაფასებთ მთარგმნელების მთარგმნელობით სტრატეგიასა და ეკვივალენტურობის ხარისხს. აღსანიშნავია, რომ მაშინ, როდესაც „ვეფხისტყაოსანი“ დაიწერა, თურქეთში თურქული კლასიკური ლიტერატურა – დივანის ლიტერატურა – განვითარების ზენიტში იყო. საკვლევი სიტყვების შესატყვისებს მოვძებნით თურქულ კლასიკურ ლიტერატურაში, თუ რა სახით შეეძლო მთარგმნელს პოემის თურქულ თარგმანში ამ ლექსიკური ერთეულების გადატანა.

კვლევის მეთოდოლოგიურ ჩარჩოს წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალი ტექსტისა და თურქული თარგმანის კორპუსლინგვისტური ანალიზი. კვლევის პროცესში ვიყენებთ ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის მეთოდს. პოეტური თარგმანების ადეკვატურობის ხარისხის შესაფასებლად კი- რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის მეთოდს.

„ვეფხისტყაოსნის“ თურქულ თარგმანში წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულების (ნაგუბარი, წყლული, მუფარახი, მოლიზღარისად, მოსაწევა, გამზრდელი, ნაერთგულევი) კორპუს-

ლინგვისტური და ლინგვოკულტუროლოგიური კვლევა ხელს შეუწყობს კვლევის ინოვაციური მეთოდების გამოყენებით მნიშვნელოვანი საკითხის ღრმად გააზრებას. კვლევა რელევანტურია როგორც ქართული და თურქული სამეცნიერო სივრცეებისთვის, ისე „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანებით დაინტერესებული პირებისა და მეცნიერებისთვის.

With the artistic realization of the worldview and aesthetic ideals of the 12th century, *The Knight in the Panther's Skin* stands as one of the most important masterpieces of world literature. A remarkable example of artistic creativity, *The Knight in the Panther's Skin* creates an independent reality and vast intellectual space. It is also worth noting that, from the perspectives of various disciplines, the translation of *The Knight in the Panther's Skin* into 58 languages represents an important research topic.

Our research focuses on the Turkish translation of *The Knight in the Panther's Skin*, completed by Prof. Bilal Dindar and Asst. Prof. Zeinelabidin Makassi in 1992. It is important to mention that the Turkish translation was based on the Azerbaijani translation by Ahmed Javad. In this study, we will examine in detail the cases of word omission that the translators did not carry over into the Turkish version. The following lexical units are among those not translated in the Turkish text: ნაგუბარი [Nagubari], წყლული [Tskluli], მუფარახი [Mufarakhi], მოლიზღარისად [Molizgharisad], მოსანევარი [Mosatsevi], გამზრდელი [Gamzrdeli], ნაერთგულევი [Naertgulevi], etc. Using both contemporary and classical research methods, we present a critical analysis of each lexical unit.

Our goal is to highlight the relationships between these lexical units and the similarities and differences between the translation and the original text. We will evaluate the translators' strategies and the degree of equivalence. It is worth noting that when *The Knight in the Panther's Skin* was written, Turkish classical literature – *Diwan* literature – was at its peak in Turkey. We will explore potential equivalents for these empirical words in Turkish classical literature and discuss how the translators might have rendered these lexical units in the Turkish translation of the poem.

The methodological framework of the research includes a corpus-linguistic analysis of the original text and the Turkish translation of *The Knight in the Panther's Skin*. The researcher has also employed the method of linguistic-cultural analysis. To assess the adequacy of poetic translations, both quantitative and qualitative methods of analysis have been used.

A comprehensive corpus-linguistic and linguistic-cultural study of the lexical units presented in the Turkish translation of *The Knight in the Panther's Skin* – such as ნაგუბარი [Nagubari], წყლული [Tskluli], მუფარახი [Mufarakhi], მოლიზღარისად [Molizgharisad], მოსანევარი [Mosatsevi], გამზრდელი [Gamzrdeli], and ნაერთგულევი [Naertgulevi] – will contribute to a deeper understanding of this important issue using innovative research methods. The research is relevant to both Georgian and Turkish scholarly fields, as well as to individuals and scholars interested in translations of *The Knight in the Panther's Skin*.

მარიამ ორკოდაშვილი

Mariam Orkodashvili

ქაიხუდ-ამეიკუდი უნივერსიტეტი
Georgian American University

<https://orcid.org/0000-0002-5493-8489>

რამდენიმე საკითხი ქართულ-ინგლისური ენების შეპირისპირებითი კვლევებიდან

Certain Issues in Georgian-English Comparative Linguistic Analysis

საკვანძო სიტყვები: ლინგვისტური დისტანცია, ენობრივი ოჯახები, მოხფოსინტაქსური სტრუქტურები, შედარებითი ანალიზი

Keywords: Linguistic distance, language families, morphosyntactic structure, comparative analysis

ნაშრომის მიზანია ქართულ-ინგლისური ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური შეპირისპირებითი კვლევის ჩატარება და მიღებული შედეგების პუბლიკაციად გამოცემა.

კვლევა წარმოაჩენს ინდოევროპული (ინგლისური) და ქართველური (ქართული) ენების განმასხვავებელ მახასიათებლებს და განიხილავს, თუ როგორ კოგნიტიურ თავისებურებებს ასახავს ეს ლინგვისტური მახასიათებლები. ლინგვისტური დისტანცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ ენების შეპირისპირებითი ანალიზის დროს. შესაბამისად, მიღებული შედეგები საინტერესო იქნება როგორც კვლევის, ისე სწავლების პროცესისთვის.

ქართველური ენები ახლებურად წარმოაჩენს მრავალ ლინგვისტურ საკითხს, რაც ისტორიული, ევოლუციური და კოგნიტიური სფეროების ინტერესს წარმოადგენს. მრავალ საკითხს შორის ბგერითი სისტემისა და მორფოსინტაქსური სტრუქტურების ევოლუციის პროცესი კოგნიტურ პროცესთან მიმართებით განსაკუთრებით საინტერესოა. მაგალითად, ქართულს ისეთი თავისებური და კომპლექსური ფონოლოგიური და მორფოსინტაქსური სისტემები აქვს, რომ ისინი ხშირად მის სემანტიკურ-პრაგმატულ ჩარჩოსაც განსაზღვრავს.

კვლევა ეყრდნობა შეპირისპირებით-ლინგვისტურ მეთოდოლოგიას, კორპუსისა და დისკურსის ანალიზს. ყველა განხილული ლინგვისტური ერთეული თუ სტრუქტურა ასევე განხილული იქნება პრაგმატულ (ზეგავლენა, დარწმუნება, თხოვნა, მოწოდება) და ფსიქოლინგვისტურ (ენის სწავლა, სწავლება, ათვისება, ნეიროპლასტიკურობაზე ზეგავლენა) ქრილში. იმავდროულად, გათვალისწინებული იქნება ბილინგვური დისკურსები და მათთან დაკავშირებული ენობრივი ინტერფერენციის შემთხვევები.

მონაცემები შეგროვებულია ავთენტიკური მასალიდან: ონლაინრესურსებიდან, აკადემიურ-მეცნიერული, მედიის, მხატვრულ-ლიტერატურული, სასაუბრო ტექსტებიდან და დისკურსებიდან.

სიახლე: თემაში განხილულია ყველა შეპირისპირებითი ანალიზი ლინგვისტური დისტანციის ქრილში.

კვლევის მიმდინარე ეტაპზე გამოკვეთილ შუალედურ შედეგებთან დაკავშირებით შეიძლება, აღინიშნოს: ა) წინდებულები და პრევერბები ქართულსა და ინგლისურში. ქართული პრევერბები დეიქტურ სტრუქტურებად შეიძლება იყოს მოაზრებული იმდენად, რამდენადაც ისინი

მდგომარეობას, მოძრაობას, მიმართულებას, ქმედების შედეგს და ეპისტემური არეალის დეიქტურ ცენტრთან მიმართებას გამოხატავენ. ისინი ყველაზე პროდუქტიული დერივაციული პრეფიქსების მეშვეობით მდიდარი სემანტიკის შემცველ კომპლექსურ ზმნურ სტრუქტურებს ქმნიან. კვლევაში შესწავლილია შესაფერისი ფრაზული ზმნები ინგლისურ ენაში; ბ) ერგატიული სტრუქტურების გამოხატვა ქართულში და მათი შესატყვისი სინტაქსური სტრუქტურების შემუშავება ინგლისურ ენაში აგენტობის შინაარსის გადმოსაცემად; გ) ნეგაციის პოლარულობა და ექოს ფუნქცია. ქართულში უარყოფის ნაწილაკის 'არა/არ' გამოყენების სიხშირე უფრო დიდია, ვიდრე ინგლისურში. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს იმ გარემოებით, რომ ქართულში არა/არ არა მხოლოდ უარყოფის, არამედ ექოს, ემფატიკურობის, ინტენსიფიკაციის და პაუზის შემავსებლის ფუნქციითაც გამოიყენება. გარდა ამისა, რიგ შემთხვევებში, ქართულში ორმაგი უარყოფა გამოიყენება მაშინ, როდესაც ინგლისური ამას შეცდომად მიიჩნევს. ნეგაციის პოლარულობის სხვა საინტერესო შემთხვევებიც იქნება განხილული ქართულისა და ინგლისურის მაგალითებზე. დ) დეიქსისი, რეფერენციალები, ინდექსიკალები და დისკურსის მარკერები. კვლევა განიხილავს ვრცელი დისკურსების მაგალითებს როგორც მეცნიერული, ისე სასაუბრო, სალიტერატურო და მედიის ჟანრებიდან და გააანალიზებს დეიქსისისა და რეფერენციალების მაგალითებს, როგორც ვრცელი დისკურსის ამგებ მარკერებს. განხილული იქნება ქართულ-ინგლისური თავისებურებები; ე) კაუზაციის და კაუზატივების განხილვა. კაუზატიური სტრუქტურების ქართულიდან ინგლისურში გადატანა და ამ მორფოსინტაქსური სტრუქტურის მეშვეობით ისეთი სემანტიკურ-პრაგმატული შინაარსობრივი ელფერის გამოხატვა, როგორიცაა: ძალდატანება, იძულება, ძალაუფლების მინიჭება, ნებელობა, უნებლიე ქმედება და ქმედების გაუთვალისწინებელი შედეგის მიღება. იქნება განხილული კაუზატიური სტრუქტურების გამოყენების სიხშირის კორპუსის კვლევა. კაუზაცია ხშირად ლატენტურ, ფარულ, უხილავ სურვილებს და განზრახვებს გამოხატავს, რომლებიც გარკვეული შედეგის დადგომაზე ფარულად, უხილავად, არაპირდაპირ მოქმედებენ (შემომესწავლა). თავისუფალი ნების, დაძალებისა და ნებელობის გამოხატვის კოგნიტიური ასპექტები და მათი ლინგვისტურ სტრუქტურებში ასახვა; ვ) პაუზის შემავსებლები; მონაცემთა შეგროვება და შეპირისპირებითი ანალიზი; ნაწილაკებისა და შორისდებულების ფუნქციები, როლები და ტიპები ინგლისურსა და ქართულში. პაუზის შემავსებლების კოგნიტურ-პრაგმატული ასპექტები.

Goals of the Paper: The aim of this research is to conduct a comparative linguistic and extralinguistic analysis of English and Georgian and to publish the findings. The study intends to offer a unique perspective on comparing the morphosyntactic variations of Indo-European (e.g., English) and Kartvelian (e.g., Georgian) languages, and how these variations reflect the idiosyncrasies of human cognition. The linguistic distance between these language families is significant, which makes the comparison interesting both for research and teaching purposes.

Kartvelian languages shed new light on a variety of linguistic issues, particularly from historical, evolutionary, and cognitive perspectives, such as the evolution of sound systems and morphosyntactic structures alongside cognitive evolution. For example, it is well-known that Georgian, as a Caucasian language, has a complex and unique phonological and morphosyntactic system that shapes its distinctive semantic-pragmatic framework.

Methodology: The study employs comparative, contrastive, typological, corpus analysis, and discourse analysis methods.

All analyzed linguistic units or structures will be considered within the frameworks of pragmatics (e.g., influence, assurance, request, appeal) and psycholinguistics (e.g., language acquisition, teaching/learning, and its influence on neuroplasticity). Additionally, bilingual discourses and language interference cases will be examined.

Data: The corpus has been compiled from authentic materials, including online resources, academic-scientific texts, media, literary works, and colloquial discourses.

Novelty: The study takes linguistic distance into account in all aspects of comparative analysis.

Tentative Results: The study analyzes the following issues: a) Prepositions and preverbs in Georgian and English: Georgian preverbs function as deictic expressions, locating states of affairs, movement, direction, results of actions, or destinations in specific epistemic regions relative to the deictic center. They are highly productive derivational prefixes that form complex verbal structures with rich semantics. The research will investigate corresponding English phrasal verbs. b) Expression of ergative structures in Georgian: The study will elaborate on corresponding syntactic structures in English to convey the meaning of agency, focusing on how ergativity is expressed in Georgian compared to English. c) Negative polarity and echoic usage of negation: Georgian uses negative constructs more frequently than English. The negative particle *no/not* (*ara/ar* [არა/არ] in Georgian) is employed not only for negation but also for echoic, emphatic, emotive, and gap-filling purposes. Georgian often uses double negatives in contexts where English considers them unacceptable. The study will explore other noteworthy cases of negative polarity in both languages through illustrative examples. d) Deixis, referentials, indexicals, and discourse markers: The research will analyze longer discourses from scientific, colloquial, literary, and media genres, focusing on deictic and referential markers as discourse-building tools. Idiosyncrasies between Georgian and English will be highlighted. e) Understanding causation and causatives: The study will explore how causative structures are transferred from Georgian to English and how various semantic-pragmatic shades of meaning – such as imposition, empowerment, voluntary actions, involuntary actions, and unexpected outcomes – are expressed. Additionally, the usage frequencies of causative structures will be studied, and a corpus will be compiled. Causatives often express hidden desires and intentions that indirectly influence outcomes. The cognitive aspects of free will, causation, imposition, and volition and their reflection in linguistic structures will also be examined. f) Gap-fillers: The research will conduct data collection and comparative analysis of the functions, roles, and types of particles and interjections in Georgian and English, with a focus on the cognitive and pragmatic aspects of gap fillers.

მაურიციო პეტროჩი

Maurizio Petrocchi

მაჩეჩაგას უნივერსიტეტი

Università di Macerata

<https://orcid.org/0000-0003-0493-6503>

დებინფორმაცია და ტყუილი: თანამედროვე მსოფლიოს ანტიკური იარაღი

Disinformation and Deception: An Ancient Weapon in a Modern World

საკვანძო სიტყვები: დებინფორმაცია, ტყუილი, პროპაგანდა

Keywords: disinformation, deception, propaganda

Throughout human history, disinformation has emerged as a potent force, profoundly shaping the course of civilizations, wars, and individual destinies. This scholarly examination analyzes four seminal instances wherein deception fundamentally altered the trajectory of crucial historical events: the betrayal of Judas during the Passion of Christ, the stratagem of the Trojan horse in the siege of Troy, Operation Mincemeat during World War II, and the intricate propaganda mechanisms deployed throughout the Cold War era.

The Judas Iscariot narrative, meticulously documented in biblical texts, serves as a paradigmatic example of betrayal's capacity to subvert established social and religious structures. This incident provides fertile ground for an analysis of the intersection between personal avarice and the manipulation of trust within close-knit communities. Judas' actions, culminating in the arrest and execution of Jesus Christ, offer insight into the complex motivations underlying acts of treachery and their far-reaching consequences on theological and historical narratives.

The legendary Trojan horse, immortalized in classical literature, represents a watershed moment in the evolution of military deception. This event merits rigorous examination not merely as a mythological construct, but as an archetypal model of strategic subterfuge that continues to influence modern military and political thought. The success of this ruse demonstrates the potential for carefully crafted deception to overcome seemingly insurmountable defensive positions, both in literal and metaphorical contexts.

Operation Mincemeat, orchestrated by British intelligence during World War II, stands as a testament to the sophistication of 20th-century disinformation tactics. This operation warrants in-depth analysis for its multifaceted approach to deception, incorporating elements of psychological warfare, document forgery, and strategic misdirection. The success of this endeavor in misleading Axis powers provides valuable insights into the exploitation of cognitive biases and the manipulation of enemy intelligence apparatus.

The propaganda strategies employed during the Cold War era represent the culmination of centuries of refinement in the art of mass deception. This period saw the systematic application of disinformation on an unprecedented scale, utilizing emerging media technologies to shape public opinion and influence geo-political outcomes. A thorough examination of these tactics offers crucial understanding of the evolving nature of information warfare in the modern age.

These case studies, spanning diverse historical epochs, collectively illuminate the pervasive influence of disinformation on human affairs. They underscore the necessity for a nuanced understanding of the psy-

chological, sociological, and technological factors that contribute to the efficacy of deceptive practices. In an era characterized by information ubiquity and the rapid dissemination of both factual and fictitious content, the lessons derived from these historical precedents take on renewed significance.

This academic inquiry into historical instances of disinformation offers a critical framework for understanding the enduring power of strategic deception. It underscores the imperative for fostering critical thinking and media literacy as essential bulwarks against manipulation. Only through a judicious synthesis of historical knowledge and contemporary vigilance can societies hope to navigate the complex informational landscape of the modern world effectively.

სოფია რიბალჩენკო & ნიკლას ქრისტი

Sophia Rybalchenko & Niklas Christ

მაინის ფილანკფუხტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტი
Goethe University, Frankfurt am Main

აბრუპტივთა ჯგუფის გამარტივების სტრატეგიები ქართულში (ექსპერიმენტული ფონეტიკური კვლევის პირველადი შედეგები)

Reduction Strategies of Ejective Stop Clusters in Georgian

საკვანძო სიტყვები: ფონეტიკა, ქართული ენა, აბრუპტივთა ჯგუფები, ექსპერიმენტული ფონეტიკა

Keywords: phonetics, georgian language, ejective stop clusters, experimental phonetics

ადამიანთა მეტყველების პროცესში რთული თანხმოვნური ჯგუფების წარმოქმნის შემთხვევაში ხშირად აღინიშნება არტიკულაციის გამარტივების ტენდენცია. ქართული ენა ცნობილია თანხმოვანთა ჯგუფების სიმდიდრითა და აბრუპტივთა მრავალფეროვნებით როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი თვალსაზრისით. ეს უკანასკნელნი ხშულობის გამო ანატომიურად უფრო რთულად იწარმოებიან არტიკულაციის დროს, ვიდრე ნაპრალოვანი თანხმოვნები.

ჩვენს ემპირიულ კვლევაში, რომელიც რამდენიმე თვის წინ ჩავატარეთ ხიხანის საზაფხულო სკოლის პროგრამის ფარგლებში (ფრანკფურტის უნივერსიტეტისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტი), შევეცადეთ, დაგვედგინა ქართულ ენაში ბინარულ აბრუპტივ თანხმოვანთა ჯგუფის წარმოების ფონეტიკური მახასიათებლები და გამოგვეკვთა აღნიშნულ თანხმოვანთა ჯგუფის გამარტივების სტრატეგიები.

კვლევის შედეგები ემყარება ქართულენოვან ცდისპირთა მიერ წაკითხული ტექსტების ფონეტიკურ ანალიზს.

ამ კვლევისთვის შერჩეულ იქნა თორმეტი პირი, რომლებიც კითხულობდნენ საგანგებოდ ამ ექსპერიმენტისათვის მომზადებულ ტექსტს მოკლე ქართული წინადადებებით, რომლებიც შეიცავდნენ აბრუპტივ თანხმოვნებს. ამასთან, შერჩეული იყო ბილაბიალური, დენტალური და ველარული აბრუპტივების ყველა შესაძლო კომბინაცია პტ, პკ, ტპ, ტკ, კპ, კტ [p't' p'k' t'p' t'k' k'p' k't']. ამ კვლევაში მიზანმიმართულად გამორიცხული იყო აფრიკატები და უვულარული აბრუპტივი თანხმოვნები, გამარტივების სტრატეგიების შესაძლო სხვაობის გამო.

ანალიზის დროს ყურადღება, ძირითადად, ექცეოდა ინტონაციის შეფერხებას, სკდომის ინტენსივობას, შესაძლო ასპირაციას და ხმის ხანგრძლივობას მთლიანობაში.

როგორც ექსპერიმენტის ფონეტიკურმა ანალიზმა გვიჩვენა, უმეტეს შემთხვევაში თანხმოვანთა ჯგუფის საწყისი კომპონენტი იყო გამარტივებული, რაც შეეხება საბოლოო კომპონენტს, გამარტივება მხოლოდ შემთხვევების ნახევარზე ნაკლებ მაგალითებში დადასტურდა, რაც დადასტურებს შემცირების ჰიპოთეზას. ამასთან, შემცირების ფორმებს მიეკუთვნება დეგლოტალიზაცია, გლოტალიზაცია, როგორც მეორეული არტიკულაცია, ასპირაცია, ელიზია, ხმოვანთა ჩასმა, აფრიკატიზაცია, წნევის მატება და გაურკვეველი, არაიდენტიფიცირებადი ხმაური.

ექსპერიმენტმა გამოავლინა აბრუპტიულ თანხმოვანთა ჯგუფის გამარტივების შემთხვევები საწყის ან ბოლო პოზიციაში, თუმცა გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც გამარტივება ორივე პოზიციაში ერთდროულად დადასტურდა.

In spoken language, people tend to simplify complex sequences. The Georgian language is renowned for its richness in consonant clusters and its variety of ejective stops, the latter of which are anatomically more laborious to articulate compared to pulmonic consonants due to their additional glottal character. In this empirical study, we examine binary ejective consonant clusters in Georgian and how they are produced, with the expectation of observing different reduction strategies. The results were extracted from a phonetic analysis of read texts by native Georgian speakers.

For this study, twelve speakers were recorded reading a prepared text with short Georgian sentences containing ejective stop clusters. The focus was on bilabial, dental, and velar ejective stops in every possible combination: [p't, p'k, t'p, t'k, k'p, k't]. Affricate ejectives and the uvular ejective consonant were purposely excluded from the study due to their numerous allophones, one of which is an affricate ejective, as reduction strategies for these may differ. The analysis primarily focused on observing voicing lag after the burst, intensity at burst time, possible aspiration, and overall voice onset time.

In the majority of cases, the initial component of the cluster underwent reduction, while the final component was reduced in fewer than half of the cases, confirming the hypothesis that reduction occurs. Forms of reduction included deglottalization, glottalization as secondary articulation, aspiration, elision, vowel insertion, affrication, pressure increase, and non-audible releases. Some reduction forms were limited to either the initial or the final consonant in the cluster, while others were observed in both positions.

ნინო საბაძე
Nino Sabadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 Ivane Javakhishvili Tbilisi State University
<https://orcid.org/0009-0005-0760-9294>

ფოლკლორული მოტივების ძიება ჯემალ ქარჩხაძის „მდგმურის“ მიხედვით
Searching for Folklore Motifs According to Jemal Karchkhadze's "Tenant"

საკვანძო სიტყვები: მდგმური, ღვინა, ქაჩხაძე, ზღაპარი, გზაჯვარედინი
Keywords: tenant, witch, Karchkhadze, fairy tale, crossroad

ჯ. ქარჩხაძის შემოქმედება ფოლკლორული მოტივებითაა სავსე, ამის დასტურია მისი არაერთი ნაწარმოები, ხშირად გმირები მის შემოქმედებაში ზღაპრის გმირის მსგავს გზას გადიან და ამ გზაზე უამრავ დაბრკოლებას აწყდებიან. ისინი ხშირად ხვდებიან გზაჯვარედინებზე, როცა არ იციან, თუ როგორ გააგრძელონ გზა, მაგრამ ზღაპრის გმირისაგან განსხვავებით, ცხოვრებისეულ გზაჯვარედინებს მინიშნებები არ აქვთ, რაც აბნევთ, მაგრამ გზას აგრძელებენ საბოლოო შედეგის მოლოდინში.

„მდგმურის“ მთავარი პერსონაჟი მრავალჯერ დადგება გზაჯვარედინზე, სადაც ისეთ მინიშნებებსა და სიმბოლოებს აწყდება, რომელთა სწორად წაკითხვა, წესით, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში უნდა დაეხმაროს, თუმცა საკვანძო მომენტებში ის ვერც კი ხვდება, რომ ეს მისი ცხოვრების მთავარი გზაგასაყარია. თითქოს მხოლოდ ერთი წამიც კი საკმარისია ცხოვრების სრული კურსის შესაცვლელად, მაგრამ გაუაზრებელი ნაბიჯები კიდევ უფრო ურთულეს მას სამომავლო გზას.

შეიძლება მივიჩნიოთ, რომ „მდგმურის“ მთავარი პერსონაჟი ზღაპრის გმირის მსგავს გზას გადის. ეს მსგავსება იმითაც გამოიხატება, რომ ზღაპრის გმირსა და მდგმურის მთავარ პერსონაჟსაც სახელი არ აქვთ. ამასთან გზა, რომელსაც ისინი გადიან, ყველასთვის საერთოა.

მაკა ნაწარმოებში ხშირად არის მოხსენიებული მზესთან კავშირში. თავად მთავარი გმირიც კი ხშირად ადარებს მას მზეს ან მზის სხივს. სავარაუდოა, რომ მაკა ზღაპრის მზეთუნახავის პროტოტიპია. მაკაც მთავარი გმირისგან ელის ნაბიჯის გადადგმას, ის ეხმარება გმირს სწორი არჩევანის გაკეთებაში, მაგრამ იქამდე, სანამ გმირი საცოლეს მოიპოვებს, მან ბევრი გარდატეხა უნდა გაიაროს, მათ შორის, ცხოვრების ყველაზე რთული და გამომწვევებით სავსე გზაჯვარედინი, დაამარცხოვს ყველა ბოროტი არსება და მხოლოდ ამის შემდეგ ახერხებს, რომ იქორწინოს მზეთუნახავზე. „მდგმურის“ პერსონაჟი ხვდება, რომ მაკა მის ცხოვრებაში სინათლე და მზის სხივია, ცდილობს გაიგნოს მისკენ სავალი გზა, თუმცა მის შენარჩუნებას ვერ ახერხებს, რადგანაც მის ცხოვრებაში გამოჩენილ სიბნელესა და ბოროტ არსებებს ვერაფრით სძლია.

„მდგმურის“ დეიდა მარიამი შეიძლება ზღაპრის კუდიან დედაბერს შევადაროთ. დეიდა მარიამიც, კუდიანი დედაბრის მსგავსად, აღჭურვილია ყველა იმ თვისებითა თუ მახასიათებლით, რომლებითაც ზღაპარში კუდიანი დედაბერი გვხვდება. მას გმირის აზრების წაკითხვა შეუძლია, მან მისი სახელი იქამდე იცის, ვიდრე გმირი თავს წარუდგენს. ის ხშირად არის ცოცხიან ქალებთან, რასაც, თუნდაც ასოციაციურად, აუცილებლად მივყავართ ზღაპრის კუდიან დედაბერთან. ასევე

სავარაუდოა, რომ, კუდიანი დედაბრის მსგავსად, დედა მარიამი სახეს იცვლის და ნაწარმოების გარკვეულ მონაკვეთში ირინას სახით წარმოგვიდგება. თუ კუდიანი დედაბრის მახასიათებლებს დანვრელებით გავეცნობით, ცხადი გახდება, რომ ესეც მათი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახასიათო თვისებაა. მსგავსი შემთხვევები ასახულია არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო ზღაპრებში, ამისათვის საკმარისია გავიხსენოთ ძმები გრიმების ზღაპარი „ფიფქია“, რომელშიც კუდიან დედაბრად გადაქცეული დედინაცვალი ადვილად ატყუებს და წამლავს გერს. დეიდა მარიამის სახეცვლილების მიზეზიც სწორედ ის იყო, რომ თავიდან მოეშორებინა მაკა, რომელიც მის ინტერესებს ეღობებოდა. კუდიანი დედაბრის სახე არა მხოლოდ ზღაპრებში, არამედ ბალადებშიც და სხვადასხვა ფოლკლორულ გადმოცემაშიც გვხვდება. მაგალითისთვის შეგვიძლია გავიხსენოთ „თავფარავნელი ჭაბუკი“, სადაც ავსული დედაბერი შეყვარებულების მოწინააღმდეგეა და ყველანაირი გზით ცდილობს, ავნოს მათ. კიდევ ერთი ფაქტი, რის გამოც შეიძლება დეიდა მარიამი კუდიან დედაბრად და სახეცვლილ ირინედ დავინახოთ, არის ის, რომ ისინი თანადროულად არასოდეს ჩანან ნაწარმოებში, შესაბამისად, საგულისხმოა, რომ, კუდიანი დედაბრების მსგავსად, დეიდა მარიამსაც გააჩნდა მაქციობის უნარი.

ჯადოსნურ ზღაპრებში, ძირითადად, წარმოდგენილია კეთილისა და ბოროტის ბრძოლა, სადაც ყოველთვის კეთილი ძალა იმარჯვებს. მართალია, გამარჯვებამდე სავალი გზა რთული და საკმაოდ ძნელია, თუმცა საბოლოოდ სიკეთე იმარჯვებს და ეს ყველაზე დიდი გამარჯვებაა. „მდგმურის“ პერსონაჟიც კეთილსა და ბოროტ ძალას შორის დაუღალავად იბრძვის. მართალია, მან არ იცის, რომ, ზღაპრის გმირის მსგავსად, ათასგვარ დაბრკოლებას, გზაჯვარედინსა თუ ბოროტ ძალას აწყდება, მხოლოდ იმისათვის, რომ საბოლოოდ გაიმარჯვოს, გაიზარდოს და ინიციაციის გზა გაიაროს, რომელსაც დიდი ტრანსფორმაციებისა და გარდატეხების მეშვეობით მიჰყავს გმირი განვითარებამდე.

აღსანიშნავია, რომ, ზღაპრისაგან განსხვავებით, ცხოვრებისეულ გზაჯვარედინებს მინიშნებები არ აქვთ, ისევე როგორც ზღაპრისაგან განსხვავებით, რეალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი არა გამარჯვება, არამედ განვითარება და ზრდაა.

J. Karchkhadze's work is rich in folklore motifs, as demonstrated in many of his writings. Often, the characters in his stories embark on a journey similar to that of a fairy-tale hero, confronting numerous obstacles along the way. These characters frequently find themselves at crossroads, uncertain of how to proceed. However, unlike the traditional fairy-tale hero, the life crossroads in Karchkhadze's work offer no clear clues, leaving the characters to continue on their way, unsure of the outcome but hoping for a final resolution.

The protagonist of *Tenant* (Mdgmmuri) repeatedly encounters such crossroads, where symbols and signs appear that should guide him in making crucial decisions. Yet, during these pivotal moments, he remains unaware that they represent the defining moments of his life. It seems that even fleeting events can alter the entire course of one's existence, yet the wrong choices make the future path even more difficult.

The protagonist's journey in *Tenant* mirrors that of a fairy-tale hero, a connection further emphasized by the fact that neither the fairy-tale hero nor the protagonist of *Tenant* is named. Their paths are universal, symbolizing the experiences shared by all who face life's challenges.

Maka, a central figure in the narrative, is often associated with the sun. The protagonist is also compared to the sun or a ray of sunshine. Maka embodies the archetypal fairy-tale beauty, waiting for the protagonist to take action and guide him toward the right choices. However, just as the fairy-tale hero must overcome numerous trials before claiming his bride, the protagonist must face the most challenging crossroads of his life and defeat the malevolent forces that stand in his way. Only then can he earn the right to be with his beloved. In *Tenant*, the protagonist views Maka as the light in his life and strives to reach her. However, he ultimately fails to hold onto her, as he is unable to conquer the darkness and evil that surrounds him.

Aunt Mariam in *Tenant* resembles the archetypal wise old woman from fairy tales. Like her traditional counterpart, Aunt Mariam possesses knowledge and insight, knowing the protagonist's thoughts and even his name before he introduces himself. She is often surrounded by women with brooms, evoking imagery of the Fairy-Tale Old Woman. There is also a suggestion that Aunt Mariam may transform into Irina at certain points in the story, a characteristic commonly seen in folklore. Transformation is a key trait of the fairy-tale old woman, as evidenced in tales like the Brothers Grimm's *Snow White*, where the stepmother disguises herself as an old woman to deceive the heroine. Aunt Mariam's transformation appears to be motivated by her desire to eliminate Maka, who stands in the way of her interests. This shape-shifting ability, typical of the Fairy-Tale Old Woman, is a recurring motif in both Georgian and global folklore.

Fairy tales often depict the eternal struggle between good and evil, with good ultimately triumphing after a long and difficult journey. The protagonist of *Tenant* similarly faces a relentless battle between the forces of good and evil. Although he may not fully realize it, he is like the fairy-tale hero who must confront numerous obstacles, crossroads, and malevolent forces as he seeks growth and transformation. His journey represents the path of initiation, a common theme in magical tales, where through great trials and transformations, the hero evolves.

However, it is important to note that, unlike in fairy tales, life's crossroads offer no clear clues. While fairy-tale heroes are often rewarded with victory, in real life, as depicted in *Tenant*, it is not the outcome that matters most, but the personal development and growth experienced along the way.

ირინე საგანელიძე

Irine Saganelidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

<https://orcid.org/0009-0003-3515-6881>

მოდერნიზმი საქართველოში – კულტურის პოლიტიკის ორგანული სეგმენტი

Modernism in Georgia – an Organic Segment of the Culture Policy

საკვანძო სიტყვები: მოდერნიზმი, კულტურა, პოლიტიკა

Keywords: modernism, culture, policy

ქართული მოდერნიზმი, რომლისთვისაც ჯერ კიდევ XIX ს.-ის 80/90-იან წლებში მზადდება ნიადაგი, უკვე XX ს.-ის დასაწყისში მნიშვნელოვან განაცხადს აკეთებს არტსცენაზე, მოგვიანებით კი, ათწლეულების განმავლობაში, ეროვნული კულტურის ერთ-ერთ განმსაზღვრელ მდგენელადაც იქცევა. ის ყველაზე ცხადად გამოხატავს კატაკლიზმებით აღსავსე ამ ისტორიულ მონაკვეთებში ამ სახის ხელოვნების ხასიათს, მის თავისებურ დრამატურგიასა და სწრაფცვალებად მხატვრულ ტენდენციებს. იმავდროულად, ის სოციალურ-პოლიტიკური ფენომენიცაა – კულტურის პოლიტიკის ორგანული სეგმენტი, ასევე მულტიკულტურიზმის ერთ-ერთი თავისებური გამოვლინება.

ამ ზოგადი და წინასწარი შეფასებიდან გამომდინარე, კვლევის უმთავრეს მიზნად განისაზღვრა 1900-1936-იანი წლების საქართველოში მოდერნისტული კულტურული პროცესებისა და მისი თანამდევითუგარკვეულადგანმაპირობებელი ისტორიულ-პოლიტიკური და კულტურული ვითარების, ასევე კულტურის თანადროული პოლიტიკის კომპლექსური კვლევა. ამისათვის საქართველოსა თუ უცხოეთში მოღვაწე ქართველი და არაქართველი მოდერნისტი მხატვრების, მწერლების, რეჟისორების, მათი ცხოვრებისა და ნამუშევრების ისტორიული რეკონსტრუირების, ანალიზისა და სინთეზის მეთოდების მეშვეობით შეფასების გზით, ასევე ამ საკვლევი ობიექტების კომპლექსური და რთული ხასიათის გათვალისწინებით, ერთი მხრივ, გავაანალიზე ქართული მოდერნიზმის საუკეთესო შემოქმედებითი პროდუქცია, სახეზეა შემოქმედებითი გავლენები, კულტურული კონტაქტები, მეორე მხრივ კი, შევეცადე, არგუმენტირებულად გამომეკვეთა ამ სახელოვნებო-კულტურული ნიმუშების სტილური ინოვაციები, ასევე ნებისთნეულ უნებლიეთ მათში აღბეჭდილი კულტურული მრავალფეროვნება და თანადროული კულტურის ეთნოპოლიტიკა. ჩემთვის საინტერესო ცალკეული არტისტის ნამუშევართა მხატვრულ-შემეცნებითი ანალიზის პარალელურად, წარმოვადგინე მსოფლიოში, მათ შორის, უპირველესად, საქართველოში თანადროული ისტორიული მოვლენებისა და მასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი სახელოვნებო პროცესების, განსაკუთრებით, მოდერნისტული კულტურული აზროვნების გამომწვევი სოციოპოლიტიკური ფაქტორები. შედეგად, ქართული მოდერნიზმი არგუმენტირებულად წარმოვაჩინე, როგორც სოციალური დატვირთვის მქონე კულტურის პოლიტიკის ნაწილი, რაც მეცნიერული სიახლეა.

გარდა ისტორიული კონტექსტისა, ქართული მოდერნიზმი განვიხილე როგორც თანამედროვე, ნოვატორული მხატვრული მიმდინარეობა, რომელიც შინაარსითა და ფორმით ევროპული კულტურული ღირებულებების გამომხატველია, დღეს კი ევროპასთან ინტეგრაციის, ქართული

კულტურის პოპულარიზაციისა და საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების გასაპოტარებლად ჩვენი ქვეყნის პოზიციონირებისათვის ის დიდი შესაძლებლობაცაა, რამეთუ კულტურული დიპლომატია, ე. წ. რბილი ძალა ქართული მოდერნიზმის მეშვეობით საშუალებას აძლევს ჩვენს ქვეყანას, მსოფლიო ასპარეზზე თავი წარმოაჩინოს არა მხოლოდ აზიისა და ევროპის გადაკვეთის არეალში მდებარე თვითმყოფადი კულტურის მქონე ქვეყანამ, არამედ როგორც ევროპული ოჯახის, ევროპული კულტურული ცივილიზაციის ნაწილმაც. ამიტომ ქართული კულტურული მემკვიდრეობის ორგანული მდგენელი – მოდერნიზმი – საინტერესოა მსოფლიოსთვის. ეს კიდევ ერთხელ ცხადყო უკანასკნელ პერიოდში გამართულმა სხვადასხვა ღონისძიებამ – გამოფენებმა უცხოეთის ცნობილ მუზეუმებში, მონაწილეობამ საერთაშორისო ფესტივალებში, რაც ჩვენს ქვეყანას ევროინტეგრაციის გზაზე ღირსეულად წარმოაჩენს.

Georgian modernism, which began to take shape in the 1880s-90s and fully emerged in the early 20th century, became a defining element of national culture over the following decades. It clearly reflects the nature of this type of art, its unique creative energy, and the rapidly changing artistic trends during a period marked by significant upheaval. Georgian modernism is not just an artistic movement but also a socio-political phenomenon – an integral part of cultural policy and a manifestation of multiculturalism.

Based on this broad and initial assessment, the main objective of my research was to conduct a comprehensive study of the modernist cultural processes in Georgia from 1900 to 1936, including the historical, political, and cultural contexts that influenced and shaped these processes, and to consider contemporary cultural policy in this light. For this purpose, I analyzed the most significant creative outputs of Georgian modernism by evaluating the works and lives of both Georgian and non-Georgian modernist artists, writers, and directors, using methods of historical reconstruction, analysis, and synthesis.

Given the complexity of the research, I focused on the creative influences, cultural exchanges, and stylistic innovations present in these works, as well as the cultural diversity and ethno-politics of the time that were reflected in them, either deliberately or incidentally. Alongside the artistic and cognitive analysis of individual works, I also addressed the socio-political factors that led to significant historical events and influenced diverse artistic processes, particularly modernist cultural thought, both globally and in Georgia. As a result, I presented Georgian modernism as a component of cultural policy with social implications, marking a scientific innovation in its interpretation.

In addition to the historical context, I approached Georgian modernism as a contemporary and innovative artistic movement that embodied European cultural values in both content and form. This perspective offers a significant opportunity for positioning Georgia on the path to European integration, promoting Georgian culture, and fostering international cultural relations. Through cultural diplomacy and “soft power,” Georgian modernism allows the country to present itself on the global stage not only as an independent cultural entity situated at the crossroads of Asia and Europe but also as part of the European cultural family, civilization, and values.

This relevance of Georgian modernism to foreign audiences has been demonstrated in recent years through numerous events – exhibitions in prominent international museums and participation in global festivals – that have showcased Georgia’s cultural heritage in a dignified manner as the country continues its journey toward European integration.

მარი სიმონიშვილი

Mari Simonishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

<https://orcid.org/0000-0003-4866-8870>

გივი მარგველაშვილის სასიცოცხლო სივრცე – კაპიტან ვაკუშის ლოდინის ციხე-კოშკი

“The Vital Space of Givi Margvelashvili: Captain Vakush’s Tower of Waiting”

საკვანძო სიტყვები: კაპიტანი ვაკუში, გოგადიგაჩიზში, მამასახლისი, სამკვიდრო, მეწინავენი, „ის-მიჰი“

Keywords: Captain Vakush, totalitarianism, father, inheritance, advanced, “Is-Mih”

გივი მარგველაშვილის თამაში დროსთან საინტერესოა იმ დისკურსის წარმოსაჩენად, რომელიც თავის თავში მოლოდინის ციხე-კოშკის არსებობას ამართლებს. აღნიშნული ციხე-კოშკები კი ჰაერშია გამოკიდებული (ალბათ, ყველას უნებლიეთ გაგვახსენდება ცნობილი გამოთქმა ზუსტად ამ სიტყვათაწყობით, რაც უსასრულო, განუზომელი მოლოდინისა და უპერსპექტივო დასასრულის ასოციაციას აღძრავს, ხაზგასმა ჩემია მ.ს.). „პირველი, რაც ამ ცქნაფებმა ჰაეროვანი კოშკის შესახებ აღიქვეს, ზღვის დონიდან მისი უჩვეულოდ მაღალი მდებარეობა იყო“ (მარგველაშვილი 2005:26). დროის ფილოსოფიური კატეგორიის თავისებური გადააზრების გარდა, გივი მარგველაშვილი თხოვრებას წარმართავს სხვა რეალობაში, სივრცეში, რომელიც მოშორებულია დედამიწას და რომლიდანაც დაშვებას იშვიათად თუ ახერხებენ ადამიანები.

გივი მარგველაშვილის „ჰაეროვანი კოშკის მდგმურებს ასევე თავი შორს ეჭირათ დიქსილენდისგან. ჩარლსტონ-ბოსტონისა მათ ერთი პაც არ იცოდნენ და ერთ დიქსილენდელსაც კი არ იცნობდნენ“ (მარგველაშვილი 2005:27). საინტერესოა, რომ კოშკში მცხოვრებლებს ავტორი მდგმურებს უწოდებს, თითქოსდა ამით მიანიშნებს მათ დროებით ყოფაზე; წერს კიდევ, რომ „ცქნაფებს უკვე ძალიან ადრე თავი ჰაეროვანი კოშკის ტუსაღებად ესახებოდათ... ყოველი ახალი გოგლიმოგლის წლის დადგომისას ჰაეროვანი კოშკები კიდევ უფრო სწყდებოდნენ დედამიწას და შესაბამისად თავის გადასარჩენი თოკებისა თუ თოკის კიბეების ფაბრიცირება ძნელდებოდა“ (მარგველაშვილი 2005:26). მწერალი ამით ხაზს უსვამს რეჟიმების კიდევ უფრო გამოკვეთილ რეპრესიულ პოლიტიკას და ადამიანების შიშს, რომ გაექცნენ ძალმომრეობას.

ყოველი ახალი გოგლიმოგლის წელი კიდევ უფრო აშორებდა ადამიანებს თავისუფლების ნანატრ ნავსაყუდელს. საჰაერო კოშკებს შეხიზნულები ვერ უძლებდნენ „შემთხვევითი ქარების“ (რეპრესიების, ხაზგასმა ჩემია მ.ს.) წამობერვას და ნელ-ნელა იწყებდნენ მიწაზე დაშვებას. მწერალი ტრაგიკულად აღწერს საკუთარი ოჯახის „კოშკის ჩამონგრევის“ ამბავს. ახალი გოგლიმოგლის წელი უშუალო გამომდინარეობა იყო წინამავალის, წარსული ერთიანად ცვლიდა ანმყოსა და მომავალს, ერთიანად აცამტვერებდა ადამიანების ოცნებას მშვიდ ცხოვრებაზე. „დედას ცხოვრება სურდა ჰაერში ნანაობის ნაცვლად, მამას კი პირიქით, ჰაერში ლივლივი ერჩივნა გოგლიმოგლში, განსაკუთრებით კი ნომერ 27-ში ცხოვრებას. ჰაეროვანი კოშკი შლეგურ ზიგზაგებს აკეთებდა: როდესაც დედას ჩაუვარდებოდა საჭე ხელში, ვისაც რაღაც უნდა დასჯდომოდა, გოგლიმოგლი 17-ის

მიუხედავად, შინ (ჩამორთმეულ სახლში) დაბრუნება ენატრებოდა, მარცხნივ აბრუნებდა მას, ხოლო მამას, ვისაც გოგლიმოგლი 17-ი იქ დასაბრუნებლად ძალზე საჭოჭმანოდ მიაჩნდა, მაშინ – მარჯვნივ“ (მარგველაშვილი 2005:28). ამით ავტორი ხაზს უსვამს ნოსტალგიის სიმძაფრეს, რასაც დედის, მარიამ ხეჩნაშვილის, სიცოცხლე ეწირება – „ქალს გაზის ონკანი ჰქონდა და როცა დრო იპოვა, როცა სახლში მართომ დაიგულა თავი, გააღო, კარ-ფანჯრები კი სულ ერთიანად დაკეტა“ (მარგველაშვილი 2005:29).

ცხადია, დიქტატურის რეპრესიული პოლიტიკა უარყოფითად აისახება ადამიანებზე, განსხვავებული ღირებულებების მქონე ვერ უძლებენ წნეხს და მუდმივად კონტროლირებად გარემოში არსებობა უკვე შეუძლებელი ხდება. სივრცის კატეგორიის ამგვარი წარმოჩენით გივი მარგველაშვილს, ალბათ, იმის თქმა სურს, რომ შიშის ფენომენს ვერ ლახავს მიწისგან მოშორება, იდეოლოგიური წნეხისგან ვერ თავისუფლდებიან ადამიანები და ინდივიდუალური ტრავმა უკვე კოლექტიურ ხასიათს იღებს.

ტექსტში კოდირებულია თითქმის ყველაფერი. ოჯახური ტრაგედიის გადმოცემას თან ერთვის ასევე იმ სულიერი შემოსაზღვრულობის ჩვენება, რასაც ობლად დარჩენილი ბიჭი ჰაერში გამოკიდებულ კოშკში განიცდიდა. მას გერმანელი ძიძები ზრდიდნენ, „ცქნაფმა მშობლების ენა არ იცოდა. ლინგვისტურად მშობლიური სახლიდან სავსებით ამოვარდნილი იყო... პატარებს (გივის და მის დას) სახლში ყურადღება და მზრუნველობა თითქოს არ აკლდათ, სულ უფრო და უფრო ხშირად მიდიოდნენ სახლიდან... მათ ამ უწყინარ გასეირნებებს ჯერჯერობით სახლის საბოლოო დატოვება არ მოსდევდა შედეგად, მაგრამ და-ძმა კი ბოლოს ერთმანეთს დააშორა, რადგან ასაკით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან და შესაბამისად გოგლიმოგლებიც სხვადასხვა ჰქონდათ ნაჭამი“ (მარგველაშვილი 2005:31). მამა, ტიტე მარგველაშვილი, ომის უმძიმეს პრობლემებს ებრძოდა და ჰიტლერული რეჟიმის მოწინააღმდეგე თანამემამულეებთან ერთად ნაციზმის დამარცხებაზე ოცნებობდა.

Givi Margvelashvili's play with time is interesting for presenting the discourse that justifies the existence of the castle-tower waiting in its head. The said castle-towers are hanging in the air (perhaps all of us involuntarily remember the well-known expression with exactly this wording, which evokes the association of endless, immeasurable expectation and a hopeless end, the emphasis is mine). "The first thing these people noticed about the aerial tower was its unusually high location above sea level" (Margvelashvili 2005:26). In addition to the peculiar rethinking of the philosophical category of time, Givi Margvelashvili directs the narrative to another reality, a space that is far from the earth and from which people rarely manage to enter. The residents of Givi Margvelashvili's "air tower" also stayed away from Dixieland. They didn't know a single person from Charleston-Boston and didn't even know a single Dixielander" (Margvelashvili 2005:27). It is interesting that the author calls the residents of the tower residents, as if indicating their temporary existence; He also writes that, "Tsknafis" already thought of themselves as the anchors of the aerial tower... with the arrival of each new Goglimogli year, the aerial towers became even more difficult to protect themselves, and therefore it became difficult to fabricate ropes or rope ladders to save themselves" (Margvelashvili 2005:26). The writer thereby emphasizes the repressive policies of the regimes and the fear of people to escape from the violence. Each new Goglimogli year pushed people further away from the longed-for dock of freedom. The air towers were irritated and could not withstand the blowing of "random winds" (repression, emphasis is mine, M.S.) and slowly began to descend to the ground. The writer tragically describes the story of the "collapse of the tower" of his family. The new Goglimogli year was a direct result of the previous one, the past was changing the present and the future together, fulfilling people's dream of a peaceful life. "Mother wanted to live in the air instead of living in the air, and the father, on the contrary, preferred living in the air in Goglimogli, especially living in number 27. The air tower did zig zags: when the wheel fell into the hands of the mother, who wanted to sit down, despite Goglimogli 17, she missed going home (to the foreclosed house),

she would turn it left, and the father, who thought that Goglimogli 17 was too much trouble to go back there, then – to the right” (Margvelashvili 2005:28). With this, the author emphasizes the intensity of nostalgia, which the life of her mother, Mariam Khechnashvili, is sacrificed for – “The woman had a gas tap and when she found time, when she was alone at home, she opened it and closed the doors and windows together” (Margvelashvili 2005:29).

Obviously, the repressive policy of the dictatorship has a negative impact on people, those with different values cannot withstand the pressure, and it becomes impossible to exist in a constantly controlled environment. With such a presentation of the category of space, Givi Margvelashvili probably wants to say that the phenomenon of fear cannot be harmed by moving away from the land, people cannot be freed from ideological pressure, and individual trauma already takes on a collective character.

Almost everything is encoded in the text. The presentation of the family tragedy is accompanied by the spiritual confinement experienced by the orphaned boy in the tower suspended in the air. He was raised by German nannies, “Tsknaf did not know the language of his parents.” Linguistically, he was completely out of his native home... The little ones (Givy and his sister) seemed to lack attention at home, they left the house more and more often.... So far, these harmless walks have not resulted in their final leaving home, but the siblings And in the end, he separated them from each other, because they were different in age, and therefore the Goglimoglis had different food” (Margvelashvili 2005:31). His father, Tite Margvelashvili, struggled with the worst problems of the war and dreamed of defeating Nazis together with the advanced compatriots of the Hitler regime.

სალომე სუხიაშვილი
Salome Sukhiashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 Ivane Javakhishvili Tbilisi State University
<https://orcid.org/0009-0005-5402-1442>

**ცხოველებისა და ფრინველების დანიშნულება
 ქართულ საყოფიერო-ნოველისტურ ზღაპარში**

The Function of Animals and Birds in the Georgian Novelistic Fairy Tale

საკვანძო სიტყვები: საყოფიერო ზღაპარი, ცხოველები, ფრინველები, სიმბოლური
 დანიშნულება

Keywords: Novelistic Fairy Tale, animals, birds, symbolic function

ზღაპრებისასასახვსსაზოგადოებისღირებულებებს,რწმენებსადატრადიციებს.სწორედამიტომ, ხალხური ზღაპრები მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობაა. საუკუნეების განმავლობაში ხალხური ზღაპარი ხალხის სულის, ზნე-ჩვეულებების, ოცნებებისა და შიშების ამსახველი სარკე იყო. განსაკუთრებით, საყოფიერო ზღაპრები გამოირჩევა ზემოაღნიშნული თვისებით, რადგან საყოფიერო ზღაპრის პერსონაჟები არიან ჩვეულებრივი ადამიანები, რომელთა საქციელშიც, ერთი შეხედვით, ჭკუა არ მონაწილეობს, მაგრამ ეს უჭკუობა ხშირად მიზნის მიღწევაშიც კი ეხმარებათ. საყოფიერო ზღაპარში ვერ შევხვდებით ისეთ სიუჟეტს, რომელიც არ ასახავს რეალურ ცხოვრებას. მაგალითად, ქალს ერთადერთი შვილი ჰყავდა, რომელსაც არაფერს აკეთებინებდა და გახდა უსაქმური. სიცოცხლის ბოლომდე დედა არჩენდა, შემდეგ – ცოლი.

მოხსენების მიზანი არის საყოფიერო ზღაპრებში ცხოველებისა და ფრინველების სიმბოლური დანიშნულების გარკვევა, რადგან მსგავსი ნაშრომი ქართულ ზღაპრებთან მიმართებით არ გვხვდება, რასაც ვერ ვიტყვით როგორც რუსულ, ისე ევროპულ ზღაპრებზე. ვლადიმერ პროპი თავის მონოგრაფიაში „ზღაპრის მორფოლოგია“ ამტკიცებდა, რომ ზღაპრებში ცხოველები ხშირად მოქმედებენ, როგორც სიმბოლოები, რომლებიც ასახავენ ადამიანური ბუნების გარკვეულ თვისებებს. მაგალითად, მელა განასახიერებს ჭკუასუსტობას, დათვი კი – დაუოკებელ ძალას, ხოლო მაქს ლუტკენის ნაშრომის თანახმად, ფრინველები ხშირად ასოცირდებიან სულიერებასთან. ლუტკენმა ასევე ყურადღება მიაქცია ფრინველების სიმბოლურ მნიშვნელობას მითოლოგიასა და ფოლკლორში. მისი ნამუშევარი ხაზს უსვამს იმას, რომ ფრინველები ხშირად ასოცირდებიან სულიერებასთან, თავისუფლებასთან. მაგალითად, ყორანი შეიძლება იყოს სიბრძნის ან სიკვდილის სიმბოლო, ხოლო მტრედი სიწმინდის, მშვიდობისა და იმედის სიმბოლოა. სხვადასხვა მეცნიერის დასკვნებიდან გამომდინარე, ჩიტების როლის შესწავლა საყოფიერო-ნოველისტურ ზღაპრებში ავლენს მათს სიმბოლურ მნიშვნელობას და კავშირს კულტურულ, ტრადიციულ შეხედულებებთან. ამ მხრივ საინტერესოა, ქართულ ზღაპრებში რომელი ფრინველები გვხვდება და რა სიმბოლური დატვირთვა აქვთ მათ.

სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომმა აჩვენა, რომ საყოფიერო-ნოველისტურ ზღაპრებში ცხოველებისა და ფრინველების სიმბოლური მნიშვნელობის შესწავლა მნიშვნელოვანი ნაბიჯია

სხვადასხვა კულტურის, ფოლკლორის, კულტურული და სულიერი ასპექტების ღრმად გააზრებისკენ. ზღაპრებში სიმბოლიზმის ანალიზი ხელს უწყობს ფოლკლორის ღრმა კულტურული და სულიერი ასპექტების გამოვლენას და მის როლს საზოგადოების კოლექტიური ცნობიერების ჩამოყალიბებაში.

ჯოზეფ კემპბელმა და კარლ იუნგმა თავიანთ ნაშრომებში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ხალხურ ზღაპრებში ცხოველები ხშირად წარმოადგენენ არქეტიპულ გამოსახულებებს, რომლებიც ასახავენ კაცობრიობის კოლექტიურ არაცნობიერს.

ზემოთ აღნიშნულ მეცნიერთა გამოკვლევებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, ხალხურ ზღაპრებში ცხოველების, ფრინველების სიმბოლური მნიშვნელობის კვლევა არსებითი ნაბიჯია სხვადასხვა კულტურაში ფოლკლორის კულტურული და სულიერი ასპექტების ღრმა გაგებისკენ. ზღაპრებში სიმბოლიზმის გაანალიზება გვებმარება ფოლკლორის ღრმა კულტურული და სულიერი ასპექტების გამოვლენაში.

ასე მაგალითად, ქართულ ხალხურ საყოფიერო ზღაპრებში მთავარი გმირის დამხმარედ ყოველთვის გვევლინება ხარი. ქართული მითოლოგიის თანახმად, დედამიწა ხარის რქებზე დგას. გარდა ამისა, არსებობს მითი „ირმის ნახტომი“, რომლის თანახმადაც, როცა ღმერთმა ადამიანი შექმნა, დაიბარა ცხოველები და ჰკითხა, რომელი ცხოველი მიეხმარებოდა ადამიანს. ღმერთმა ერთმანეთს ირემი და ხარი შეაჯიბრა. ადამიანის შემწე ხარი გახდა.

ნაშრომში გამოვიყენე კვლევის კომპარატივისტული და ისტორიულ-შედარებითი მეთოდები, აგრეთვე ფოლკლორული ნაწარმოების სტრუქტურული და მხატვრული ანალიზის მეთოდები, რამაც საშუალება მომცა, გამერკვია ქართულ საყოფიერო ზღაპრებში ცხოველი და ფრინველი პერსონაჟების ფუნქცია-სიმბოლიზმი.

The function of Animals and Birds in the Georgian Novelistic Fairy Tales reflect the values, beliefs, and traditions of a society, making them an essential part of cultural heritage. For centuries, folk tales have served as a mirror, reflecting the spirit, customs, dreams, and fears of the people. Life stories, in particular, are distinguished by this feature because the characters are often ordinary people whose actions may seem lacking in intelligence, yet this perceived simplicity often leads to achieving their goals. In real-life fairy tales, the plot consistently reflects the realities of everyday life. For instance, there is a tale of a woman with an only child who remained idle throughout her life. She was cared for by her mother until her passing and then by her spouse. The purpose of this report is to explore the symbolic role of animals and birds in Georgian folk tales. Unlike Russian and European fairy tales, there is a scarcity of studies on this subject in the context of Georgian folklore. Vladimir Propp, in his monograph *“Morphology of the Folktale,”* argued that animals in fairy tales often serve as symbols representing specific qualities of human nature. For example, the fox symbolizes cunning, the bear – indomitable strength. Max Lüthi's work suggests that birds are frequently associated with spirituality, noting their symbolic significance in mythology and folklore. According to Lüthi, birds are often linked to freedom and spirituality. For instance, a raven can symbolize wisdom or death, while a dove represents purity, peace, and hope. Drawing on various scholarly conclusions, the study of the role of birds in life-novelistic tales reveals their symbolic meanings and their connection to traditional cultural beliefs. It is particularly interesting to examine which birds appear in Georgian fairy tales and their symbolic meanings. Research has demonstrated that studying the symbolic meaning of animals and birds in historical and novelistic tales is crucial for gaining a deep understanding of different cultures, as well as their folklore, cultural, and spiritual aspects. Analyzing symbolism in fairy tales helps uncover the profound cultural and spiritual dimensions of folklore and its role in shaping the collective consciousness of a society. Both Joseph Campbell and Carl Jung have emphasized in their work that animals in folktales often represent archetypal images reflecting the collective unconscious of humanity. Based on the research of these scholars, it can be

concluded that the study of the symbolic meaning of animals and birds in folk tales is vital for a comprehensive understanding of the cultural and spiritual aspects of folklore across different cultures. Analyzing symbolism in fairy tales reveals these deep cultural and spiritual dimensions. For example, in Georgian folk tales, the bull consistently appears as the helper of the main character. According to Georgian mythology, the earth is said to stand on the horns of a bull. Additionally, in the “Mirky Leap” myth, when God created man, He called upon the animals to determine which would assist humanity. A competition ensued between a deer and a bull, with the bull emerging as the human’s helper. In this work, I employed comparative and historical-comparative research methods, as well as structural and artistic analysis of folklore, to uncover the symbolic functions of animal and bird characters in Georgian fairy tales.”

თინათინ ტენტერაშვილი

Tinatin Tenterashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

<https://orcid.org/0009-0002-8113-7115>

იურიდიული ტექსტების კორპუსლინგვისტიკური დამუშავების ძირითადი პრინციპები

Basic Principles of Corpus Linguistic Processing of Legal Texts

საკვანძო სიტყვები: ქვეკ, კორპუსლინგვისტიკა, საკანონმდებლო, გეხმინი

Keywords: GNC, corpus linguistics, legislative, term

ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია დიდ მონაცემთა ბაზების (big data) შექმნა და კვლევის თანამედროვე მეთოდების შემუშავება. ციფრული კორპუსების არსებობა სანდო კვლევების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა, რაც ხელს უწყობს როგორც ცალკეული ლინგვისტური საკითხის გადაწყვეტას, ისე კომპლექსური ენათმეცნიერული კვლევების განხორციელებას. ქართულისათვის ერთ-ერთ ასეთ რესურსს წარმოადგენს ქართული ენის ეროვნული კორპუსი (ქვეკ), რომელიც 202 მლნ. ტოკენს მოიცავს და სხვადასხვა ჟანრის ტექსტებთან ერთად განვრცობილია ორი თემატური კორპუსით: პოლიტიკური და იურიდიული ტექსტების კორპუსით, თუმცა არცერთი მათგანი არ არის ბოლომდე შევსებული. კერძოდ, იურიდიული ტექსტების ქვეკორპუსი მოიცავს მხოლოდ ისტორიულ იურიდიულ დოკუმენტებს. ამ თვალსაზრისით ქართული ენის ეროვნული კორპუსის ჟანრობრივი დაბალანსება მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომლის დაძლევა აუცილებელია მისი საბოლოო სრულყოფისა და სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზად გვესახება საკანონმდებლო ტექსტების ციფრული დამუშავების ტექნოლოგიური ჩარჩოს შექმნა კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. ამა თუ იმ ტექსტის ციფრული დამუშავებისთვის აუცილებელია, რომ ისინი ელექტრონულ ფორმატში იყოს ხელმისაწვდომი. დღეისათვის საკანონმდებლო ტექსტები უკვე გაციფრებულია. მათი ელექტრონული ვერსიები თავმოყრილია ვებ-გვერდზე matsne.gov.ge, თუმცა ისინი არ არის ლინგვისტურად დამუშავებული და, შესაბამისად, მოკლებულია ამგვარი კვლევის შესაძლებლობასაც. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა იქნება მოცემული ჩვენ მიერ წარმოდგენილ მოხსენებაში, რომელშიც აღვწერთ იურიდიული ტექსტების კორპუსლინგვისტური დამუშავების ძირითად პრინციპებს კონკრეტული სამართლებრივი ტექსტების მაგალითზე. მიღებული რესურსი იქნება ემპირიული ბაზა ლინგვისტური კვლევისათვის, რომელზე დაყრდნობითაც ყურადღებას გავამახვილებთ იურიდიული სემანტიკის მქონე ენობრივ საშუალებებზე. სამართლებრივი ტექსტების შინაარსი სხვადასხვა ენობრივი ფორმით გადმოიცემა. სამართლებრივ ტექსტებში დარგობრივი ლექსიკის შესწავლის თვალსაზრისით საყურადღებოა ისეთი შემთხვევები, როდესაც დარგობრივი შინაარსის გადმოცემა ლექსიკა ერთზე მეტი კომპონენტისგან შედგება და მხოლოდ ამ ფორმით იძენს დარგისათვის სპეციფიკურ მნიშვნელობას. თუ მათ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განვიხილავთ, ხშირ შემთხვევაში, ისინი დაკავშირებული არ იქნება იურიდიულ სფეროსთან. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ორკომპონენტური ზმნები,

რომლებიც ძირითადი ზმნისა და მასთან მყარად დაკავშირებული არსებითი სახელის ან საწყისის კომბინაციით არის გადმოცემული; მაგ., თავისუფლების აღკვეთა, გადაწყვეტილების გამოტანა და ა.შ. ამგვარი კომბინაციები იურიდიულ ტექსტებში ხშირად გვხვდება სამართლებრივი პროცესების აღსაწერად. იურიდიული ტექსტებისათვის ნიშანდობლივი ამ მახასიათებლების გამოვლენა და გათვალისწინება მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, იურიდიული ტექსტების კორპუსლინგვისტური დამუშავებისათვის, მეორე მხრივ კი, იურიდიულ ტერმინთა ბანკის შესავსებადაც, რადგან ორკომპონენტური ზმნები კორპუსლინგვისტურად უნდა დამუშავდეს არა ცალკეული ლექსიკური ერთეულების დონეზე, არამედ იმ ფორმით, რომლითაც დაკავშირებულია სამართლის სფეროსთან.

კვლევა [PHDF-23-2595] ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

One of the important steps in the modern stage of the development of humanitarian sciences is the creation of big databases and the development of modern research methods. The existence of digital corpora provides an opportunity to carry out efficient research, which contributes to both the solution of a separate linguistic issue and the implementation of complex linguistic research. One such resource for Georgian language is the Georgian National Corpus, which includes 202 mln Tokens and including texts of different genres, is extended with two thematic corpora: a corpus of political and legal texts, although neither of them is completely filled. In particular, the sub-corpus of legal texts includes only historical legal documents. From this point of view, the genre balancing of the Georgian national corpus is an important challenge, which is necessary to overcome for its final perfection and full functioning. One of the ways to solve the mentioned problem is to create a technological framework for digital processing of legislative texts using modern research methods. For digital processing of the texts, it is necessary for them to be available in electronic format. Nowadays, the legislative texts have already been digitized. Their electronic versions are available on the website matsne.gov.ge, however, they are not linguistically processed and therefore, lack the possibility of such research. We will present to you one of the ways to solve this issue in our report, in which we will describe the basic principles of corpus linguistic processing of legal texts on the example of specific legal texts. The obtained resource will be an empirical base for linguistic research, based on which we will focus on linguistic means with legal semantics. The content of legal texts is transferred in different linguistic forms. From the point of view of studying sectoral vocabulary in legal texts, we should focus on cases when the vocabulary, transferring sectoral content, consists of more than one component and acquires a specific meaning for the sector only with this form. If we consider them independently of each other, in most cases, they will not be related to the legal field. In this sense, two-component verbs are important, which are given by a combination of the main verb and a noun or an infinitive closely related with it; For example, imprisonment, sentencing, etc. Such combinations are often found in legal texts to describe legal processes. Identifying and taking into account characteristic features of legal texts is important for the corpus linguistic processing of legal texts on the one hand, and for filling the bank of legal terms on the other hand, since two-component verbs should be processed corpus-linguistically not at the level of individual lexical units, but in the form in which they are related to the field of law.

This research [PHDF-23-2595] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).

თამარ ქაროსანიძე-ქირსაჩი

Tamar Karosanidze Kirsac

ჩეჯეფ გაიფ ეხლოღანის უნივერსიტეტი (ჩიზე, თუჩქეთი)
Recep Tayyip Erdoğan Üniversitesi

<https://orcid.org/0000-0002-4604-8267>

უარყოფის გამოხატვის საშუალებები ქართულსა და თურქულში (შეპირისპირებითი ანალიზი)

Means of Expressing Negation in Georgian and Turkish (Contrastive Analysis)

საკვანძო სიტყვები: უარყოფის კატეგორია, ქართული, თურქული

Keywords: The category of negation, Georgian, Turkish

უარყოფის კატეგორია უნივერსალური ლინგვისტური კატეგორიაა, რომელიც სხვადასხვა სახით ყველა ენაში არსებობს. განსხვავებულია მისი გამოხატვის საშუალებები. იგი საფუძვლიანადაა შესწავლილი ქართულ სალიტერატურო ენაში, ქართველურ ენებსა და დიალექტებში. უარყოფის კატეგორიას აქტიურად იკვლევენ თურქულშიც. ორივე ენა გამოირჩევა უარყოფის გამოხატვის საშუალებების მრავალფეროვნებითა და თავისებურებით.

ნაშრომის მიზანია, წარმოვადგინოთ უარყოფის გამოხატვის ენობრივი საშუალებები თურქულ სალიტერატურო ენაში და დავადგინოთ მისი მსგავსება-განსხვავებები ქართულ სალიტერატურო ენასთან მიმართებით.

სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილია უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური მიკროველი, რომელშიც გამოყოფილია შემდეგი დონეები: მორფოლოგიური, ლექსიკური, დერივაციული და სინტაქსური (ზექალაშვილი, აბესაძე 2016, 62). აღნიშნულ მიკროველზე დაყრდნობით ერთმანეთს შევადარეთ ორი ენის უარყოფის სისტემა.

კვლევისას გამოყენებულია შედარება-შეპირისპირებითი მეთოდი. კვლევა ჩატარდა ქართული და თურქული ენების ანალიზის საფუძველზე. ვფიქრობთ, იმ ენების შეპირისპირებითი ანალიზი, რომლებიც სხვადასხვა ენათა ჯგუფს განეკუთვნება, მნიშვნელოვანია ენობრივი უნივერსალების დადგენის თვალსაზრისით.

ორი ენის შედარების შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის მსგავსება-განსხვავებები: ქართულისგან განსხვავებით თურქულს აქვს უარყოფის გამომხატველი მორფოლოგიური ნიშანი. უარყოფის გამომხატველი სუფიქსი „-mA“: (1) yapma „არ გააკეთო“; (2) yapmam „ვერ გავაკეთებ“ (Ergin 2013, 200). ქართულში ამავე ფუნქციით წარმოდგენილია „არ“, „ვერ“ უარყოფითი ნაწილაკები (ჭუმბურიძე 1970, 41). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „არ“, „ვერ“, „ნუ“ უარყოფითი ნაწილაკების შინაარსობრივი ნიუანსები თურქულში „-mA“ უარყოფის ნიშანთან ერთად სხვადასხვა საშუალებითაა გამოხატული, კერძოდ, მოდალური ზმნისა და კილოს მეშვეობით. ქართულში უარყოფას გამოხატავს უარყოფითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები (ქურდაძე 2015, 72). თურქულ ენაში უარყოფითი სემანტიკის გადმოცემა შესაძლებელია განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებისა და ზმნიზედების მონაწილეობით.

ორ ენას შორის მნიშვნელოვან განსხვავებას ვაწყდებით ლექსიკურ დონეზეც. თურქულ ენაში არსებობს უარყოფითი სემანტიკის გამომხატველი ქართულისაგან განსხვავებული ლექსიკური ერთეულები. „i-“ მეშველი ზმნის უარყოფის სემანტიკის გამომხატველი ლექსიკური ერთეული „değil“: (3) Yorgun değilim „დაღლილი არ ვარ“. (Korkmaz 2014, 631). „değil“ გამოიყენება ასევე უარყოფითი ნაწილაკის ფუნქციით ზმნა-შემასმენელთან: (4) yazmış değilim „არ დამინერია“ (Korkmaz, 520). ასევე უარყოფის სემანტიკის გამომხატველია „yok“: (5) Beni suçlamanın alemi yok „აზრი არ აქვს ჩემს დადანაშაულებას“ (Banguoğlu 2015, 566).

უარყოფის სემანტიკის დერივაციული საშუალებები დიდწილად მსგავსია ქართულსა და თურქულში. თუმცა ფორმობრივად თურქულში უფრო მრავალფეროვანი სურათია. თურქულ ენას მოეპოვება -mAz უარყოფითი მიმღეობის მანარმოებელი სუფიქსი: (6) utanmaz adam „უსირცხვილო კაცი“ (İlhan 2015, 2) და +sız ზედსართავი სახელისა და ზმნიზედის მანარმოებელი სუფიქსი, რომელთა იდენტური სემანტიკის მატარებელია უარყოფის უ- (უ-ო) აფიქსი ქართულში (ჯორბენაძე 1984, 136). თურქულს ასევე მოეპოვება უარყოფითი ზმნიზედის მანარმოებელი სუფიქსი „-mAdAn“. (7) Düşünmeden konuşma „დაუფიქრებლად ნუ ილაპარაკებ!“ (İlhan 2015, 3).

ორივე ენაში გვხვდება უარყოფითი სემანტიკის გამომხატველი სინტაქსური საშუალებები. თურქულში mi კითხვით აფიქსს აქვს უნარი უარყოფითი მიმართება მიანიჭოს წინადადებას, რომელსაც ერთვის. ასეთ შემთხვევაში კითხვითი აფიქსი უსწრებს ზმნა-შემასმენელს: (8) Niçin kıyıyorsun bunu ben mi yaptım. „რატომ ბრაზდები. ეს მე გავაკეთე (თუ რა)“. თურქულში არსებობს ასევე უარყოფის სემანტიკის შემცველი შემდეგი სინტაქსური კონსტრუქცია: „mi ki“ (კითხვითი აფიქსი + კავშირი) (9) Anahtar bende mi ki niçin bana soruyorsun. „გასაღები მე მაქვს (თუ რა), მე რატომ მეკითხები?“ სემანტიკურად იდენტურია თურქული ne...ne და ქართული არც...არც კავშირები (10) Ne beni ne seni gördü „არც მე ვუნახივარ და არც შენ“ (Ergin, 354). შინაარსობრივად მსგავსია ასევე უარყოფის სემანტიკის შემცველი სხვა კავშირებიც.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვნად განსხვავდება ქართულისა და თურქულის უარყოფის გამომხატვის მორფოლოგიური და ლექსიკური დონე. ორივე ენა გამოირჩევა უარყოფის სემანტიკის გამომხატვის მრავალფეროვნებით. მიუხედავად იმისა, რომ ქართულისგან განსხვავებით თურქულ ენაში უარყოფის გრამატიკული კატეგორია მარკირებულია, უარყოფის სემანტიკის გამოსახატად, ქართულის მსგავსად, თურქულიც ხშირად მიმართავს სხვადასხვა ენობრივ საშუალებას.

The category of negation is a universal linguistic category that exists in different forms in all languages. The means of its expression are different. The category of negation has been thoroughly studied in Georgian, Georgian languages and dialects. The negative category is actively researched in Turkish as well. Both languages are distinguished by the variety and peculiarities of the means of expressing negation.

The aim of the work is to present the linguistic means of expressing negation in the Turkish language and to determine its similarities and differences with the Georgian language.

In the relevant literature, the functional-semantic microfield of negation is presented, in which the following levels are distinguished: morphological, lexical, derivational and syntactic (Zekalashvili, Abesadze 2016, 62). Based on the mentioned microfield, we compared two language rejection systems.

The comparative method is used in the research. The research was conducted based on the analysis of Georgian and Turkish languages. We think that the comparative analysis of languages that belong to different language groups is important from the point of view of establishing language universals.

As a result of the comparison of the two languages, the following similarities-differences were revealed: unlike Georgian, Turkish has a morphological sign expressing negation. Negative suffix “-mA”:(1) yapma; ar gaaketo “don’t do” (2) yapamam; ver gavakete “I cannot do” (Ergin 2013, 200). In Georgian, the negative particles “ar”, “ver” are represented with the same function (Chumburidze, 1970, 41). It should also be noted here that the content nuances of the negative particles “ar”, “ver”, “nu” in Turkish together with the negation sign “-mA” are expressed by different means, namely, through the modal verb and mood. In Georgian, negative category is expressed by negative pronouns and adverbs (Kurdadze 2015, 72). In the Turkish language, negative semantics can be conveyed with the participation of indefinite pronouns and adverbs.

There are significant differences between the two languages at the lexical level. Turkish has lexical units with negative meanings different from Georgian. For example “değil” is a lexical unit expressing the meaning of the negation of the “i-“auxiliary verb: (3) Yorgun değilim; daglili ar var “I am not tired”. (Korkmaz, 2014, 83., 631). Also “değil” is used as a preposition of negation with the predicate. (4) yazmış değilim; ar damitseria “I have not written” (Korkmaz, 520). There is also another word in Turkish that expresses negativity. This word is “yok”. Beni suçlamanın alemi yok; (5) azri ara akvs chems dadanashaulebas “there is no point in blaming me” (Banguoğlu 2015, 566).

The affixes that derive words with the meaning of negation are largely similar in Georgian and Turkish. Even though Turkish has a more diverse set of affixes. The Turkish language has the negative suffix -mAz, which produces adjective verbs with negative meanings. (6) utanmaz adam; usirtskvilo katsi “shameless man” (İlhan 2015, 2) and also and +sız, the adjective and adverbial suffix, which is semantically identical to the Georgian negation suffix u- (u-o) (Jorbenadze 1984, 136). Turkish also has the suffix “-mAdAn” which forms negative adverbs. (7) Düşünmeden konuşma; daufikreblad nu ilaparakob “ Don’t speak without thinking “ (İlhan 2015, 3).

Both languages have syntactic means to express negativity. In Turkish, the interrogative suffix mI has the ability of negating the sentence to which it is added. In this case, the interrogative suffix comes before the predicate. (8) Niçin kızyıyorsun bunu ben mi yaptım; ratom brazdebi es me gavakete (tu ra) “ Why are you getting angry? Did I do this?”. There is also the following syntactic structure in Turkish that contains the negative meaning: “mi ki”(interrogative suffix + conjunction) (9) Anahtar bende mi ki niçin bana soruyorsun; gasagebi me makvs (tu ra). Me ratom mekitkhebi “ Do I have the key, why are you asking me? “The conjunctions ne...ne in Turkish and arts...arts in Georgian are semantically identical. (10) Ne beni ne seni gördü; arts me vunakhivar da arts shen “ He didn’t see us” (Ergin 2013, 354). Other conjunctions with a negative meaning are similar in content.

In conclusion, it can be said that the morphological and lexical level of the negation category in Georgian and Turkish is significantly different. Both languages are distinguished by the variety of expressions of the negativity category. Although the grammatical category of negativity is marked in Turkish unlike in Georgian, Turkish also often uses different linguistic means to express negativity.

გიორგი ქიტოშვილი
Giorgi Kitoshvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 Ivane Javakhishvili Tbilisi State University
<https://orcid.org/0009-0006-7500-3494>

**ბიბლიური ტოპონიმების შესწავლის მნიშვნელობა ქართველთა
 ისტორიული ცოდნა-წარმოდგენების გასაცნობად**

**The significance of studying biblical toponyms for understanding the historical
 knowledge and perceptions of Georgians**

საკვანძო სიტყვები: ძველი აღთქმა, ტოპონიმები, თარგმანი, ისტორიული ცოდნა
Keywords: The Old Testament, toponyms, the translation, historical knowledge

ძველ აღთქმაში მოხსენიებული ტოპონიმები ებრაულის გავლენით ჯერ ბერძნულ, ხოლო შემდეგ ბერძნულიდან შესრულებულ თარგმანებში გავრცელდა. სწორედ ბიბლიის მეშვეობით მიიღეს ქართველებმა საშური ცოდნა არაერთი რეგიონის გეოგრაფიული სახელების შესახებ. ამრიგად, ჩვენი მიზანია, წარმოვაჩინოთ ბიბლიური ტოპონიმების კვლევის მნიშვნელობა ქართულ ისტორიული ცოდნა-წარმოდგენების შესწავლის საკითხში.

ქართველი მთარგმნელები ხშირად უშუალოდ იცნობდნენ ბიბლიურ ქვეყნებსა და მათ ტოპონიმებს, ან, პირიქით, მათ შესახებ არ ჰქონდათ საკმარისი წარმოდგენა იმისათვის, რომ სათარგმნი ეკვივალენტი შეეძენათ. სწორედ ამ ფაქტორების გავლენით გეოგრაფიული სახელები ძველი აღთქმის ქართულ თარგმანში გადმოტანილია არაერთგვაროვნად.

წმინდა წერილის ქართული თარგმანის ბერძნულ და სომხურ თარგმანთან მიმართების საკვლევად ქართულში განსხვავებული მეთოდებით გადმოტანილი ძველი ახლო აღმოსავლეთის ტოპონიმები შევისწავლეთ კომპარატივისტული მეთოდით. ვითვალისწინებდით, რომ ძველი აღთქმის ქართული ვერსიები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, წარმოადგენს არაერთი ენიდან გადმოტანილ და სხვადასხვა პრინციპით რეცენზირებულ ძველ თარგმანებს. ყურადღება გავამახვილეთ იმ გარემოებაზე, რომ ეს ტექსტები შეიცვალა გადაწერის პროცესშიც.

ძველი ახლო აღმოსავლეთის ბიბლიური ტოპონიმებისა და მათგან ნაწარმოები ეთნონიმების (მ. შანიძე შენიშნავს, რომ ტოპონიმების კვლევა წარმომავლობის სახელთა შესწავლის გარეშე წარმოდგენილია (შანიძე, 1976, გვ. 63)) ქართული, ბერძნული და სომხური რელევანტური წაკითხვები შევუდარეთ ერთმანეთს. გავაანალიზეთ თარგმანის ტექნიკის თავისებურებები და გამოვკვეთეთ გეოგრაფიული სახელების ის მთარგმნელობითი ტენდენციები, რომლებიც ამა თუ იმ იკითხვის შემთხვევაში აქვს ქართულ თარგმანს.

გარდა ამისა, ბერძნული ვარიანტული და ქართული წაკითხვების შედარების შედეგად შესაძლებელი ხდება ქართული ტექსტის წარმომავლობის საკითხზე მსჯელობა. სწორედ ამ თვალსაზრისით საინტერესოა ბიბლიის სხვადასხვა წიგნში არსებულ ტოპონიმთა ეკვივალენტების შესწავლა უშუალოდ კონკრეტული წიგნის ისტორიის გათვალისწინების საფუძველზე.

მთარგმნელ-რეცენზენტი გეოგრაფიულ სახელს თარგმნის, თუ მისი მნიშვნელობა ცნობილია და თარგმანის ენაში არსებობს მოცემული ტოპონიმის ადეკვატური შესატყვისი. საპირისპირო შემთხვევაში, იქმნება ტრანსლიტერირებული ფორმები, რომლებშიც ბერძნულ ორიგინალში არსებული წაკითხვები ფონეტიკური სიზუსტით აისახება. ამ დროს ტრანსკრიბირების მიზეზი, რა თქმა უნდა, სათარგმნ სეგმენტზე ცნობების ნაკლებობაა (Tov, 1999, pg. 503-4). ასე რომ, ტოპონიმთა თარგმანის ტექნიკა არა მხოლოდ მთარგმნელის, არამედ თარგმანის ენის მონაცემებზე გვანდის ინფორმაციას. სწორედ ამგვარად ბიბლიური ტოპონიმების კვლევა შესაძლებლობას იძლევა, განვსაზღვროთ აზიისა და აფრიკის სხვადასხვა რეგიონის შესახებ გეოგრაფიული ხასიათის ინფორმაცია ქართველებმა შეითვისეს თარგმანთან ერთად, თუ – მის გარეშე.

ამრიგად, ძველი აღთქმის ტოპონიმთა ტექსტოლოგიური კვლევა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გადმოტანის ტექნიკის, თარგმანის წარმომავლობისა და ავთენტიკურობის შესწავლის თვალსაზრისით, არამედ გვიქმნის საკმარის საფუძველს იმისა, რომ გავეცნოთ ტექსტის შემდგომ ისტორიასა და ქართველთა წარმოდგენებს ბიბლიური ერების შესახებ.

Georgians acquired knowledge about different regions through the Holy Scriptures. The Old Testament contains the names of toponyms of various regions. From the Hebrew text, these toponyms firstly transferred to the Greek Bible and, after that, spread to other translations made from the Greek version of the Holy Bible, including the Georgian translation. Our aim is to demonstrate the importance of the study of biblical toponyms to get to know the historical knowledge of Georgians.

Geographical names have appeared in the Georgian versions of the Old Testament under the influence of the Greek (and in the case of Ezra's books from Armenian translations of the Bible). The translators and reviewers, on one hand, had information about biblical nations and, therefore, they knew the names of the toponyms, or, on another, they knew about names from the Bible.

The toponyms transferred into Georgian translation of the Bible are studied based on different methods by means of a comparative approach. The history of each text of the Bible is taken into account. Translated texts in Georgian were also changed by scribes. The relevant textual forms of toponyms (with ethnonyms) were compared by us with the approach of the translation technique and copying experience. We should pay attention to the fact that the proper names could be changed during the copying process.

In such cases, when a translator didn't know toponym or no match existed in his own language, the translated forms are close to the original text, they were obliged to transfer to the language of the translation.

Thus, the study of biblical toponyms allows us to determine whether the Georgians acquired geographical information about different regions of Asia and Africa with or without translation of the Bible.

ანასტასია ყამარაული

Anastasia Kamarauli

ზემო ავსტრიის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი
University of Applied Sciences Upper Austria

<https://orcid.org/0009-0008-2258-8307>

**თანამედროვე ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველების
კორპუსლინგვისტური ანალიზი მზა ხელსაწყოების გამოყენებით**

***A Corpus Linguistic Analysis of Contemporary Georgian Political Spoken
Discourse Using Ready-Made Tools***

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, პოლიტიკური ლინგვისტიკა, კორპუსლინგვისტური
ანალიზი, ციფრული კვლევის მზა ხელსაწყოები

Keywords: Georgian language, political linguistic, corpus-linguistic analysis, ready-made
tools

პოლიტიკური ზეპირმეტყველება მასობრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების ერთ-ერთი მძლავრი იარაღია. მას ეფექტურად იყენებენ პოლიტიკოსები და პოლიტიკურ საკითხებზე მოსაუბრე პირები. პოლიტიკური მეტყველების კვლევა უმნიშვნელოვანესია ენობრივი ქცევისა და საზოგადოებაზე მისი გავლენის კვლევის თვალსაზრისით. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებამ ჰუმანიტარულ დარგებში, მათ შორის პოლიტიკურ ლინგვისტიკაში, ინტერდისციპლინურ კვლევებს ახალი პერსპექტივები გაუხსნა. დღეს შეგვიძლია კომპლექსურად ვიკვლიოთ ის ენობრივი საშუალებები და სტრატეგიები, რომლებსაც პოლიტიკოსები თავიანთ პოლიტიკურ გამოსვლებში იყენებენ, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, დავადგინოთ კანონზომიერი ურთიერთმიმართება პოლიტიკურ მეტყველებასა და პოლიტიკურ პროცესებს შორის.

ციფრულ ეპოქაში ენობრივ მონაცემთა ლინგვისტური დამუშავება უაღრესად გაადვილდა. ამის საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, დიდ მონაცემთა ბაზები, მეორე მხრივ, კი მონაცემთა დამუშავების თანამედროვე, ციფრული მეთოდებისა და ხელსაწყოების გამოყენების შესაძლებლობა კვლევის პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენის ეროვნული კორპუსი მოიცავს პოლიტიკურ ტექსტებს, კორპუსში ახალი ტექსტების ინტეგრაცია, და, შესაბამისად, მისი გამოყენება კვლევაში გარკვეულ დროს მოითხოვს, რაც ახანგრძლივებს კვლევის პროცესს და სრულიად არაეფექტურია პოლიტიკურად ისეთ დატვირთულ პერიოდში, როგორიცაა წინასაარჩევნო პერიოდი. ასეთ შემთხვევაში რესურსების სწრაფი დამუშავებისათვის შესაძლებელია მონაცემთა დამუშავების მზა ხელსაწყოებისა და აპლიკაციების გამოყენება, მაგალითად, როგორიცაა Voyant Tools.

Voyant Tools დისტანციური კითხვისა და ანალიზის/ინტერპრეტაციის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული აპლიკაციაა მსოფლიო მასშტაბით, რაც განპირობებულია მონაცემთა კომპლექსური სტატისტიკური დამუშავების შესაძლებლობებით. გარდა ტექსტის მარტივი სტატისტიკური დამუშავებისა (ტექსტის გარდაქმნა ინდექსად სიტყვათა სიხშირული მაჩვენებლის მიხედვით), მისი ინტერფეისი შედგება პანელებისგან, რომლებიც ასრულებენ მრავალფეროვან ანალიტიკურ ამოცანებს, როგორებიცაა: ა) უნიკალური ფორმების გამოყენების ინდექსი, ბ)

ლექსიკის სიმჭიდროვე ტექსტში, გ) კითხვადობის ინდექსი, დ) სიტყვების საშუალო რაოდენობა წინადადებაში. გარდა ამისა, აპლიკაცია აღჭურვილია ვიზუალიზაციის საშუალებებით (სიტყვათა ღრუბელი, სიხშირული დიაგრამა), რომლებიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენს სხვადასხვა სიხშირული პარამეტრის ურთიერთმიმართებას.

ჩვენმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ტექსტების სწრაფი დამუშავებისათვის ეფექტურად შეიძლება გამოვიყენოთ Voyant Tools-ის შესაძლებლობები, განსაკუთრებით, სიხშირული პარამეტრების ურთიერთმიმართების კანონზომიერებების დადგენისა და ძირითადი დასკვნების გამოტანის თვალსაზრისით. მაგალითად, ის დასკვნები, რომლებიც ჩვენს ერთ-ერთ წინა კვლევაში მივიღეთ ტექსტების მანუალური დამუშავების შედეგად, სრულიად დაადასტურა Voyant Tools-ის სტატისტიკურმა მონაცემებმა. საანალიზოდ აღებული იყო ოთხი პოლიტიკოსის – ირაკლი კობახიძის, ნიკა მელიას, სალომე ზურაბიშვილისა და თავო ჩარკვიანის პოლიტიკური გამოსვლები, რომლებიც შემდეგი პარამეტრების მიხედვით იქნა გაანალიზებული Voyant Tools-ის აპლიკაციის მეშვეობით:

პოლიტიკოსები: კობახიძე, მელია, ზურაბიშვილი, ჩარკვიანი.

ტოკენების რაოდენობა: 3574 3368 3876 3420

TTR 0,359 0,402 0,373 0,405

წინადადებების რაოდენობა: 111 130 250 308

ხშირად გამოყენებული სიტყვები: და, ეს, არის,

არ, რომ, მე(22) და, არ, რომ,

ეს, მე (47) და, რომ, არ,

არის, ეს (86) რომ, და, არ,

მე(90), რა.

ეს სტატისტიკური მონაცემები მრავალმხრივ საინტერესო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა. კერძოდ, ა) ოპოზიციური პარტიის პოლიტიკოსები ავლენენ ლექსიკის უფრო მეტ სიმჭიდროვეს, რაც უფრო ლაკონიური და ფოკუსირებული მეტყველების სტილს ახასიათებს, ბ) დაბალი კითხვადობის ინდექსი და მოკლე წინადადებების რაოდენობა ქალი პოლიტიკოსების მეტყველებაში იმაზე მიუთითებს, რომ ისინი უფრო მკაფიო და გასაგებ ენას იყენებენ მამაკაც კოლეგებთან შედარებით და უპირატესობას ანიჭებენ პოლიტიკური გამოსვლის სიცხადეს და გაგებინების ეფექტურობას, გ) ქალი პოლიტიკოსების მიერ პირველი პირის ნაცვალსახელების ხშირი გამოყენება (ზურაბიშვილი – 86, ჩარკვიანი – 90) მიუთითებს ქალი პოლიტიკოსების სტრატეგიაზე, პერსონალური კავშირი დაამყარონ აუდიტორიასთან. მამაკაცი პოლიტიკოსების მეტყველებაში პირის ნაცვალსახელთა გამოყენების დაბალი სტატისტიკა (მელია – 47, კობახიძე – 22) უფრო მეტი კოლექტიურობითა და ნაკლები ეგოცენტრულობით გამოირჩევა, რაც მათი საკომუნიკაციო სტილის გენდერულ სტრატეგიად უნდა მივიჩნიოთ.

განსხვავებები სტატისტიკურ მაჩვენებლებში, რომლებიც შეინიშნება მამაკაც და ქალ პოლიტიკოსებს შორის, ისევე როგორც ხელისუფლებისა და ოპოზიციის წევრებს შორის, ხაზს უსვამს პოლიტიკური მეტყველების ანალიზის პროცესში როგორც სქესის, ისე პარტიული კუთვნილების გათვალისწინების მნიშვნელობას.

Political speech is one of the most powerful tools for influencing mass consciousness. It is effectively utilized by politicians and those discussing political issues. Studying political speech is of paramount importance for understanding linguistic behaviour and its impact on society. The advent of digital technologies in the humanities, including political linguistics, has opened new avenues for interdisciplinary research. Today, we can thoroughly investigate the linguistic strategies and techniques employed by politicians in their speeches and establish systematic links between political speech and political processes.

In the digital age, processing linguistic data has become significantly more manageable. On one hand, digital tools facilitate this process, and on the other, modern digital methods have made it possible to analyze vast amounts of data efficiently.

Although the Georgian National Corpus includes political texts, integrating new texts into the corpus for research purposes can be time-consuming, potentially delaying research – especially during politically active periods such as pre-election times. In such cases, ready-made data processing tools like Voyant Tools can be employed for the rapid analysis of resources.

Our experience has demonstrated that Voyant Tools can be highly effective for quickly processing texts, particularly in identifying frequency patterns and drawing key conclusions. For instance, the findings from one of our previous studies, which were based on qualitative text analysis, were fully confirmed by the statistical data from Voyant Tools. Analyzing the political speeches of four politicians – Irakli Kobakhidze, Nika Melia, Salome Zurabishvili, and Tako Charkviani – through the Voyant Tools application validated the results of our linguo-political research:

a) Opposition party politicians tend to show a higher vocabulary density, indicative of a more concise and focused speech style.

b) The low readability index and shorter sentences in the speeches of female politicians suggest that they use clearer and more accessible language compared to their male counterparts. Female politicians tend to prioritize clarity and ease of understanding in their political communication.

c) The frequent use of first-person pronouns by female politicians (Zurabishvili – 86, Charkviani – 90) highlights their strategy of establishing a personal connection with the audience. In contrast, the lower frequency of personal pronoun use by male politicians (Melia – 47, Kobakhidze – 22) reflects a more collective and less self-centered communication style, which may be seen as a gender-based strategy in their political discourse.

The differences observed in the statistical indicators between male and female politicians, as well as between government and opposition members, underscore the importance of considering both gender and party affiliation when conducting political linguistic analysis.

ნანა შოშიაშვილი

Nana Shoshiashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

<https://orcid.org/0009-0008-1827-2406>

პარალელურ ანთროპონიმთა წარმოქმნის საშუალებები ქართულში

Means of Formation Parallel Anthroponyms in Georgian

საკვანძო სიტყვები: საყრდენი სეგმენტი, პარალელური ანთროპონიმები

Keywords: base segment, parallel anthroponyms

ანთროპონიმები ენის საერთო ლექსიკის საინტერესო ნაწილია. ამჟამად ჩვენი მიზანია, შევისწავლოთ პარალელური ანთროპონიმები. პარალელურად იწოდება ოფიციალურ ანთროპონიმთა არაოფიციალური, სხვადასხვა საშუალებით წარმოქმნილი ვარიანტები (მაგ.: დავითი – დათა, დათო, დათი, დათიკო, დათიკონა, დათუნა, დათუნია, დათება...).

პარალელურ ანთროპონიმთა ანალიზისათვის საჭიროდ მივიჩნიეთ, დაგვესვა საკითხი ოფიციალურ ანთროპონიმებში საყრდენი სეგმენტების გამოყოფის შესახებ; საყრდენს ვუწოდებთ იმ სეგმენტს ოფიციალური სახელისა, რომელსაც ემყარება პარალელური ვარიანტი. წარმოდგენილ მაგალითში (დავითი) საყრდენად არის გამოყენებული პირველი მარცვალი და ბოლო თანხმოვანი (და-თ).

მოძიებული მასალა, მისი ანალიზი და მიღებული დასკვნები საინტერესო უნდა იყოს ინტერდისციპლინური (კერძოდ: ენათმეცნიერების, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა და სხვა...) თვალსაზრისით.

ემპირიული მასალის ანალიზისას გამოვიყენეთ ისტორიულ-შედარებითი, აღწერითი (დესკრიფციული), სტატისტიკური და კორპუსზე დამყარებული (Corpus-based studies) კვლევის მეთოდები.

ამოსავალ (ოფიციალურ) სახელში გამოვყავით ერთსეგმენტიანი (ოთარი > ოთ-იკო, ოთ-უნა – საყრდენია „ოთ“...); ორსეგმენტიანი (ნიკოლოზი > ნიკო, ნიკ-უშა // კოლ-ა, კოლ-ია – საყრდენია „ნიკ“ და „კოლ“...) და სამსეგმენტიანი (ანასტასია > ანა, ნასტია, ტასო...) ონიმები.

საყრდენი სეგმენტი სტრუქტურული თვალსაზრისით შეიძლება იყოს ამოსავალი სახელის ა) მხოლოდ თანხმოვნითი ნაწილი („ნინო“-ს საყრდენი სეგმენტი „ნ“ ფონემა (ნ-უც-ა, ნ-უც-იკ-ო); ბ) მხოლოდ ერთი მარცვალი („ანას“ პარალელური ფორმებისთვის: ან-უკ-ა, ან-კა, ან-იკ-ო, ან-უნ-ა, ან-ჩო და ა.შ. საერთოა „ან“ ბგერათკომპლექსი) ან გ) ორი მარცვალი (ონიმში „იოანე“ საყრდენი სეგმენტი ორმარცვლიანი „იო“).

ამოსავალი ანთროპონიმის პარალელური ფორმა მიიღება საყრდენი სეგმენტის შენარჩუნებითა და ა) ონიმის აუსლაუტში ბგერის ან ბგერათა მოკვეციტ (ალექსანდრე > ალუ; აკაკი > აკა); ბ) ანლაუტში თავკიდურა ბგერის ან მარცვლის ჩამოშორებით (ალექსანდრე > ლექსო, სანდრო; აკაკი > კაკი); გ) ფუძეში ბგერის ან ბგერათა დაკარგვით (არჩილი > არი; კონსტანტინე > კოტე). პარალელური ანთროპონიმის მიღება შეიძლება სხვადასხვა აფიქსის დართვითაც (მაგ.: ანა + უკა > ანუკა); მოხშირდა ხმოვნის სუფიქსის დანიშნულებით გამოყენება ონიმებში, მაგ.: დათ-ი, დათ-ა, დათ-უ, გვანც-ი, ნატ-უ...

ამოსავალი ანთროპონიმის პარალელური ვარიანტი შეიძლება ოფიციალურ სახელზე მოკლე იყოს (ზურაბი > ზურა) ან, პირიქით, უფრო ვრცელ ფორმას წარმოადგენდეს (ვახტანგ > ვახუნხულა). ამიტომაც მივიჩნევთ, რომ პარალელურ ონიმთა შექმნა არაა ეკონომიით გამოწვეული პროცესი.

სხვადასხვა ანთროპონიმს ზოგჯერ ერთი და იგივე პარალელური ფორმა აქვს, ამიტომაც პარალელურ ფორმათა მიხედვით ყოველთვის ვერ ხერხდება ამოსავალი ონიმის დადგენა. ასეთ საკუთარ სახელებს პირობითად საზიარო პარალელური ფორმები ვუწოდეთ, მაგალითად: იასონის, იაკობისა და იამზეს საზიარო პარალელური ფორმაა „ია“; გრიგოლისა და გიორგისათვის ასეთ ფორმებად მიიჩნევა: „გია“, „გიგი“, „გიგა“, „გიგო“, „გიგუცა“ და ა.შ.

ერთი და იგივე საკუთარი სახელი ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს პირველადი, ხოლო მეორე შემთხვევაში პარალელურ საკუთარ სახელს წარმოადგენდეს. მაგალითად, „ანა“ ამოსავალი ანთროპონიმია და ცალკე გამოიყოფა, მაგრამ ონიმ „ანასტასიაში“ ანა, ისევე როგორც ტასო და ნასტია, მეორეული ონიმია. აქედან გამომდინარე, ის, რაც ძირითადია ერთისთვის, შეიძლება მეორისათვის პარალელური იყოს.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ პარალელურ ანთროპონიმთა წარმოქმნის შესაძლებლობა განუსაზღვრელია. ნომინატორის, იმავე სახელმძღვანელის, წარმოსახვის უნარი მრავალფეროვანია, ამიტომაც მას შეუძლია შექმნას სრულიად ახლებური ვარიანტი ამოსავალი ონიმისა, რაც კიდევ უფრო გაამდიდრებს ენის ლექსიკურ მარაგს.

Anthroponyms are an interesting part of the general vocabulary of a language. Currently, our goal is to study parallel anthroponyms. Parallel variants generated by different means are called unofficial variants of official anthroponyms (for example: Daviti – Data, Dato, Dati, Datiko, Datikona, Datuna, Datunia, Dateba...).

For the analysis of parallel anthroponyms, we considered it necessary to put a matter about the separation of base segments in official anthroponyms; A base segment is called the part of the official name that participates in the formation of parallel forms. In the presented example (Daviti) the first syllable and the last consonant (da-t) are used as a base segment.

The searched material, its analysis and the obtained conclusions should be interesting from an interdisciplinary (in particular: linguistics, psychology, sociology and etc.) point of view.

In the analysis of empirical material, we used Historical-comparative, Descriptive, Statistical and Corpus-based studies research methods.

In the official name, we represented one segment (Otari > Ot-iko, Ot-una – the base segment being “Ot”...); two-segmented (Nikolozhi > Niko, Nik-usha // Kol-a, Kol-ia – the base segments are “Nik” and “Kol”) and three-segmented (Anastasia > Ana, Nastya, Taso) onyms.

Structurally, the base segment can be a) only a consonant part of the origin name (the base segment of “Nino” is the “n” phoneme (N-uts-a, N-uts-ik-o); b) only one syllable of the origin name (the parallel forms of “ana”: An-uk-a, An-ka, An-ik-o, An-un-a, An-cho, etc. the base segment being “An”) or c) two syllables of the origin name (in the onym “Ioane” segment is the two-syllable “Io”).

The parallel form of the origin anthroponym is obtained by keeping the base segment and a) apocoping the sound or sounds of the onym (Alexandre > Ale; Akaki > Aka); b) by loss of sound or syllable in anlaut (Alexandre > Lexo, Sandro; Akaki > Kaki); c) syncopating a sound or sounds (Archili > Achi; Konstantine > Kote). A parallel anthroponym can be obtained by adding different affixes (for instance: Ana + Uka > Anuka); The purposeful use of vowel suffixes in onyms, for example: Dat-i, Dat-a, Dat-u, Gvants-i, Nat-u...

The parallel variant of the origin anthroponym can be shorter than the official name (Zurabi > Zura) or, on the contrary, represent a more extensive form (Vakhtang > Vakhunkhula). That is why we consider that the creation of parallel names is not a process caused by economy.

Different anthroponyms sometimes have the same parallel form, that's why it is not always possible to determine the starting name based on parallel forms. We call such proper names conventionally common parallel forms, for example: the common parallel form of Iason, Iacob and Iamze is "Ia".

The same proper name, in one case, can be the primary one, and in the other case, it can be a parallel proper name. For example, "Ana" is an origin anthroponym, but in the onym "Anastasia" Anna, like Tasso and Nastya, is a secondary onym. Therefore, what is basic for one can be parallel for another.

The impression remains that the possibility of generating parallel anthroponyms is undefined. The imagination of the nominator is diverse, that is why he/she can create a completely new variant of the origin onym, which will further enrich the lexical stock of the language.

ლაშა ჩანტლაძე
Lasha Chantladze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 Ivane Javakhishvili Tbilisi State University
<https://orcid.org/0009-0003-0105-0624>

**რუსეთის შიდაპოლიტიკური დაპირისპირება და ურთიერთობა
 საქართველოსთან: აფხაზეთის კონფლიქტი და მის ირგვლივ
 განვითარებული პროცესები 1992-1993**

***Internal Political Confrontation in Russia and Its Relations with Georgia:
 The Abkhazian Conflict and Surrounding Events, 1992-1993***

საკვანძო სიტყვები: *რუსეთი, შიდაპოლიტიკური დაპირისპირება, აფხაზეთი, ომი, ელცინი, ხასბულატოვი, რუსეთი*

Keywords: *internal political conflict, Russia, war, Abkhazia, Yeltsin, Khasbulatov, Ruskoy*

საკვლევი თემის მიზანია განიხილოს 1992-1993 წლებში რუსეთში განვითარებული პოლიტიკური პროცესები და ამის ფონზე გაანალიზოს, მოახდინა თუ არა რაიმე გავლენა არსებულმა შიდაპოლიტიკურმა კრიზისმა აფხაზეთის ომზე. გარდა ამისა, განხილულია აფხაზეთში კონფლიქტის გარდამტეხი მონაკვეთები და მასში რუსეთის მონაწილეობის ფაქტები. ცნობილი ამერიკელი მეცნიერის, ფრენსის ფუკუიამას მოსაზრებით, ცივი ომის დასასრულისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ კაცობრიობამ მიაღწია არა მხოლოდ ომის შემდგომი ისტორიის გარკვეული პერიოდის დასასრულს, არამედ იდეოლოგიურ და ევოლუციურ კულმინაციას, რომლის მიხედვითაც ლიბერალური დემოკრატია უნდა გამხდარიყო ადამიანური მმართველობის საბოლოო ფორმა. აღნიშნულს იზიარებდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი კოზირევი, რომელსაც მიაჩნდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დემოკრატიული რუსეთის ბუნებრივი მოკავშირე და ტოტალიტარული საბჭოთა იმპერიის მტერი იყო. საბჭოთა კავშირს კი მოიხსენიებდა, როგორც “არასწორად” და “არასამართლებრივად” განვითარებულს. ბუნებრივია, ამ ყველაფერმა ხელი შეუწყო ორი რუსეთის მითის ხელახლა გაღვიძებას როგორც დასავლურ სამყაროში, ისე საქართველოშიც. სამწუხაროდ, პოლიტიკურმა ელიტებმა ვერ გააცნობიერეს, რომ ორი რუსეთის არსებობა, ეს არის ილუზია, რომელიც ნათლად დაადასტურა 1992-1993 წლებში აფხაზეთში განვითარებულმა პროცესებმა. ედუარდ შევარდნაძის ხედვები, რომლებიც რუსეთის მხრიდან შექმნილ ვითარებაზე პასუხისმგებლობას არა ბორის ელცინსა და საპრეზიდენტო აპარატში მყოფ დემოკრატებს, არამედ უზენაესი საბჭოს მეთაურ რუსლან ხასბულატოვსა და სამხედროებს აკისრებდა, სრულიად მცდარი გამოდგა. მართალია, თავად ხასბულატოვი ელცინს ღიად უპირისპირდებოდა ძალაუფლების გადანაწილებისა და ეკონომიკური რეფორმების ირგვლივ, მაგრამ მათი სტრატეგია აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებში ღიად ატარებდა საქართველოს საწინააღმდეგო ხაზს.

მოცემულ კვლევაში გაანალიზდა 1992-1993 წლებში რუსეთის ფედერაციაში მიმდინარე შიდაპოლიტიკური დაპირისპირება და ამის ფონზე განხილულია აფხაზეთის ომის გარდამტეხი მონაკვეთები. ზოგადად, პრეზიდენტ ელცინის მმართველობა თეორიულად მოიცავდა კიდევაც რუსეთის ეკონომიკის მოდერნიზებასა და საგარეო პოლიტიკური კურსის ლიბერალიზაციას

(ინტეგრაცია დასავლურ პოლიტიკურ სტრუქტურებში). ბუნებრივია, აღნიშნული კონსერვატიულად და მილიტარისტულად განწყობილი პოლიტიკური ჯგუფების უკმაყოფილებას იწვევდა. თუმცა ფაქტებისა და შედეგების გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აფხაზეთში მიმდინარე ბრძოლებისას, არსებულმა უკმაყოფილებამ და დაპირისპირებამ არანაირი გავლენა არ მოახდინა შედეგზე, როგორც განვითარებულმა მოვლენებმა გვაჩვენა, იმპერიული ფსიქოლოგია უცვლელი დარჩა. ყველაზე ლიბერალურად განწყობილმა და გავლენიანმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ანდრეი კოზირევმაც კი, გაიზიარა იმპერიული კონცეფცია და მიიჩნია, რომ პოსტსაბჭოთა სივრცე რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის სფეროში უნდა დარჩენილიყო. რაც გამოვლინდა საქართველოს სამოქალაქო ომში ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობითა და აფხაზეთის კონფლიქტში სეპარატისტების აქტიური მხარდაჭერით.

მოცემული ნაშრომი მეთოდოლოგიურად თვისებრივი კვლევის კატეგორიას განეკუთვნება. პირველადი წყაროების (პრესა და მემუარული მასალები) განხილვისას გამოვიყენე შინაარსობრივი ანალიზის მეთოდი, ხოლო მეორეული წყაროების ანალიზისას (საკვლევი საკითხის ირგვლივ შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურა) ვიხელმძღვანელებ დისკურს-ანალიზის მეთოდით. გარდა ამისა, ისტორიული მოვლენების მიზეზშედეგობრივი ბმის ასახსნელად გამოყენებულია პროცესის მიდევნების მეთოდი.

1992-1993 წლებში საქართველოში მიმდინარე კონფლიქტში გადამწყვეტი გამოდგა რუსული ინტერვენცია, რომლის აქტიურმა ჩართულობამაც საბრძოლო მოქმედებებისა და, ზოგადად, ომის მსვლელობაში გარდატეხა შეიტანა აფხაზი სეპარატისტების სასარგებლოდ. რუსული მხარისთვის (როგორც ელცინისთვის, ისე ხასბულატოვისთვის) უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას ეცნო ეს უკანასკნელი, როგორც მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტორი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების სივრცეში. ახალი იმპერიული კონცეფციის თანახმად, კავკასია რუსეთის გავლენის სფეროში უნდა დარჩენილიყო.

საქართველოში მიმდინარე კონფლიქტში რუსეთის ფედერაციის მიზნების მიღწევაში დიდი როლი შეასრულა ჯერკიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე შექმნილმა ფრაგმენტული იმპერიალიზმის პოლიტიკამ, რომლის მიხედვითაც, მოკავშირე რესპუბლიკებში არსებული ავტონომიების სეპარატისტული მისწრაფებები უნდა გამოეყენებინათ თავად ამ დამოუკიდებლობის მსურველი რესპუბლიკების წინააღმდეგ. მართალია, თავად ხასბულატოვი ელცინს ღიად უპირისპირდებოდა ძალაუფლების გადანაწილებისა და ეკონომიკური რეფორმების ირგვლივ, მაგრამ მათი სტრატეგია აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებში ღიად ატარებდა საქართველოს საწინააღმდეგო ხაზს. როგორც შედეგების ანალიზი გვაჩვენებს, რუსული იმპერიული ფსიქოლოგია არ იცვლება, მის მიზანს არასდროს წარმოადგენდა საქართველოს დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოდ ცნობა. ამ მხრივ, აფხაზეთის ომი ბრწყინვალე საშუალება გახლდათ საქართველოს დასჯისა და დაზიანებისთვის. არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმ გარემოებას, თუ რომელი პოლიტიკური ჯგუფი იქნებოდა რუსეთის ხელისუფლებაში 1992-1993 წლებში, შედეგი კვლავინდებურად იგივე იქნებოდა, რაც საბოლოოდ დადგა.

The objective of this research is to explore the political developments in Russia during 1992-1993 and assess whether the domestic political crisis at that time influenced the war in Abkhazia. The article also examines the key turning points of the conflict in Abkhazia and delves into the details of Russia's involvement in the war.

According to renowned American scholar Francis Fukuyama, the end of the Cold War and the collapse of the Soviet Union, Humanity has not only reached the end of a distinct post-war historical period, but also an ideological and evolutionary culmination, wherein liberal democracy is envisioned as the ultimate form of human government. This was shared by the Russian Foreign Minister Andrei Kozyrev, who believed that

the United States was a natural ally of democratic Russia and an enemy of the totalitarian Soviet empire. He characterized the Soviet Union as “wrongly” and “illegally” developed. Needless to say, all this contributed to the revival of the myth of two Russia both in the Western world and in Georgia. Unfortunately, the political elites did not realize that the existence of two Russia was an illusion, which was clearly confirmed by the processes that developed in Abkhazia in 1992-1993. The visions of Eduard Shevardnadze, who placed the responsibility for the situation created by Russia not on Boris Yeltsin and the democrats in the presidential apparatus, but on the head of the Supreme Council Ruslan Khasbulatov and the military, turned out to be completely wrong. Although Khasbulatov himself openly opposed Yeltsin on issues of power distribution and economic reforms, their strategy regarding the ongoing events in Abkhazia was openly anti-Georgian.

This article reviews the internal political conflict in the Russian Federation in 1992-1993 and provides an analysis of the crucial turning points in the Abkhazian war within this context. In general, President Boris Yeltsin’s administration during this period was primarily focused on modernizing the Russian economy and liberalizing its foreign policy (integration into Western political structures). Understandably, the conservative and militaristic political factions expressed dissatisfaction with these developments. However, when considering the facts and outcomes, it becomes clear that the ongoing discontent and controversies had no effect on the final results of the conflict in Abkhazia. The course of events indicated that the prevailing imperial mindset remained steadfast throughout. Even Andrei Kozyrev, the most liberal and influential foreign minister at the time, shared the imperial ideology, advocating for the post-Soviet states to remain within Russia’s economic and political sphere of influence. This viewpoint was clearly illustrated by Russia’s involvement in the overthrow of Zviad Gamsakhurdia’s government during the Georgian Civil War and its active support for separatists in the Abkhazian conflict.

From a methodological perspective, this work falls within the realm of qualitative research. The content analysis method was used to review primary sources such as press articles and memoirs, and the discourse analysis method was applied to analyze secondary sources consisting of academic literature related to the research topic. In addition, the process tracing method was employed to elucidate the cause-and-effect relationships of historical events.

During 1992-1993, Russian intervention was a pivotal factor in the conflict in Georgia, significantly influencing the hostilities and ultimately tipping the balance in favor of the Abkhaz separatists. For both President Yeltsin and Chairman Khasbulatov, securing international recognition of Russia as the guarantor of peace and stability in the former Soviet Union was crucial. This objective aligned with the broader imperial strategy aimed at maintaining the Caucasus within Russia’s sphere of influence.

The strategy of fragmented imperialism, developed before the Soviet Union’s collapse, significantly shaped the Russian Federation’s objectives in the ongoing conflict in Georgia. This approach exploited that the separatist aspirations of the autonomies within the pro-independence union republics were to be used against the republic themselves. Despite public disagreements between Khasbulatov and Yeltsin on power-sharing and economic reform, their approach to the situation in Abkhazia was distinctly anti-Georgian, reflecting a unified stance on this aspect of foreign policy. The analysis of these actions underscores the continuity of Russia’s imperial mindset, with the ultimate objective not to acknowledge Georgia as an independent and sovereign state. In this context, the war in Abkhazia was utilized effectively as a means to punish and weaken Georgia. The consistency of this approach suggests that irrespective of which political faction controlled Russia during 1991-1993, the outcome would have likely remained the same.

აკაკი ჩიქობავა

Akaki Chikobava

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

<https://orcid.org/0000-0002-1620-0248>**საქართველო საერთაშორისო ვაჭრობაში XIV-XV საუკუნეებში
(ვაჭრობა და კრედიტი)****Georgia within International Trade XIV-XV cc. (Trade and Credit)****საკვანძო სიტყვები:** ვაჭრობა, კრედიტი, კაპიტალი, სებასტოპოლისი, საქართველო**Keywords:** trade, credit, capital, Sebastopolis, Georgia

ფერნან ბროდელის დაკვირვებებსა და მის ნაშრომებზე დაყრდნობით, იტალიელმა ეკონომისტმადასოციოლოგმაჯოვანიარიგიმწამოაყენათეორიაკაპიტალისდაგროვებისსისტემური ციკლის შესახებ. მისი ციკლის მიხედვით, პირველი ცენტრი იყო გენუის ქალაქსახელმწიფო, მეორე – ჰოლანდია, მესამე – ბრიტანეთი და მეოთხე – ამერიკის შეერთებული შტატები.

ჯოვანი არიგის მიხედვით, ნებისმიერი ციკლი კაპიტალის დაგროვების ცენტრის ფორმირებაში შედგება ორი ფაზისგან, პირველი – ეს არის მატერიალური ექსპანსია, როდესაც ახალი ტექნოლოგიები ახალ ცენტრს ქმნიან და მეორე – ეს არის, როდესაც დაგროვება გადადის ფინანსურ სფეროში. გენუელების მიერ შავი ზღვის ტერმინალზე მოპოვებულმა მონოპოლიამ ის საერთაშორისო ვაჭრობაში მნიშვნელოვან სახელმწიფოდ აქცია. ის ამ პროცესში კაპიტალის დაგროვების პირველ ცენტრად ჩამოყალიბდა. საქართველო ჩართული აღმოჩნდა საერთაშორისო ვაჭრობის სქემაში. მართალია, ქართული სამეფო-სამთავროების როლი მნიშვნელოვანი არ იყო, მაგრამ ამ სქემაში აღმოჩენამ მათ განვითარებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე დიდი გავლენა იქონია. ქართველი ვაჭრები ამიერიდან ვაჭრობის ისეთ ფორმებს ეზიარნენ, სადაც კრედიტებს და ვალს განსაკუთრებული ადგილი ეკავა. სამეფახშეო ფორმებიდან მალევე სასაქონლო საკრედიტო ფორმაში აღმოჩნდა ჩართული. ქართველი ვაჭრები იმ პერიოდის საზღვაო ვაჭრობისა და კრედიტის ყველა ფორმას იყენებდნენ როგორც კაფაში, ისე სოხუმში. გენუელი ვაჭრები სოხუმში, ფოთსა და ბათუმში თამასუქებისა და ვექსილების ნაირსახეობით თუ დაზღვეული კრედიტით სტუმრობდნენ. თუ ადრე ვალი, ქართული სამართლის მიხედვით, გირავნობით იტვირთებოდა, გენუელებთან ურთიერთობამ ქართველ ვაჭრებს უკვე დაზღვეული კრედიტის ფორმით სარგებლობაც შესთავაზა. იმ მცირე ნაწარმზე მოთხოვნამ, რომელიც საქართველოდან ექსპორტზე გადიოდა, ადგილზე შრომის დანაწილების საჭიროება გააჩინა. ქართველი ხელოსნები კაფაშიც მუშაობდნენ და სამხედრო ინდუსტრიაშიც იყვნენ ჩართული. თუ ადრე, მეტწილად, საქართველოში უცხო ტომელები ვაჭრობდნენ, ახლა უკვე ვაჭართა შორის ქართველებიც არიან. ვაჭრობის ახალმა ფორმებმა ვაჭართა ახალი ფენის წარმოშობას შეუწყო ხელი. ვაჭართა და ხელოსანთა რიგები, სავარაუდოდ, „მსახურთა“ ფენიდან ივსებოდა. ადგილობრივი ფეოდალური წარმოების წესისთვის უჩვეულო ძვრები შეინიშნებოდა. მაგრამ ეს ყველაფერი შავი ზღვის ოსმალთა ხელში გადასვლამ საბოლოოდ შეაჩერა, რასაც ბატონყმობის ხელახალი გამოცემა და ფეოდალური ურთიერთობების გაღრმავება მოჰყვა.

Based on Fernand Braudel's observations and works, Italian economist and sociologist Giovanni Arrighi put forward a theory about the systemic cycle of capital accumulation. According to his cycle, the first center of capital accumulation was the city-state of Genoa, second Holland, third Britain, and fourth United States of America.

According to Giovanni Arrighi, any cycle in the formation of a center of capital accumulation consists of two phases, one of which is material expansion, when new technologies create a new center, and the other is when accumulation moves into the financial sphere. The monopoly gained by the Genoese over the Black Sea terminal made it an important state in international trade. In this process, it became the first center of capital accumulation. Georgia was included in the scheme of international trade. Although the role of the Georgian kingdoms was not significant, their participation in this scheme had a substantial impact on their development and public life. From then on, Georgian merchants were engaged in such forms of trade, where credit and debt occupied a special place. Soon after the credit forms, they were included in the commodity credit form.

Georgian merchants used all types of maritime trade and credit of that period, both in Kafa and Sukhumi. Genoese merchants visited Sukhumi, Poti, and Batumi with promissory notes or insured credit. If earlier the debt was burdened with a pledge according to Georgian law, Genoese offered Georgian merchants the benefit in the form of already insured credit. The demand for the small products exported from Georgia created the need for a division of labor. Georgian artisans worked in Kafa and were involved in the military industry. Earlier, most traders in Georgia were foreigners. However, as a result of this shift, Georgians appeared among their ranks as well. New forms of trade contributed to the emergence of a new class of merchants. The ranks of merchants and artisans were most likely filled from the ranks of "servants", which points to unusual changes in the local feudal mode of production. But all this was eventually reversed after the Ottomans took control over the Black Sea, followed by the re-strengthening of serfdom and deepening of feudal relations.

მარიამ ჩხეიძე
Mariam Chkheidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 Ivane Javakhishvili Tbilisi State University
<https://orcid.org/0009-0003-9124-4974>

**ტრადიციათა შეჯახება – ქართული და ალბანური ტრადიციების ანალიზი
 ისმაილ კადარეს რომანში „გახლეჩილი აპრილი“ და ვაჟა-ფშაველას
 პოემებში „სტუმარ-მასპინძელი“ და „ალუდა ქეთელაური“**

**Clash of Traditions: Analysis of Georgian and Albanian Cultural Norms in Ismail
 Kadare's *Broken April* and Vazha-Pshavela's "Guest and Host" and "Aluda
 Ketelaure"**

საკვანძო სიტყვები: გზადიცია, კულტურა, კავშირი, საქართველო, ალბანეთი
Keywords: tradition, culture, connection, Georgia, Albania

ლიტერატურა კულტურათა კომუნიკაციის პროცესში დიდ როლს ასრულებს. ესაა ველი, სადაც ყოველი კულტურა, ეთნოსი საკუთარ სიტყვას ამბობს და სადაც მრავლად შევხვდებით მათი მოსაზრებების გადაკვეთის წერტილებსაც. რადგან ლიტერატურა იმ კოლექტიური არაცნობიერის გამოვლენის ერთ-ერთი ცალსახა მაგალითია, რომელზედაც კაცობრიობა არსებობს. ისმაილ კადარე და ვაჟა-ფშაველა თავიანთი ნაწარმოებებით ფანჯარას უღებენ მკითხველს ალბანური და ქართული კულტურის ხედით და ხაზს უსვამენ სტუმართმოყვარეობის სისხლში გამჯდარ ტრადიციას, სისხლის ალების პრაქტიკასა და ღირსებისა და სამართლიანობის რთულ ურთიერთქმედებებს.

მოხსენება განიხილავს იმ კულტურულ პარალელებს, რომლებიც ერთი შეხედვით განსხვავებულ კულტურათა ლიტერატურაში გამოვლინდა; ტრადიციებს, რომლებიც არა მხოლოდ კულტურული მნიშვნელობის მატარებელი არიან, არამედ გამოხატავენ ადამიანისა და სოციალური გამოცდილებათა უნივერსალურობას. კერძოდ, განიხილავს ისმაილ კადარეს რომანს „გახლეჩილი აპრილი“ და ვაჟა-ფშაველას პოემებს „სტუმარ-მასპინძელი“ და „ალუდა ქეთელაური“.

კვლევა იმ მნიშვნელოვან ტრადიციებთან ერთად, როგორებიცაა: სისხლის ალების ტრადიცია, ალბანური „გჯაკმარჯა“, მარჯვენის მოჭრის ტრადიცია, რომელიც რიტუალურ მსგავსებას ამჟღავნებს ალბანურ „თოფის დადების“ ტრადიციასთან, განიხილავს სტუმარმასპინძლობის ტრადიციის იმ ძირითად ასპექტებს, რომლებიც ალბანურ „კანუნში“ და ქართულ დაუნერეულ კანონში გვხვდება.

მოხსენება კომპარატივისტულად ადარებს იმ მეტაფორულ ქმედებებს, როგორებიცაა, ერთი მხრივ, სახლის ქავზე დაკიდებული მტრის მოჭრილი მარჯვენა ქართულ სინამდვილეში და, მეორე მხრივ, მოკლულის სამოსის სახლის აივანზე გამოკიდება ალბანურ სოფლებში.

გარდა ლიტერატურულ-კულტურული მსგავსება-განსხვავებებისა, მოცემული კვლევა განიხილავს ალბანური „კანუნის“ სემანტიკურ მსგავსებას ქართულ „კანონთან“ და ამ წესებში მთის, როგორც გეოგრაფიული ტოპოსის, მნიშვნელობას.

საბოლოოდ, პროტაგონისტთა ინდივიდუალური დრო-სივრცის, მათი თავგადასავლისა და სიუჟეტური მდინარეების ფონზე, მოხსენებაში შეჯამებულია ის კულტურული, ისტორიული და სო-

ციალური ფონი, რომელიც მოცემულ ლიტერატურულ ძეგლებში გამოვლინდა კოლექტიურობისა და უნივერსალურობის დონეზე.

კვლევა ემსახურება არა მხოლოდ ქართულ და ალბანურ ტრადიციებს შორის მსგავსებების გამოვლენას, არამედ ხაზს უსვამს იმ საერთო ღირებულებებს, რომლებიც განსხვავებული კულტურული იდენტობის დონეზე ვლინდება. შედეგად, მოცემული კომპარატივისტული ანალიზი მნიშვნელობას იძენს არა მხოლოდ ლიტერატურული, არამედ სოციოლოგიური, ეთნოლოგიური თვალსაზრისითაც.

This paper delves deeply into the cultural parallels between two seemingly distinct cultures: Albanian and Georgian. By examining Ismail Kadare's novel *Broken April* alongside Vazha-Pshavela's poems *Host and Guest* and *Aluda Ketelaure*, the work uncovers a rich tapestry of shared traditions. While these traditions hold unique cultural significance, they also highlight the universality of certain human experiences and societal structures. Literature serves as a profound medium for revealing the essence of culture and tradition. Kadare and Vazha-Pshavela, through their compelling narratives, offer insight into the Albanian and Georgian ways of life, particularly focusing on the deeply ingrained traditions of hospitality, blood feuds, and the complex interplay of honor and justice.

Hospitality emerges as a central theme in both Kadare's and Vazha-Pshavela's works. In *Broken April*, the Code of Lekë Dukagjini, or the Kanun, mandates the provision of shelter and protection to guests, reflecting a sacred duty that transcends personal vendettas and conflicts. Similarly, in *Host and Guest*, the Georgian tradition of *Kanoni* underscores the moral obligation to offer hospitality, even to an enemy, highlighting universal respect for human dignity and the sanctity of the guest-host relationship. This parallel not only illustrates the shared emphasis on hospitality but also reveals how this practice is embedded in the moral and ethical codes of both cultures.

The practice of blood feuds, or "gjakmarrja" in Albanian, and the corresponding traditions in Georgian culture, present another striking similarity. Kadare's *Broken April* vividly portrays the cyclical nature of blood feuds and the strict adherence to the Kanun, which dictates the precise conditions and rituals surrounding acts of vengeance. In Vazha-Pshavela's *Aluda Ketelaure*, the act of cutting off the right hand serves as a form of retributive justice, embodying the principle of "an eye for an eye." While the specific customs differ, both traditions emphasize honor, justice, and the communal enforcement of these values.

A key aspect of this comparative analysis is the semantic exploration of the words "Kanun" (Albanian) and "Kanoni" (Georgian). By analyzing the etymology and usage of these terms, the paper uncovers deeper insights into how these codes have been shaped by their respective cultures.

In addition to thematic analysis, the paper provides a comparative study of specific rituals depicted in the texts. For example, the practice of placing a gun on the back of the deceased in *Broken April* contrasts with the symbolic act of cutting off the hand in *Aluda Ketelaure*. Through the protagonists' experiences and the narrative structures of these literary works, readers gain a nuanced understanding of how these traditions function and evolve within their respective cultures.

In summary, this paper highlights not only the cultural similarities between Albanian and Georgian traditions as depicted in these literary works but also the unique expressions and significance of these traditions. By comparing themes of hospitality, blood feuds, and the semantic nuances of "Kanun" and "Kanoni," the study reveals a complex interplay of shared values and distinct cultural identities. This comparative analysis enhances our understanding of these two cultures and contributes to broader discussions on the universality and particularity of human traditions and social practices.

ილია ცეცხლაძე
Ilia Tsetskhladze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
<https://orcid.org/0000-0002-4204-8649>

ფსევდო-ათანასე ალექსანდრიელის „Homilia in Nativitatem Praecursoris“
და მისი ძველი ქართული თარგმანი

“Pseudo-Athanasius of Alexandria’s Homilia in Nativitatem Praecursoris
and Its Old Georgian Translation

საკვანძო სიტყვები: ფსევდო-ათანასე, იოვანე ნათელსმცემელი, ჰომილია, ძველი
ქართული თარგმანი

Keywords: Pseudo-Athanasius, John the Baptist, homily, old Georgian translation

ქართული ხელნაწერული ტრადიციით ათანასე ალექსანდრიელის სახელით ზედწარწერილი და ჩვენამდე მოღწეული ჰომილიის „სიტყუა შობისათჳს წინამორბედისა და ელისაბედისთჳს და წმიდისა ღმრთისმშობლისა“ (Homilia in Nativitatem Praecursoris (PG 28, 905-913)) ავთენტიკურობის საკითხი დღემდე საკამათოა. რადგან ტექსტი ყველა ენაზე გვიანდელი ხელნაწერებითაა მოღწეული და ყველა მათგანში ავტორად ათანასეა მოხსენიებული, მკვლევრების მიერ ავთენტიკურობასთან დაკავშირებული ჰიპოთეზები, ძირითადად, ჰომილიის ტექსტოლოგიურ ანალიზს ეყრდნობა.

ჰომილია ქართულად მხოლოდ ერთი, XVI საუკუნით დათარიღებული, გელათური მეტაფრასული კრებულით არის მოღწეული (ქუთ. 3, 245r-249r) და ცხოვრებათა და წამებათა ტექსტებს შორის 24 ივნისის საკითხავად არის განთავსებული (ნიკოლაძე, 1953, გვ. 19). უცნობია მისი ქართულად მთარგმნელის ვინაობა.

თხზულება მრავალმხრივ არის საინტერესო, მასში რამდენიმე ბიბლიური პასაჟია განმარტებული, კერძოდ, ლუკას სახარებიდან გაბრიელ მთავარანგელოზისაგან ზაქარიასთვის წინამორბედი იოვანეს შობისა (ლუკა 1, 5-20) და ღმრთისმშობლისადმი ხარების (ლუკა 1, 26-38) ეპიზოდები. ლუკას სახარების ამ მონაკვეთებთან ერთად ჰომილიაში სხვა მრავალი ბიბლიური პასაჟია მოხმობილი და განმარტებული. თხზულება განსაკუთრებით საინტერესოა ანგელოლოგიის შესწავლის თვალსაზრისით. აღსანიშნავია ჰომილიის მხატვრული ღირებულება როგორც ბერძნული დედნისა, ისე მისი ძველი ქართული თარგმანისა, ორივე მდიდარია მხატვრული ხერხებითა და ორატორული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი თხრობის სტილით.

რადგან აღნიშნული ჰომილია დღემდე გამოუცემელი და სრულიად შეუსწავლელი იყო, პირველ ეტაპს ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერის პალეოგრაფიულ-ტექსტოლოგიური შესწავლა, ძველი ქართული თარგმანის ბერძნულ დედანთან შედარება და კრიტიკული აპარატის მქონე ტექსტის მომზადება წარმოადგენდა. აქ განისაზღვრა ძველი ქართული თარგმანის მიმართება დედანთან, მთარგმნელობითი მეთოდოლოგია, დედნისეული სტილისა და ბერძნული ტერმინოლოგიის ასახვის პრობლემატიკა ძველ ქართულ თარგმანში.

შემდეგი უმთავრესი საკითხი და მიმართულება, როგორც უკვე ითქვა, ტექსტის ავთენტიკურობის კვლევაა. ტექსტის სავარაუდო ავტორთან დაკავშირებით ხუთი სხვადასხვა მეცნიერის

მიერ გამოთქმულია ხუთი სხვადასხვა მოსაზრება. ფრანგი მეცნიერი B. Capelle ჰომილიას ტიმოთე იერუსალიმელს მიაკუთვნებს (Capelle, 1949, p. 4-26). ასევე ფრანგი მკვლევარი B. Marx-ი ავტორად პროკლე კონსტანტინეპოლელს მოიაზრებს (Marx, 1940, p. 77). ესპანურ სამეცნიერო ლიტერატურაში Robert Caro ავტორად ამფილოქე იკონიელს ასახელებს (Caro, 1972, p. 532), M. Sachot-ი სავარაუდო ავტორების სიას კიდევ უფრო ამდიდრებს და მეოთხე სავარაუდო ავტორად ლეონტი კონსტანტინეპოლელს გვთავაზობს (Sachot, 1977, p. 240), ხოლო Patrologia Graece-ში ჰომილია Spuria-დ არის მიჩნეული და წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ გვიანდელი პერიოდისათვის დამახასიათებელი დაბალი სტილის გამო ჰომილია არ უნდა ეკუთვნოდეს ათანასე დიდს (PG, 28, p. 905).

პალეოგრაფიულ-ტექსტოლოგიური და კორპუსული კვლევის შემდეგ (ჰომილიაში გამოვლენილი კონკრეტული სპეციფიკური ტერმინოლოგია და ფრაზები დაიძებნა დასახელებული სავარაუდო ავტორებისა და ათანასე ალექსანდრიელის სხვა ავთენტიკურ ტექსტებში), რომელიც მიზნად ჰომილიის ტექსტის, მისი წყაროების მაქსიმალურ შესწავლას, ძველი ქართული თარგმანის დაზუსტებასა და ავტორის ვინაობისა თუ თხზულების შექმნის სავარაუდო ისტორიული კონტექსტის იდენტიფიცირებას ისახავდა.

ათანასე ალექსანდრიელის თხზულებების ძველი ქართული თარგმანები, ძირითადად, შეუსწავლელია. დასახელებული ჰომილიის ტექსტი და მასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს და ამდიდრებს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურას. სამომავლოდ კი, მზადდება ათანასე დიდის შრომების ძველი ქართული თარგმანების სრული კორპუსი.

The authenticity of the homily attributed to Athanasius of Alexandria, known as *Homilia in Nativitatem Praecursoris* (PG 28, 905-913), remains a subject of debate. The homily exists in later manuscripts across various languages, all attributing authorship to Athanasius. Therefore, researchers' hypotheses regarding its authenticity are primarily based on textual analysis.

The homily in Georgian has been found in only one Gelatian metaphrastic collection dating from the 16th century (Kut. 3, 245r-249r) and is included among texts of lives and martyrdoms intended for reading on June 24 (Nikoladze, 1953, p. 19). The identity of the translator into Georgian remains unknown.

This text holds considerable interest for several reasons. It discusses episodes from the Gospel of Luke, particularly the Nativity of John the Predecessor, the announcement to Zacharias from the Archangel Gabriel (Luke 1:5-20), and the Annunciation to the Mother of God (Luke 1:26-38). The homily is of high artistic value, both in its original Greek and in its old Georgian translation.

Since this homily was previously unpublished and completely unstudied, the first stage of our research involved a paleographical-textological study of the surviving manuscript, comparison of the old Georgian translation with the Greek original, and preparation of a critical text.

A key direction of this study, as mentioned, is the question of the text's authenticity. Five different opinions have been proposed regarding the authorship of the homily. French scholar B. Capelle attributes the homily to Timothy of Jerusalem (Capelle, 1949, p. 4-26), while another French researcher, B. Marx, suggests Proclus of Constantinople (Marx, 1940, p. 77). In the Spanish scholarly tradition, Robert Caro argues that Amphilochius of Iconium is the author (Caro, 1972, p. 532). M. Sachot adds to the list by proposing Leontius of Constantinople as a fourth possible author (Sachot, 1977, p. 240). Lastly, *Patrologia Graeca* (PG 28, p. 905) considers the homily a *spuria*, stating that it should not be attributed to Athanasius the Great due to its low style, which is more characteristic of a later period.

In the future, the complete corpus of old Georgian translations of the works of Athanasius the Great is being prepared for publication.

ნინო ცომაია

Nino Tsomaia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

<https://orcid.org/0009-0000-1694-8494>

**სლენგი და მისი გადმოცემის პრობლემა
(ჯერომ სელინჯერის *The Catcher in the Rye*-ის გია ჭუმბურიძისეული
თარგმანის მიხედვით)**

**Slang and the Problem of Its Translation
(Based on Gia Chumburidze's Georgian Translation of J.D. Salinger's
The Catcher in the Rye)**

საკვანძო სიტყვები: სლენგი, სლენგის თარგმანი, დექსიკა

Keywords: slang, slang translation, vocabulary

სლენგი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და, იმავდროულად, ენის რთული ფენომენია. მისი გაჩენა ყოველთვის გამოწვეულია ისტორიული, სოციალური თუ კულტურული ტენდენციებით. სლენგი საკმაოდ გავრცელებულია მხატვრულ ლიტერატურაში. მას აქვს მკაფიო ეროვნული, ენობრივი და სოციალური სპეციფიკა და ამიტომ ყველაზე ხშირად გამოიყენება პერსონაჟის შემოქმედებითი მახასიათებლების, სიტუაციისათვის კომიკური ელფერის მისაცემად.

საკითხი აქტუალურია, რამდენადაც სლენგი დღეს ნაკლებად შესწავლილია თარგმანის თეორიის კონტექსტში. მისი ფუნქცია არ არის მხოლოდ უცხოენოვანი ტექსტის მნიშვნელობის მიწოდება ადრესატამდე, მან ასევე უნდა გადასცეს კულტურის კონცეფცია. უძველესი დროიდან თარგმანი ასრულებდა ინტერლინგვური და კულტურათშორისი კომუნიკაციის ფუნქციას. სლენგის თარგმნისას მთარგმნელის წინაშე დგას ყველაზე ზუსტი და ადეკვატური თარგმანის საკითხი. ეს მიზანი მიიღწევა სხვადასხვა საშუალებით: კომპენსაცია, დაზუსტება, ანტონიმური თარგმანი, ეკვივალენტური ლექსიკის ჩანაცვლების მეთოდი და ა.შ.

საანალიზოდ ავიღეთ ჯერომ სელინჯერის რომანი „კლდის პირზე, ჭვავის ყანაში“, რამდენადაც აღნიშნული ნაწარმოების კვლევა სლენგის თვალსაზრისით ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს.

ნაშრომი ეფუძნება ემპირიულ და აღწერით მეთოდებს. ემპირიული კვლევისათვის ჩვენ გამოვიყენეთ თარგმანისა და ორიგინალის შეპირისპირებითი ანალიზი. ინგლისური ენის ლექსიკური ერთეულები შეპირისპირებულია თარგმანში მათ ქართულ ეკვივალენტებთან.

ჩვენი მიზანია, თარგმანების შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე გამოვყოთ სლენგი და მთარგმნელობითი ხერხები ამ სიტყვების თარგმნისას. ორიგინალებისა და თარგმანების შეპირისპირებითი ანალიზი საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ ის მთარგმნელობითი სტრატეგიები, რომელთა მეშვეობითაც მიიღება თარგმანები.

კვლევის ძირითად მეთოდოლოგიად უნდა მივიჩნიოთ ინტერდისციპლინარობი, როგორც თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პარადიგმული ტენდენცია. ჩვენ მიერ დასახული მიზნიდან გამომდინარე, აუცილებელია ისეთი დისციპლინების

დაკავშირება, როგორებიცაა: ლინგვისტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა. თარგმანზე მუშაობისას, ერთი მხრივ, საქმე გვაქვს ტექსტთან – ვერბალურ ტექსტთან, რომელსაც შეისწავლის ლინგვისტიკა და, მეორე მხრივ – მხატვრულ ტექსტთან, რომელსაც ლიტერატურათმცოდნეობა იკვლევს.

ჯერომ სელინჯერი თავის რომანში „კლდის პირზე, ქვავის ყანაში“ ასახავს მთავარი გმირის – ჰოლდენ კოლფილდის სოცოლოგეტს, რომელიც მეამბოხე თინეიჯერია და რომელსაც აქვს უკომპრომისო შეხედულებები უამრავ საკითხთან დაკავშირებით. რომანში მთავარი გმირის მეტყველება სავსეა ჟარგონული სიტყვებითა და გამონათქვამებით. ამით ავტორი აახლოებს ახალგაზრდა მკითხველს ჰოლდენ კოლფილდის სამყაროსთან, აცოცხლებს იმ სინამდვილეს, რომელშიც მოქმედებენ, ფიქრობენ, საუბრობენ თინეიჯერები რეალურად.

ახალგაზრდული სლენგი არის მობილური სისტემა, რომელიც ექვემდებარება მუდმივ ცვალებადობას. ეს ყველაფერი ახალგაზრდულ სლენგს ხდის უკიდურესად სპეციფიკურს და სირთულეებს უქმნის მთარგმნელებს.

ნებისმიერი ენის ლექსიკა რეაგირებს ყველა იმ მოვლენაზე, რომლებიც ჩვენ ირგვლივ ხდება. თანამედროვე პროზის ენა ავლენს გარკვეულ ტენდენციებს ახალგაზრდების მეტყველებაში.

კვლევის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პერსონაჟები სლენგსა და ჟარგონიზმებს უფრო ხშირად იყენებენ სათქმელის ექსპრესიისა და სიტყვის ემოციური ელფერის გასაძლიერებლად.

ვულგარიზმები თარგმნილია შერბილების მეთოდით, თუმცა სინონიმური თარგმანის მაგალითებიც დასტურდება.

მხატვრული ეფექტის გასაძლიერებლად შექმნილია სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფრაზეოლოგიზმები, რომელთა თარგმნისას ხშირ შემთხვევაში გამოყენებულია ეკვივალენტური და ანტონიმური თარგმანის მეთოდები.

კვლევამ ცხადყო, რომ თარგმანი არის ენობრივი შუამავლის სახე, რომლის დროსაც სხვა ენაზე იქმნება ორიგინალის კომუნიკაციურად ტოლფასოვანი ტექსტი, რომელიც კომუნიკაციურად ორიგინალის ტოლფარდია და რომლის დანიშნულებაც, სრულფასოვნად შეცვალოს ეს უკანასკნელი.

Slang is one of the most intriguing and complex aspects of language. Its emergence is closely tied to historical, social, and cultural trends. Slang is widely used in fiction, where it often serves to highlight the creative qualities of a character and add a comedic element to a situation due to its national, linguistic, and social nuances.

This topic is particularly relevant because slang has received limited attention in translation theory. Its function goes beyond merely conveying meaning from one language to another; it also encapsulates cultural concepts. Since ancient times, translation has served as a means of interlanguage and intercultural communication. Translators face the challenge of finding the most accurate and appropriate ways to translate slang, a goal that can be achieved through various techniques, such as compensation, clarification, antonymic translation, and substitution.

In our study, we focused on *The Catcher in the Rye* by J.D. Salinger, as this novel presents a fresh perspective on the translation of slang. The paper is based on empirical and descriptive research, employing comparative analysis between the original text and its Georgian translation. English lexical items were compared with their Georgian equivalents to explore how slang is rendered in translation.

The primary objective of the study is to identify slang in *The Catcher in the Rye* and analyze the translation methods used to render these words in Georgian. Through comparative analysis, we aim to reveal the strategies employed by translators when handling slang.

The research methodology is interdisciplinary, reflecting one of the key paradigmatic trends in modern humanities. In our research, it is essential to combine insights from linguistics and literary studies. On one hand, we analyze a text from a linguistic perspective, and on the other hand, we consider it as a literary work, requiring a literary analysis.

The language in *The Catcher in the Rye* reflects the sociolect of the protagonist, Holden Caulfield. Holden is a rebellious teenager with uncompromising views on many subjects, and his language is filled with slang and jargon. This approach allows the author to immerse readers in Holden's world and accurately reflect the reality in which teenagers live, think, and speak.

Youth slang is a dynamic and constantly evolving system, making it particularly challenging for translators. The vocabulary of any language mirrors the world around us, and the language of modern prose reflects trends in the speech of young people. Characters in fiction often use slang and jargon to enhance the emotional tone of their speech, making it more expressive and relatable.

In our research, we found that vulgarisms are often translated using softening methods, though examples of synonymic translation were also observed. To enhance the artistic effect, translators have created phraseological units typical of colloquial speech, and methods such as equivalent and antonymic translation are frequently used to capture the essence of these phrases.

Ultimately, the study has shown that translation is a form of linguistic mediation. The translated text must be communicatively equivalent to the original, effectively replacing it while maintaining the original's meaning and intent.

ლიზი ძაგნიძე

Lizi Dzagnidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

<https://orcid.org/0009-0008-7380-6968>

ტ.ს. ელიოტის „ჯ. ალფრედ პრუფროკის სასიყვარულო საგალობელი“ და მისი ქართულად თარგმნის თავისებურებანი

T.S. Eliot's "The Love Song of J. Alfred Prufrock" and the Specifics of Its Georgian Translation

საკვანძო სიტყვები: ტ.ს. ელიოტი, დავით წერედიანი, პოეზიის თარგმნა, მოდერნიზმი

Keywords: T.S. Eliot, Davit Tserediani, poetry translation, modernism

მოხსენებაში გაანალიზებულია ქართველი პოეტისა და მთარგმნელის, დავით წერედიანის, მიერ ნათარგმნი ტ.ს. ელიოტის ცნობილი ლექსი „ჯ. ალფრედ პრუფროკის სასიყვარულო საგალობელი“. დავით წერედიანის თარგმანი „ლიტერატურულ გაზეთში“ 2018 წელს გამოქვეყნდა, რამაც მაშინვე მიიქცია მკითხველთა ყურადღება და ლექსის ქართულ ვარიანტს არაერთი გამოხმაურებაც მოჰყვა.

შესასწავლი საკითხის აქტუალობას დიდწილად თავად ტ.ს. ელიოტის აქტუალობა განაპირობებს, რომლის პოეტური თუ თეორიული ტექსტები 21-ე საუკუნის კრიზისულ ცხოვრებასა თუ დეჰუმანიზებულ ესთეტიკაში თანამედროვედ ჟღერს, რაზეც მეტყველებს თუნდაც მასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი აქტივობა ქართულ ლიტერატურულ თუ მთარგმნელობით პროცესებში, მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებში და ელიოტის შემოქმედების სხვადასხვა ასპექტის კვლევებზე დაფუძნებული მნიშვნელოვანი სამეცნიერო ლიტერატურა.

ტ.ს. ელიოტის პოეზიის თარგმნის სირთულეს განაპირობებს მოდერნიზმისთვის დამახასიათებელი ექსპერიმენტული სამწერლო მანერა, წინარე ლიტერატურული ტექსტების რეგულარული ციტირება ახალი ფორმით და კულტურული ტრანსფორმაციები სხვადასხვა დონეზე, რაც ალუზიის მხატვრულ ხერხს ინტერტექსტუალობის საინტერესო გამოვლინებად აქცევს. ამგვარად, როცა ალუზიების უცხო ენაზე გადატანის საკითხი დგება, ტექსტში მისი გამოყენების სპეციფიკასა და სხვა შემადგენელ ელემენტებს განსაკუთრებული ფუნქცია ენიჭება. ლექსებში გამოყენებული ასოციაციური მეთოდის გათვალისწინებით, თარგმნისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალუზიების სტრუქტურული და ტექსტობრივი თავისებურებები.

„ჯ. ალფრედ პრუფროკის სასიყვარულო საგალობლის“ ქართულ თარგმანში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლოგიკით იმპლიცირებული ჩანართების ფუნქცია. ეს ჩანართები ფართოდ გამოიყენება მონოლოგში დაუმთავრებელი ფრაზებისა და უზმნო სახელდებითი წინადადებების რეპროდუცირებისას; ასევე, დესკრიფციის დროს დეტალთა ფუნქციური კავშირების საჩვენებლად და ზოგიერთი არადედნიხეული, მაგრამ ლოგიკითა და ელიოტისავე მეთოდიკით დასაბუთებული თარგმანისეული ჩანართისთვის.

მოხსენებაში ანალიზისა და შედარების მეთოდებით განხილულია დ. წერედიანის მიერ შესრულებული ქართული თარგმანის საკვანძო ასპექტები და ნაჩვენებია, რომ დ. წერედიანის მიერ შესრულებულ თარგმანში წყარო-ტექსტის ყველა მნიშვნელოვანი ნიუანსია გათვალისწინებული,

სწორადაა ამოცნობილი პოემის ძირითადი სტილისტური ნიშნები და, შესაბამისად, მისი მეთოდი სათარგმნელი ტექსტისადმი მთარგმნელის კომპლექსური მიდგომის ნიმუშია.

The paper examines the translation of T.S. Eliot's seminal poem "The Love Song of J. Alfred Prufrock" by the Georgian poet and translator Davit Tserediani. Published in "Literaturuli Gazeti" in 2018, D. Tserediani's translation garnered significant attention, sparking discussion, and receiving numerous responses from Georgian readers.

The importance of this study is underscored by the enduring relevance of Eliot's work, which continues to resonate in the 21st century's crisis-laden and often dehumanized aesthetic landscape. This is evident in the ongoing interest in Eliot within Georgian literary and translation circles, as well as in international academic forums and critical research dedicated to various aspects of his oeuvre.

The challenge of translating Eliot's poetry lies in his modernist style, characterized by experimental forms, frequent allusions to earlier literary texts, and complex cultural references. These elements make the art of allusion a compelling example of intertextuality, posing unique challenges in translation. Specifically, when translating allusions into another language, the nuances of their structural and textual features must be carefully preserved.

In D. Tserediani's Georgian translation of "Prufrock," the logical function of textual insertions plays a crucial role. These insertions are used effectively to render the lyrical hero's unfinished phrases and noun clauses in the monologue, and to maintain the functional connections between details, including logically and contextually grounded additions.

The paper employs analysis and comparative methods to explore the key aspects of D. Tserediani's translation, demonstrating that his approach successfully captures the essential nuances and stylistic features of the original text. D. Tserediani's translation exemplifies a meticulous and sophisticated approach to rendering Eliot's work in Georgian, making it a valuable contribution to both Georgian literary studies and the broader field of translation studies.

ეკა ხანიშვილი
Eka Khanishvili

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
Sokhumi State University, East European University

<https://orcid.org/0009-0001-9116-6043>

**ოთარ ჩხეიძის ენის ზოგიერთი თავისებურების შესახებ
(„თეთრი დათვი“ და „ბერმუდის სამკუთხედი“)***
On Certain Linguistic Features of Otar Chkheidze's Language*
(Based on “White Bear” and “The Bermuda Triangle”)

საკვანძო სიტყვები: სტილი, ფრაზეოლოგია, ენობრივი სამყარო, კვლევა

Keywords: style, phraseology, language world, research

ენა ერის მეობის ყველაზე არსებითი ნიშანი. ენას ხალხი ქმნის, სამწერლო ენას – მწერლობა, სამწერლო ენის ძეგლები ენის ნაკვალევს ტოვებს ისტორიაში.

ლიტერატურული ნაწარმოების სრულყოფილ იდეურ-მხატვრულ ანალიზზე მხოლოდ მაშინ შეიძლება საუბარი, როცა შესწავლილია ის ფორმა, რომლითაც მწერალი გადმოსცემს თავის სათქმელს, ე. ი. თუ შესწავლილია ენაც.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია რომანების „თეთრი დათვისა“ და „ბერმუდის სამკუთხედის“ ზოგი ენობრივი და სტილისტიკური თავისებურება, კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია ფრაზეოლოგიზმთა, პარემიულ გამოთქმათა თუ აფორიზმთა ფუნქციაზე, ანდაზების მრავალფეროვნებაზე, ნასახელარ ზმნათა მოხმარების სიხშირესა და შედარების სტილისტიკურ დანიშნულებაზე.

მწერლის ენისა და სტილის კვლევა ყოველთვის იწვევდა მკვლევართა ინტერესს. ამა თუ იმ შემოქმედის ენობრივი პოზიცია განისაზღვრება მისი დამოკიდებულებით მშობლიური ენისა და დიალექტებისადმი და, რაღა თქმა უნდა, გულისხმობს იმის ჩვენებას, თუ როგორ ერწყმის მწერლის თეორიული შეხედულებები შემოქმედებაში განსხვავებულ ენას, რა მიზნით იყენებს ლექსიკურ, ფრაზეოლოგიურ თუ წმინდა ენობრივ რესურსს.

მწერლის „რომანების სერიაში უკეთ, ვიდრე რომელიმე სხვა თანამედროვე მწერლის წიგნებში, მოცემულია თითქმის მეოცე საუკუნის საქართველოს ცხოვრების რთული და საინტერესო სურათი. ესაა ერთი ვრცელი მეტაფორა და ყველაზე საგულისხმო აქ ისაა, რომ ეს მეტაფორა ორმაგადაა დაშიფრული. ეს მეორე შიფრი მწერლის ენაა“ (ტ. ჭანტურია 2005).

ოთარ ჩხეიძის რომანებში, რომლებიც შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, მიუხედავად თითოეულის კონკრეტული სათაურისა: „თეთრი დათვი“, „არტისტული გადატრიალება“, „ბერმუდის სამკუთხედი“ და სხვა – მწერალმა მიზანმიმართულად,

* ჩვენს ნაშრომში მივმართეთ ლექსიკონებს: *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, თბ., ტ. I 1950. ტ. VIII. 1964 (შემდეგ: ქეგლ); ა. ნეიშანის *„ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“*; ა. ონიანის *„ქართული იდიომები“*; თ. სახოკიას *„ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“*; <https://idioms.tsu.ge/>.

ქვეყნისა და საზოგადოების გასაფრთხილებლად, ხაზგასმით გამოყო უმთავრესი პრობლემები, რომელთა მიმართ ქართული სახელმწიფო განსაკუთრებული სიფრთხილითა და ყურადღებით უნდა ყოფილიყო“ (სამეცნიერო კონფერენცია IV, 159).

ხალხურ, სასაუბრო ენას, ანდაზებს, იგავებს, ფრაზეოლოგიზმებს შეუძლიათ ძლიერი ზემოქმედება მოახდინონ მკითხველზე, განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება ისინი ქვეტექსტებში.

ყურადღებას გავამახვილებთ ფრაზეოლოგიზმებზე, მეტყველების განსაკუთრებულ შესაძლებლობებზე, რომლებიც ქმნიან ენობრივ ფორმულირებას.

ოთარ ჩხეიძის თხზულებებში გვხვდება: ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც საყოველთაოდ გავრცელებული და ასახულია არსებულ ლექსიკონებში (თავში ქვა ეხალა, მუცელში სამართებელიო; ასკდებოდა გულსა; ენა წაიგდეს; თავი ქვას ახალონ; მოუსვი ბაყაყური; კუდით ქვას ასროლინებს; ჭალი ედებოდა ენაზედა...).

გამოთქმები, რომლებიც არ არის დამოწმებული ჩვენს ხელთ არსებულ ლექსიკონებში (კვერის ცემა; ალუჩაზე უბით; გზა დალიონ; კუკუ რო უჭირა; ჭერს უწია; გზები დაჰქნა; უბუცეს თავი; ენა ემტვრევა...).

ოთარ ჩხეიძის ენობრივი სტილის ერთ-ერთ გამოხატულებად აშკარად იკვეთება ანდაზის არასტანდარტული გამოყენება ტექსტისათვის მეტი ექსპრესიულობისა და დამაჯერებლობის მინიჭების მიზნით. ანდაზა ორიგინალურად ერწყმის კონტექსტს და მის შიგნით ქმნის საკუთარ კონტექსტურ მნიშვნელობას:

„ანაზად ითქმის, თორემ: დასუნსულებენ ჰო ძაღლები, გუნდადა, ცალ-ცალკე, ხროვა-ხროვადა, დაეყუცებიან ისინიცა შორიახლოსა, ბოლმა რო მიაღწიოს იმათამდეცა, შეთბენ რო ბოლითა, შეიბურონ, ამოიჭვარტლონ, მერე პურიც მოვა, ქატოს პურიო თუ რაღაც უარესისაო“ (1გვ., 29);

მწერალი განსხვავებულ ფორმებსაც გვთავაზობს, რომლებშიც შეცვლილია საყრდენი სიტყვა ან რომელიმე შემადგენელი კომპონენტი. მწერალი ზედმინვნით კარგად იცნობს ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს, მსჯელობისათვის იყენებს მათ და კონტექსტის მიხედვით თავადაც ცვლის კიდეც:

„გგონია. გგონია. და. გგონია. სხვა არც არაფერია წუთისოფელი: გგონია: ისიც ნათქვამია: ჩათრევას ჩაყოლა სჯობსო“ (1გვ., 87);

ნაშრომზე მუშაობისას, ძირითადად, გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: შედარებითი, თვისობრივი, აღწერითი. კვლევისას მივმართეთ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს და ანდაზებს, რომლებიც შევუჯერეთ არსებულ ლექსიკონებს, ამ შედარების საშუალებით ნათლად წარმოჩნდა ლექსიკონებში არსებული ფრაზეოლოგიზმებისა და ანდაზების მსგავსება-განსხვავებები.

შედეგი – ოთარ ჩხეიძის ნაწერებში თითქმის არაფერია ისეთი, რაც ცოცხალ მეტყველებაში არ გვხვდებოდეს და მწერლობას არ გამოეყენებინოს, მაგრამ ის განსაკუთრებულია იმით, რომ „ნამდვილია, ქართულად ნამდვილი, სისხლით, ხორციით, გვარ-ჯილაგით, სულამოწვდენით, ყველა დროში გამოვლილ-გამოწვრთნილი სიტყვით, მშობლიურობით, კალმახი ენით...“ (გია ხოფერია, 2015).

მწერალი ყოველივე სტანდარტულისაგან გამიჯნა სათქმელის თავისებურმა გამოხატვამ და სტილურმა ექსპერიმენტებმა. შეიქმნა საოცრად განსხვავებული და კეთილხმოვანი სტილი, რომელიც ერთ მიზანს ემსახურებოდა, რომ სრულად გამოვლინდეს ენის პოტენციალი.

Language is one of the most essential markers of a nation's identity. Language is shaped by people, while written language and its monuments leave lasting traces in history. A thorough ideological and artistic analysis of a literary work can only be achieved when the form – such as the language used by the writer – is carefully studied.*

This work discusses some of the linguistic and stylistic features of the novels *White Bear* and *Bermuda Triangle* by Otar Chkheidze. The focus is on the function of phraseology, paramedic expressions or aphorisms, the variety of proverbs, the frequent use of nominal verbs, and the stylistic purpose of comparisons.

The study of a writer's language and style has always been of great interest to scholars. A writer's linguistic position is often determined by their attitude toward their native language and dialects, revealing how their theoretical views merge with the language in their creative work. This also highlights how they use lexical, phraseological, and linguistic resources for specific purposes.

Otar Chkheidze's novels, more than those of any other contemporary Georgian writer, offer a complex and fascinating picture of Georgia's life in the late 20th century. This portrayal is like a broad metaphor, and the most significant aspect is that this metaphor is encoded twice: once through the story and again through the writer's language (Chanturia, 2005).

In his novels, especially those written after Georgia's declaration of independence, Chkheidze, through titles like *White Bear* and *Artistic Coup*, deliberately emphasizes the core problems and dilemmas that the Georgian state should have been particularly careful about (Scientific Conference IV, p. 159).

Chkheidze's use of folk and colloquial language, proverbs, and phraseology has a powerful impact on the reader, especially through subtext. His writing showcases a special skill in using speech for linguistic expression.

In his works, we find phraseology commonly seen in dictionaries (e.g., "a stone was stuck in the head," "a ruler in the stomach," "it broke the heart," "the tongue was lost"). There are also expressions that are not found in existing dictionaries (e.g., "beating the dice," "walking on Alucha," "drinking the road," "holding the kuku").

A distinctive feature of Chkheidze's style is the non-standard use of proverbs, adding expressiveness and credibility to the text. Proverbs blend seamlessly into the context, creating new meanings specific to the story.

For example, he writes, "It is said gradually, otherwise: yes, the dogs will smell, they will snort, separately, in packs, they will also snort in the distance, if the ball reaches them, they will warm it with a ball, they will snort, spit it out, then the bread will come, bran bread or something worse" (1p., 29).

Chkheidze also changes familiar proverbs, adapting them to fit the context of his writing. For instance, "you think. You think. And. You think. There is nothing else in the world: you think: it is also said: it is better to be dragged than dragged" (1p., 87).

This paper primarily employs comparative, qualitative, and descriptive research methods. We examined phraseological expressions and proverbs, comparing them with existing dictionaries to identify similarities and differences.

Otar Chkheidze's writings incorporate language that is deeply rooted in everyday speech, yet he infuses it with a unique style, blending tradition with innovation. His work reflects "real Georgian, with blood, flesh, surname, soul, word that has been tested throughout all times" (Khoferia, 2015). Chkheidze's distinctive expression and stylistic experiments set him apart from the standard, creating a benevolent and dynamic style that fully reveals the potential of the Georgian language.

* Dictionaries consulted include: *Explanatory Dictionary of the Georgian Language* (vol. I, 1950 – vol. VIII, 1964), A. Neiman's *Dictionary of Georgian Synonyms*, A. Oniani's *Georgian Idioms*, and T. Sakhokia's *Georgian Figurative Word-Utterance*.

გიორგი ხარიბეგაშვილი
Giorgi Kharibegashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 Ivane Javakhishvili Tbilisi State University
<https://orcid.org/0009-0006-1308-1382>

კატასტროფის ცნების ონტოლოგიური დაფუძნება
Ontological Foundation of the Concept of Catastrophe

საკვანძო სიტყვები: მეტაფიზიკური ვერტიკალი, იმანენტური ცენტრი
Keywords: metaphysical vertical, immanent center

კატასტროფის ცნების ონტოლოგიური დაფუძნება შედარებითი მითოლოგიის საფუძველზეა შესაძლებელი. ცნების ლოგოსის სიბრტყეზე დასაყენებლად საჭიროა დადგინდეს კატასტროფის უნივერსალური მითოლოგემა და მოხდეს ფუნდამენტური შინაარსების ექსპლიკაცია მის ლოგიკურ ფილტრში გატარების მიზნით. მსოფლიო ხალხთა მითებისა და საკრალურ ტექსტთა კვლევით დგინდება, რომ კატასტროფის პროცესუალური გაგება უნივერსალურია და გარკვეული თანმიმდევრობით ხასიათდება. პირველ ყოვლისა, უნდა მოხდეს კატასტროფის ცნების გამიჯვნა მასთან სემანტიკურად ახლოს მყოფი დაცემის, კრიზისისა და გარდაუვალი განადგურების ცნებებისგან. ზოგადად, კატასტროფად უნდა ჩაითვალოს მოვლენათა მკვეთრი შებრუნება უარესობისკენ; თუმცა არა სიკვდილი, არამედ ხრწნა და საშინელ ურჩხულად ქცევაა კატასტროფა, კვდომის განუსაზღვრელი მდგომარეობა, ყოფიერების გადასვლა აპეირონში. თუ კატასტროფას პროცესად გავიაზრებთ, გაირკვევა, რომ კატასტროფა, ტრანსცენდენტთან დასაბამიერი ერთობის უეცარი დარღვევა და მისი შესაბამისი საკრალური ცოდნის დაკარგვა, ანუ პრინციპთა დავიწყება, მისი თანმდევი ეთიკური გადაგვარებით, ტაბუს დარღვევით იწყება. კატასტროფის შემდეგი ეტაპი მეტაფიზიკური იერარქიული ვერტიკალის დაკარგვა, რაც ქართულ ფოლკლორში გამოხატულია ბროლის კოშკის დაქცევით, ბერმუხის მოჭრით, ალვის ხის ნაქცევით და „წვერით ცის გამხევი“ ცამცუმის შუბის გაუჩინარებით. ვერტიკალის დაკარგვას ნამდვილად კატასტროფული შედეგები მოჰყვება, რადგან ზესკნელის, შუასკნელის და ქვესკნელის დამაკავშირებელი სულიერი „კიბის“ არარსებობა შეუძლებლად აქცევს ღვთისშვილთა მასზე მოძრაობას. კატასტროფის მესამე ეტაპი დაკავშირებულია საკრალური ცენტრის დაკარგვასთან, რადგან ეს განუწილველი და უგანზომილებო ცენტრი არის ის იმანენტური საწყისი, საიდანაც სათავეს იღებს ნივთთა მთელი სიმრავლის წესრიგი. კატასტროფული სოციალური თუ კოსმოლოგიური ცვლილებები რეალურად მეტაფიზიკური მდგენელების შეცვლის შედეგია. არჯუნას განდივა ფიზიკურად იგივე მშვილდია, თუმცა კრიშნას წასვლის შემდეგ ისიც კი არარაობად იქცა, ბრაჰმანებიც იგივე ინდივიდები არიან, თუმცა არყით დამთვრალეები „ერთმანეთს ჯოხებით დაერივნენ, ისე რომ ვერც კი სცნობდნენ ერთმანეთს“ (შრიმად ბჰაგავატამ პურანა 15:23,24). კალი-იუგას ბოლოს მატერიალური სამყაროს მოჩვენებითი ჩაკეტილობა ირღვევა და ბზარები ჩნდება იმ კედელში, რომელიც ჩვენს სამყაროს(loka) გარს აკრავს და იცავს ქვენა სუბტილური სფეროს ბნელი ძალების, „გოგისა და მაგოგის“, თვითგამანადგურებელი ძალების შემოტევებისგან, რადგან „მაღალი რანგის ძალებს“ აღარ აქვთ ჩარევის შესაძლებლობა (Guenon

2001b, 173-174). საბოლოოდ კალი-იუგა იქამდე მიდის, რომ ყოფიერების პროპორციები საწინააღმდეგო ნიშნით ლაგდება და იერარქია თავდაყირა დგება. ეპოქის სული იჟლინდება საშინელების სულით და მატერიალურობით. სამყაროს ცენტრის დაკარგვის უმთავრეს მიზეზად ბიბლიური ტრადიცია ადგენს არა გარეგან ფაქტორებს, ან ბუნებრივ-ციკლური მონაცვლეობის პროცესს, არამედ თავად ამ ცენტრის შინაგან ზნეობრივ ხრწნას. ცენტრი ივინწყება, რომ ის მხოლოდ მატერიალური სამყაროსკენა პოლუსია, ღვთის გარეშე ხატი – კერპს, თიხის ფეხებზე შემდგარ კოლოსს წარმოადგენს, რომლის დგომა-არდგომა ტრანსცენდენტური პოლუსის ნებაზეა დამოკიდებული. იმპერია ივინწყება, რომ მისი ბუნება, melting pot-ის როლს ასრულებდეს სხვადასხვა ხალხისთვის – უსაზღვრო არ არის და მას არ შეუძლია მოინელოს მისგან ფუნდამენტურად განსხვავებული ეთნოკულტურული ჯგუფების პრობლემა. რკინას თიხა ერევა, რაც მეტაფორულად შეუთავსებელთა შეთავსების, ტოტალური ინკლუზიურობის ბაბილონის გოდოლისეულ მოტივებს იმეორებს (დანიელი 2:43). კატასტროფა პიროვნულ დონეზე ჰუმბრისით ვლინდება: საკრალურ სხეულშემოცლილი მეფე ადამიანურ ასპექტს, ადამის არქეტიპს კარგავს და ცხოველის დონეზე ჩამოცურდება (დანიელი 4:29,30).

The ontological foundation of the concept of catastrophe can be explored on the basis of comparative mythology. To place the concept within the framework of *logos*, it is necessary to identify the universal mythology of disaster and explicate its fundamental contents, in order to pass it through a logical filter. By researching the myths and sacred texts of various peoples, it becomes clear that the procedural understanding of disaster is universal and follows a certain order.

First of all, the concept of catastrophe should be distinguished from the related concepts of fall, crisis, and inevitable destruction, which are semantically close. In general, catastrophe should be considered as a sudden turn of events for the worse. However, it is not death, but decay and becoming a terrible monster that constitutes the catastrophe – an indefinite state of dying, the transition of being into *apeiron*.

If we understand catastrophe as a process, it becomes clear that it begins with the sudden violation of the original unity with the transcendent and the loss of its corresponding sacred knowledge – i.e., the forgetting of principles – which leads to ethical degeneration. This process begins with the violation of a taboo. The next stage of catastrophe is the loss of the metaphysical hierarchical vertical, which is expressed in Georgian folklore by the fall of the crystal tower, the cutting of the “bermukha,” the holy tree, the felling of the poplar tree, and the disappearance of the Tsamtsumi spear that “tears the sky with its tip.”

The loss of the vertical has truly catastrophic consequences, as the absence of the spiritual “ladder” connecting the overworld, the middle world, and the underworld makes it impossible for the sons of God to move along it. The third stage of catastrophe is related to the loss of the sacred center, as this indivisible and dimensionless center is the immanent origin from which the order of all things originates. Catastrophic social or cosmological changes are, in fact, the result of shifting metaphysical determinants. Arjuna’s Gandiva is physically the same bow, but it becomes meaningless after Krishna’s departure, and the Brahmins are the same individuals, but drunk on alcohol, “they beat each other with sticks so that they did not even recognize each other” (*Srimad Bhagavatam Purana* 15:23, 24).

At the end of the *Kali-yuga*, the apparent closure of the material world breaks, and cracks appear in the wall that surrounds our world (*loka*) and protects it from the attacks of dark forces from the lower subtle realm – the self-destructive forces of “Gog and Magog” – because the “powers of higher order” no longer have the ability to intervene (Guenon 2001b, 173-174). Finally, *Kali-yuga* reaches a point where the proportions of existence are reversed and the hierarchy is turned upside down. The spirit of the age becomes one of horror and matriarchy.

The main reason for the loss of the center of the world, according to biblical tradition, is not external

factors or the process of natural cyclical change, but the internal moral decay of the center itself. The center forgets that it is merely a pole toward the material world – an icon without God, an idol, a colossus standing on clay legs, whose stability or instability depends on the will of the transcendental pole. The empire forgets that, as a melting pot for different peoples, its nature is not infinite and it cannot assimilate ethno-cultural groups that are fundamentally different from it. Iron is mixed with clay, metaphorically repeating Babylonian motifs of bringing together the incompatible, of total inclusiveness (Daniel 2:43).

The catastrophe manifests itself through hubris on a personal level: the sacral disembodied king loses his human aspect – the archetype of Adam – and descends to the level of an animal (Daniel 4:29, 30).

გაბრიელა ხრისტოვა

Gabriela Hristova

მაინის ფილანკფუხტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტი
Goethe University, Frankfurt am Main

<https://orcid.org/0009-0000-5263-9795>

ხელნაწერი ქართულის ექსპერიმენტული ანალიზი

An Experimental Analysis of Handwritten Georgian

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, ქართული კალიგრაფია, გენდერული კვლევა

Keywords: Georgian language, handwritten Georgian, Gender study

არსებობს ზოგადი ხასიათის ისეთი გამონათქვამები, როგორებიცაა: „გოგონები უკეთესი მოსაუბრეები არიან“, „გოგონები უფრო მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე ბიჭები“, „ბიჭები ფრთხილები არ არიან“ ან „ბიჭებს უფრო ცუდი ხელწერა აქვთ, ვიდრე გოგონებს“. მიუხედავად იმისა, რომ ამ შეფასებების ემპირიული მტკიცებულებები ყოველთვის არ არსებობს, შეიძლება გარკვეული სიმართლე მაინც იყოს ამ გამონათქვამებში. როგორც მრავალრიცხოვანი კვლევები აჩვენებს, სქესებს შორის არ არის მნიშვნელოვანი განსხვავება საუბრის, კითხვის ან სწავლის უნარის მხრივ. თუმცა, როგორც ჩანს, მაინც არის ხელწერაში სქესის მიხედვით განსხვავება (Yang, Y., Tam, F., and others (2020). Men and women differ in the neural basis of handwriting. *Human Brain Mapping, 41*(10), 2642–2655. <https://doi.org/10.1002/hbm.24968>) და ხშირად ერთი შეხედვითაც შესაძლებელია გაგებია, ნაწერი მამრობითი სქესის მიერ არის შესრულებული თუ მდედრობითი. ეს განსხვავება არ არის იმის გამო, რომ მამაკაცები ზარმაცნი ან უყურადღებონი არიან; ამ გარემოებას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია განსხვავებები ტვინის სტრუქტურასა და ფუნქციაში. ჩემს მოხსენებაში წარმოგიდგენთ იმ სამეცნიერო კვლევის შედეგებს, რომელიც მივიღე ექსპერიმენტების დახმარებით.

ხელით წერა ადამიანის კომპლექსური უნარია, რომელიც ეფუძნება ტვინის კოორდინაციას, რომელიც, თავის მხრივ, ჩვენი მეხსიერებისა და ასევე კუნთების გააქტიურებას მოითხოვს. ეს არ არის მხოლოდ ფიზიკური პროცესი; ეს რეალურად საკმაოდ დახვეწილი მოტორიკაა, რომელიც უფრო რთული პროცესია, ვიდრე ჩვენ გვგონია, განსაკუთრებით ბიჭებისთვის. მათთვის, ვინც არ იცის და საკუთარ თავს ეკითხება, რა არის დახვეწილი მოტორული უნარები, უნდა დავაზუსტოთ, რომ ეს არის ხელისა და თითების უმცირესი კუნთების გააქტიურების პროცესი. ამ მოტორულ უნარს ჩვენი ტვინი ააქტიურებს, როდესაც ვწერთ, ვხატავთ ან სხვა მცირე დავალებებს ვაკეთებთ ხელებით. წარსულმა კვლევებმა აჩვენა, რომ გოგონებს ხშირად უვითარდებათ ეს უნარი უფრო ადრე, ვიდრე ბიჭებს. ამასთან, შეგვიძლია დავაკვირდეთ, თუ როგორ იყენებენ გოგონები ამ უნარს სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებში, როგორებიცაა: ქარგვა, ხელსაქმე და მსგავსი აქტივობები.

ბავშვების განვითარების შედარებით ადრეულ ასაკშიც კი შეგვიძლია დავაკვირდეთ, როგორ იყენებს გოგონების უმეტესობა კარგ მოტორულ უნარებს ისეთი თამაშების დროს, როგორებიცაა: ხატვა, გაფერადება, თოჯინებით თამაში და მათი პანაწინა კაბებითა და აქსესუარებით შემკობა.

მეორე მხრივ, ბიჭები სხვა მოტორულ უნარებს იყენებენ თამაშის დროს, რომლებიც უფრო მეტად მოიცავს სირბილს, ხტომას ან ზოგჯერ ბრძოლასაც კი. თუ ყურადღებით დავაკვირდებით, მოტორული განსხვავებები ხელწერაშიც შეიმჩნევა. ეს არის განსხვავება ასოთა ზომებში და ინტერვალში, დახრილად ან მომრგვალებულად წერა.

ეს, რა თქმა უნდა, არ არის 100%-ით თანმიმდევრული ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესისთვის, მაგრამ ერთი სქესის ადამიანების უმეტესობას აქვს მსგავსი თვისებები. ამის მაგალითია პატარა ტესტი, რომელიც ჩავატარე ხიხაძირში, საერთაშორისო საზაფხულო სკოლის ფარგლებში, ადამიანთა მცირე ჯგუფთან. ექსპერიმენტის ფარგლებში მონაწილეებს მიეცათ სხვადასხვა ხელნაწერის ფოტოები და უნდა გამოეცნოთ, რომელი სქესის წარმომადგენლის შეიძლება ყოფილიყო – მამრობითი თუ მდედრობითი. პასუხების უმეტესი ნაწილი სწორ შეფასებას მოიცავდა, მაგრამ ჯგუფის გარკვეულ ნაწილს არასწორად ჰქონდა გამოცნობილი სქესი.

ბევრმა ადამიანმა, რომლებმაც ქართულ ენაზე წერა-კითხვა ისწავლეს, ზუსტად იცის, რამდენად მნიშვნელოვანია ასოების ბოლომდე და სწორ პოზიციაში, გრაფემის შესაბამის დონეზე დაწერა, რადგან სხვაგვარად შეიძლება ეს გრაფემა სხვა ასოს დაემსგავსოს. ამის მაგალითი შეიძლება იყოს ასო <ხ> /kh/, რომელიც, თუ არ არის დასრულებული, შეიძლება გამოიყურებოდეს, როგორც <ს> /s/, რამაც შეიძლება დააბნიოს მკითხველი. პრეზენტაციაში მე გაჩვენებთ უფრო მეტ მაგალითებს, რომლებიც აღმოვაჩინე ამ თემაზე ჩემს პირველ კვლევაში. ასე რომ, ისმის კითხვა: ქართულ ხელწერაში სქესობრივი განსხვავებაა თუ პიროვნული განვითარება?

There are statements like “girls are better speakers”, “girls speak more than boys”, “boys are not careful”, or “boys have messier handwriting than girls.” While many of these claims are not supported by evidence, the last one may have some truth to it. Numerous studies show that there is no significant difference between the sexes in terms of speaking, reading, or learning abilities. However, there does appear to be a difference in handwriting (Yang, Y., Tam, F., and others (2020). Men and women differ in the neural basis of handwriting. *Human Brain Mapping*, 41*(10), 2642–2655. <https://doi.org/10.1002/hbm.24968>), and often, with a quick glance, you can tell whether a piece of writing was done by a male or a female. This difference is not because males are lazy or careless; there are several reasons for it, one of the most significant being differences in brain structure and function. In my presentation, I will present these findings with the help of research studies based on some experiments.

Handwriting is a complex skill that involves the coordination of the brain, which needs to activate our memory and also our muscles. It is not just a physical process; it is actually a fine motor skill, which is harder than we think, especially for boys. For those who don't know and ask themselves what fine motor skills are, it is the activation process of small muscles in the hands and fingers. This skill is activated by our brain when we write, draw, and do other small tasks with our hands. Past research has shown that girls often develop this skill earlier than boys, and we can also see how they use this skill in other life situations, such as embroidery, needlework, and similar activities.

At an early age, we can observe that most girls use fine motor skills in their games, such as drawing, coloring, and playing with dolls and their tiny dresses and accessories. On the other hand, boys tend to use different motor skills in activities that involve running, jumping, or sometimes even fighting. When it comes to handwriting, if we look closely, we can notice differences in size, spacing, whether the handwriting is cursive or not, and whether it is more rounded.

Of course, this is not 100% consistent within the same biological sex, but most people of the same

sex display similar distinctions. For example, I conducted a small test with a group of people in Khikhadziri, Georgia, where participants were shown pictures of different handwriting samples and had to guess whether the handwriting belonged to a male or female. Most of the time, their guesses were correct, but there were instances where a significant portion of the group made incorrect guesses.

Many people who learned to write and read in the Georgian language know how important it is to write letters to completion and in the correct position, as otherwise, they can resemble different letters. For instance, the letter /kh/, if not properly finished, might look like /s/, which can confuse or irritate the reader. In my presentation, I will show more examples that I discovered during my initial research on this topic.

მარიამ ხუბუნაია
Mariam Khubunaia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 Ivane Javakhishvili Tbilisi State University
<https://orcid.org/0009-0005-0263-1222>

**წლის დროები ზოგადი და კონკრეტული მნიშვნელობით
 ქართულ და მეგრულ ზეპირსიტყვიერებაში**
***Seasons in Their General and Concrete Meanings in Georgian
 and Megrelian Folk Literature***

საკვანძო სიტყვები: წლის დროები, მეტრიკული დრო, ზეპირსიტყვიერება
Keywords: Seasons, Metrical time, Folk literature

დრო უნივერსალური კატეგორიაა. დროის ათვლა ადამიანმა გაჩენის დღიდან დაიწყო. სან-
 ყის ეტაპზე იგი ზოგადი მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულებით გადმოიცემოდა, თუმცა
 საკომუნიკაციო პროცესში მისი დანაწევრებისა და დაკონკრეტების აუცილებლობა გამოიკვეთა.
 აღნიშნული პრობლემა ადამიანმა ადრეულ ეტაპზევე მეტრიკული დროის საშუალებით გადაჭრა.
 მეტრიკული დრო თვლადი დროითი მონაკვეთების გამომხატველი ლექსიკური ერთეულებით
 გადმოიცემა, რომელთა შორის ყველაზე დიდი მონაკვეთია წელი / წელიწადი.

მოხსენების მიზანია წელიწადის დროების გამომხატველ ენობრივ საშუალებათა სემანტიკის
 განხილვა ქართულ და მეგრულ ზეპირსიტყვიერებაში; კერძოდ, იმის ჩვენება, აღნიშნული ლექ-
 სიკური ერთეულები მხოლოდ სეზონურ დროით მონაკვეთებს აკონკრეტებენ, თუ დროის ზოგად
 მნიშვნელობაზეც მიუთითებენ. ქართული და მეგრული მონაცემების შედარება-შეპირისპირებით
 საინტერესოა მათ შორის მსგავსება-განსხვავების გამოვლენა. ამგვარი მიდგომა მნიშვნელოვანია
 ორი თვალსაზრისით: გამოავლენს როგორც ჟანრული თავისებურებების სპეციფიკას მეტრიკული
 დროის გამოხატვასთან დაკავშირებით, ისე მსგავსება-განსხვავებას ქართულ და მეგრულ
 ემპირიულ მასალებს შორის. საკითხის ანალიზს განსაკუთრებულ ინტერესსა და აქტუალობას სძენს
 ზეპირსიტყვიერების ვრცელი ემპირიული მასალა; იგი მოიცავს თითქმის ყველა ჟანრს, რომელთა
 ნიმუშები საუკუნეების განმავლობაში ზეპირად ვრცელდებოდა; ისინი ჩაინერეს გვიან, თუმცა მეტ-
 ნაკლებად ინარჩუნებენ უძველეს საინფორმაციო კოდს.

ვრცელი ემპირიული მასალის (ბეჭდური ტექსტები, კორპუსული ბაზები, ველზე მოძიებული
 ნიმუშები) ანალიზი იძლევა სანდო დასკვნების გამოტანის საშუალებას.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სიახლეს, რადგან მის ფარგლებში სისტემურად
 პირველად განიხილება წელიწადის დროების ზოგადი და კონკრეტული მნიშვნელობები ქართული და
 მეგრული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში. ემპირიული მასალის დასამუშავებლად გამოყენებულია
 აღწერით-სტატისტიკური, ისტორიულ-შედარებითი, სინტაგმატური და პარადიგმატური ანალიზის,
 ველზე მუშაობისა და ელიციტაციის მეთოდები.

მოხსენებაში განხილულია წლის დროითი მონაკვეთების აღმნიშვნელი ლექსიკური ერ-
 თეულები ქართულსა და მეგრულში: გაზაფხული/გაზარხული (გოპირელი), ზაფხული/ზარხული,
 შემოდგომა/დამორჩილი, ზამთარი/ზოთონჯი.

როგორც კვლევამ აჩვენა, აღნიშნული ერთეულები კონკრეტულ დროით მონაკვეთებს აღნიშნავენ, მაგრამ მათ აქვთ ზოგადი დროის აღნიშვნის შესაძლებლობაც. ქართული ზოგად დროს კომპოზიტიური ერთეულებით გამოხატავს; მაგალითად,

(1) „[ის] ზამთარ-ზაფხულ... გაუჩერებლად დაძუნძულებდა... (ქართ. ხალხ. ზღაპრ. 2009:37).

ამგვარი კომპოზიტიური წარმონაქმნი მეგრულისთვის არ არის დამახასიათებელი. ორივე ენისთვისაა დამახასიათებელი -ობა სუფიქსით წარმოქმნილი სახელები, რომლებიც კონკრეტულ დროში განმეორებად მოქმედებას გადმოსცემენ:

(2) ზაფხულობით სოფელში მივდივარ; შდრ.: ზარხულობით სოფელიშა მევურქ.

ორივე ენაში იგივე სემანტიკა უმეტესად აღწერითად გადმოიცემა:

(3) ყოველ ზაფხულს, შდრ.: ირი ზარხურს „ყოველ ზაფხულში“.

ყურადღებას იქცევს ქართული შესიტყვება „ზამთრის პირზე“. მთქმელი აზუსტებს დროს, კერძოდ, ეს დაზამთრების დასაწყისია, ზოგად დროს აღნიშნავს ზმნისართული მნიშვნელობის „საზამთროდ“ ფორმაც, შდრ. მეგრული „ზოთონჯიშოთ“. ქართულში სა-ო კონფიქსიანი დანიშნულების სახელი დგას ვითარებით ბრუნვაში; მეგრულში იმავე სემანტიკის ლექსემა დანიშნულებითი ბრუნვის ორგანული ფორმითაა გადმოცემული.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია საკუთრივ ლინგვისტური და მომიჯნავე დარგების პერსპექტივიდანაც.

Time is a universal category. Humans have measured time since prehistoric epochs. Initially, time was expressed through lexical units with general meanings. However, as communication evolved, the need arose to divide and specify time more concretely. In the earliest stages of human existence, this problem was addressed through metrical time, which is expressed by lexical means denoting countable units of time. Among these, the largest unit is the year.

This paper aims to analyze the semantics of the language used to denote seasons in Georgian and Megrelian folk literature. Specifically, the paper demonstrates that these lexical units are not limited to the semantics of specific seasons but also refer to time in a general sense. By comparing Georgian and Megrelian data, the paper identifies both similarities and differences between the two languages. This approach is significant for two reasons: first, it reveals the genre's peculiarities regarding the expression of metrical time; second, it highlights the similarities and differences between Georgian and Megrelian empirical material. The issue is both relevant and intriguing due to the rich empirical data found in folk literature, which spans nearly every genre. For centuries, this literature was transmitted orally, and while examples were recorded later, they still preserve the most ancient codes of information.

An analysis of the ample empirical material (including printed texts, corpus data, and field material) leads to reliable conclusions.

This paper is innovative as it represents the first systematic research of both the general and specific meanings of lexical units expressing seasons in Georgian and Megrelian folk literature. The empirical material has been analyzed using descriptive-statistical, historical-comparative, syntagmatic and paradigmatic analysis, as well as fieldwork and elicitation methods.

The paper analyzes the Georgian and Megrelian lexical units denoting seasons: გაზაფხული / გაზარხული (გოპირელი) (spring), ზაფხული / ზარხული (summer), შემოდგომა / დამორჩილი (autumn), ზამთარი / ზოთონჯი (winter).

Research has shown that these lexical units denote not only specific periods of time but also general time. In Georgian, general time is often expressed by compound words. For example:

(1) “[ის] ზამთარ-ზაფხულ... გაუჩერებლად დაძუნძულებდა...” (It was running non-stop all year round (literally, all the winter-and-summer) (Georgian Folk Tales, 2009:37). Such compounds are not found in Megrelian. In both languages, nouns with the suffix -ობა /oba/, denoting repeated actions during specific times, are present:

(2) ზაფხულობით სოფელში მივდივარ; cf.: ზარხულობით სოფელიშა მევერქ (In summer, I go to my village).

In both languages, this meaning can also be expressed descriptively:

(3) ყოველ ზაფხულს, cf.: ირი ზარხურს (every summer).

Attention should also be drawn to the Georgian phrase “ზამთრის პირზე” (on the verge of winter). The speaker makes the time more precise, specifically referring to the beginning of winter. General time is also expressed using the prefixal form “საზამთროდ” (for winter), cf. Megrelian “ზოთონჯიშოთ.” In Georgian, the circumfix სა-ო /sa-o/ is used in the adverbial case. In Megrelian, the lexeme with the same meaning appears in a special benefactive case-form, denoting purpose or function.

The results of this research paper are significant for linguistic and related fields.

გიორგი ჯღარკავა

Giorgi Jgharkava

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

<https://orcid.org/0000-0002-4979-3019>

ანდაზის იმპლიციტური მნიშვნელობა და სემანტიკურ ინტერპრეტაციათა ძირითადი საკითხები

The Implicit Meaning of a Proverb and the Main Issues of Semantic Interpretations

საკვანძო სიტყვები: ანდაზათმცოდნეობა, ქართული ენა, სემანტიკა, ეკვივალენტობა, იმპლიციტური შინაარსი

Keywords: proverbiology, Georgian language, semantics, equivalence, implicit meaning

ანდაზა ენობრივი სისტემის კულტურულად მარკირებული იმგვარი ერთეულია, რომლის მნიშვნელობის ახსნა, განსხვავებული ფუნქციური პარამეტრების განსაზღვრა მხოლოდ ზედაპირულ დონეზე ვერ ხერხდება და ანდაზური ფონდის სისტემურ სტრუქტურულ-სემანტიკურ ანალიზს მოითხოვს. ანდაზის ბუნებიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, შინაარსის დეკოდირებისთვის ხშირად არსებით როლს ასრულებს მისი შექმნის კონკრეტული წინაპირობა და ისტორიული კონტექსტი, რომელთა გაუთვალისწინებლობამ შესაძლოა ანდაზის იმპლიციტური მხარე გააბუნდოვანოს; შესაბამისად, ანდაზის შინაარსის სრულყოფილად გაგებისათვის აუცილებელია ანდაზის გამოყენების სიტუაციაზე მითითება, ინფორმაციის მიღება ანდაზის სტილისტიკური და პრაგმატიკული მახასიათებლების შესახებ, მისი შექმნის ისტორიულ-ეტიმოლოგიური წინაპირობების გათვალისწინება და სხვ., რაც, თავის მხრივ, სტრუქტურულად სახეცვლილი და სემანტიკურად რეინტერპრეტირებული ანდაზების გამოვლენის საშუალებასაც გვაძლევს (რუსი-ეშვილი 1999, 2005; Boeder 1991; თუმანიშვილი 2010; ფაჩულია 2015; ჯღარკავა 2024).

მოხსენებაში დესკრიფციული, ისტორიულ-შედარებითი, კონტრასტული და სტრუქტურული ანალიზის მეთოდების გამოყენებით სათანადო ემპირიული მასალის განხილვამ აჩვენა, რომ ანდაზის თავდაპირველი მნიშვნელობა ზოგჯერ არ ემთხვევა მის ამჟამინდელ ინტერპრეტაციას, რაც ჩვენ მიერ საპილოტედ ჩატარებულმა ექსპერიმენტმაც დაადასტურა. მაგალითისთვის:

ცდისპირთა უმრავლესობამ ქართული ანდაზის – „**თუ გული გულობს, ქადა ოჩივე ხელით იჭმევო**“ – ძირითადი იდეურ-სემანტიკური პარამეტრი შემდეგნაირად განსაზღვრა: თუკი ადამიანი გულით მოინდომებს, დასახულ მიზანს აუცილებლად მიაღწევს. ცნობილია, რომ, სინამდვილეში, აღნიშნულ ანდაზაში საუბარია არა ადამიანის, არამედ ქადის გულზე. კერძოდ, კარგად მომზადებული ქადის შიგთავსი იმდენად ფხვიერია, რომ ორივე ხელით უნდა მიირთვა, რათა არ დაგებნეს. იმას, რომ ზემოთ წარმოდგენილი ანდაზა დროთა განმავლობაში სხვაგვარად იქნა გააზრებული, ადასტურებს ჩვენში ნაკლებად გავრცელებული შემდეგი ვარიანტის არსებობაც: „თუ გული გულობს, ადამიანი ქადას ერთი ხელით ორს აიღებსო“ (<https://idioms.tsu.ge/?p=12057>).

სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით, მსგავსი მაგალითების განხილვა განსაზღვრავს ნაშრომის აქტუალობასა და კვლევის შედეგების ღირებულებას, რაც საყურადღებო რამდენიმე მიმართულებით. მათ შორის, პარემიათა ეკვივალენტობის დადგენისა და მეორე ენის

სწავლა-სწავლების დროს ანდაზური ფონდის კომპლექსური კვალიფიკაცია-კლასიფიკაციის თვალსაზრისითაც.

A proverb is a culturally marked unit of the language system, the explanation of the meaning of which as well as the determination of different functional parameters cannot be done only on the surface level, and requires a systematic structural-semantic analysis of the proverb fund. Depending on the nature and purpose of the proverb, the specific prerequisites and historical context of its creation often play an essential role in decoding the content, neglecting which may obscure the implicit side of the proverb. Therefore, to fully understand the content of the proverb, it is necessary to refer to the situation of using the proverb, to get information about the stylistic and pragmatic characteristics of the proverb, to take into account the historical and etymological preconditions of its creation, etc., which, in turn, allows us to identify structurally changed and semantically reinterpreted proverbs (Rusieshvili 1999, 2005; Boeder 1991; Tumanishvili 2010; Pachulia 2015; Jgharkava 2024).

The review of appropriate empirical material using the methods of descriptive, historical-comparative, contrastive and structural analysis in the report showed that the original meaning of the proverb sometimes does not coincide with its current interpretation, which was also confirmed by our pilot experiment. For example:

The majority of the research participants defined the main ideological-semantic parameter of the Georgian proverb – **“If the heart is good enough, one will have to eat the kada with both hands”** (find English equivalents here: <https://idioms.tsu.ge/?p=12055>) as follows: if a person desires something with the whole heart, he will definitely achieve the set goal. It is known that, in fact, the mentioned proverb is not about the heart of a person, but of a **kada** (a popular dessert throughout the Caucasus region, the filling of which is referred to as the ‘heart’ of a kada in the Georgian language). In particular, the filling of a well-prepared **kada** is so crumbly that it has to be eaten with both hands so that it does not fall apart. The fact that the proverb presented above has been understood in a different way over time is confirmed by the existence of the following option, which is less common in our country: “if the heart is good enough, one will use only one hand for picking two kadas” (find English equivalents here: <https://idioms.tsu.ge/?p=12057>).

Considering the scientific literature, the discussion of similar examples determines the relevance of the work and the value of the research results, which is noteworthy in several directions. Among them, from the point of view of establishing the equivalence of paremias and the complex qualification-classification of the proverbial fund during the learning and teaching of a second language.

იულიან ჰაშე, იანიკ ლიდეკე
Julian Hasche, Jannik Liedtke

მაინის ფილანკფუხტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტი
Goethe University, Frankfurt am Main

<https://orcid.org/0009-0002-3878-8457>

<https://orcid.org/0009-0001-3754-3338>

რუსთაველის აფორიზმების კორპუსლინგვისტური ანალიზი ქართულ, ბასკურ და ესპანურ ენებზე

A Corpus Linguistic Analysis of Rustaveli's Aphorisms in Georgian, Basque and Spanish

საკვანძო სიტყვები: დიგიტალური ჰუსტველოგია, კორპუსლინგვისტიკა, შედარებითი ანალიზი ქართული-ბასკური-ესპანური, აფორიზმები

Keywords: digital Rustvelology, corpus linguistics, comparative analysis Georgian-Basque-Spanish, aphorisms

შოთა რუსთაველი და მისი ეპიკური პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ცენტრალურ ადგილის იკავებენ ქართულ კულტურასა და ენაში. პოემის მნიშვნელობა სცილდება საქართველოს ფარგლებს და დღემდე, 800-ზე მეტი წლის შემდეგაც, არ კარგავს აქტუალობას. პოემა თარგმნილია 58 ენაზე დაწყებული აფხაზურიდან – უელსურამდე. თარგმანთა სიმრავლე წარმოაჩენს მთარგმნელობითი ურთიერთობების რთულ ქსელს, რომელიც ქმნის ემპირიული მონაცემების მდიდარ რესურსს. საერთაშორისო პროექტი – რუსთაველი ციფრულ ეპოქაში – Rustaveli goes digital – მიზნად ისახავს ამ მრავალფეროვანი თარგმანების ანოტირებული პარალელური კორპუსის შექმნას. ჩვენი ემპირიული კვლევა ეფუძნება ამ პროექტის იდეებსა და მეთოდოლოგიას, განსაკუთრებული აქცენტი ისმის ემპირიულ მონაცემთა ბაზის პარალელიზაციისა და ფრაზული ალინირების მეთოდოლოგიაზე.

ჩვენს ყურადღებას შევაჩერებთ აფორისტული სტილის ერთ-ერთ ფორმაზე – აფორიზმებზე. აფორიზმი გამორჩეულია როგორც შინაარსობრივი ექსპრესიულობით, ისე ლინგვისტური მახასიათებლებით. რუსთაველის აფორიზმები მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც ქართული ლიტერატურისა და საზოგადოების ცნობიერებაში, ისე პოემის თარგმანების ნარატივის განვითარებაში. „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმების რეცეფცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ქართულენოვანი სამყაროთი, ისინი მეტ-ნაკლებად აისახება პოემის ყველა თარგმანში.

წინამდებარე ნაშრომი დაეყრდნობა პოემის ბასკურ და ესპანურ თარგმანებს. ბასკურსა და ქართულ ენებს შორის მრავალი ტიპოლოგიური თუ გენეტიკური კვლევა არსებობს. ესპანური ენა, ბასკურთან გეოგრაფიული სიახლოვის გამო, სხვა შედარებითი კვლევების პერსპექტივას გვიხსნის. შესაბამისად, ჩვენი ანალიზი მოიცავს სამ ენას სამი განსხვავებული ენობრივი ოჯახიდან.

პოემის ბასკური თარგმანი („Zaldun tigrelarruduna“) 1999 წელს გამოქვეყნდა მადრიდში (მთარგმნელი ხაბიერ კინტანა). ბასკურისაგან განსხვავებით, ესპანურად სამი სხვადასხვა თარგმანი გვაქვს: 1964 წელს გამოქვეყნებული გუსტავო დე ლა ტორეს თარგმანი სანტიაგო დე ჩილეში, ლეონორ მარტინესის 2000 წელს გამოცემული თარგმანი ბარსელონაში და მარია ელვირა როკა ბარეასის 2003 წლის თარგმანი გამოქვეყნებული მალაგაში.

ჩვენი ანალიზი აგებულია აფორიზმებისა და მათი თარგმანების შედარებით კვლევაზე. თითოეული ენიდან ჩვენ შევარჩიეთ სამი აფორიზმი, რომლებიც ერთმანეთს შევუთანადეთ და გრამატიკულად გავაანალიზეთ. შემდგომ ეტაპზე გამოვიკვლიეთ თარგმანთა კავშირები და მთარგმნელობითი ფენომენები. ჩვენი კვლევის შემდგომი ეტაპი იქნება აფორიზმების ინდივიდუალური კომპონენტების სიღრმისეული ანალიზი და მათი ინფორმაციული სტრუქტურის კვლევა. ჩვენი მიზანია ემპირიული ანალიზის საფუძველზე გამოვავლინოთ და შევაფასოთ თარგმანის სტრატეგიები, რომლებიც გამოყენებული აქვთ მთარგმნელებს პოემის სხვადასხვა ენაზე თარგმნის დროს, რაც შესაძლებლობას მოგვცემს განვსაზღვროთ მთარგმნელის ინდივიდუალური და ენის ინჰერენტული ბუნებიდან მომდინარე თავისებურებები.

ჩვენი მთავარი ხედვა ისაა, რომ თარგმანები კომპონენტების მრავალფეროვან და განსხვავებულ ვარიანტებს ავლენენ, თუმცა ინფორმაციული სტრუქტურის დონეზე ბასკურსა და ქართულს შორის შესაძლებელია მნიშვნელოვანი მსგავსებები არსებობდეს.

Shota Rustaveli and his epic poem *The Knight in the Panther's Skin* (ვეფხისტყაოსანი) hold a central place in Georgian culture and language, with the reception of the epic extending far beyond the Georgian cultural sphere. Even today, more than 800 years after the creation of the work, there are translations and adaptations in 58 languages, from Abkhazian to Welsh. This reveals a complex network of translation relationships, providing a rich trove of empirical data. The international corpus project “Rustaveli goes digital” is dedicated to this diversity of translations, aiming to create an annotated parallel corpus of *The Knight in the Panther's Skin* translations. Our empirical study follows the ideas and methodology underlying this project, particularly focusing on the methodology of parallelizing the empirical data base and phrase alignment.

We focus on a specific genre of utterance that has a distinctive character both as a received entity and as a linguistic expression – the genre of aphorisms. In Rustaveli's work, aphorisms play a central role, both because of their wide reception in Georgian literature and society, and because of their function in driving the narrative. The reception of aphorisms from the epic is not limited to the Georgian-speaking world but is evident in all translations of the epic.

For the analysis underlying this presentation, we have examined the Basque translation and the Spanish translations of the epic. Basque and Georgian share a long history of comparative research, with many typological and genetic research approaches being pursued. Spanish offers another comparative perspective, partly due to its geographical proximity to Basque on the Iberian Peninsula. Thus, our analysis considers three languages from three different language families.

There is one Basque translation of the epic, published in Madrid in 1999 under the title “Zaldun ti-grelarruduna” (translator: Xabier Kintana), and three Spanish translations: Gustavo de la Torre's 1964 translation published in Santiago de Chile, Leonor Martínez's 2000 translation published in Barcelona, and María Elvira Roca Barea's 2003 translation published in Málaga.

Our analysis follows a comparative approach in examining the aphorisms and their translations. We select three aphorisms from each language, which we parallelize and grammatically analyze. The next step involves examining the translation relationships and translational phenomena. This is followed by an in-depth analysis of the individual components of the aphorisms and their informational structure. The goal is to empirically examine the translations to specifically identify, qualify, and evaluate the translation mechanisms, allowing us to make considerations about the respective translations.

Our basic premise is that the translations show a variety of divergent translations of the components, but there may be parallels between Basque and Georgian regarding the informational structure.

გამოცემაზე მუშაობდნენ:

ნინო ვაჩეიშვილი
მარიამ ებრაღიძე

გამომცემლობის რედაქტორები:

ქეთევან ქურდოვანიძე
მარინა ჭყონია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0128
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>

